

„ივერიის ბიბლიოთეკა“

8

ქამხდარი სისხლი.

ქიშიყის ამბოხება.

საბურომილე. ( ემანუ )

შეუძოვარი.

3 6 0 8 0 1

№ 8-9

ტ ფ ი ლ ი 6 0

1905

ცფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძესა, ფრეილინის ქუჩა № 12.

1 9 0 6 წ.



„ივერიის ბიბლიოთეკა“

35109

წამხდარი სისხლი.

ქიშიყის ამზოხება.

საბურომილე.

შეუძოვარი.



3 6 0 8 0 5

№ 8-9

1906

ცურილისი

ს ა რ ჩ ი ვ ი

გვერდი

შაშედარი სისხლი, კომედია 4 მოქმედებად,	03.
გოგარიტელის	5
შიზიყის აშგოვება 1878 წ., ისტორიული წერი-	
ლი, ა. კვერ—ძის	107
საკუროგილე, მოთხრობა მაქსიმ გორკისა, თარ-	
გმანი დ. ჯაშის	125
შეუკოვარი, მოთხრობა სტანიუკოვიჩისა, თარ-	
გმანი დ—რის	200

# წამხდარი სისხლი

კუმედია თთხ მოწევებად.

\* ივ. ვომართელისა.

## 8 ၃ 8 ၅ ၂ ၅ ၄ ၆ ၀:

დავით ლეონიძე — თავადი, 50 წლისა.

ქეითე ბაბალე — მისი მეუღლე, 42 წლისა.

თალიპო — ამათი ქალი, 22 წლისა.

ხარდიონ ლეონიძე — თავადი, 70 წლისა, დავითის ბიძა. ცალ ხელ  
სა და ფეხს კარგად ვერ შმარობს, განვლილ სიდამბლის გამო.

ვიქტორ სავანელი — ახალგაზრდა ექიმი.

იაზონ გელოვანი — ახალგაზრდა ვექილი, თალიკოს საქმრო.

კოტიპო — დავითის ვაჟი, 13 წლისა.

არჩილი — სტუდენტი, კოტიკოს რეპეტიტორი.

სალომე — 50 წლისა, სარდიონის ხასა.

ანიკო  
სოსო } სალომესი და სარდიონის უკანონო შვილები.

ლევანი  
სერგო } სოსოს შეგობრები.

ბესარიონი — შუახნის აზნაური.

ლუკა ჩიხლაძე — 55 წლის გლეხი.

გატრონა  
დიმითრი } დავითის მოქამსახურენი.

ექიმები, ინტელიგენცია, თავადები.

## მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულ ზალას. ერთი კარი, ცოტა გაღებულია და იქადან მოისმის ხმაურობა და სიმღერა: „ყანწით ვსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოს, და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს! არიანუნი, თარიანუნი, არიანუნი, თარიანუნი.“ სიმღერის შემდეგ ხმაურობა ატყდება.

**პირველი ხმა.** ლეკური, ლეკური! დაუკათ ერთი ლეკური.

**მეორე ხმა.** ვალსი, ვალსი! ჩვენც გვათამაშეთ. ერთი!

**მესამე ხმა.** ქალებს დავეკითხოთ, ქალებს და იმათ გადაწყვიტონ!

(„ვალსი, ვალსი!“ ისმის რამდენიმე ქალის ხმა. შიანინთზე უკრავენ ვალსს და ისმის ფეხების სრია აფი და კისკის-ჟრიამული. მთისმის ისევ სიმღერა: „ყანწით ვსვამ ღვინოს;“ სინამ სიმღერა გათავდეა ბოდეს, ხმაურობა და შიანინთ შეწყდება).

**ერთი ხმა.** ღოქტორი, ღოქტორი! ვიქტორ, ვიქტორ! წყალი! კნეინას გული შეუწუხდა!

(შეიქნება ჩამატება. რამდენისამე კაცის ხელით გამოა აქვთ ზალაში გულშეწუხებული ბაბალე. უკან გამოა უვებიან ქალები, ვიქტორი და კოტიკ. ტირილით. ვიქტორის მაჭაზე უკავია ხელი. აგადმეტფს მდიგანზე

დასვენებენ. ვიქტორი სახეზე უსგამს ხელს და  
ცხირს უზედს. ბაბალე დრმათ ამინისუნთქავს და  
თვალებს გაახელს. კოტიკ მიუჯდება და ჭიდნის.)

**ვიქტორი.** აი, კნეინაც გამოფხიზლდა!

**ერთი დამსწრე.** შე დალოცვილო, რაზე გაღმოგვიტრია-  
ლე გული? ჩემ სიცოცხლეში მე აღარ გამაც-  
ხელებს. არა, რომ ვმღეროდი, პირი ისე გა-  
ღებული დამრჩა!

**მეორე.** მე კიდევ გახურებულ ცეკვაში ვიყავი, რომ  
ჩემი დამა ხელიდან გამომიძერა. პირველად  
ასე მეგონა, სწორეთ ცეცხლი გაჩნდა ან სახლი-  
იქცევა-მეოქი.

(კნეინა ხელით ანაშებს, წადითთ).

**ვიქტორი.** კნეინას ცოტა მოსვენება უნდა; თქვენ ისევ:  
მხიარულება განაგრძეთ და მე-კი კნეინასთან  
დავრჩები.

**პირველი დამსწრე.** კი ნუ გეწყინება და ექიმობას ძალ-  
ლის ხელობა ჯობია. მილიონიც რომ მომცე,  
ექიმთ არ წავალ.

**მეორე.** კაი დროს ბებია ჩემის ლეკურია!

**პირველი.** რათა შვილოსა, უნივერსიტეტის გათავებას  
ორი თვე მაკლდა, მარა თავი დავანებე! რა-  
ფეხებათ მინდოდა! მე რო დოხტური გამოვ-  
სულიყავი და ამისთანა დროს ავაღმყოფთან  
წავეყვანეთ, რას ამბობ, შუაზე გავგლეჯამდო  
ავაღმყოფსაც და იმის კარგამყოფსაც.

(უველანი სიცილით გადინ. ცოტა ხნის შემდეგ  
ვიქტორი კარგბთან მივა და გააღებს).

**ვიქტორი.** ბატონებო, კნეინა ახლა სრულებით კარგათ

არის და გთხოვათ, ჩვეულებრივი მხიარულება განაგრძეთო (გამობრუნდება. შემთდის დავითი და ბაბალესთან მიეს).

**დავითი.** როგორა ხარ, შენ გენაცვალე?

**ბაბალე.** ახლა კარგათ ვარ, ნულარაფრის გეშინია.

**დავითი.** ხომ არ შეგაწუხებს, რომ ყმაწვილებმა ცოტა იმხიარულონ, თორემ ყველა ყურებ-ჩამოყრილია, შენი ერიდებათ.

**ბაბალე.** პირიქით, კიდეც მიამება, თუ იმხიარულებენ.

**დავითი.** ომ, შენ გენაცვალე! (ხელზე აკოცებს და გაფაისმის მალე ურიამული.)

**ერთი ხმა.** ბატონებოჲ კნეინა ბაბალეს სადღეგრძელო ექსტრა დავლიოთ, ექსტრა!

**ჩამდენიმე ხმა.** დავლიოთ, დავლიოთ (ისმის ზედიზედ: „კნეინა ბაბალე, დმერთმა გადღევრძელოსთ!“ და ბოლოს „ურა“ და მრავალფარის წენარის კილოთი).

**ბაბალე.** (კოტიკოს) წალი, შვილო, ახლა ითამაშე (კოტიკოს ჭირობის და გაფა) ვიქტორ, აქ მოდი დაჯეჭი ჩემთან (ვიქტორი სკამს მოიტანს და ბაბალესთან დაჯდება). აგრე არა, ლოგინზე ჩამოჯეჭი ჩემთან.

**ვიქტორი.** (უფრინით) კნეინა, ჩვენა აქ მარტონი არა ვართ, შეიძლება შამოვიდეს ვინმე.

**ბაბალე.** (ხელში ხელს სტაცებს) ეეს, მარტონი, მარტონი, ყოველს შენს სიტყვაში მამაკაცი გამოსჭვივს, შიში, მალვა, მორიდება; ერთი ამიხსენი, რატომ არ შეგიძლიათ მამაკაცებს ჩვენსავით თავდავიწყებით, ჩვენსავით ანგარიშ მოუცემლათ, ჩვენსავით გაგიჟებით სიყვარული?

**ვიქტორი.** არა კნეინა...

**ბაბალე.** (გაწევეტინებს) კიდევ კნეინა! როდის დამიძახებ ბაბალეს, ბაბოს? ან, რაც გინდა, ის დამიძახე, კატა, თაგვი, ძაღლი, თუ გინდა, ოღონდ კნეინას ნუ დამიძახებ. როდესაც კნეინას მეძახი, ასე მგონია, თითქოს სრულებით არ გიყვარდე, ისე ცივათ ამოდის ეს სიტყვა შენს პირში.

**ვიქტორი.** კარგი, აღარ დაგიძახებ კნეინას. კაცებსაც იმდენათვე შეგვიძლია სიყვარული, როგორც ქალებს, შეიძლება უფროც, ხოლო ჩვენ, მამაკაცები, სიყვარულის ღროს გონებას არა ვკარგავთ თქვენ, ქალები-კი....

**ბაბალე.** არა, ჩემო საყვარელო, ზე სიყვარულს არა ვხედავ იქ, საღაც გონება ერევა. სიყვარული თავისუფალია, ის არავითარ გონებას, არავითარ მოსაზრებას არ ემორჩილება, ასეთია ნამდვილი და ღრმა სიყვარული.

**ვიქტორი.** მე ექიმი ვარ და მრწამს, რომ აღამიანის ყოველგვარი გრძნობა გონებას უნდა ემორჩილებოდეს. განა მე არ მიყვარხარ ჩემო, ჩემო კარგო, მიყვარხარ, გაგიჟებით მიყვარხარ, მაგრამ....

**ბაბალე.** (გაწევეტინებს) მაშ მაკოცე, თუ გიყვარვარ! (ვიქტორი სეჭს მოხვევს და ჰქოცნის. ამ დროს გაიღება კარი და შემთდის თალიკო, შეკრთება და უცებ გაბრუნდება. ვიქტორი ზეზე წამოხტება). (შემკრთალი) ვინ არის?

**ვიქტორი.** (თრივე ხელებს შებლზე აღსდამს და გაიზმორება) ვილაცამ შემოგვისწრო.

**ბაბალე.** ალბათ კარი გაინძრა მხოლოთ. თუნდა ეგრეცი იყოს, მერე რა ვუყოთ? მე არავის არ ვუმალამ ჩემს სიყვარულს.

**ვიქტორი.** მგონი თალიკო იყო, თქვენი ქალი....

**ბაბალე.** (გააწევეტინებს) თქვენი, თქვენი!

**ვიქტორი.** ნუ, შენი, სულ ერთი არ არის!?

**ბაბალე.** უუკ, რომ იცოდე, რა კარგი ხარ აგრე აშფოთებული და შემკრთალი! გეტყობა, სიყვარული ჯერ არ გამოგიცდია. სიყვარული მაშინ არის საამო, მაშინ არის სანეტარო, როცა მას წინ სხვადასხვა დაბრკოლება ელობება, თორემ აულელვებლათ, შეუშფოთებლათ მოპოვებული არაფერი არ ვარგა. მოდი აქ ჩემთან, იი, შე მშიშარა (ვიქტორი მივა და გვერდით მიუჯდება წინანდებურათ) გულში ჩამიყავი ხელი!.. აგრე, მე მინდა რომ ჩემს ახლოს იყო მუდამ, ჩემთან, ჩემთან ერთათ: სუნთქამდე ერთის ჰაერით. ჩემის ხნის ქალს ძვირათ შეუყვარდება და, თუ ერთხელ შეუყვარდი, ველარდაძვრები ხელიდან, ჩემო საყვარელო (ხელებს დოუებზე ნელა შემთკრავს, სახესთან მიიზიდავს, თავს ასწერს და ტუჩებში ჭკლნის) არა, ჯერ შენისა ქციელი ამიხსენი რას ეარშიყებოდი მთელი საღამო იმ კატის ნათრევ ანეტას?

**ვიქტორი.** პატიოსნებას გეფიცები, აზრათაც არ მოშველია და, თუ შენ გეჩვენა, ვითომ მე მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი, ეს

მხოლოდ შენი იჭვიანობის ბრალია, ჩემი  
კარგო.

**ბაბალე.** მე მჯერა შენი სიტყვები, მაგრამ მთელი სალამო  
მე ჩემს ტყავში აღარ ვიყავი. იყო ისეთი წამი,  
როცა მზათ ვიყავი მოგვარდნოდით ორივეს  
და დამეძახა: ვის რა ხელი აქვს ჩემს სიყვა-  
რულთან-მეთქი? გესმის? მე შენ ჩემს სიყვა-  
რულს გეძახი, მაგრამ თავს ვიკავებდი. ბოლოს  
ვეღარ მოვითმინე, გაბრაზებული უნდა წამომ-  
დგარვიყავი, მაგრამ უკანასკნელათ მოვიკრიბე  
ლონე, მაზოლზე დავიჭირე, რაც შემეძლო,  
ფეხი და გული შემიწუხდა.

**ვიქტორი.** მამაკაცი ვერაოდეს ვერ მოახერხებს. იმდენს  
ეშმაკობას, რამდენსაც დედაკაცი. ტარტაროზი  
რომ იყოს მართლა, ის უსათუოთ ქალი იქნება.

**ბაბალე.** (იცინას) თუ დაგჭირდათ, მამაკაცები უარე-  
სებიცა ხართ.

**ვიქტორი.** პირველობა მაინც თქვენია! ღმერთი რომ  
მართლა იყოს, დედაკაცი: არ გააჩენდა. ცხოვ-  
რება მაშინ გაცილებით უკეთ იქნებოდა მო-  
წყობილი და ადამიანი მართლა მაშინ იქნებოდა  
ბეღნიერი არსება.

**ბაბალე.** როგორ? განა ჩემი სიყვარული, ის, რომ მე  
მთელის ჩემის არსებით შენ გეკუთვნი, შენ  
განაცვალე ოჯახი, ქმარი, შვილი, განა ყოვე-  
ლივე ეს შენთვის ბეღნიერება არ არის?

**ვიქტორი.** მე საზოგადოთ ვლაპარაკობ და არა ჩვენზე.

**ბაბალე.** არა, ჩემი მშვენიერო, ცხოვრებას მარტო,  
მარტო სიყვარული ამშვენებს. სიყვარული რომ

არ იყოს, მთელი ჩვენი ცხოვრება რაღაც  
უაზრო აუტანელი ტანჯვა იქნებოდა. ცხოვ-  
რებაში თუ რამ არის კარგი, მხოლოდ სიყვა-  
რული. სიყვარულს გარეშე ყოველივე ამაოა,—  
ბეღნიერება, ჭეშმარიტება, თვით ღმერთიც  
მხოლოდ სიყვარულია. (მოვიდეს ხელებში ხე-  
ლებს და შეანძრევს) რას ჩაფიქრებულხარ, რას  
გაჩუმებულხარ? მიპასუხე, ასე არ არის?  
მითხარი რამე, მითხარი! (მიიზიდავს და ჰქოც-  
ნის. სასადიდეთ თთახში სკამების რიხინი შეიწება;  
ვიქტორი წამოხტება და ზალაში დაიწუებს აქეთ  
იქით სიარულს შემთდიან: თალიკო იაზონი და  
არჩილი).

**იაზონი.** როგორ ბძანდებით ახლა, კნეინა?

**ბაბალე.** (ავაღმეთფის ხმით) გადავრჩი სიკვდილს, მაგრამ  
რომ მოვმკვდარიყავი, უკეთესი იყო: ასე  
რომ დაუსუსტდება ადამიანს გული და ნერ-  
ვები, რომ აღარ იყოს, ის არა ჯობია?

**იაზონი.** რასა ბრძანებთ, კნეინა? ჩვენი დრო ნერვების  
დროა. წინეთ კუჭის ცხოვრება იყო, მერე  
გონებისა, დღეს-კი გრძნობის, ნერვების. ნამე-  
ტანმა შრომამ ნერვები მოღალა, ყველა ნერ-  
ვებ-აშლილათ. გაგზარდა და, თუ ყველა  
ნერვებ-აშლილი დავიხოცეთ, თქვენი მტერია,  
ქვეყანა დაცალიერდეს!

**ვიქტორი.** მეცნიერებისაგან დიდი ხანია დამტკიცებულია,  
რომ ოდესშე ქვეყნათ სიცოცხლე უნდა მოის-  
პოს: ან საშინელი სიცხე შეასრულებს ამ  
როლს ქვეყნის განადგურებისას, ან, უფრო

მოსალოდნელია, აუტანელი სიცივე, რაღა-  
ნაც შეე, თუმცა ნელნელა, მაგრამ თანდათან  
ჰკარგავს თავის სითბოს.

**იაზონი.** (გააწევეტინებს) რომელიღაც მეცნიერი ამტკი-  
ცებს: დედა მიწის ბოლო ძალიან ახლოს  
არის, რაღანაც მუავბადი ილევაო.

**ვიქტორი.** ეს აზრი. შემცდარი გამოდგა. ასეა თუ ისე,  
ოდესმე დედამიწა უნდა მოკვდეს და სულ  
ერთი არ არის, დღეს დავიხოცებით თუ ხვალ?  
კაცობრიობის სიცოცხლეს ისეთი მნიშვნე-  
ლობა აქვს მსოფლიო ეკონომიკი, როგორც  
უბრალო მწერს, აი, იმ ფუმფლას, ღვინოში  
რომ ირჩობა ხოლმე თავისი სისულელით.

**იაზონი.** არა, ბატონო ვიქტორ, მე თქვენ აზრს არ  
ვეთანხმები. დაიღუპება თუ არა დედამიწა  
ოდესმე, ეს რა ჩემი საქმეა? მე ვცოცხლობ  
და ცხოვრება მინდა, აი, საკითხი. თქვენ რას  
იტყვით, ბატონო არჩილ?

**არჩილი.** მე არა მრწამს ისეთი ფილოსოფოსი, რომელიც  
ოჯახსა და ცოლქმრობას უარყოფს და თორ-  
მეტი შვილის მამათ-კი გამხდარა. რას დავე-  
ძებ, ოდესმე დედამიწა დაიღუპება თუ არა?  
ჩვენ ყველა ვცხოვრობთ და ცხოვრება გვინ-  
და. ამიტომაც თავიდათავი ჩვენი საზრუნავი  
ეს ცხოვრება უნდა იყოს. დედამიწის დალუ-  
პვამდე შეიძლება რამონენიმე მილიონმა. და  
მეტმა წელმაც განვლოს ჩვენ-კი, ვინც დღეს  
ვცხოვრობთ, ერთი საუკუნის შემდეგ მიწაში  
ვიქნებით, მაგრამ რა ვუყოთ? დღეს ჩვენ

ვცოცხლობთ: სანამ ცოცხალი ვართ, ცხოვ-  
რება გვინდა, ცხოვრება აღამიადური; ჩვენ  
ყველამ უნდა ვეძიოთ ეს ცხოვრება, ეგებ-  
ვნახოთ ის და ამით მოვიპოვოთ ბედნიერება.  
თორემ განა ცხოვრება ეთქმის დღევანდელს  
ჩვენ ცხოვრებას? ეს ცხოვრება-კი არა, ჰეზეუ-  
ლათ ლპობაა, ზეზეულათ ხრწნა.

**ვიქტორი.** ბედნიერება ის ჩრდილია, რომელსაც კაცო-  
ბრიობა მისდევს და ვერ დაეწევა ვერაოდეს.

**არჩილი.** ფეხმარდი და გულმაგარი თაობა კიდეც დაე-  
წევა და ჩვენისთანანი, რასაკვირველია, ვერ  
დაეწევიან. ვერ დაეწევიან. თუნდა იმიტომაც,  
რომ ჩვენ არც-კი ვიცით, თუ რა არის ან  
სად არის ბედნიერება. ჩვენ მუდამ კუჭისათვის-  
ვზრუნავდით, მუდამ ვქეიფობდით, მუდამ ნე-  
ბივრობაში და ხანდახ ნ პრტყელი სიტყვების  
წარმოთქმაში ვატარებდით დროს და სად-  
გვეცალა, ბედნიერება გვეძებნა? ან რათ უნდა-  
გვეძებნა, როდესაც ჩვენ ჩვენი თავი ბედნიერი  
გვეგონა!

**ვიქტორი.** მაპატიეთ, მარა თქვენ ცდებით. ვინც უნდა  
გამოუდგეს ბედნიერებას, ვერაოდეს ვერ  
დაეწევა, რა ფეხმალი და გულმაგარიც უნდა-  
იყოს.

**არჩილი.** რატომ ვერ დაეწევა?

**ვიქტორი.** იმიტომ რომ ბედნიერება ჩვენს გარეშე არ  
არის, ის ჩვენშია, ჩვენს არსებაში და, რად-  
განაც ყოველ ადამიანის ბუნება თავისებურია,  
იმიტომ ყველას თავისებურათ ესმის ბედნიე-

რება, და აქ შეთანხმება შეუძლებელია; საერთო ბედნიერება სისულელეა.

**არჩილი.** მე ვერ დაგეთანხმებით, ბატონო ვიქტორ! ბედნიერების აუცილებელი პირობა ორია— ინდივიდი და გარეშე ცხოვრება. თვით ცხოვრება უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ უმეტესთა ბედნიერება შესაძლებელი იყოს.

**ბაბალე.** როგორ უმეტესთა ბედნიერება? როგორ შეიძლება ცხოვრების ისე მოწყობა, რომ უმეტესი ნაწილი ბედნიერი იყოს? ეს მე სრულებით არ მესმის.

**არჩილი.** უსამართლობა, ძალმომრეობა, კანონით განმტკიცებული ძარცვა-ყვლეფა, მუქთახორობა, სხვისი ოფლით რჩენა, — აი რას წარმოადგენს დღეს ჩვენი ცხოვრება. მოსპეც ყოველივე ეს და მაშინ შესაძლებელი იქნება უმრავლესობის ბედნიერება.

(შემთადის ამ დროს დიმიტრი)

**დიმიტრი.** (არჩილს) ბატონო, ვილაც ყმაწვილი გკითხულობთ (არჩილი და დიმიტრი გადიან).

**თალიკო.** ადამიანის უბედურების მიზეზი უმთავრუსათ ისევ ადამიანია; სიყვარულისა და დახმარების მაგიერ ჩვენ ერთმანერთს ვახჩობთ, ერთმანეთს ვჭამთ და საკუთარ ბედნიერებას სხვების უბედურებაზე ვაშენებთ.

**ბაბალე.** მაგალითად, აი, ჩვენ უბედურნი ვართ თუ ბედნიერნი, შენის ფიქრით?

**თალიკო.** მე თუ მკითხავ, უბედუნი ვართ და საქმეც

იმაშია, რომ ჩვენ არ გვესმის ჩვენი უბედულება.

**ბაბალე.** (შემქრთალი) რაში ხედავ ჩვენს უბედულებას?

**თალიკო.** ყველაფერში. როცა მე ზაფხულობით ჩვენს სოფელში ვარ და ჩვენს გლეხებს შევჩერებივარ, რომლებსაც მუშაობა მოთხოვნილებათ გადაჭცევიათ, ძალაუნებურათ ვფიქრობთ ხოლმე ჩემს გულში: აი, აშათ დაიმსახურეს დღევანდელი საღილი, ამათ უფლება აქვთ, იამაყონ, რომ თავისი ოფლითა ცხოვრობენ. მაგრამ ჩვენ, ჩვენ ყველამ რითი დავიმსახურეთ ლუკმა-პური? რითი უნდა ვიამაყოთ? შარტო მით, რომ სხვისი ოფლითა ვრჩებით.

**ბაბალე.** დიახ, ჩვენი სიამაყე ის არის, რომ ჩვენ ჩვენის წარსულით, ჩვენის ღვაწლით სამშობლოს წინაშე უფლება მოვიპოვეთ, მოსცენებით, სხვისი შრომით ვიცხოვროთ. შენის ფიქრითკი, ჩვენ მაშინ ვიქნებით ბედნიერი, თუ მათ-სავით ბინძურათ ვიცხოვრეთ, ჭადი ვაცხვეთ, სიმინდი ვთოხნეთ! ხა, ხა, ხა, ხა, ახირებული ფილოსოფიაა, არა, ვიქტორ?

**თალიკო.** მე არ ვამბობ, რომ ჩვენ ბინძურათ ვიცხოვროთ-მეთქი, სიბინძურე ყველასთვის დასაძრახისია; მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ არავის არ აქვს უფლება, სხვისი ოფლით იცხოვროს ყველამ თავისი ოფლით უნდა ირჩინოს თავი.

**ვიქტორი.** ყოველ-გვარ მსჯელობას და იდეალს, ჩემის ფიქრით, მეცნიერული სარჩული უნდა ედვას. მეცნიერება-კი გვეუბნება, რომ ცხოვრება

ბრძოლაა არსებობისთვის. ბრძოლაა ყველგან  
და იგივე ბრძოლაა ადამიანთა საზოგადოება-  
შიც. რაც უნდა იხტუნოს კაცობრიობამ, ის  
მაინც ამ კანონის რკალს ვერ აცილდება და  
ამიტომ არაოდეს არ დადგება ის დრო, რომ  
ყველა თანასწორი იყოს, ყველა ერთნაირათ  
ცხოვრობდეს; რას მიბრძანებთ? მთელი ჩემი  
ძალლონე, ჩემი ახალგაზრდობა მას მოვანდომე,  
რომ ცხოვრებაში დავწინაურებულვიყავი,  
სხვებისთანა, სხვების სწორი და ტოლი არა  
ვყოფილვიყავი, და ახლა თქვენ მეუბნებით, ეს  
სისულელეა, თქვენსა და გაბურდენულ ყაზახ-ტე-  
ტიას შორის არავითარი განსხვავება არ არისო.

**თალიკო.** (ცოტა გულმოსული) გარწმუნებთ, შესაძლებე-  
ლია, რომ ის ყაზახი თქვენზე უკეთესიც იყოს,  
მიუხედავათ იმისა, რომ ის გაბურდენულია და  
თქვენ-კი ორ დღეში ერთხელ პარიკმახერი  
გალამაზებსთ.

**ვიქტორი.** ამით თქვენ მხოლოთ იმას მიმტკიცებთ, რომ  
ჩემი შეურაცყოფა გინდათ

**ბაბალე.** თალიკო! ამ ბოლო დროს, რაც შენ რაღაც  
საეჭვო წიგნებს დაუწყე კითხვა, სრულებით  
გამოიცვალე და ახლა უზრდელი ლაპარაკიც  
კი დაიწყე. მე დღეს დედა ვარ, ამ სახლის  
უფროსი, და ნებას არ გაძლევ, ჩემს სტუმრებს,  
ჩემს მეგობრებს შეურაცყოფა მიაყენო. მე  
გთხოვ, ბოლიში მოიხადო ვიქტორის წინაშე.

**თალიკო.** (გაბრაზებული) მე ვიქტორ სავანლის წინაშე  
ბოდიში მოვიხადო? ხა, ხა, ხა! მე მხოლოთ

მას ვწუხვარ, რომ უფრო მეტი არა ვთქვი. არა ვთქვი ის, რის ლირსიც ბატონი ექიმი იყო. გაუნათლებელი კაცი, რომ იდგეს ჩემს წინაშე, მე ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ, როდესაც განათლებული კაცი ქადაგობს ამგვარ სიბრძნეს, განა იქ მოთმენა და თავის შეკავება შეიძლება?

**ბაბალე.** (გაანჩხეჭებული) მე შენ ნებას არ გაძლევ, მე შენ გიბრძანებ... ვიქტორ.. მიშველ... (გადიჭუება, მივარდება ჭიქტორი და იაზონი, თალიკა მწარე დიმილით გამოიურება, გონის-მთხული) წამიყვანეთ აქედან, სპალნაში გამიყვანეთ (ჭიქტორსა და იაზონს გაჭერათ).

**თალიკო.** (მაგიდასთან ჩამოჯდება) ყოველ დღე წამება, სულიერი ტანჯვა, სულიერი ობლიობა!.. ნუ თუ ალარ იქნება ამის დასასრული? ნუ თუ არაოდეს ალარ მოელება ამას ბოლო? ეს ოჯახი, სადაც დავიბადე და აღვიზარდე, ჭირივით შემძულდა; შეძულდენ ყველა ისინიც, ვისაც აქა ვხედავ. ჩემი თავიც შემძულდა, მხოლოდ ფარისევლობა, მხოლოდ გარყვნილება, მხოლოდ ქეიფი, — მეტს ვერაფერს ვერა ვხედავ გარშემო. ნუთუ შესაძლებელია, ასეთ პირობებში იცხოვროს აღამიანმა და თავი არ შეეზიზლოს? ყველა მომბეზრდა, ყველა შეძულდა, მაგრამ სად წავიდე, ვის მივმართო? აქ ცხოვრებას მოსამსახურეთ წასვლა მირჩევნია, ოღონ სულიერ სიმშვიდეს მოვიპოებდე, ოღონ ალარ ვგრძნობდე ამ საშინელ მარტო-

ობას, ამ საშინელ ობლობას. რატომ არა  
მაქვს იმდენი ძალლონე, რომ ვიცხოვრო ისე,  
როგორც მე მინდა? რატომ არ ძალმის მო-  
ვუპოვო ჩემს სულსა და მისწრაფებას სრული  
თავისუფლება? რატომ, რატომ? ნუთუ არ  
შეიძლება უკეთესათ ცხოვრება, ნუ თუ მუჭამ  
ასე უფერულათ უნდა ვატარო ჩემი დღენი,  
რომ ერთხელაც ვერ ვახილო ნამდვილი ცხოვ-  
რება, ცხოვრება ადამიანური?.. იქნება, არსად:  
არ არის ამგვარი ცხოვრება, იქნება, შესაძლე-  
ბელია უკეთესი ცხოვრება? არა, მე მრწამს,  
მე რაღაც ჩამჩურჩულებს, რომ არის უკეთესი  
ცხოვრება. მაგრამ სად არის, სად? რომ ჩავუ-  
კვირდები ცხოვრებას, ქვეყანა ვეებერთელა  
ჯოჯოხეთათ წარმომიდგება, საღაც ბიწიერე-  
ბის, გარყვნილების, უსამართლობის, ძალმო-  
მრეობის, ტანჯვისა და წვალების მეტი არა  
ფერია, საღაც გარყვნილთა ხარხარისა და  
მათ მსხვერპლთა კვნესის მეტი არაფერი არ  
ისმის. ნუ თუ არაოდეს არ მოეღება ამ ტან-  
ჯვას, ამ გარყვნილებას ბოლო? ღმერთო,  
რატომ არ შემიძლია ერთის დაკვრით მოვსპო  
ყოველივე ეს, ერთის დაკვრით ვაჭკიო ადა-  
მიანი ანგელოზთ და ცხოვრება სამოთხეთ?  
ოცნება, ოცნება! რა კარგია ხანდახან  
ოცნება? ცხოვრებას რომ სიზმარი არ ამშვე-  
ნებდეს და სინამდვილეს—ოცნება, სიცოცხლე:  
აუტანელი სატანჯველი იქნებოდა. მხოლოდ

ოცნებით უნდა დავტკბე ხანდახან, ნამდვი-  
ლათ-კი ვიცხოვრო ისე, როგორც სხვები  
ცხოვრობენ; შევურიგდე ბედს ისე, როგორც  
სხვები ურიგდებიან; მივეჩვიო ფარისევლობას  
ისე, როგორც სხვები ეჩვევიან; ვიცინო სხვის  
შესახედავათ, როცა გულში მდუღარე ცრემ-  
ლები მდის; ჩავიცვა მდიდრულათ სხვის შესა-  
ხედავათ, როცა მოვალეები კარზე ტალახს  
მიყენებენ; საღილები ვმართო ნასესხები ფულით  
სხვის დასანახავათ; დავბერდე ამგვარ ცხოვ-  
რებაში ისე, როგორც სხვები ბერდებაან.  
ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მომელის, ეს და  
მეტი არაფერი? ნუთუ ეს არის ჩემი მომა-  
ვალი? ნუთუ ამას ვოცნებობდი? ნუთუ  
ამიტომ შევხაროდი ჩემს მომავალს? შეუძლე-  
ბელია, საშინელებაა! რა ვქნა, რა მოვიფიქრო,  
საით წავიდე? (თავს ხელებზე დაიდებს. გამო-  
დის იაზონი).

**იაზონი.** (თაღიერსთან მიგა და ბეჭებზე ხელებს დაადებს).  
რას ჩაფიქრებულხარ, ჩემო საყვარელო? (მოუ-  
ჯდება გვერდით).

**თალიკო.** ცოცხალ აღამიანს ფიქრს რა გამოულევს?!

**იაზონი.** გინდა გეტყვი, რაზედაც ფიქრობდი.

**თალიკო.** რაზე?

**იაზონი.** ჩვენს მომავალს ცხოვრებაზე.

**თალიკო.** დიახ, მომავალზე ვფიქრობდი, იმ მომავალზე,  
რომელსაც მე ერთსა და იმავე დროს ნატვ-  
რითაც შევყურებ და შიშითაც; მენატრება,  
იმიტომ რომ ეს ცხოვრება, რომლითაც ჩვენ,

ყველანი ვცხოვრობთ, მომბეზრდა. მეშინია  
იმიტომ, რომ ვაი თუ ჩვენი მომავალიც იძ-  
გვარივე იყოს, როგორც სხვებისა ყოფილა.  
ვგრძნობ, რომ ეს ასე იქნება; ვგრძნობ, რომ  
უნდა იყოს სადღაც ისეთი ცხოვრება, რომე-  
ლიც ჩვენსას არა გავს, და ორივე ეს გრძნობა  
მხოლოთ მტანჯავს. ხშირათ ისეთი ფიქრი  
მომივლის ხოლმე, რომ მზათ ჭარ სიბრაზით  
ყოველიფერი დავამტვრიო, ყველაფერი მივ-  
ლეწ-მოვლეწო.

**იაზონი.** (ადგება და დადის) საკვირველია ქალის ბუნება,—  
ის არაფერში არა ჰგავს მამაკაცის ბუნებას,  
ქალმა უსათუოთ ის უნდა იფიქროს, რაც  
შეუძლებელია, იმისი უნდა ეშინოდეს, რაც  
წარმოუდგენელია. ერთი მითხარი, ჩემო საყ-  
ვარელო, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ბედი განა,  
ჩვენს ხელთ არ არის? მერწმუნე, ყველა კაცი  
თვითონ არის თავისი ბედის მჭედელი.

**თალიკო.** მერე რა გინდა ამითი რომ თქვა?

**იაზონი.** ის, რომ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება  
ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენ გვინდა. მე  
დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ბედნიერნი  
ვიქნებით. ამგვარ თემაზე ლაპარაკი ჩვენ ძა-  
ლიან შორს წაგვიყვანს, ჩემო საყვარელო,  
და მე-კი მეჩქარება, რეფერატი მაქვს დაუ-  
მთავრებელი და, თუ ამაღამ არ დავამთავრე,  
ხვალ აღარ მეცლება, კრებაზე ვიქნები.

**თალიკო.** რეფერატი, კრება! დარწმუნებული-კი ხარ

რომ ამ რეფერატებით და კრებებით კეთდება  
რამე?

**თაზონი.** რას ამბობ, თალიკო? ინტელიგენცია და მისი  
მწერლობა ცხოვრების შემომქმედი ძალაა; მოსპე ერთიცა და მეორეც და მოისპობა ყო-  
ველგვარი პროგრესი, ყოველგვარი კარგი საქმე  
ცხოვრებაში.

**თალიკო.** მე-კი, მართალი გითხრა, თქვენი კრებები და  
თქვენი მწერლობა ბუზის იგავს მაგონებს, იმ  
ბუზისას, რომელიც უღელში შემბულ ხარს  
შუბლზე დაჯდა და გაიძახოდა, მეცა ვხნამო.

**თაზონი.** ოო, შენ ცდები, ჩემო კარგო, ფრიად ცდები,  
მაგრამ ერთათ ცხოვრებას რომ დავიწყებთ,  
მაშინ ვეცდები, გავასწორო ყველა შენი შემ-  
ცდარი აზრები. როგორც ვატყობ, ჩემო საყ-  
ვარელო, მე და შენ დიდი კამათი გვექნება  
ხოლმე, რადგანაც იმ დიად და ყველასთვის  
თვალსაჩინო როლს, რომელსაც ინტელიგენ-  
ცია თამაშობს ცხოვრებაში, მე და შენ სრუ-  
ლებით სხვადასხვა თვალით ვუყურებთ.  
მაგრამ (საათს დახერებია)... უჰ, ღრმა წასვლისა,  
თორემ ვეღარაფერს მოვასწრობ. მშვიდობით,  
ჩემო საყვარელო (ზედზე ჭილადის). თუ გიყ-  
ვარდე, დედაშენთან შედი. ის მეტათ კარგი  
ქალია, შენ-კი მას ერთობ გულგრილათ ეპ-  
ყრობი.

**თალიკო.** დედა მე იმდენათ რ მიყვარს, რამდენადაც  
მებრალება, მაგრამ მისი ისტერიკები მთელს  
არსებას მიმღვრევს ხოლმე.

**იაზონი.** ერთი შენც, ჩემო კარგო! ნერვება-შლილი  
ქალია! თუ არ შენ, მაშ ვინ უნდა შევი-  
დეს მის მდგომარეობაში? (შემოდის ამდროს  
სარდიონი ჯოხით).

**სარდიონი.** მტრედებო, მტრედებო! ნეტავი თქვენ! ეებ,  
სად წახვედი, ჩემო სიყმაწვილე! ყოველისფერი  
სისულელეა სიყვმაწვილის მეტი.... და კიდევ  
ფულის მეტი. კაცისთვის საჭიროა ფული და  
სიყმაწვილე. ხე, ხე, ხე, არა, იაზონ?

**იაზონი.** დასაწუნარი არც ერთი არ არის. მშვიდობით  
საყვარელო, მშვიდობით, ბატონო სარდიონ!

**სარდიონი.** მე მგონია, ხელი შეგიშალეთ, მე, მე, ნუ...  
მე გსევე წავალ. (იაზონი გადის. სარდიონი აქეთ-  
იქით ტრიალებს. თითქმ გასვლას აპირობს).

**თალიკო.** დაჯექი, ბაბუა, მითხარი რამე. როგორ ცხოვ-  
რობდით ძველათ, აი, როცა თქვენ ახალგაზ-  
რდა იყავით?

**სარდიონი.** ჰომი, როგორ ვცხოვრობდი! ამისთანა სა-  
ლილები, დღეს რომ მამაშენმა გამართა, ჩვენ  
ყოველ დღე გვქონდა ეებ, წახდა ჩვენი დრო,  
დაწვრილმანდა თავადობა. მე ხომ ასე მიყუ-  
რებ! დილიდან დაწყებული გათენებამდე ვიქე-  
იფებდი, გათენებისას ახალ პურს მოვითხოვდი  
და სადილზედაც სხვას არ ჩამოვრჩებოდი  
სმაში! მამა ჩემს ერთი ყანწი ჰქონდა; ორი  
ბოთლი ჩაღიოდა; უსვენებლათ ვცლიდით მე  
და ერთი ასლან წერეთელი, -- ღმერთმა სასუ-  
ფეველი დაუმკვიდროს; მოკვდა ცხონებული.  
ახლა? ახლა სულ დაჩიავდა ხალხი! რომ ვუ-

ყურება, გული მიკვდება! ესენი უნდა იყვენ  
ჩვენი შვილები? ორ ბოთლ ღვინოს ზედიზედ  
ვერ დაცლიან, გათენებამდე რომ სუფრაზე  
დააჯინო ერთ კვირას ველარ გამოდგებიან!  
ეეჲჲ, აღარ ღირს ახლანდელ დროში ცხოვ-  
რება, შვილო, არა.

**თალიკო.** ქეიფის მეტი სხვა საქმე არაფერი გქონდათ?

**არდიონი.** რა საქმე? თავადიშვილი და საქმე! ხე, ხე,  
ხე! საქმისთვის, ბიძიკო, ჩვენ კაცები გვყამდა.

**თალიკო.** სულ ქეიფი ხომ არ შეიძლება? მაგალითათ,  
ან გაზეთს, ან წიგნს არ კითხულობდით?

**სარდიონი:** ვკითხულობდით, რატომაც არა. მამა ჩემს  
იმისთანა მეშაირე ყავდა, რომ მთელი ქარ-  
თლის თავადიშვილობაში ქონდა სახელი გა-  
ვარდნილი. მისთანა ლექსებსა და ზმებს წა-  
გვიკითხავდა, რომ სულ სიცილით დაგვხო-  
ცავდა.

**თალიკო.** (თაჭისთვის) ღმერთო, ნუ თუ ესეც აღამიანათ  
გააჩინე?!? სამოცდაათ წლამდე იცოცხლო და  
არა თუ არ იცოდე, რა არის აღამიანური  
ცხოვრება, ერთხელაც არ დაგებადოს თავში  
ამგვარი კითხვა! ეს საზიზღარი-კი არა, შესა-  
ბრალისი, მეტათ საცოდავი იღიოტიზმია.  
მთელი ჩვენი ცხოვრება ამგვარ იღიოტიზმს  
წარმოადგენდა.

**სარდიონი.** ჰო, ჰო, შენ მართალი თქვი. წარმოდგენა,  
დიახ, წარმოდგენა, ჩვენი ცხოვრება სულ  
წარმოდგენა იყო, თეატრი: ქეიფი, ღროს-  
ტარება, ჯირითი, ნადირობა, არშიყობა, ხე,

ხე, ხე! მე პირველ არშიყს მეძახდენ! ახლა  
კი, ეჰ, საწყლები თეატრში წარმოადგენენ  
ხოლმე რალაც სისულელეს და იმითი ტკბე-  
ბიან, ისე-კი ყველა მგლოვიარესავით ცხოვ-  
რობს.

**თალიკო.** (აღგება) დიახ, პაპა ჩემო, მთელი თქვენი  
ცხოვრება თეატრი იყო, მხოლოთ სასაცილო  
თეატრი. თქვენ კიდევ ყველა ერთათ მსახიო-  
ბნი იყავით და საუცხოვოთ დაგვიხატეთ,  
რომ ხშირათ ადამიანსა და პირუტყვს შორის  
არავითარი განსხვავება არ არის (გადის).

**სარდიონი.** პო, თეატრი იყო, სასაცილო თეატრი; ყველა  
ვიცინოდით, ყველა მხიარული ვიყავით! ახლა  
კი!... ეჰ, ყველას თავპირი ჩამოსტირის (ად-  
გება, კარებისაკენ მიდის, კარები გაიდება და შემთ-  
დის მატრინა, სარდიონი ხელს წაატანს; მატრინა  
შედგება და შეაჩერდება). შე ეშმაკო, შე ცუგ-  
რუმელა, პია (ყაზაზე ხელს ურტყამს, მერე ხელს  
მოსდებს გისერზე და კოცნას უშიორბს).

**გატრონა.** (ხელსა ჭკრავს) იქით გესწი, შე ახხოლებულო  
ბებერო! წაწყმენდისა მაინც ალარ გეშინია?!

ორივე ფეხი სამარეში გიღგას და მაინც  
უნამუსობას არ იშლი.

**სარდიონი.** (აკანკალდება, ჭოხს მაღლა ასწევს და დაწევს).  
უნამუსოვო?! ვის უბედამ შე... შე... წუპაკო,  
ვის უბედამ... მე... მე... (გულზე მარცხენა  
ხელს მიიღებს და ხელანელა მატრინას მიაშურებს).  
მე... შენ,... გაჩვენებ... უნამუსოვო. (შეტრი-  
ტმანდება და ძირს დაეცემა).

**მატრონა.** (კიფილით გარებს მთაშურებს) ქალბატონო, ქალბატონო, დიდი ბატონი კვდება, დიდი ბატონი! (კიფილზე შემთდიან ბაბაჭე, დავითი, თალიკო არჩილი).

**დავითი.** (მიგარდება სარდიონს. წამოსვამს, მაჯას უსინჯავს), არიქა, გავარდით, დოხტური. სამი, ოთხი, ყველა დოხტურები! ჩქარა, თვარა ღავილუპეტ, სულუველა ღავილუპეტ! (არჩილი ჩქარა გადის).

**თალიკო.** რა დაემართა? წელან კარგათ ღავტოვე!

**მატრონა.** კუხნაში, ქალბატონო, რაღაც რეხვა მომესმა: შამოვედი და ბატონი ასე ეგდო ძირს. (უველი ასწევენ სარდიონს და მეორე თთახში გაიტანებენ მატრონა და დიმიტრი ჩქარჩქარა გადიან და შემთდიან თთახიდან თთახში. შემოვა დავითი).

**დავითი.** (დაჭდება საგარძელში) ღავილუპეტ, ნამდვილათ ღავილუპეტ! ოოხ! (მუშტს მაგიდაზე მაგრათ დაარტეამს) მე რომ ახლა ეგ ლუკმა-ლუკმა ღავტიწკნო, კბილებით ღავგლიჯო, ვინ უნდა გამამტყუნოს? მთელი ხუთი წელიწადია, ჩავკიებივარ მაგ დასალრჩობს, დაწერე ვექსილები, დაწერე-მეტქი, და ვერას გავხდი: მოვასწრობ, რა მეჩქარებაო, თითქოს ოცდა ხუთის წლის ყმაწვილი კაცი ყოფილიყოს. თუ ეგ ახლა მოკვდა, თუ ვერაფერი ველარ მოვასწარით, დავილუპეტ, მთლათ ერთიანათ ღავილუპეტ: ამ სახლს ხელიდან გამომაცლიან და რიღათი ვიცხოვრო მერე, რიღათი? ოოხ, სარდიონ, სარდიონ, შენი სახსენებელი მოისპოს, შენი! ასე რომ მცოდნოდა, მაგას დავუწყებდი მოვლის და

ლალაობას? ყელში ხელს წავუჭერდი, მოვკლამდი, დავარჩობდი, სულს ამოვართმევდი და ვექსილებს კი მოვაცემინებდი. (ისმის ზარის ჩეარი რეგა. კარები გაიღება და შემთდის ერთი ექიმი და თან შემთუვება არჩილი. დავითი ექიმს მიესალმება).

**არჩილი.** (დავითს) სხვებთან ვიყავი კიდევ და ამ ხუთ წამში ყველანი მოვლენ (გადის).

**დავით.** (მიმავალ არჩილს) ძალიან გმიღლობთ. ბატონო ალექსანდრე, მიშველეთ, ყოველი ღონე იხმარეთ, რომ ბიძა ჩემი სიკვდილს გადამირჩინოთ.

**ექიმი.** დამშვიდლით, ნუ გეშინიათ, საცდელს არ დავაკლებთ (ისმის ზარის რეგა. რამთდენიმე წნის შემდეგ შემთდის თრი ექიმი, მიესალმებან ერთ მანეთს).

**პირველი** ექ. შეიძლება, ვნახოთ ავათმყოფი?

**დავითი.** მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით. (კარს აღებს და მიჟუავს ექიმები. ზალა დაცალიერდება. რამდენიმე წნის შემდეგ შემთდის შატრონა, ნელა-ნელა მიეა კარებთან და კლიტის ამოჭრილიდგან იხედება თთახში, მალე შემოვა დიმიტრიც და ისიც ჭირეტას იწევებს, მერე აიღებს თთას და შატრონას ურახუნებს ზურგზე, ვითომ გსინჯავთ).

**მატრონა.** (წახევარი ხმით) იქით გეიწი, რა ღმერთი გიწყრება, იი! რავა სამგლე გოჭივით ახუნტრუ-ცებულხართ?

**დიმიტრი.** შენმა ეშხმა ამახუნტრუცა (ლოუაზე უბწეს) შენ-კი გენაცვალოს ყველა ეს დახტურები.

**მატრონა.** შენც მენაცვალე, თუ გინდა რა!

**დიმიტრი.** ოოჲ, მეც გენაცვალე, მეც გენაცვალე, შენი ჭირიმე, შენი! (მიიწევს იმისკენ)

**მატრონა.** (ხელსა ჭირავს) იქით გეიწი, თვარა ღვთის წყალობა მაქვს, მე შენ დღეეს... (ამ დროს თთახში ხმაურობა ისმის. დიმიტრი უცებ აკოცებს მატრონას და მოჭიურცხლავს, მატრონაც უკან დაუღვნება. ცოტა ხნის შემდეგ ზალაში ექიმები გამოვლენ და დავითი).

**დავითი.** თუ ღმერთი გწამთ, გადამირჩინეთ როგორმე.

**პირველი ექ.** თქვენ ცოტა ხნით გაბრძანდით. ჩვენ მოვილაპარაკებთ და შემდეგ შეგატყობინებთ კონსილიუმის აზრს (დავითი გადის).

**მეორე ექ.** (პირველს) სად გადიკარგე, რომ ამდენ ხანს აღარსად ჩანდით?

**პირველი.** გაგრისკენ გავისეირე, მომბეზრდა ერთ ალა-გას ყოფნა.

**მეორე.** მართლა, რა ამბავია გაგრაში?

**პირველი.** ციქბა! არა თუ ადამიანებს, ქათმებსაც-კი აციებს იქ, ქათმებსაც. და მილიონებს-კი ხარჯავენ, უნდათ, დიდ კურორტათ გახადონ!

**მეორე.** რა ენაღვლებათ! აქვთ და ხარჯავენ. როცა ეს საქმე დაიწყეს, მე მაშინათვე ვთქვი, რაც ტყუილა ფულს არ აბნევენ, არაფერი არ გამოვა-მეთქი. გაგრა და კურორტი!

**პირველი.** (მეორეს) შენ სად აპირობ ამ ზაფხულს? ალბათ, ისევ საზღვარ გარეთ გაჭქუსლავ.

**მეორე.** ყოველ ზაფხულს მე მიტომ შევხარი ხოლ-

მე, რომ საზღვარ გარეთ წავიდე, მაგრამ ამ წელს-კი არ ვიცი.

**მესამე.** რა ცოდნა უნდა? აიღე და წადი, შენსავით თავისუფალი კაცი რომ ვიყო, სადაც მინდა, იქ წავალ.

**მეორე.** ეე! თითო საზღვარ-გარეთ წასვლა, ჩემო კარგო, სამი ათას მანეთამდე მიჯდება და წელს კი იმის ნახევარიც აღარ არის შემოსავალი, რაც შარშან იყო.

**პირველი.** რაც ეს ახალგაზდა ექიმები ჩამოვიდენ, მთლათ მორყვნეს და გააფუჭეს საქმე. წარმოიდგინე, ათ შაურათ იღებენ ავათმყოფს, ათ შაურათ! სირცხვილით სად უნდა გავამხილო, ავათმყოფი ათ შაურს მაძლევს-მეთქი?!

**მესამე.** მალე იქამდე მივა საქმე, რომ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდა კოლლეგები ათ შაურათ არა თუ გასინჯავენ ავათმყოფს, წაშალსაც-კი მისცემენ ამ ათ შაურში!

**მეორე.** მათი ანგარიში, თუ მკითხავ, სწორია: ტყული ჯდომას და კარებისაკენ ყურებას, ისევ ათი შაურის აღება ჯობია.

**პირველი.** კი, მაგრამ ექიმმა როგორ უნდა დაიმკიროს იმდენათ თავი, რომ ათ შაურათ ავათმყოფი გასინჯოს?

**მეორე.** ეჰ, შე მამაცხონებულო, შენც ისინი ექიმები გგონია! ექიმი-კი არა, მკითხავები არიან, ნამდვილი მკითხავები იმ განსხვავებით, რომ წინეთ მკითხავებს დიპლომი არა ჰქონდათ, ახლა-კი დიპლომიანი მკითხავები გაჩნდნენ.

**პირველი.** საკვირველია, რა უვიცი ექიმები გამოდიან ახლანდელ დროში. არასფერი არ იციან, არას-ფერი! ჩემ ფერშალს არ გავცვლი უველა-აქაურს ახალგაზრდა ექიმებში. მრცხვენია მათის უვიცობისა და ჩვენ-კი თამამათ კოლ-ლეგებს გვეძახიან!

**მესამე.** დაწვრილმანდა დრო და დაწვრილმანდა ხალ-ხიც.

**მეორე.** (ზირველს) ალელეგოვმა გამოგიგზავნა ფული?

**პირველი.** მე ჯერ არაფერი არ მიმიღია?

**მეორე.** ახъ, օНъ მერვავეцъ! არასფერს არ მოგვ-ცემს. აგერ, ნახავ! არა, ჩემო ძმაო, ჩვენ თუ იმას ვცდილობთ, რომ ავათმყოფი მოვატ-ყუთ, ავათმყოფებიც არა ნაკლებ გვატყუე-ბენ.

**მესამე.** უნდა რაიმე ღონე ვიღონოთ, რომ გონირა-რის ფული არ იკარგებოდეს! მე არაფერი არა მაქვს იმის წინააღმდეგი, რომ ღარიბს-არ გამოვართვა ვიზიტის ფული, მაგრამ, წარ-მოიდგინე, პირველი მდიდარიც იმას იძლე-ვა, რასაც ღარიბი. С—ť сынъ. Варша-петовъ! მთელი ქალაქი დატყავა და გუშინ წინ მიმიწვია, სამი ბავშვი მაჩვენა და ორი მანათით გამომისტუმრა!

**მეორე.** ამაში ისევ ჩვენ ვართ დამნაშავე, ჩემო კარ-გო! მეორეთ რომ დაგიძახებს ის შენი-ვარშაპეტოვი, პანლურით უნდა გაისტუმრო, და მაშინ აღარ იზამს ამას; იმას რომ ორი

მანათი გამოვართვათ, მაშ სხვამ რალა უნდა  
მოგვცეს?

**მესამე.** ერთი რამ არ მესმის. რამ შეაყვარა დავითს  
ეს მოხუცებული ბიძა, რომ ასე გამწარებუ-  
ლია?

**პირველი.** არ იცი, როგორ არის საქმე? ეე, ეს გლძე-  
ლი ისტორიაა. ეს სახლები ამ მოხუცისა  
არის აქ იდგა ეგ თავისი ხასათი, რომელ-  
თანაც ორი შვილი ყავდა; დავითს მშვენიერი  
სახლები ჰქონდა ბულვართან, ცოლის ნამ-  
ზითვი, მაგრამ კარტში წააგო; მაშინ შეუ-  
ჩინა ამ მოხუცს ნათესავები, როგორ არა  
გცხვენია, ხასასთან ცხოვრობო, ნათესავებს  
თავსა გვჭრიო. იმ საწყალ ქარს ცალკე ემუქ-  
რებოდენ, შვილებს ამოგიხოცავთო. ქალი  
მართლაც შეშინდა და თვითონ მოინდომა  
ცალკე გასვლა, მაგრამ ჭკვიანათ გაისარჯა;  
ამ მოხუცს ნოტარიიალურის წესით ანდერძი  
ჩამოართვა ისე, რომ არავის არ გაუგია. ამ  
ანდერძის ძალით, ეს სახლები იმ ქალს რჩება  
ამ მოხუცის სიკვდილის შემდეგ.— იმ ქალს  
რამდენიმე ასი თუმანი გადაუნარჩუნებია  
ხასობაში, იყიდა. პატარა აღგილი წყლის პირს  
დასახლდა და მშვენიერათ ცხოვრობს. აი, ახ-  
ლა ეს მოხუცი კვდება და დავითს ის ანდერ-  
ძი მოსვენებას ალარ აძლევს, მაშ!! მაგრამ  
დიდი ეშმაკი კაცია. აგერ ნახავთ, რას უზამს  
იმ ანდერძს.

**მეორე.** ანდერძს რალას უზამს? ნოტარიუსის-მიერ და-

მოწმებული და დამტკიცებულია. ისე გამოაბ-  
ძანებენ შენს დავითს ამ სახლიდან მაგ ანდე-  
რძით, რომ შენი მოწონებული!

**მესამე.** (საათს დაჩერებია) ახლა ისევ ავათმყოფს დავუ-  
ბრუნდეთ, თორემ ჩვენს კონსილიუმში იმას  
სულიც ამოუვა.

**მეორე.** რაღა დავუბრუნდეთ, ტიპიური დამბლაა და-  
მეინტროკის სუნთქვა იმის მოწმეა, რომ ეგ  
ხვალ დილამდე ვერ გააწევს.

**მესამე.** მე სრულებით ვეთანხმები შენს აზრს, — არა  
მგონია, მაგან გაათენოს.

**პირველი.** ჩემის ფიქრით, კაპილლარი უნდა ჰქონდეს  
გამსქდარი. გულიც გაგანიერებული აქვს.

**მეორე.** კაპილლარიდან რომ მოდის სისხლი, ცხადია,  
მხოლოთ ერთი კაპილლარი-კი არ უნდა იყოს  
გამსკდარი, არამედ რამდენიმე.

**მესამე.** მაჯას რომ ვშინჯამდი, დავრწმუნდი, რომ  
სკლეროზი ერთობ გავრცელებული აქვს. უე-  
ჭველია, ნამეტანი ღვინის მსმელი იყო.

**მეორე.** ტყილპი არ გაგისინჯავთ?

**პირ.** და მეს. არა!

**მეორე.** ოოჳ! გვარიანი დიდი აქვს, ასე რომ მალა-  
რიაც აქვს მაგას უსათუოთ.

**პირველი.** მაშ რა გამოუწეროთ?

**მეორე.** (ხელს ჩაიქნევს) ეეჳ, დაწერეთ, რაც გინდათ,  
თითქოს სულ ერთი არ არის!

**პირველი.** (რეცეპტოს სწერს. შემდეგ აწვდის სხვებს ხელ-  
მოსაწერათ. ისინიც ხელს აწერენ) რა გადავცეთ  
შინაურებს?

**მეორე.** გარდაცი, რომ იმედი არავითარი არ არის, დამბლა აქვს დამართებული.

**პირველი.** ჩემის ფიქრით, ცუდი არ იქნება, რომ გასაძრომი კარი დავტოვოთ! ვთქვათ, გარდავეცი აგრე და ერთიც ვნახოთ: ავათმყოფი გამობრუნდა, მერე რავა გინდა? ხომ აგვიგდეს საცინათ?!

**მეორე.** შენი მტერი; ეგ აღარ გამობრუნდეს, მაგრამ როგორც გინდა.

**პირველი,** (იძახის) მობრძანდით! (შემოდის დაფითი და დაჯდება ექიმებთან) კონსილიუმი დიდიხნის თათბირის შემდეგ იმ აზრს დაადგა, რომ ავათმყოფს დამბლა დამართნია; მაგის წლოვანებაში ამგვარი ავათმყოფობა მეტათ საშიშია, მეტათ; მორჩენის იმედი ძალიან ცოტაა, თუმცა მომხდარა ხოლმე, რომ ამისანა ავათმყოფებიც გამობრუნებულან ზოგჯერ (ადგებიან სათითათ, გამოემშვიდებიან. მიდიან).

**დავითი.** ბატონო ალექსანდრე! შამობრძანდით ხოლმე ყოველდღე ორჯერ- სამჯერ, როგორც თქვენ თვლიდეთ საჭიროთ.

**პირველი ექ.** (გასვლისას) ძალიან კარგი, ძალიან: (შემოდის ბაბალე, კოტიკ და არჩილი).

**ბაბალე.** რა თქვეს, იმედი მოგცეს?

**დავითი.** აი, ისემც მაგათ გაუძლიათ! მაგათ სიტყვას ეშმაკიც ვერ გაიგებს. რა ვიცი: იმედსაც იძლევიან და არც იძლევიან. ძალიან ცოტა იმედიაო, შეიძლება მაინც მორჩესო, ეჭ! (ხელს ჩაიქნევს).

- არჩილი.** თუ არ მოკვდა, მორჩებაო, რაღა! ამგვარი  
პასუხი მოსალოდნელი იყო; ექიმები ყოველ-  
თვის პიფიას ბაძავენ, მართალს არ გეტყვიან,  
რადგანაც ეს მართალი თვითონაც არ იცი-  
ან. (ფანჯარასთან მიერა და ალბომს ათვალიერებს).
- დავითი.** ასე გაჩერება არ ვარგა; ახლავე ნატარიუსთან  
უნდა გავიძე.
- ბაბალე.** ნატარიუსი რას გიშველის?
- დავითი.** ნატარიუსს ვექსილები უნდა დავაწერინოთ,  
მეტი გზა არ არის.
- ბაბალე.** მერე რომელი ნატარიუსი დაგეთანახმება ყალ-  
ბი ვექსილების შედგენაზე?
- დავითი.** შენ მისი ჯავრი ნუ გაქვს, ერთი წლის უკანა  
რიცხვითაც დავაწერინებ!
- ბაბალე.** ექიმის შეუმოწმებლათ მაინც არავინ არ და-  
გიწერს
- დავითი.** ვიქტორს მოვიყვან და როგორ არ დაგვიმო-  
წმებს?!
- (გადის ჩქარა. უკან გაუვება ბაბალეც).
- არჩილი.** ნატარიუსი, ვექსილი, ვიქტორი, არაფერი არ  
მესმის. ცოცხალს ყველა დასცინოდა და ახ-  
ლა, როცა ჭრდება, ყველა გულგახეთქილი  
დარბის. აქ რაღაც სხვა ამბავია. მოვიცდით,  
გავიგებთ, — არა ფერია. (მიდის მაგიდას-  
თან. რეცეპტს აიღებს და კითხულობს)  
ნეტავი ეს რეცეპტი სააქაოსთვის გა-  
მოუწერეს, თუ საიქიოსთვის? სანამ ამ რე-  
ცეპტს იშოვნიდნენ, თავს იკლავდენ და ახლა  
წამალზედაც აღავნიან! ეეჲ, ყველაფე-

რი ფარისევლობა და სიფლიდეა დღევანდელ  
ცხოვრებაში. მე დარწმუნებული ვარ, ეს  
დოხტურებიც მხოლოთ მიტომ მოიწვიეს, სხვამ  
არ დაგვძრახოს.

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მეორე

(სცენა წარმოადგენს იმავე ზალას)

**დავითი.** (მარტო) ეს ერთი ძალიან დიდი ტვირთი მოვი-  
შორე თავიდან. ახლა მოვიდეს ის უნამუსო  
და მისი ანდერძი დამაქადნოს! ხა, ხა, ხა,  
ხა! მე რომ რიგიანი სწავლა მიმელო, ჩემის.  
მოხერხებით და ჭკუით ქვეყანას გადავატრია-  
ლებდი... მაინც სხვებზე უკეთესი ვარ. ჩე-  
მისთანა სახელს ჩვენს წოდებაში ბევრი არ  
ატარებს და ამ სახელით ჩავალ საფლავში.  
ჩვენი ინტელიგენცია ისე საქმეს ვერ გააკე-  
თებს, რომ არ მომმართოს, რჩევა-დარიგება არა

მკითხოს, — და ჩემს აზრს ყველა განსაკუთ-  
რებულის ყურადღებით ისმენს. მე დარწმუნე-  
ბული ვარ; ახალ არჩევნების დროს ყველა  
ერთხმათ მთხოვს მარშლობას. ის წუპაკი დე-  
დაკაცი-კი მექადნებოდა,. სახლიდან გაგდე-  
ნიო! აბა ერთი ვნახოთ, როგორ გამდევნის..  
ან მომიგზანის ვისმე ახლა, ან თვითონ მოვა.  
მე არას ფერს არ ვეტყვი; თავის ანდერძში  
იმასვე გავხვემ. იმ ანდერძის წყალობით, იმ  
ალაგსაც გამოვაცლი ხელიდან, ზედ რომ  
დგას, და მაშინ ნახავს, თუ როგორ უნდა  
საყვარლების ჩათრევა. შერე რა მშვენიერი  
აღგილია! იმაზე რომ ერთი კარგი სახლი და-  
ვდგა, ერთი ალაგი ალარ აჯობებს ამ ქალა-  
ქში. მშვენიერი აზრია, მშვენიერი! (შემოდის  
ბაბალე, დავითი ხელზე აკლებს, შემდეგ პირზე).

**ბაბალე.** ვის ელაპარაკებოდი ასე აღრიანათ?

**დავითი.** ჩემს თავს. როგორ გგონია, ბაბალე, ცუდი  
კაცი არ უნდა ვიყო?

**ბაბალე.** არა გიშავს არ, შენზე ვუარესს ჯობიხარ.

**დავითი.** ხუმრობის გარეშე! არა, ერთი მითხარი, სხვა  
ჩემს ალაგას ვინ მოახერხებდა ასეთ საქმეს?  
ეს სახლი ხომ დავირჩინე, ამ სახლს ერთი  
საუცხოვო აღგილიც ზედ მოყვება.

**ბაბალე.** რომელი აღგილი, რას ამბობ?

**დავითი.** შენ დამაცალე. ის დედაკაცი ჯერ შამოგვი-  
თვლის, ან დერძი ხელში მიკავია და სახლი  
დამითმეთო. როცა არ დაუთმობთ, სამართალს

მიმართავს და ამით თავის თავს მემკვიდრეთ  
გამოაცხადებს. მაშინ წარვაღვენ შენს ვექსი-  
ლებს. ეს სახლი ოცდახუთი ათას მანეთათ  
არის შეფასებული, ჩვენ-კი ოცდა-ათი. ათასი  
მანეთი კისერზე დავაწეროთ და თავის ადგი-  
ლზე ხელს ავალებიებთ. ბიჭი არა ვყოფილ-  
ვარ, თუ ასე არა ვქნა. მერე იცი, რა ადგი-  
ლია, ბაბალე! იქ რომ ერთი კოხტა სახლი  
გამოვჭიმოთ, ნამდვილი სამოთხე იქნება.

**ბაბალე.** მერე რითი აპირობ გამოჭიმას?

**დავითი.** როგორ თუ რითი! ამ შემოდგომაზე, სულ  
ცოტა, ოთხი ათას მანეთს ავიღებ სალდათე-  
ბისაგან.

**ბაბალე.** იცი, რა გითხრა, ჩემო კარგო, შენ ძალიან  
ცოტას სჯერდები. ტყუვილა ხომ არ იღებ,  
საქმეს აკეთებ და საქმეში საქმის შესაფერისათ  
უნდა აიღო! ღმერთმანი, სირცხვილია! მე რომ  
შეიღო სალდათათ მიმიღიოდეს, ჩემ სიცოც-  
ხლეს არ დავიშურებ მისთვის; ვინც იმას გა-  
მინთავისუფლებს, და შენ-კი ბევრს ას მანათს  
ჯერდები: ასი მანათი რა არის?

**დავითი.** რა ვქნა, ბაბალე, ხალხი მეცოდება. ჩემი მი-  
ზანია, ხალხს ვემსახურო, სარგებლობა, მო-  
ვუტანო; ცოტა დამაკლდება, მართალია, მა-  
გრამ სამაგიეროთ მადლია და სახელი კაცი;  
ჩემი ბაბალე, სახელისთვის უნდა ზრუნავდეს.  
მე, შეიძლება, ბევრი ვერაფერი დაუტოვო  
ჩვენს კოტიკოს, მაგრამ სახელს, სახელს-კი  
დავუტოვებ, შეუბლალავ სახელს!

- ბაბალე.** (მოქანდაკის და ალექსის დაუწევებს) იცი, და-  
ვით, ახალი გუბერნატორი მოდის.
- დავითი.** მერე რა ვუყოთ, ჩემო საყვარელო!?
- ბაბალე.** როგორ თუ რა ვუყოთ? გარა არ იცი? ჩვენ  
ყოველთვის პირველი ვპატიჟობდით ხოლმე  
გუბერნატორს, და ახლა რომ სხვამ დაგვას-  
წროს, სირცხვილია.
- დავითი.** შენ გენაცვალე, გუბერნატორის დაპატიჟება,  
სულ ცოტა, ოცდაათი თუმანი დაგვიჯდება  
და ახლა კი არა თუ ოცდაათი თუმანი, სა-  
მი თუმანი რომ მითხრა, არა მაქვს.
- ბაბალე.** როგორმე უნდა იშონო, საღაც გინდა, მიწა-  
ში უნდა ჩაძრე და იშონო. როგორც მით-  
ხრეს, ანეტა აპირობს თურმე დაპატიჟებას,  
გარდაფხაძის კნეინა, და იმან რომ გუბერნა-  
ტორის დაპატიჟება დამასწროს, იცოდე, თავს  
მოვიკლავ! შენი ჭირიმე, ჩემო დათიკო, შენ  
გენაცვალე, იშონე როგორმე! აბა ოცდაათი  
თუმანი რა ფულია! ნუ თუ შენისთანა კაცი,  
შენი სახელისა. და ნდობის პატრონი ოცდა  
ათ თუმანს ვერ იშონი?
- დავითი.** გეფიცები, ვერ ვიშოვი. ახლა ისეთი კრიზისია,  
რომ...
- ბაბალე.** (გააწევეტინებს და ჭერის) არა, არა, ნუ გამაგონებ  
ნურიათერს, იშონი, იშონი, გადაწყვეტილია!  
(დავითი ცდილობს, რადქრა თქვას; მაკამ ბაბალე  
აჭარ აცდის) აბა, ბა, ბა, მორჩა, გათავდა!  
შეუცვლელათ გადაწყდა! (გადის საწალ თახ-  
ში).

**დავითი.** ახირებულია, ოცდაათი თუმანი ნალდი მინდა, რომ გუბერნატორი დავპატიურ. აღარაფერს მომცემენ, თუ არა და ამდენი ფული სად ვიშონო?.. არა და, გუბერნატორის დაპატიუება სწორეთ აუცილებელია. ომ, ჩემი ბაბალე დიდი ჭკუის პატრონია, დიდი გამჭრია ახი ქალია. საქმე ის არის რომ პირველათ დავპატიურთ, თორემ, თუ ვინმემ დაგვასწრო, მერე დაპატიუება კაპეიკათ აღარ ღირს. (ამთიღებს შორტმანს და ფულს ითვლის) იცი, რას ვიქ, მოდი კლუბში ვცდი ბედს. დიდი ხანია, კარტი აღარ მითამაშნია, იქნება, ბედმა გამილიმოს? თუ ამით ვერაფერს გავხდი, მაშინ ისევ ყარამანს უნდა ვთხოვო, ის არ დამიკავებს: შეილი ყავს ამ შამოდგომაზე კენჭში და კიდეც გაუხარდება, დიდის სიამოვნებით გამომიგზავნის! საუცხოვო აზრია! ბაბალე, ბაბალე!

**ბაბალე.** (კარებში შემოდგება) რას მეტყვი ახალს?

**დავითი.** აბა, შენ ერთი შენებურათ დაფაცურდი და ფული მზათ იქნება. გამოვნახე წყარო! (შესლზე თითს ირაკუნებს, ბაბალე წერა წამოვა მოვახევა და ჰქონის).

**ბაბალე.** იცი, ჩემო საყვარელო, ის ჩვენი რეპეტიტორი სწორეთ უნდა დაარიგო როგორმე. წარმოიდგინე, მოსამსახურე ბიჭსა და გოგოს ხელს ართმევს? (დავითს სიცილი წასკდება, ბაბალეც იცინის).

**დავითი.** (სიცილით) განათლებული კაცია, ხა, ხა, ხა,

ხა! დემოკრატია, ხა, ხა, ხა, ხა! ნამდვილათ  
სოციალ-დემოკრატი იქნება, ხა, ხა, ხა!  
ის, ჩემო საყვარელო, დიდი პოლიტიკოსი  
ყოფილა. მატრონას თუ ხელს ართმევს, ალ-  
ბათ სხვანაირათაც იმზადებს საქმეს და, რომ  
არაფერი შემნიშნონ, დიმიტრისაც ხელს  
ართმევს. ვიცი მე მაგ ჯურის ხალხის ამბავი.  
გოგო კარგათ დატუქსე. რომ აღარ გაბედოს  
მაგსთანა სისულელე, და ბიჭს, თუ უნდა.  
ყოველ დღე პირზე ჰკოცნოს, რა გენალვლება.

**შაბალე.** გენაცვალე, იმას კისერიც უტეხია, ოლონ  
კოტიკოს ასწავლოს კარგათ. მაგრამ ბიჭი და  
გოგო მთლიათ გაირყვნებიან, პატარა ხანს  
იქეთ ჩვენ გამოგვიტუნტურებენ ხელს ჩაშო-  
სართმევათ.

**დავითი.** (იცილით) წარმოიდგინე, ბაბალე, რომ გუბერ-  
ნატორი გვეწვია და ჩვენმა დიმიტრიმ და  
მატრონამ ხელები გაუწოდეს ჩამოსართმევათ.  
ხა, ხა, ხა, ხა! (იცინიან. შემთირებენს კოტიკ  
და ჭირცნის ჯერ დედას, მერე მამას).

**შაბალე.** შენ რა აღრე ამდგარხარ დღეს?

**კოტიკო.** ცხენით უნდა გავიკატავო.

**შაბალე.** (დიმილით) მერე ცხენი ვინ მოგართვა?

**კოტიკო.** მომართმევენ.

**დავითი.** მე იმდენი ფული არა მაქვს, რომ შენ ცხენე-  
ბზე ხარჯო. აი, წახვალთ სოფელში და, რამდე-  
ნიც გინდა, იმდენი აჭენე ცხენები.

**შაბალე.** დავით, რათ იცი ყოველთვის ბოვშის გულის

გატეხა? შენ სრულებით წაუხდენ ამას ხასიათს.

**დავითი.** შე მამაცხონებულო, რა იცი, რავარ ცხენს მოგვრიან? გადმოაგდოს ბოვშიდა დაანტვრიოს, მერე? (კარგბთან მიერა) დიმიტრი! დიმიტრი! (ისმის იქიდან: ბატონო, ბატონო!) წალები მომიტანე, ჩქარა! (შედის საწოლ თთახში).

**კოტიკო.** (მიერა და დედას ჰურსის დაუწეუბს) დედა, დედოლო, ისეთი პევიცა ჩამოვიდა, ისეთი, რომ...

**ბაბალე.** (დამიღით) მერე რა გნებავს, შე ეშმაკო, ჰა?

**კოტიკო.** ერთი თუმანი უნდა მომცე..

**ბაბალე.** თუმანი რათ გინდა! ერთი მანეთი მიეცი ბილეთში და გათვდა

**კოტიკო.** ჴი, ერთი კარგი ბუკეტი რომ არ ვუყიდო, თავს მოვიკლავ.

**ბაბალე.** (სიცილით ეალერსება და შებლზე ჭირდნის) რას ამბობ, ბიჭო? ვინ შენ და ვინ ბუკეტი! მამა შენმა რომ გაიგოს, თეატრშიდაც არ გაგიშვებს.

**კოტიკო.** (ჭირდნის) შენ გენაცვალე, დედა, შენი ჭირიმე! რა არი, შენ თვითონ არ შეგრცხვება, რომ ჩემმა ამხანაგებმა იყიდონ და მე არა? ერთი ბუკეტი რა დიდი რამეა?

**ბაბალე.** ძალიან კარგი, ერთი ბუკეტი, ვთქვათ, სამი მანეთი, ხუთ მანეთს მოგცემ.

**კოტიკო.** არა, დედა, არ მეყოფა, მე არ მოგიკვდე, არ მეყოფა, შენი ჭირიმე, შენ შამოგევლე! (უკარნის ხელებს).

**ბაბალე.** არ შემძლია, შენ არ მომიკვდე. მამაშენს

ვერ ვეტყვი და მე ერთი თუმანი არა მაქვს  
ახლა.

**კოტიკო.** (სტოლზე თავს დადებს, ვითომ ვტირიო) მაშ შენი  
საათი მომეცი, დავაგირავებ და მერე ფული  
მომეცი.

**ბაბალე.** (იცინის) შე ეშმაკო, იცი-კი საღ უნდა დააგი-  
რავო? (ჭკოცნის).

**კოტიკო.** კი ვიცი, მისი ჯავრი ნუ გაქვს. ამას წინეთ  
რომ ტანცავშჩიცები ჩამოვიდენ, ჩემი საათი  
ხუთ მანათში დავაგირავე და ახლაც არ გა-  
მომიყიდია. (ბაბალე იცინის) შენ გენაცვალე,  
დედა! რა არი სულ ჩამციებიხარ, ისწავლე;  
ისწავლეო და თუ შენ ამისთანა უბრალო  
რამეს არ ამისრულებ, აღარც მე ვისწავლი.  
ის ვიღაც რეპეტიტორი მომიყვანეთ, საქმე  
გამიჭირა, სულ იმას მეუბნება, მე ფულს იმი-  
ტომ ვიღებ, რომ შენ გასწავლოვო! რასაც  
სხვები მასწავლიდენ, სამი იმდენს მასწავლის.

**ბაბალე.** ეს ერთი კიდევ ამისრულებია შენთვის და აწი  
იცოდე, დიღხანს ნულარას მთხოვ. (აძლევს  
ფულს) მხოლოდ მამაშენთან არაფერი წამო-  
გცდეს, იცოდე.

**კოტიკო.** (ჭერ დედას კოცნის და მერე მირბის) შენ მისი  
ჯავრი ნუ გაქვს.

**ბაბალე.** (საათს დაჩერებია) თერთმეტ საათზე ვიქტორი  
უნდა მოვიდეს... არ ვიცი, რა მოვუხერხო იმ  
უმანკო ბავშვს? ვუყვარვარ, გაგიჟებით ვუ-  
ყვარვარ და თან თითქოს რცხვენია. ერთხელ  
წამოცდა: დავითი როგორც თავის მეგობარს,

ისე მიყურებს და მე-კი ვლალატობო! საკვირ-  
ველია, ღმერთმანი! მთელი განათლებული კა-  
ცობრიობა იმას ამბობს: სიყვარული თავისუ-  
ფალი უნდი იყოს, და ის-კი „ვლალატობო“!  
ვის? რითი? არა, არა, ათასჯერ არა! უშენოთ  
ერთ დღეს არ შემიძლია გაძლება; უშენოთ  
ჩემი სიცოცხლე წარმოუდგენელია (გადის. რა-  
მდენიმე სას სცენა ცალიერია. შემდეგ შემოვა და-  
გითა სტგენით, გაზეთი შემთაქვს. დაჭდება კით-  
ხელობს; შემოვა დიმიტრი).

**ღიმიტრი.** ბატონო, ვიღაც ყაზახი გახლავს, კნიაზის.  
ნახვა მინდაო.

**დავითი.** ვინ ყაზახია, რა ჰქვია?

**ღიმიტრი.** რა მოგახსენოთ, ბატონო, სახელი არ მიკი-  
თხავს.

**დავითი.** კალიერი მოვიდა, თუ მოიტანა რამე?

**ღიმიტრი.** ჯიბეში თუ აქ რამე, ბატონო, თვარა იმას  
აფერი არ მოყოლია თან.

**დავითი.** წადი, ჰკითხე, ვინ არის. (ღიმიტრი გადის. და-  
ვითა გაზეთს გითხელობს) ჰმ! საკვირველია,  
ღმერთმანი. რაც ჩვენში გამოყრილი სემენა-  
რისტია და დიაკვანის შვილები, ყველა მწე-  
რლობს და ყველა ჩაგვციებია, რატომ თქვენც  
ჩვენისთანა მუჟიკები არა ხართო! გრიახამთ  
ამისთანა. სამართალი? რატომ თქვენც მუჟი-  
კები არა ხართო! ჰაჰა, დედა ა! (გულზე  
ხელს იტევამს) ერთი მე მქონდეს თქვენზე უფ-  
ლება და მაშინ ვნახავდი, რავა. აწრიპინდებო-  
დით! იმ მწერალს, რომელიც აშისთანა წერი-

ლებსა სწერს, და იმ ცენზორს, რომელიც  
ამის ნებას აძლევს, ჩემი თვალისწინ გავარო-  
ზეინებდი. მამის სული არ წამიწყდეს, გავა-  
როზგინებდი. თავაღ-აზნაურობას სისხლი გაქვთ  
წამხდარი, მეტი ხორცი ხართ, ქვეყნისთვის  
გამოუსადეგარი, უნდა მოისპოოო! გინახამთ?  
ქვეყანა გაირყვნა, ლაგამი აუშვეს და რასა სწე-  
რენ და რას არა, აფარაფერი აღარ გაეგებათ!  
ეჭ, აფსუს, რა დროში ვცხოვრობთ, რა დრო-  
ში! (შემოდის დიმიტრი)

**დამითრი.** ბატონო, ლუკია გახლავთ, ჩიგლაძე თუ ჩახ-  
ლაძე, ვეღარ გავარჩიე.

**დავითი.** ააჲ, მობრძანდეს, მობრძანდეს, მოახსენეთ,  
მობრძანდითქო! (დიმიტრი გადის) ნავხოთ, მო-  
მიტანა თუ არა ფული. ერთი ათი თუმანი.  
ახლა ჩემთვინ კარგია (შემოდის ლუკა, კარებში  
გაჩერდება და დაბლა თავს დაუკრავს) ლუკას გა-  
უმარჯოს!

**ლუკა.** ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოსთ, შენი  
ჭირიმე!

**დავითი.** რა ამბავია, ლუკა, თქვენში?

**ლუკა.** მშვიდობა შენი ჭირიმე, რა ამბავი იქნება?

**დავითი.** აგრე უნდა, ლუკა, მერე? შვილი გაგინთავი-  
სუფლე სალდათობიდან, ოც თუმანს დაგჯერ-  
დი, თუთხმეტი თუმანი მე დავხარჯე ამ სა-  
ქმეში და შენ კი ჯერ ათი თუმანის მეტი  
არ მოგიცია. ეს იყო, ამ ერთ კვირეში გი-  
შოვიო?

**ლუკა.** მაგის სათხოვათ მოვედი, შენი ჭირიმე! ჩემ

შვილს მისთანა ზაღი ქონდა თურმე, რომ არ  
წეიყვანდენ და ათი თუმანი თქვენი ჭირის  
სანაცვლო იყოს, მეორე ათი თუმანი უნდა  
მაპატიო.

**დავითი.** საღაურს ლაპარაკობ? შენს საქმეზე ჩემი ფუ-  
ლი დავხარჯე და რა გაპატიო? ჩემი მომეცი;  
შენსას ხომ არა გთხოვ. თუთხმეტი თუმანი  
მე დავხარჯე, ხუთი თუმანი აღარ მერგება  
ამდენ სირბილში?

**ლუკა.** არ დახარჯამდი, შენი ჭირიმე, ზაღიანი რომ არ  
ყოტილიყო...

**დავითი.** (გახელებული) მაშ მე ვტყუი? არა შენ მართალს  
ამბობ და მე ვტყუი?!

**ლუკა.** რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, მაგას ვინ მოგა-  
ხსენებს, მარა ზაღიანი იყო ჩემი შვილი და  
მაინც არ წაიყვანდენ თურმე.

**დავითი.** რას დეიქინე ზაღიანი, მაშინ არ ჰქონდა ზა-  
ღი და ახლა გამოაჩნდა?

**ლუკა.** მაშინაც ქონდა, ბატონი, მაგრამ ჩენ, გლეხ-  
კაცს, რა გვესმის, შენი ჭირიმე? მაგდენი რო  
გვესმოდეს, ხო თქვენც ალარ შეგაწუხებდით  
და ალარ შეგაწყენდით თავს.

**დავითი.** შენ პირდაპირ მითხარი, იძლევი თუ არა იმ  
ათ თუმანს, რომელსაც შეპირებული იყავი?  
ათი თუმანი თავში მომეცი ხომ! ათ თუმანი  
მაშინ უნდა მოგეცა, თუ გავანთავისუფლებ-  
დი, მერე.

**ლუკა.** აგრე იყო, შენი ჭირიმე, მარა იმის განთავი-  
სუფლებაზე ბევრი დავიდარაბა არ დაგჭირ-

დებოდათ, რახან ზაღიანი იყო. ამნაირი ისე-  
დაც არ მიყავთ თურმე და როდი ვიცოდი.

**დავითი.** მაშ ეგრე! (ადგება, გაფა, ჩატარა ხანს უკან შემთ-  
ვა, შამთიტანს ერთ ფურცელს დაწერილ ქადალდე  
და ლუკას უჩვერებეს) ამას ხომ ხედავ, ეს და-  
ნოსი დღესვე გაიგზავნება, დღესვე, და მა-  
შინ დაინახავ, გაუქანებენ თუ არა შენ შვილს.  
ახლა გასწი. ასი თუმანიც რომ შამომაძლიო  
აწი, ასი თუმანი, მაინც აღარ მინდა. მე თქვე-  
ნთვის ვშრომობ, სიკეთეს გიშვრებით და  
თქვენ-კი სიცრუისა და სიყალბის მეტი არა-  
ფერი გამოგიღისთ ხელიდან. (ლუკა თავს იფხანს  
და შემდეგ უფყმინით).

**ლუკა.** შინი ჭირიმე, ბატონო, ნუ გამირისხდები, ნუ  
დამღუპავ, იმ ათი თუმნისათვის ერთი უღე-  
ლი ხარი გავყიდე, ჩემი საცხოვრებელი. ის  
იყო, ცოლშვილს მერჩია. რომ მქონდეს სა-  
ღსარი, ვინ თავმკვდარი, მარა თქვენ თვითონ  
კარგათ მოგეხსენებათ ჩვენი ამბავი: რა გვა-  
ჰადია ღარიბ გლეხეაც?

**დავითი.** კარგი, მშვენიერი, რა გაწუხებს? მე ამ და-  
ნოსს გავგზანი, შენ შვილს ზაღი აქვს, მაინც  
უკან დაგიბრუნებენ; შენ მართალი დარჩები,  
მე-კი მტყუანი. (ზაუზა) იცოდე, რომ არა თუ  
სალდათათ წაიყვანებენ, სალდათობამდე ერთ-  
ორ წელიწადს იშასაც და შენც ციხეში ჩაგა-  
ჯენენ ყურის გაფუჭებისათვინ, და მერე ნა-  
ხავთ თქვენს სეირს.

**ლუკა.** შენი რისხვა არ მომეცეს, ბატონო! ექვსი წლის.

რომ იყო, ყელ-ბატონები ჭირდა, და იმან  
დაუტოვა ყურებში ზაღი. თორემ ნაეშმაკარი.  
საქმე არ არის, თქვენი რისხვა არ მომეცეს.

**დავითი.** იმას გაიგებ მალე, შენ უფრო დაგიჯერებენ,  
თუ მე. გასწი ახლა, წადი! (ლუკა უფეხანობს და  
მერე გადის თავის ფხსნით) არამზადა! მოდი  
და, ახლანდელ დროში კაცს დაეხმარე, საქმე  
გაუკეთე! ყველა მოტყუებასა ცდილობს, ყვე-  
ლას საეშმაკოთ უჭირავს თვალები! ოოჰ, ტყა-  
ვი უნდა გაგაძროთ ადამიანმა ყველას, ტყავი,  
და ის არის მადლი! (შემოდის ბესარიონი).

**ბესარიონი.** კნიაზ ვახლავარ!

**დავითი.** (დამჯდარი ბესარიონის ხელს ართმევს) ოოჰ, ბესა-  
რიონს გაუმარჯოს. სად იყავი ამდენ ხანს  
ბესარიონ? რატომ ეროხელ მაინც აღარ ჩამო-  
ხვედი? როგორ არის შელს საქმე, ბესარიონ?

**ბესარიონ.** ძალიან კარგაპ, კნიაზო! ჩვენი საქმე უტყუა-  
რია.

**დავითი.** შენ სულ აგრე იძახი და მე-კი ძალიან ეჭვში  
ვარ: უფულობაა. სოფულში საშოვარი აღარ-  
სად არის და, ხალხს თუ ფული არ ექნა,  
ჩვენ ვინ რას მოგვცემს?

**ბესარიონ.** ამისთანა საქმისათვის ფული ყოველთვის გა-  
მოჩდება, კნიაზო! გლეკაცი თუ გაჭირებაში  
ჩავარდა, კლდეს ეცემა, ლრეს, ეშმაკს სულს  
მიყიდის და ფულს-კი გამონახავს.

**დავითი.** შენ პირს შაქარი. ნეტამც აგრე!

**ბესარიონ.** უფულობა არაფერია, ბატონო. (ისმის ზარის  
რეკა).

**დავითი.** ეს ყველაფერი კარგი, ჩემო ბესარიონ, მაგრამ ზოგიერთი შენი ნაშონი კაცი მატყუებს, ფულს აღარ იძლევა; აი ახლაც, ლუკა იყო ჩემთან ჩიხლაძე, ათი თუმანი არის ზედ დარჩენილი და ახლა ვუარს ამბობს.

**ბესარიონი.** ვუარს ამბობს? მე ვაყურებიებ იმას, რავა უნდა ვუარის თქმა! ცოტა თქვენი ბრალიც არის, კნიაზ,—წინდაწინ უნდა გამოართვათ ხოლმე, თორემ ჩვენი ხალხის ამბავი ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ: გალლეტაზე და მოტყუებაზე უჭირავს ყველას თვალი (შემოდის დამატრი).

**დიმიტრი.** ბატონი, ვინდაც ქვრივი დედაკაცია და თქვენი ნახვა უნდა.

**დავითი.** ვინ დედაკაცია, რა საქმე აქვს ჩემთან?

**დიმიტრი.** რა ვიცი, მატრიონამ მოგახსენათ, ბებერი ბატონის საყვარელიაო.

**დავითი.** აა, უთხარი მოვიდეს,

**ბესარიონი.** მე გიახლებით, აბა, ბატონი!

**დავათი.** პატარახანს მაღ მომიტადე, ლუკა იქნება მაღა, და მოელაპარაკე როგორმე, ან დააშინე, კნიაზი დანოსს აგზავნისთქო, იქნება ამოვი- გოთ რამე; ექვსიოდე თუმანს რომ ამომიგებ- დე, იმასაც დავჯერდები, ერთი საჩოხე შენ- თვის მზათ იქნება.

**ბესარიონი.** თქვენი მოწყალება ნუ მომიშ ლოს ღმერ- თმა (გადის, დავითი გაზუთს ათვალიერებს. შე- მოდის სალთმე და კარებში გაჩერდება. დავითი რა-

მოდენსამე ხანს უკრადდებას არ აქცევს. შემდეგ მიაიხდავს იმისკენ)

**დავითი.** დილი ხანია, შაშოხველი? რა საქმე ვაქვს ჩემთან?

**სალომე.** თქვენთან თუ არ მაქვს საქმე, მაშ ვიღასთან მექნება, შე დალოცვილო? ჩვენი გაჭირდება, ჩვენი დალტინება თქვენ ყველაფერი მოგეხსენებათ.

**დავითი.** თუნდა ეგრეც იყოს, მაგრამ მე რა მოვუხერხო შენს გაჭირებას?

**სალომე.** თქვენ ძალიან კარგათ მოგეხსენებათ, რომ ცხონებულ ბიძა თქვენისაგან მე ორი შვილი დამრჩა...

**დავითი.** ბიძა ჩემს ორგ-კი არა, შეიძლება, ათიც დარჩა სხვადასხვა ალაგას ნაბიჭვარი. მერმე... მე ხომ მათ ვერ გავუყობ ჩემს ქონებას.

**სალომე.** მე ხომ მაგას არ მოგახსენებთ. ჯვარდაწერილი არ ვიყავით, თორემ, კარგათ მოგეხსენებათ, როგორც ცოლი და ქმარი, ისე ვიყავით ერთმანეთში, მაგრამ...

**დავითი.** მომეხსენება, კარგათ მომეხსენება, რომ შენ მისი საყვარელი იყავი; ას ძველებური თავადიშვილი იყო! ხოლო, ჩემსგან რა გინდა, არ მესმის.

**სალომე.** თქვენ მე ყოველთვინ მლანძლავდით და ახლაც მლანძლავთ. ქვრივსა და გაჭირებულს რა ძალა აქვს, მაგრამ ის ღმერთმა იცოდეს, რაც ჩემ გულში იყო და არის.

**დავითი.** პო, კარგი, კარგი, გავიგე, რომ პატიოსანი  
იყავი, მერე?

**სალომე.** ისიც ღმერთმა იცის, ბიძა თქვენს როგორ ვუ-  
ყვარდი და, რომ ნათესავები არ შეჩენოდნენ,  
შეიძლება, არც მე გადამაგდებდა ასე შარა  
გზაზე. ალბათ თავისი შვილები მაინც შეიძრა-  
ლა და ანდერძის ქალალდი დამიწერა: ჩემი  
სიკვდილის შემდეგ ეს სახლები შენთვის და-  
მიტოვებიაო. (თვალებზე ცრემლებს იწმენდავს)

**დავითი.** ხა, ხა, ხა! კარგია, თქვენ ნუ მომიკვდებით!  
რამდენ ქალს ჩვენ კბილს გავკრავთ, ღვინით  
შეზარხოშებული, ან რამდენ მოახლესთან ნა-  
ბიჭვრებს გავაკეთებთ, თუ ყველას მამაპაპე-  
ული ადგილები დაუუმკვიდრეთ, არ წააგებთ  
ხასები, არა! (წამოდგება და საფომესკენ მიდის).  
არა, ჩემო კარგო, მაგისთანა კანონი ჯერ არ  
გამოსულა, რომ ჩვენს საყვარლებს რაიმე უფ-  
ლება ჰქონდეს ჩვენზე, ლოგინს გარეშე, და  
როცა გამოვა, მაშინ მობრძანდით თქვენი ან-  
დერძებით.

**სალომე.** აგერ, ოთხი თვე გავიდა, მე ხმა არ ამომილია.  
არც ახლა ამოვილებდი, მაგრამ მიჭირს. რა  
ვუყოთ, რომ ჯვარდაწერალი არ ვიყავით,  
შვილები ხომ მაინც მისია. მამის რათ უნდა  
დაეკარგოთ შვილებს? თქვენ ისეც ბევრი  
გაქვთ, ბევრი მოგცეთ...

**დავითი.** (ამაღლებულის კილოთ) არავითარი შვილები ბი-  
ძა ჩემს არა ჰყოლია და ამისთანა სისულელე

ალარსაღ გაიმეოროთ! მისი ერთათ-ერთი მე-  
შევიდრე მე ვარ და მისი ქონებაც მე დამჩხა.

**სალომე.** ბატონო, ნუ მიმიყვანთ სასამართლოს კარე-  
ბზე ჩემი ხნის დედაკაცს.

**დავითი.** (კარებს გაადებს) სასამართლო იქითკენ არის,  
გასწილა მიჩივლე. (საჭამე გადის! დავითი კარებს  
მაგრა მიახურებს) ეს რა დრო მოვიდა! ხასე-  
ბიც ცოლის უფლებას თხოულობენ! რამდენი  
ქალისთვის მე კბილი გამიკრავს, თუ უველა-  
კარებზე მომადგა და ანდერძები მომთხოვა,  
შენი მტერი! ის კიდევ, გამოტვინებული ბი-  
ძა ჩემი! ძალიან გახარებია, რომ საყვარელ-  
თან შვილი ჰყოლია, და მიუკრავს შუბ-  
ლზე ანდერძი! დურაკ! (გადის. შემთდის თა-  
ლივა)

**თალიკო.** სისხლი წამხდარი გვაქვს, გაფუჭებული, არა  
ვითარი საქმისათვის ჩვენ ალარ ვარგივართ  
და მხოლოთ მყრალი სუნი აუდინდე-  
ბა უოველისფურს, რასაც-კი ჩვენი ხელი  
მიეკარება. ღმერთო ჩემო! რა მარტივი ჭეშმა-  
რიტებაა. და ჭეშმარიტება მწარე, გულის  
მკვლელი. მექრთამეობა, ხალხის ყვლეფა ყო-  
ველი-გვარის გზით, ლაქიობა და ქვეშემძრო-  
მელობა, ზნე-გახრწნილობა, — აი ჩვენი წოდე-  
ბა! უენერგიობა, ერთი და იგივე ალაგის ტკეპნა,  
უიმედობა, თავისი თავისაღმი რწმენის უქო-  
ნობა, ხოლო ცალიერი სიტყვები, ისიც სი-  
ძლიერესა და სიმტკიცეს მოკლებული, კარ-  
ჩიკეტილ ოთახში გულადობა და გარეთ სი-

ლაჩჩე, — არ ჩვენი ინტელიგენცია. მამაჩემს  
ხალხის ყველეფა მოღვაწეობათ მიაჩნია, დედა  
ჩემს გარყვნილება — თავისუფალ სიყვარულათ;  
ვიქტორს სხვისი ცოლების მაღულათ კოცნა —  
დიდ გმირობათ და იაზონს ფრაზებით გადა-  
ჭრელებული რეფერატები — საქმეთ. მრცხვენია,  
მრცხვენია და თან გული მწყდება, გული  
ბრაზით მევსება, როცა წარმოვიდგენ, რომ ჩემ-  
მა ცხოვრებამ ამ წრეში უნდა გაიაროს. საძა-  
გელია, საზიზლარია ამგვარი ცხოვრება! ვგრძ-  
ნობ, რომ იქ, სადღაც შორს, არის უკეთესი  
ცხოვრება, არიან უკეთესი ადამიანები, რომ-  
ლებიც ასე არა ცხოვრობენ, როგორც ჩვენ,  
არიან... მაგრამ სადღაც შორს, შორს... ჩემ-  
სა და მათ შორის გაუვალი ჯურლმულია, იმ  
ნაპირისკენ მე ვერაოდეს ვერ მივაღწევ, ვერა-  
ოდეს. მეც მოწამლული მაქვს სისხლი! ღმერ-  
თო, რა საშინელებაა, რა აუტანელი მდგო-  
მარეობაა! (თავს მაგიდაზე დადგეს. შემთდის არ-  
ჩიდა, ფეხის ხმაზე თალიკა შეხტება.)

- არჩილი.** უკაცრავათ, თქვენ მგონი ტკბილ ოცნებაში  
იყავით და მე-კი ხელი შეგიშალეთ.
- თალიკო.** ოცნება სინამდვილეს ყოველთვის სჯობია და  
ამიტომ მე ხშირად ვოცნებობ. ადამიანი რომ  
ოცნებობის ნიჭი მოკლებული იყოს, ის უუბე-  
დურესი არსება იქნებოდაა.
- არჩილი.** და რაღანაც მას ოცნების ნიჭი აქვს, ის მხო-  
ლოთ უბედურია, არა?
- თალიკო.** ოცნება ამშვენებს სინამდვილეს, სიმწვავეს

უკარგავს ცხოვრებას, რომელიც უამისოთ მეტათ აუტანელი იქნებოდა.

**არჩილი.** ჩემის ფიქრით-კი, აღამიანი რომ სრულებით არ ოცნებობდეს, მაშინ ის ბედნიერი ქმნილება იქნებოდა.

**თალიკო.** თქვენი აზრი მე არ მესმის.

**არჩილი.** ეს აღვილი გასაგებია. ოცნება აღამიანს ან ბივრებს, ასუსტებს, აჩლუნგებს, აწმყოს ავიწყებს, ხალისს უკარგავს, უმოძრაობას, უმოქმედობას აჩვევს. ამიტომ მუდამ ოცნებობენ ისინი, ვისაც არაფრის კეთება არ შეუძლია; ოცნებობა მათ საჭმეთ მიაჩნიათ და ხშირად დიდ საჭმეთ, ისეთ დიდ საჭმეთ, რომ ყენსაც თავს არ დაუკრავენ! ისინი-კი, ვინც საჭმეს აკეთებს, არაოდეს არ ოცნებობენ.

**თალიკო.** ჩემის ფიქრით, უოცნებოთ საჭმის კეთება შეუძლებელია.

**არჩილი.** სრულებითაც არა: ოცნება რა საჭიროა და რისი, მაქნისი, როდესაც საჭმეს თვითონ ცხოვრება გვიჩვენებს? ჩაუკვირდით ცხოვრებას და აკეთეთ ის, რასაც ის გაჩვენებთ. აქ ოცნება კი არ არის საჭირო, — საჭიროა მხლობოთ გამბედაობა. და ხელის განძრევა.

**თალიკო.** რა გზაზედაც უნდა დამაყენოთ, მე ოცნებას ვერსად ვერ მოვცილდები. რა კარგიც უნდა იყოს აწმყო, ანუ არსებული, ოცნება მასზე ყოველთვის მაღლა, ყოველთვის უკეთესი იქნება.

**არჩილი.** ოცნება არის არარაობა, ის, რაც არაოდეს.

არ იქნება. რა ნაირათ შეიძლება არარაობა, არ-არსებული არსებულს სჯობდეს?

**თალიკო.** იდეალი არ ირსებობს ნამდვილათ, მაგრამ ის მიუწდომელი მშვენიერებაა, რომლისკენაც ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ; იდეალი ის ნათელი შუქია, რომელიც ჩვენ გზას გვინათებს უკეთეს ცხოვრებისკენ და რომელსაც ჩვენ ვერაოდეს ვერ დავიჭირო. ოცნება იგივე იდეალია. უამისოთ ცხოვრებაში გზა დაგვებნეოდა! კარგსა და ავს ვერ გავარჩევდით. მეზღვაურისთვის თუ ზღვაში საჭიროა კომპასი, ადამიანისთვის საჭიროა ცხოვრებაში იდეალი ანუ ოცნება.

**არჩილი.** ეს მხოლოდ გარევნული შედარებაა, კნიაუნა!

**თალიკო.** თუ გიყვ... (უცებ გაასწორებს) თუ ჩემი პატივისცემა გაქვსთ, კნიაუნას ნუ დამიძახებთ!

**არჩილი.** ძალიან კარგი, მაგრამ რა არის აქ საწყენი?

**თალიკო.** არაფერი, მაგრამ მე გთხოვთ: მე მგონია. როცა კნიაუნას მეძახით, ამითი ჩემი შეურაცყოფა, ჩემი დამტირება გინდათ.

**არჩილი.** მე არაოდეს არ გამივლია ამგვარი აზრი გულში. პირიქით, რაც უფრო გეცნობით, მით უფრო გეთვრმუბით და, თქვენ რომ არ გხედავდეთ, შეიძლება, ამდენ ხანსაც არ გავჩერდებოდი მამი თქვენის სახლში. თქვენი შედარება მხოლოთ გარევნულია. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა მეზღვაურებს, ყველას რომ თავთავისი, სხვადასხვა-ნაირი კომპასი ჰქონოდა? გზა-კვალი აერეოდათ და ერთ-

მანეთს დაეჯახებოდენ, იდეალები სწორეთ  
ამგვარათ რევენ გზა-კვალს ცხოვრებაში, რად-  
განაც ერთი ობიექტური რდეალი არ არსე-  
ბობს ყველასთვის და შეუძლებელიც არის  
არსებობდეს. ამიტომ მე არა მწამს არავითარი  
იდეალი, ეს სისულელეა, თავის თავის მოტ-  
ყუება. ჩაუკვირდით ცხოვრებას, იქ ყოველ-  
თვის კარგათ სჩანს, რა არის საჭირო, საღით  
არის გზა უკეთესი ცხოვრებისკენ და, ვისაც  
თვალი უჭრის და ხელი, ამ გზას უნდა  
დაადგეს; ვისაც არ უჭრის, ის ათას იდე-  
ალებზედაც რომ შესკუპდეს, მაინც ვერაფერს  
გააკეთებს. ჩვენი დრო ოცნებობისა და იდეა-  
ლების დრო არ არის, ჩვენი დრო საქმის  
დროა.

**თალიკო.** მერე ვინ აკეთებს ამ საქმეს?

**არჩილი.** ალბათ, აკეთებენ! მაშ საქმე თავის-თავათ ხომ  
არ გაკეთდება? რაც უნდა იყოს, ისინი არ  
აკეთებენ ამ საქმეს, ვინც ოცნებობს.

**თალიკო.** თქვენ ძალიან მაგონებთ „საღლეისო კითხვე-  
ბი“ს ავტორს გუშინდელ ნომერში. მართალი  
მითხარით, თქვენი დაწერილი ხომ არ არის?

**არჩილი.** არა, წავიკითხე-კი.

**თალიკო.** რაც უნდა იყოს, თქვენ ორივე ერთი და  
იმავე აზრისა ხართ. საზოგადოება აალაპარაკა  
იმ სტატიამ, ინტელიგენცია და თავადაზნაურ  
რობა კბილებს აკრაჭუნებს. მგლნია, ავტორი  
ლუკა-ლუკა დაგლიჯონ, თუ ხელში ჩაიგდეს.

**არჩილი.** დამერწმუნეთ, ინტელიგენციას და თავად-აზ-

ნაურობას, არავისი და არაფრის დაგლეჯა არ  
შეუძლია. ისინი გულადები არიან ოთახში,  
ოცნებობაში, თუ გნებავთ; გულშიც უქვე-  
შევრღომილესი გრძნობების მეტო არაფერი  
აბადიათ-რა. და საქმითაც ლაქიობის მეტი  
არაფერი გამოუჩენიათ ჯერ-ჯერობით; აწი რა  
უნდა გამოიჩინონ! რაც უნდა, იყოს, ცხოვ-  
რებამ ამ წოდებასა და მის ინტელიგენციას  
წინ წაუსწრო და ისინი საქმისათვის არა თუ  
საჭირონი არ არიან, საქმისთვის არ ვარგანან  
სრულებით; საქმე უიმათოთ კეთდება და,  
იმათ ამარა სანამ იყო, ხომ არც კეთდებოდა!

**თალიკო.** კვირას, ინტელიგენციას, საგანგებო კრება  
აქვს და, აბა, ნახავთ, თუ არაფერს გააკეთებენ.

**არჩილი.** კომისიას ამოირჩევს, თუნდა სანაძლეოზე შე-  
გეკვრით (კრები გაიღება და შემშურვეს თავს  
დაუკა, შემდეგ მორიდებით შემთვა).

**ლურ.** (თავშიშული) პატარა ქალბატონს ვახლავართ,  
შენ კნიაზის ქალი-შვილი არ ბრძანდები?

**თალიკო.** მე დავითის ქალი-შვილი ვარ თქვენ ვინა  
გნებავთ?

**ლუკა.** (ჰიჯარს იწერს) დილება შენთვის, ღმერთო,  
რამხელა გაზდილა! ისე მახსოვს, შენ რომ  
ამხელა დარბოდი (დაიწევს და ხელებს დაბლა  
დასწევს). თითქოს გუშინწინ ყოფილიყოს! ეეს,  
რა მალეა აღამიანის შვილი!

**თალიკო.** თქვენ ვინა ბრძანდებით? უთუოთ მამა ჩემთან  
გაქვთ საქმე.

**ლუკა.** მე, ქალბატონი, ლუკია ვარ — ჩიხლაძე. ურთის შესახვეწარი საქმე მაქ შენთან; შენი ჭირიმე, მომეხმარე როგორმე, დამიდექი კნიაზთან მოციქულათ.

**არჩილი.** რათ იცით სოფლის ხალხმა სიტყვის გაჭიანუ-რება? თქვით მოკლეთ, რაც გინდათ.

**ლუკა.** შე დალოცვილო! თქვენდენი-კი არ გვის-წავლია! რა ვიცით, რა გაგვეგება? რავაც: მოგვიხდება, ისე ვლაპარაკობთ, მარა ნუ გა-მირისხდებით, საწყალი კაცი ვარ.

**თალიკო.** გამაგებინეთ, რა გაქვთ მამაჩემთან სამოცო-ქულო?

**ლუკა.** მე, შენი ჭირიმე, შვილი მყავდა სასალდათო-წასულ შემოდგომაზე იყო კენჭში, ამტონა ქვია, ბარე ორჯელ აქაც გახლდათ, მარა თქვენ რაში გემახსოვრებათ! კზიაზზე ვიყავი შეპირებული: თუ გამითავისუფლებდა, ოცი თუმანი უნდა მიმერთმია; ვინ მომცა შენი ჭირიმე ოცი თუმანი? სახლიან — კარიანათ რომ გამყიდოთ, ოცი თუმანი არ მოიხიკება, მარა, გაჭირებული კაცის ამბავი ხომ მოგეხ-სენებათ. ათი თუმანი თავში უნდა მიმერთმია და ათი, რო გაანთავისუფლებდენ, მაშინ. ზოგი ვივალე, ზოგი ერთი უღელი ხარი გა-მაჩდა და ის გავყიდე და ათ თუმანს, როგორც იქმნა, მოვუყარე თავი. ჩემი ამტონა კენჭში ჩააგდეს, მარა არ წაუყვანიათ. თურმე იმიტომ არ წაიყვანეს, რომ ცალი ყური ბოვშობიდან გაფუჭებული ქონდა, ყელ-ბატონებმა გაუ-

ფუჭა და მე სულელმა რა ვიცოდი, თუ ამითი  
არ წაიყვანდენ! გასინჯეს კამისიაში და უთხ-  
რეს: წადი, შვილო, სახლში, ცალი ყური  
არ გივარგა და შენისთანა სალდათი ხემწიფეს  
რაში უნდაო. ახლა კნიაზი ათ თუმანს კიდევ  
მთხოვს, თორემ დანოსს გავიგზანიო. შემიბ-  
რალეთ, შენი ჭირიმე, შემახვეწეთ, რომ მაპა-  
ტიოს, ჩემი სილარიბე შეიბრალოს, თვარა  
მაგან თუ დანოსი გამიგზავნა, მომტაცებენ  
შვილს. მაგის დანოსით ბარე ორი წეიყვანეს  
ჩვენში, რო თავს ვეღარ უშველეს. რო მქონ-  
დეს, ვინ თავმკვდარი...

**თალიქო.** ეს შეუძლებელია, აქ რაღაც სხვანაირათ  
უნდა იყოს საქმე.

**არჩილი.** შეუძლებელი აქ არაფერი არ არის. მე და-  
რწმუნებული ვარ, რომ ეს ესე იყო. (ლუკას)  
თქვენ გადით ახლა და ჩვენ ვეცდებით, რომ  
აღარც ათი თუმანი გადაგხდეს და აღარც  
დანოსი გავიგზავნონ.

**ლუკა.** (თავის კვრით) თქვენი ჭირიმეთ, შემიბრალეთ,  
ღმერთი თქვენ შეგეწევათ ყოველი კაი საქმეში  
(გადას).

**არჩილი.** ეს ნამეტანი სისაძაგლეა, საზიზღარი ყვლეფაა  
ლარიბი ხალხისა. მაპატიეთ, რომ მამათქვენზე  
ამას ვამბობ. (დადის თთახში გაცხარებული)  
ამისთანა კაცი თითქმის სათავეში უდგია ჩვენს  
საზოგადო საქმეებს, ხა, ხა, ხა ხა! როგორ  
არ უნდა მოქონდეს თავი ჩვენ წარჩინებულ  
წოდებას! დიახაც ბევრი რამე აქვს თავის

მოსაწონი. არა, სისხლი არა თუ გაფუჭებულია, აყროლებულია, აუყროლებული, მთელი წოდება გახრწნილია. ის არა თუ მეტხორცია, მავნე იარაა, მავნე იარა. მაგათან რაიმე კავშირი, საერთოთ რაიმე საქმის კეთება შეუძლებელია. ეგენი, მხოლოთ ხელს თუ შეუშლიან საქმეს, თორემ რითი დაეხმარებიან? რომელ სულიერი და ზნეობრივი ავლადია დებით? გაყვლეფილ გლეხს უკანასკნელ ბარაქას ხდიან და მაგათან კიდევ ერთობაზე, კიდევ საერთო მოქმედობაზე ვფიქრობთ! კმარა? მტერს მტერი უნდა უწოდოთ, ვინც უნდა იყოს და სადაც უნდო იყოს. ბრძოლა შინ და ბრძოლა გარეთ, გამარჯვება შინ და გამარჯვება გარეთ, ორივე ერთად უნდა მოხდეს. (დადის) ყველაზე უფრო საზიზლარი ის არის, რომ ეს წანაგლეჯი ფული ჩემს ჯიბეშიც ჩადის. დღეიდგან უნდა მოელოს ყველაფერს ამას ბოლო: მაპატიეთ, თალიკო, მაგრამ მე ეხლავე მივალ მამათქვენთან, პირში ვეტყვი მას, რომ ის პატლეცია, და დღესვე უნდა წავიდე აქედგან; ამგვარ ატმოსფერაში ცხოვრება შეუძლებელია და არც თქვენ გირჩევთ დარჩენას ამგვარ წრეში, თორემისე გაიჟლინ-თებით სიმყრალის სუნით, რომ ბოლოს თქვენ თვითონ აგეზინებათ სუნი. მაპატიეთ ასეთი მსჯელობისათვის (გასვლას აპირობს).  
**თალიკო.** (წამოხტება) არჩილ, არჩილ! (არჩილ შედგება და გამობრუნდება). მოიცავდეთ, ნუ წახვალთ,

გევედრებით, ნუ წახვალო. მართალია, ყოველისფერი მართალია, მაგრამ მოიცადეთ, ჩემი გულისთვის მოიცადეთ, მე შემიბრალეთ? თქვენ გაურბიხართ ამ წრეს, ამ ატმოსფერას, მაგრამ მე ხომ აქ ვრჩები! მე ვიტანჯები, მე ვიღუპები, მშველელი არავინ არის. მე აქ სრულებით ობოლი ვარო, ჩემი არავის ესმის, ჩემს გულში არავინ იხედება, ჩემი თანამგრძნობი არავინ არის. მხოლოთ თქვენ შეიტანეთ ჩემს არსებაში რაღაც გამოურკვევილი სითბო, რაღაც იმედი, რაღაც ტკბილი სურვილი სიცოცხლისა და ცხოვრებისადმი სიყვარულისა. თქვენს გვერდით მე აღარ ვგრძნობდი თავს ობლათ, აღარ ვგრძნობდი საშინელ მარტოობას. თქვენ მე თანდათან გეკედლებოდით, გეთვისებოდით, რაღაც უხილავი ძალა უერთებდა ჩემს ბუნებას თქვენსას და ეს ძალა შეუმჩნევლათ სიყვარულათ იქცა. მე თქვენ შემიყვარდით, გესმით... შემიყვარდით... ნუ გაქელავთ ჩემს სიყვარულს! შეიძლება თქვენს გულში სრულებით არ იყოს თანაგრძნობა ჩემდამი, მაგრამ მე თქვენ მეტს არასა გთხოვთ. დარჩით ჩვენსა, ასე მალე ნუ წახვალოთ აქედან (არჩილი ჭერ ჩაფიქრებული დგას, შემდეგ გამოტრიალდება, ორივე ხელს ხელებში მოვიდებს თალიკოს და შეჩერებია).

**არჩილი.** მე დიდ ბედნიერებათ ჩავთვლიდი თქვენს ახსარებას, მაგრამ ორი გარემოება მაფიქრებს და მაჩერებს.

**თალიკო.** (გაწყვეტინებს) პირველი ის, რომ მე საქმარო  
მყავს, და მეორე ის, რომ მე თავადიშვილის  
ქალი ვარ და თქვენის თეორიით სისხლი  
მაქვს გაფუჭებული, არა?

**არჩილი.** პირველი თქვენ მართლა გამოიცანით, მეორე-  
კი ვერა. მაგრამ სანამ მეორე გარემოებას მე  
აგიხსნიდეთ, თქვენ პირველი ამიხსენით. სი-  
ყვარული მოფიქრებული, ბევრჯერ გაზომილი-  
უნდა იყოს, უამისოთ ამას ბეღნიერების ნა-  
ცვლათ უბედურებისაკენ მიყავს ადამიანი.  
თქვენ გიყვართ იაზონი. თუ არ გიყვარდათ,  
რათ აძლევდით პირობას? და თუ ის გიყვართ,  
ჩემდამი სიყვარული...

**თალიკო.** (გაწყვეტინებს) გამიგონეთ. მე და იაზონი  
დიდი ხნიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ჩვენ ჯერ  
კიდევ იმ დროს მივეცით ერთი მეორეს პი-  
რობა, როცა არც მე და არც იმას არ გვეს-  
მოდა, თუ რა არის ცოლქმრობა და ცხორე-  
ბა. როცა მე ჰქუაში ჩავვარდი, იმ ცხოვრებას,  
რომელითაც ჩვენ ყველა ვცხოვრობთ, ზიზ-  
ლითა და სიძულვილით დავუწყე ყურება; მე  
მწყუროდა და ახლაც მწყურია უკეთესი. ამავე  
დროს თანდათან ვრწმუნდები, რომ იაზო-  
ნთან მე ვერ მოვიპოვებ ამგვარ ცხოვრებას.

**არჩილი.** ძალიან კარგი, მაგრამ მე ლარიბი კაცი ვარ,  
ჯერ სწავლაც არ დამიმთავრებია. ის გზა,  
რომელზედაც მე ვარ შემდგარი, ყველასთვის  
აღვილი სავალი არ არის. მე ამით თავს კი  
არ ვიქებ. ჩემთვის არ არსებობს არც სამშო-

ბლოს, არც ნათესაობის საზღვრები: სადაც უნდა ვიყო, რა ქონების პატრონიც, ჩემთვის სულ ერთია. მთავარი ის არის, რომ ვიცხოვრო ისე და ვაკეთო ის, რაც მე დამისახავს მიზნათ და, სად ვცხოვრობ და სად ვაკეთებ, ან როგორ პირობებში, ამას ჩემს თვალში შნიშვნელობა არა აქვს. მე ბევრში ვგევარ ციგანს. შეგვიძლიათ ციგანს სდიოთ და აიტანოთ ყველა ის გაჭირება, რომელიც ამ გზაზე შეგხვდებათ?

**თალიკო.** წამიყვანეთ, სადაც გინდათ, წამიყვანეთ.—ციხეში, ციმბირში, ოლონდ ამ წრეს, ამ ცხოვრებას მომაშორეთ. გეფიცებით, ბორკილში რომ დამჭირდეს სიარული, მე მაინც კმაყოფილი ვიქნები, ოლონდ ვგრძნობდე, ვხედავდე, რომ მეც ადამიანურ ცხოვრების გზას ვაღივარ და არ ვიხრწნები პირუტყვულ ცხოვრებაში.

**არჩილი.** ნება თქვენია, არ ინანოთ-კი (შაუზა, დასხდეუბაან შორის ხდის). ამგვარ მდგომარიობაში დარჩენა დიდხანს შეუძლებელია. ერთათ ცხოვრება-კი ჯერ ჩვენ არ შეგვიძლიან. ამ სახლში დარჩენა დიდხანს იღარც თქვენთვის არის შესაძლებელი, იღარც ჩემთვის.

**თალიკო.** მამიჩემის სახლიდან გადასვლა მე, დიდხანია, უკვე მოფიქრებშლი მაქვს. მე შემპირდენ მას წავლებელის იდგილს პროფესიონალურ სასწავლებელში, როგორც ვიშოვნი ალაგს, მაშინათვე გადავალ აქედან. შენ უნივერსიტეტში წა-

ხფალ. წელს, მგონი, შენი სასჯელის. ვადა თავდება. მე აქედან ხელს შეგიწყობ და ამგვარათ ჩემს ცხოვრებას მაინც აზრი ექნება, მეტი, ვიდრე დღემდე ჰქონდა. (კარები გაიღება, შემთდის აზრი). თალიკოს ხელზე აკოცებს. არა ჩილს მიესალმება).

იაზონი. ახალი ამბავი გაიგეთ?

თალიკო. რა მოხდა?

იაზონი. ილიკო ჩიქოვანმა დავით ახვლედიანს ცოლი წაართვა და ჩვენი პოეტესა—პატრიოტკა პოლონელს მიყვება. ხა, ხა, ხა, როგორი კაცები და როგორი პატრიოტკები გვყავს!

არჩილი. აქ სასაცილო რა არის, მე სრულებით არ მესმის.

იაზონი. თქვენ არაოდეს არაფერი არ გესმით!

არჩილი. უსაფუძვლო სიცილი და ბავშური მსჯელობა, მართალია, არ მესმის.

იაზონი. მე არაოდეს არ ვყოფილვარ გარყვნილების მომხრე და არც ვიქნები, თქვენ შაიძლება იყოთ. ამიტომ, როდესაც ვხედავ, რომ განათლებული კაცი განათლებულ კაცს ცოლსა სტაცებს, მაშინ როდესაც გასათხოვარი ქალებით ჩვენი ქალაქი სამსეა, არ შემიძლია მწარეთ არ გავიცინო. ამას გარდა, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის ყოველი მოლვაწე ძვირფასია, მით უმეტეს მუშაკი ქალი და, როდესაც ასეთი ქალი უცხო ტომის კაცს მიყვება და იმით უარყოფს თავის სამშობლოს, არ შემიძლია, მწარეთ არ გავიცინო.

არჩილი. გარყვნილებაზე და ადამიანის მოლვაწეობაზე

თქვენ სრულებით ყალბი შეხედულები გქონიათ. აი, დიაკვნური მსჯელობა სწორეთ ეს არის. მაპატიეთ ამგვარი შედარებისთვის. თუ კი ქალს ქმარი არ უყვარს და სხვა უყვარს, თქვენი ფიქრით, უფრო ზნეობრივია, რომ ქმარს. ატყუოს, ვიდრე დაანებოს მას თავი და გაჰყვეს საყვარელ კაცს! არა, ან იქნება გგონიათ, რომ კარგ პონონელს გლახა ქართველი ჯობია?

**იაზონი.** ქმარს გარდა, არის ოჯახი, შვილები, და ყოველი დედა ვალდებულია, თავისი თავი ოჯახისა და შვილების ბედნიერებას ანაცვალოს.

**თალიკო.** უკნასკნელ აზრში მე გეთანხმებით, იაზონ, მაგრამ ქეთევანს შვილები არა ჰყოლია, ქმარი კი არ უყვარდა და, ჩემის ფიქრით, აქამდეც უნდა მოშორებოდა იმას

**არჩილი.** ერთი მითხარით, რისთვის მოღვაწეობთ თქვენ? იმიტომ რომ თქვენ ქართველი ხართ?

**იაზონი.** დიაღ, სწორეთ იმიტომ.

**არჩილი.** წარმოიდგინეთ, რომ თქვენ პოლნეთში მოგიხდათ ცხოვრება, არაფერს გააკეთებთ იქ?

**იაზონი.** გავაკეთებ, მაგრამ ისეთის ხალისით არა, როგორც აქ, ჩემს საკუთარ სამშობლოში.

**არჩილი.** არ მესმის: გაჭირებული ყველგან ბლომათ არის, საქმე ყველგან ბევრია და, თუ აქ შეგიძლიათ ამ საქმის კეთება გულიანათ, რატომ სხვაგან არ შეგიძლიათ?

**იაზონი.** იმიტომ რომ სამშობლო და სხვა ერთი დაიგვე არ არის.

**არჩილი.** ჩემის ფიქრით, სულ ერთია. ადამიანი მოვალეა ერთნაირათ ებრძოლოს უსამართლობას, სამშობლოში იქნება ის, თუ სამშობლოს გარეთ. ადამიანი ერთნაირათ უნდა დაეხმაროს მას, ვისაც ეს დახმარება ესაჭიროება, ერნაირათ უნდა ემსახურებოდეს პროგრესს, სადაც უნდა იყოს ის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბევრს საქმიანობა ბუნებრივ მოთხოვნილებათ-კი არა აქვს გადაქცეული, არამედ დაკოსებული აქვს ზეიდან და ამ სამკაულით თავი მოაქვს. ასეთია მოდა, წამხედურობა, და მოდა საქმე არ არის.

**იაზონი.** ჩვენ შორის ისეთი დიდი მანძილია, რომ ერთი მეორეს ჩვენ ვერაფერს დაუმტკიცებთ ისე, როგორც ოქვენ მე ვერ დამიმტკიცებთ, რამდენიც უნდა სწეროთ, რომ ჩვენს წოდებას, რომელმაც შექმნა დიდებული ისტორია, სისხლი წამხდარი ჰქონდეს და აღარავითარი საქმისათვის აღარ ვარგოდეს.

**არჩილი.** როგორ არ ვარგა! კომისიები, კრებები, უთავბოლო ლაყმობა, ბანკეტები, პეტიციები,— საქმეა, მა რა ჯანდაბაა!

**იაზონი.** ოქვენ, შეიძლება, არა-ლეგალური გზა უტყუარს გზათ მიგაჩნდეთ, მაგრამ ხალხი არაოდეს არ ყოფილა სოციალისტი და არც გახდება. ჩემის რწმენით, ამგვარის კრებებით და მოთხოვნით მეტი კეთდება.

**არჩილი.** (ადგება) ტყუილა ცდილობთ, რომ მე გული მომაყვანიოთ. ამით მხოლოთ თქვენსავე უძლურებას მიმტკიცებთ. ამ თხოვნებით და პე-

ტიციებით თქვენ ყველა თქვენს თავს დასცინით და თქვენ-კი არ გესმით (გადის).

**იაზონი.** როგორც ჭირი, ისე მეჯავრება ამგვარი ხალხი! ასე ჰგონიათ, თითქმას ჭეშმარიტების კლიტე მართლა მათ ეპყრათ ხელში და სხვა ყველა ცდებოდეს. სამშობლო არაფერია, ოჯახი არაფერია, კანონი არაფერია, ისტორია არაფერია, ამგვარი მსჯელობა იქამდე მიგვიყვანს, რომ თვით ცხოვრებაც სისულელეა და ყველამ ერთი მეორე უნდა ვჟღიტოთ, რომ კაცობრიობა მოისპოს!

(დიმიტრის წერილი შემთაქვს).

**დიმიტრი.** ეს წერილი ბიჭმა მოიტანა, ბარიშნას გამოუგზავნეს შკოლიდანაო.

**თალიკო.** (წერილს ართმევს, საჩქართ გახევს, კუთხულობს და თან დიმილი მოდის, თავისთვინ) ჯერჯერობით ყველაფერი ისე ეწყობა, როგორც მე მინდა.

**იაზონი.** ვისი იყო წერილი, ასე რომ გაგეხარდა?

**თალიკო.** პროფესიონალურ სკოლაში ერთი ლარიბ მოსწავლეს შესახებ ვშეამდგომლობდი და ჩემი შეამდგომლობა შეუწყნარებიათ წუხან-დელ რჩევაზე. მე ახლა სკოლის უუროსი უნდა ვნახო და მაღლობა გადავუხადო (ადგეა, თვეს დაუკრავს და გადის).

**იაზონი.** (თვალს გააუთლებს) აქ რაღაც ცვლილებაა. ეს დიაკვნის კუდი ჩაუტენიდა უთუოთ რაიმე სისულელებს თავში. ევ მშვენიერი, ეგ უმანკო არსებაა, ყოველიფერი სჯერა, ყველას ენდობა, დარწმუნებულია, რომ ყველა აღა-

მთანი კეთილი, სათნო და პატიოსანია. ეჭ, ეგ ჯერ ბავშვია, უმანკო ბავშვი, ანგელოზი, ჯერ ცხოვრება არ განუცდია, ჯერ ხალხს ეგ არ იცნობს ხეირიანათ. არა, ეს ვაჟბატონი უნდა გავაძევებიო აქედან, ან მაღე უნდა დავიწერო ჯვარი! (ჩაფიქრდება) მაგრამ ეს ოხერი ალაგი! თვენახევარი დარჩა კიდევ... რომ არ ამირჩიონ? სილოვანსაც ბევრი ჰყავს თურმე მომხრე... არა, ამ კვირეს რომ საგანგებო კრაბაა, მე უსათუოთ გრძელი და საფუძვლიანი სიტყვა უნდა დავამზადო. მე ამ სიტყვამ უნდა მიშონოს ბანკის დირექტორის ალაგი. შემდეგ შეიძლება თავმჯდომარეც გავხდე. ეეხ! (სტოლზე ხელს დარტყამს და წამოადგება) მე მრწამს ჩემი მომავალის ვარსკვლავი. მე ვგრძნობ, რომ ჩვენი საზოგადობრივი ცხოვრების ასპარეზზე მე დიდი როლი უნდა მხვდეს წილათ... ჯერ კი ეს არამზადა უსათუოთ უნდა გავაძევო აქედან; ის აქ რაღაცა წყალს ამღვრევს (შემდის დავითი).

**დავითი.** რა კაი დროს მოხვედი იაზონ!

**იაზონი.** როგორ?

**დავითი.** ერთი საქმე უნდა გამირიგო როგორმე.

**იაზონი.** რა საქმე?

**დავითი.** აი, რა: მაღე დაიწყება საარჩევნო კრებები. მე მინდა, შენ კარგათ იცი, მარშლობა, შენ კიდევ—ბანკის დირექტორობა. არც ერთი და არც მეორე, ჩემო კარგო, უამისოთ (მუცელზე ხელს თარტყამს) არ გაკეთდება. შენ, რაც გინდა,

ისა თქვი და ჩვენი ხალხი ჯერ კუჭის ხალხია: ვინც უფრო კარგათ გააძლობს, იმას გაათეთრებს! გაძლომისათვის-კი იცი, რა არის საჭირო?

**იაზონი.** ოქროს მატყლი, არა?

**დავითი.** ჰო, და საქმეც იმაშია, რომ ჩემს ჯიბეში ოქროს ბეწვიც ალარსად მოიძებნება, ფული-კი უნდა ვიშოვნოთ როგორმე. შენ კარგათ იცი, რომ ბიძა ჩემის ხასას ხუთას თუმნამდე ფული ედება. აღრე თუ გვიან, შეიძლება გადავახდევინო, მაგრამ ერთი რომ გვიან იქნება, ჩვენ-კი ახლა გვინდა ფული; მეორე, რაც უნდა იყოს, უსამართლობაა და ნაუსამართლევი ლმერთმა ნურაფერი მომცეს, არ მინდა! მესამე, ცოტა სახიფათო საქმეა, არაფერში გავეხვიოთ, ვინ იცის! აი, შენ უნდა წახვიდე იმ დედაკაცთან და საქმე გაარიგო. თუ ამ დღეებში ას თუმანს ნაღდს ჩამაბარებს, საქმეს მოჟსპობ, თუ არა და, ხუთასი თუმანი გადახდება და საქმის საწარმოებელი-თქო! იცოდე, შენებურათ შეაშინე.

**იაზონი.** შენ სამინისტრო კაცი ხარ, სამინისტრო, დავით! მშვენიერი აზრია და სამადლო საქმეც, მეტი მადლი შეიძლება! ხუთასი თუმნის მაგიერ ასი თუმანი! მანეთში ერთი აბაზი! ამ საქმეს უსათუოთ გავარიგებ, უსათუოთ!

დავითი. აბა, შენ იცი: უამისოთ კი იცოდე, ვერც მე ვერც შენ ვერ გავთეთრდებით, ახლა-კი ბაბა-ლესთან წავიდეთ და ვახაროთ (გადიან).

(ფარდა).

მოქმედება მესამე.

(სცენა წარმოადგენს ლარიბულად მორთულ ზალას. სალომე სკამჩე ზის და სტირის, გვერდით ანიკო უზის და ამშვიდებს).

ანიკო. დედა, შენ გენაცვალე, გეყოფა ამდენი ტირილი. რატომ არ დიიქუა ის დღე, როდესაც იმ ურიას და ურჯულოს ჩვენ გადავეკიდეთ? დედა ჩემო, კაია.

სალომე. როგორ ლაპარაკობ, შვილო? შენ იქნება ისა გვონია, რომ მე იმ სახლების დაკარგვას ვტიროდე? რა ეშმაკათ მინდოდა? ის არა მქონდა, მაგრამ დარიბულ ლუკმას უჭამდი. საქმე ის არის, რომ, აი, ამ სახლს, ამ ალაგს წაგვართმევენ. აი, რასა ვტირი.

**ანიკო.** ამ ალაგთან ვის რა ხელი აქვს? ეს ხომ ჩვენია, საკუთარი ჩვენი?

**სალომე.** საჭმეც მაგაშია, რომ ჩვენია; მე რომ ჩემი ანდერძი წარვადგინე, სუდმა მაშინათვე დამიმტკიცა სახლები. ახლა ის წამომდგარა და ოცდათი ათასი მანეთის ვექსილები წარმოუდგენია, სულ ნატარიუსის დამტკიცებული, და მე მიჩივის; მემკვიდრე შენ ხარ და შენ უნდა გადამიხადოვო.

**ანიკო.** მერე რას წაიღებს, რომ გიჩივის?

**სალომე.** როგორ თუ რას წაიღებს? ის სახლი ბევრი ბევრი ოცი ათას მანეთათ შეფასდეს. ათი ათასი მანათი კიდევ რჩება. ამ ათი ათას მანათში სულ გამოგვაცლის ხელიდან, რაც რამე გვაბადია.

**ანიკო.** შენ სცდები, დედა ჩემო! ჩვენსას ვინ წაგვართმევს? ასეთი უკანონობა საღ მომხდარა?

**სალომე.** ეეხ, შვილო, შენ ჯერ რა იცი ქვეყნის ამბავი? ვინ წაგვართმევს და, კანონი წაგვართმევს! ჩემმა ვექილმა ასე მითხრა: მოურიგდი როგორმე, თორემ ნატარიუსის ვექსილები ხელში უკავია და ველარაფერი ველარ დაუმაგრდება წინო..

**ანიკო.** ასე უსინდისო როგორ იქნება, რომ ჩვენი წაგვართვას?

**სალომე.** ეეხ, შვილო, ქვეყანა ურჯულოებით და უსინდისობით სამსეა, კანონიც იმათ ხელშია და სამართალიც. (ზეზე წამოდგება და ადგირთოვანებულის კილოთი) ოოხ, მე იმათ-კი ვენაცვალე,

იმათ, ვინც ეს ახალი საქმე გამოიგონა! სად  
არიან, მოვიდენ მალე, რომ საწყალმა აღაში-  
ანმა პატარა სული მოითქვას და თავისი თფ-  
ლით ნაშოვარი და ნაწვავ-ნადაგავი გემრო-  
ელათ შექამოს! (დაჯდება ისეგ) მაგრამ სად  
არიან, სად? ჯერ შორს არიან და, სანამ პეტ-  
რე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გაძვრება.

**ანიკო.** დედ, ყველაფერი წაილონ, ყველაფერი წაგვარ-  
თვან, დედა ჩემო, ჩვენს სილარიბეს ხომ  
ვერავინ წაგვართმევს? ვიყოთ ლარიბი, ვიც-  
ხოვროთ ლარიბულათ; თუ-კი სინიდისი წმინ-  
და გვექნება, ჩვენც ვიქნებით ბეღნიერი,  
დედა ჩემო! განა არ შეიძლება, ლარიბი  
აღამიანი ბეღნიერი იყოს!

**სალომე.** თუ კი სულს ამოგვაცლიან, სახლკარს წაგ-  
ვართმევენ, შარაგზაზე გამოგვყრიან, საღილან  
ვიქნებით ბეღნიერი? დამშეული და შიშველ-  
ტიტველი აღამიანი განა შეიძლება ბეღნიერი  
იყოს?

**ანიკო.** შეიძლება, დედა ჩემო, შეიძლება! მე მრწამს,  
რომ ლარიბი აღამიანი ხშირათ უფრო ბეღნი-  
ერია, ვიდრე მდიდარი. ბეღნიერება ხომ  
ფულში და ტანისამოსში არ არის!

**სალომე.** თუ-კი ლუკმას ამოგვაცლიან პირიდან, მარ-  
ტო ის ხომ არ გაგვაძლობს, ბეღნიერი ვარ-  
თო, რომ ვიძახოთ?

**ანიკო.** არ ამოგვაცლიან, დედა ჩემო! სულ უსამარ-  
თლობაც არ არის ქვეყანაზე, კაი კაციც  
ბევრია?

**სალომე.** (ადგება) კაი, კაი! ყველა თავის თავისთვინ  
არის კაი! სხვისთვინ კაი მე ჯერ არავინ  
მინახავს, ამხელა ქალი მოვიყარე. ყველა  
უსამართლოა, ყველა ურჯულოა, კაი არავინ  
არ არის. (კარებისკენ მიდის, შეა გზაზე შეწერ-  
დება და ანიჭსკენ მიიხედავს) ღარიბი ადამიანის-  
თვის ხომ არავინ არ არის კაი, ყველა ღა-  
რიბს აძრობს ტყავს, ყველა ღარიბს სჩაგრავს  
და თელავს ფეხქვეშ. აკი მოგვთელეს კიდეც!  
(გადის)

**ანიკო.** (მარტო) არა, დედაჩემო, გაჭირება მხოლოთ  
გლახასა და ლაჩარსა სთელავს, ესეიგი, იმის-  
თანა ადამიანს, რომელიც ისეც მოთელილ  
დაუბადებია ბუნებას. პირიქით, გაჭირება  
ამაგრებს ადამიანს, აძლიელებს მასში სულს  
შემოქმედებისას და ეს გაძლიერებული სული,  
როცა იქნება, იფეთქებს, გადმოხეთქავს, ქვე-  
ყანას გასწმენდავს. ვინ იცის, გაჭირება რომ  
არ ყოფილიყო, კაცობრიობის პროგლესიც  
არ იქნებოდა და, რაკი ადამიანი მდაბალი  
მხეცისაგან განვითარდა, გაჭირებაც აუცი-  
ლებელი იყო, რომ ადამიანი მხეცურს მდგო-  
მარეობაში არ დარჩენილიყო. გაჭირება ერე-  
კება ადამიანს წინ,—უამისოთ ისინი განცხრო-  
მას მიეცემოდნენ. არა, დედა ჩემო, გაჭირე-  
ბა ჩვენ არა გვთელავს, ჩვენ ის გვწროვნის,  
თვალს გვიხელს და ბლძოლას გვასწავლის,  
ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის. (საათს დას-  
ჩერებია) უუჰ! კარგა ხანს გაუვლია!.. შეუგნე-

ბელი ხალხი შეგნებას იჩენს, დაჩაგრულნა  
ძალას იკრებენ! ყველა კუთხის ღარიბ ღატაჭ-  
ნი თავს იყრიან, ერთდებიან და შორს აღარ  
არის ის დრო როცა ახალი ცხოვრება აღმო-  
ცენდება. (ჩაფიქრებული) ჩვენ-კი მოვესწრებით  
ამ დღეს? (ფიქრის შემდეგ) ეჭ, სულ ერთია,  
ჩვენ თუ არ მოვესწრებით, სხვები ხომ მოეს-  
წრებიან! (ქვეს იხერავს და გადის. სცენა რამდე-  
დენსამე ხანს ცალიერია, შემდეგ შემოდის სოსო.  
ქვეს იხდის, თმას გადიგარცხნის და დაჯდება)

სოსო. ჯერ-ჯერეობით კარგათ მიღის საქმე, (კარ-  
გაიღება და შემთდინ არჩილი, ლეგანი და სერგო)

ლევანი. (აღჩილს გააცნობს სოსოს) არ იცნობ?

სოსო. როგორ არ ვიცნობ?

ლევანი. ეს გიგოს მოადგილე იყო და, რადგანაც გი-  
გო დაიჭირეს, ახლა ამის ვაკანსია გაიხსნა,  
სანამ ამასაც არა სტაცებენ ხელს! (ჟერა-  
ოცინის)

სერგო. რა იცი, იქნება შენ მაგაზე აღრე გტაცონ  
ხელი?

ლევანი. თუ მტაცებენ და მაშინ ჩემი ვაკანსია გაიხსნება!

სოსო. არა, თუ სამართალია, ჯერ ჩვენ უნდა დაგვი-  
კირონ და მერე ეს კაცი.

ლევანი. ახალი ამბავი არ გაგიგიათ? ჩვენი არისტო-  
კრატია და ინტელიგენცია დამეგობრებას გვი-  
პირობენ!

სოსო. გავიგეთ, მერე რა გინდა?

ლევანი. რა და ის, რომ ამ დღეებში უთუოთ გამოგ-  
ზავნიან ჩვენთან ვისმე

სოსო. სად გამოგზავნიან?

ლევანი. სადა და აქ,

სოსო. მერე აქ ვინ მოასწავლა?

ლევანი. მე მოვასწავლე.

სოსო. რას სჩაღიხარ, რა ვქნა?

სერგო. მე გავიგე, რომ ინტელიგენციას უნდა დახმარება გაგვიწიოს, ხოლო, რასაკვირველია, ჩვენის მხრითაც ითხოვს ის დახმარებას. გამოგზანიან ჩვენთან ორ კაცს; ისინი ხომ ჯაშუშები არ არიან! მოვილაპარაკებთ და, თუ შევთანხმდით, ხომ კარგი; თუ არა და, დავშორდებით ერთმანეთს.

სოსო. ნუთუ ეჭვი გაქვს, რომ ჩვენს შორის რაიმე შეთანხმება ყოვლათ შეუძლებელია?

ლევანი. კაცო, რა ნაირათ ლაპარაკობ? დღეს ჩვენ-შია სხვადასხვა პარტიები! ყველას სხვადა-სხვა მიზანი აქვს, რასაკვირველია, მაგრამ უახლოესი მიზანი ყველასი ერთია: ბიურო-კრატიული წყობილების დამხობა! აი, ამ კით-ხვაში შეიძლება, რომ შევთანხმდეთ ყველა პარტიები და ერთმანეთი გავაძლიეროთ, ამ უახლოესი მიზნის განსახორციელებლათ.

ალჩილი. თითქმის ათი წელიწადია აგერ, ჩვენი პარტია რომ სამოქმედო ასბარეზე გამოვიდა. მან მაშინვე თხოვა დახმარება ინტელიგენციას, მაგრამ რა პასუხი მიიღო? ლანძლვა, გინება, მეტი არაფერი! დაიკარგეთ აქედან, თქვენ ვინა ყრიხართ, ვინ გამოგჩიკათ, ვისი ლეკვები ხართო, და სხვა ამგვარი. ჩვენ იძულე-

ბული გავხდით, მარტო გვევლო ცხოვრების  
გზაზე. ჩვენ საქმეს ვაკეთებდით და ამ საქმის  
კეთებაში ათასი უსიამოვნება განვიცადეთ.  
რას აკეთებდა ამ დროს ინტელიგენცია? ერ-  
თი ნაწილი ჩვენ გვლანძღვდა და სამშო-  
ბლოს მტრათ გვსახავდა, მეორე ნაწილი-კი  
თხოვნებსა სწერდა ერობისა, ნაფიც მსაჯუ-  
ლებისა და სხვათა შესახებ, და დღეს ჩვენ  
გზა გვიკვლიეთ ცხოვრების სიბნელეში.  
ინტელიგენცია მოდის, მას უკან მოსდევს  
არისტოკრატია და დახმარებასა გვთხოვს!  
დღემდის ის არც-კი გვაგდებდა არაფრათ და  
დღეს დასჭირდა ჩვენი დახმარება?

**ლევანი.** შე, კაი კაცო, იქნება ისინი დღემდე ცდე-  
ბოდენ და დღეს-კი შეიგნეს თვისი შეცდომა!

**სოსო.** არა, ჩემო ძმაო! აქ საქმე იმაში-კი არ არის, რომ  
თვისი შეცდომა შეიგნეს, საქმე, აი, რაშია:  
ინტელიგენცია ხედავს, რომ ცხოვრებამ  
მას ძალიან გაუსწრო წინ, უფსკრული მასა და  
ხალხს შუა დღითი დღე ლრმავდება; ხალხი  
თვითონ იკაფავს გზას სინათლისაკენ და ინ-  
ტელიგენციას ახლა შერცხვა; მას უნდა, ეს  
უფსკრული როგორმე ამოავსოს, რომ თქვას  
ბოლოს: მე ვაკეთებდი საქმეს, მე გაუწიე-  
ქვეყანას სამსახურიო. მაგრამ, ეს ყოვლათ  
შეუძლებელია. არისტოკრატიას კიდევ ეშინია:  
სანამ ძალა ბიუროკრატიის ხელში იყო, მისი  
ყურმოჭრილი მონა იყო; დღეს-კი არიტო-  
კრატია მელის როლს თამაშობს, დემოკრა-

ტობას აპირობს და ჰეთია, რომ ამისთანა  
ხრიკებით ვისმე შეცდომაში შეიყვანს.

**ლევანი.** მე მგონია, შენც დამეთანხმები, რომ ბიურო-  
კრატიულ წყობილების შეცვლაში ყველა და-  
ინტერესებულია, ამიტომ, თუ-კი ისინი ხელს  
შეგვიწყობენ, ჩვენ რა გვენალვლება?

**არჩილი.** მართალია, ბიუროკრატიულ წყობილების  
შეცვლაში ყველა დაინტერესებულია. მაგრამ,  
პირველი, რომ ამ საქმისათვის, იცოდეთ, ისინი  
იმდენათ არ არიან დაინტერესებულნი, რამ-  
დენათაც ხალხი, იმათ ალაპარაკებს ან შიში,  
ან სირცხვილი, ან იმერული კუდაბზიკობა,  
ხალს-კი გაჭირება და გაჭირების შეგნება ამო-  
ქმედებს. ამიტომ მათ არა თუ დახმარების,  
გაწევა არ შეუძლიათ, ხელს შეგვიშლიან,  
ხელს!

**ხერგო.** მე ერთ აზრს შამოვიტან, თუ მოგეწონებათ.  
თუ გულით თანაგვიგრძნობენ ისინი, მიიღონ  
ჩვენი პროგრამის მინიმუმი.

**ლავანი.** მე რაღას ვამბობდი, შე კაი კაცო? არ გაი-  
გებთ ადამიანისას და ეცემით ყრონტში. მე  
იმას ხომ არ გეუბნებით, რომ კომპრომისები  
დავიწყოთ,—ლმერთმა დაგვიფაროს. საჭე იმა-  
შია, რომ ინტელიგენციას სირცხვილის მო-  
შორება უნდა, სინიღისიერების დიპლომის  
თხოულობს ხალხისაგან და ჩვენც ვისარგებლოთ  
ამ გარემოებით; და, თუ-კი ხელს შეგვიწყო-  
ბენ, რა გვენალვლება?

**არჩილი.** იმათ კიდეც რომ მიიღონ ჩვენი პროგრამის  
მინიმუმი, მე მაინც ვერ ვენდობი მათ.

**სოსო.** კითხვა თანდათან ირკვევა: თუ მოგვმართავენ,  
ჩვენი პასუხი ერთი იქნება: თანაგვიგრძნობთ,  
ფულით დაგვეხმარეთ. სხვა რამე საერთო ჩვენ  
შორის დღეს შეუძლებელია.

**არჩილი.** ჩემი აზრიც სწორეთ მაგგვარია.

**სერგო.** მეტი აღარაფერია! დანარჩენი სხუმისთვის იყოს...  
ხომ ხედავ, გვაწყვეტინებენ. (ისმის რაზუნი) ვინა  
ხართ?

**ხმა.** იაზონ გელოვანი, საქმე მაქვს.

**არჩილი.** ღმერთმა დასწყვევლის მაგის თავი და ტანი,  
რა უნდა, აქ რომ მოეთრა? თუ ღმერთი  
გწამს, სხვა ოთახში გამიყვანე, არ მინდა მას  
შევხვდე.

**სოსო.** აი, იქით გადი, რაღაი აგრეა (არჩილი გადის  
მეორე ფთახში და მას გაუვებიან ჭევანი და სერგო.  
სოსო კარს უღებს იაზონს).

**სოსო.** მობრძანდით.

**იაზონი.** (ხელს ართმევს) ერთ დროს ვიცნობდით ერთ-  
მანეთს..

**სოსო.** მეონია.. დაბრძანდით.

**იაზონი.** უთუოთ გიკვირსთ, ეს კაცი რამ მოიყვანა  
ჩემთანაო. მაგრამ; აი, საქმე რაშია; დედა თქვენ-  
სა და დავით ლეონიძეს საჩივარი ჰქონდათ;  
ალბათ მოგეხსენებათ. მე გახლავარ დავითის  
ვექილი, ე. ი. დავითის ინტერესების დამცვე-  
ლი. დედა თქვენს ედება ხუთასი თუმანი ვალი.  
საჩივარსა და ერთმანეთში მტრობის თესვას.

ყოველთვის მშვიდობიანათ. მორიგება ჯობია.  
დავით თანახმაა მოგირიგდესთ ას თუმნათ.  
თქვენ თვითონ ითიქრეთ, სად ხუთასი თუმა-  
ნი, სად ასი თუმანი. მეტი პატიოსნება და  
სინდისიერება შეუძლებელია.

**სოსო.** (გაბრაზებული ზეზე წამოკარდება) არც დავითსა  
და არც თქვენ სინიდისი და პატიოსნების  
სუნიც-კი არსად გხლებიათ, სუნი! (დაჭის  
თახში).

**იაზონი.** (წამოდგება) თქვენი კილო მე არ მესმის.

**სოსო.** (შედგება) ის ხომ გესმით კარგათ, თუ რა საზიზ-  
ლარ საქმეს ჩადიხართ თქვენც და დავითიც!  
ეს ხომ კარგათ გესმით! და ჩემი კილო, აბა,  
თქვენთვის რა გაგების ლირსია!

**იაზონი.** მე თქვენთვის მხოლოთ კარგი მსურს და მე  
მეგონა, თუ სარგებლობას მოგიტანდით. ნება  
თქვენია (წასვლას აპირობს).

**სოსო.** მომითმინეთ. როდის მასესხა მე დავითმა ფული?  
ან რანაირად დამედვა მე მისი ხუთასი თუ-  
მანი?

**იაზონი.** თქვენ ხართ, თანახმათ იმ ანდერძისა, რომელიც  
ხელში გიკავიათ, ერთათ-ერთი მემკვიდრე  
სარდიონისა.. სარდიონს ემართა დავითის  
ოცდაათი ათასი მანეთი; ოცდა-ხუთი ათასში-  
სახლი დაფასდა. დანარჩენი თქვენ უნდა გა-  
დიხადოთ. ასეთია სამართალი და კანონი.

**სოსო.** თქვენ პატიოსნებას დაიფიცავთ, რომ ის ვექსი-  
ლები ყალბი არ არის?

**იაზონი.** რას ლაპარაკობთ? ვექსილები ნატარიუსის

ხელით არის შემოწმებული. ყალბი რომ იყოს,  
სამართალი იმათ მიიღებდა?

**სოსო.** მე იმას არ გვითხავთ, ნატარიუსმა დაწერა თუ  
არა. თქვენ იმაზე მიპასუხეთ, დავითს მართლა  
მიუკია სარდიონისთვის ოცდაათი ათასი მანე-  
თი, თუ არა?

**იაზონი.** მე მოწმეთ არ დავსწრებივარ.

**სოსო.** იცით რა? თქვენ თქვენი საკუთარი სინიდისის  
წინაშე ხრიკებით იფარავთ თავს. თქვენ დარ-  
წმუნებული ხართ, რომ ვექსილებში მართლა  
ფულია გაცემული?

**იაზონი.** დარწმუნებული რომ არ ვიყო, აქაც არ ვიქ-  
ნებოდი ახლა.

**სოსო.** (ადეჭვებული) მაშ წალით და თქვენს კლიენტს  
მოახსენეთ, რომ ისიც და თქვენც არივე  
უსინიდისონი ხართ, უსინიდისონი.

**იაზონი.** (გულმოსული). თქვენი უზრდელი სიტყვები  
უკან წაიღეთ, თორემ ინანებთ.

**სოსო.** (კარს ადებს) თუ ახლავე არ გასულხართ აქედან,  
კისრის კვრით გაგაბრძანებთ. (იაზონი გულმო-  
სული შეხედავს და გადის. სასა კარებს მაგრა  
მიხერავს და თითქმის უვარისით) აი, ჩვენი ინ-  
ტელიგენცია! აი, ვინ უნდა იხსნას ქვეყანა!  
აი, ვინ უნდა წაგვიძლვეს წინ! ყბედობა საქ-  
მეთ მიაჩნიათ, ფორმალიზმი სინიდისათ, პატი-  
ოსნება ერთი გროშისაც არ მოეპოებათ და  
გული-კი დიდი აქვთ. აი, ვის უნდა შევუ-  
ერთდეთ! სტყუით, ყველა სტყუით! გიცანით,  
გიცანით, რა ღირსების ხალხიც ბრძანდებით!

- (შემთდიან ამ დროს არჩილი, ლევანი და სერგო).  
**სერგო.** რა გაყვირებს, კაცო, რა დაგემართა?  
**სოსო.** მაყვირებს კი არა, ერთ წამს რომ კიდევ გაჩერებულიყო, ამ სკამს შიგ შუბლში დავარტყამდი, მაგრამ მალე გაქუსლა. სხვა ღირსებასთან ლაპრებიც-კი არიან, მცირედი გამბედაობა არ გააჩნიათ.  
**არჩილი.** ჩვენ ინტელიგენციას შენ მოთხოვე მოქალაქობრივი გამბედაობა! (სერგო და ლევანი ჭუდს იხურავენ სიტუაციით: ნახვამდის!)  
**ლევანი.** (შედგება და არჩილს) შენ არ მოღიხარ?  
**არჩილი.** მე ჯერ არ წამოვალ, საქმე მაქვს ცოტი. (ლევანი და სერგო გადიან) სოსო, მე ძალიან მაინტერესებს, რისთვის იყო. შენთან იაზონი, და, თუ დასამალავი არაფერია, გთხოვ, გამაგებინო.  
**სოსო.** დასამალავი რა უნდა იყოს? დავითს არ იცნობ, ლეონიძეს?  
**არჩილი.** როგორ არ ვიცნობ? მე იმის ოჯახში ვცხოვ-რობ, მის შვილს ვასწავლი.  
**სოსო.** დავითის ბიძას, სარდიონნსაც, იქნება, იცნობდი. ის ჩვენი უკანონო მამა იყო.  
**არჩილი.** (გაჟირვებული) რას მეუბნები! პირველათ მეს-მის: მაშ შენს ძარღვებშიაც თავადის სისხლი დუღს?  
**სოსო.** (დიმილით) დედა ჩემი მოახლე იყო და, მე მგონია, გლეხის სისხლი უფრო მეტი უნდა მქონდეს. ის სახლები, რომელშიაც ახლა დავითი დგას, სარდიონის საკუთრება იყო, სარდიონს თურ-

მე ჯვარის დაწერაც უნდოდა დედა ჩემზე, მაგრამ შეუჩენ ნათესავები, ისიც ტუტუცი იყო და დედაჩემს გაშორდა, მხოლოთ ანდერძი მიეცა დედა ჩემისთვის, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი სახლები შენიაო. ამ სახლებს გარდა მას ყველაფერი შეჭმული ჰქონდა. იმის გარდაცვალების შემდეგ დედა ჩემმა ანდერძის ძალით საჩივარი დაიწყო. მე არაფერი გამაგებია, თორემ სულ დავხევდი იმ ანდერძს. სასამართლოში დავითმა ოცდათი ათასი მანეთის ვექსილები წარმოადგინა, ვითომ მას ესესხებიოს სარდიონისთვის!. სახლი დედა ჩემს დარჩა, მაგრამ ოცდახუთი ათას მანეთში თავითმა დაინარჩუნა და ხუთი ათას მანეთს. კიდევ ჩვენ გვახდევინებს, რადგანაც ანდერძის ძალით დედაჩემია სარდიონის მემკვიდრე.

**არჩილი.** (ზეზე წამოხტება) აა, ახლა მე ყველაფერი მესმის! სარდიონი რომ კვდებოდა, დავითი კინალამ ჭკუაზე არ შეიშალა, იმ დღესვე მოიყვანა ნატარიუსი და ის ვექსილები იქ დაწერეს. სარდიონს არავითარი აზრი აღარა ჰქონია, მაგრამ ახალგაზრდა ექიმმა სავანელმა აზრიანათ შეამოწმა! ხა, ხა, ხა, აი არისტოკრატია და მისი ინტელიგენცია! მერე იაზონს რაღა უნდოდა შენთან?

**სოსო.** დავითს ახლა ფულები დაჭირებია. კენჭობიაა და აღბათ ზუთხებში ჭირდება და იაზონი მოციქულათ გამომიგზანა: ხუთას თუმანში. ნაღდ ას თუმანს დაგჯერდებიო.

არჩილი. ლმერთო, ნუთუ ამგვარი უსინიდისობაც  
შეიძლება? მერე ვინ ჩადის ამას? ვინ და, კა-  
ცი, რომელიც მარშლობას ეძებს, და გავა  
კიდეც! ვინ და, კაცი, რომელსაც თავი საზო-  
გადო მოლვაწეთ მოაქვს! ვინ და, ახალგაზრდა  
ინტელიგენტი! ხა, ხა, ხა, მალე სიტყვები  
„თავადი“ და „ინტელიგენტი“ სალანძლავ სახე-  
ლებათ გახდება! შენ რას აპირობ ახლა?

სოსო. მეც არ ვიცი, რა ვქნა.

არჩილი. ასე გაჩერება არ ვარგა. იმ ხუთას თუმანს ის  
უსათუოთ გადაგახდევინებს, თუ ხმა არ ამოი-  
ღე.

სოსო. მაშ რა ვქნა?

არჩილი. რა ქენი და, საჩივარი უნდა დაიწყო. რო-  
გორც ორჯერ ორი—ოთხია, ისე დავამტკი-  
ცებ, რომ ის ვექსილები ფიქციაა და იმავე  
ლამეს შეთხული, რა ლამესაც ავათმყოფი  
კვდებოდა. ჩემთან წერდენ ვექსილებს და ამას  
ვერ დავამტკიცებ?! დროა, გაიგოს საზოგა-  
დოებამ, თუ ვინ ცდილობს მისი საქმეების  
სათავეში ჩადგომას. გესმის?! — საქმე უსათუოთ  
უნდა დაიწყო. ნახვამდის! (ქუდის იხურავს და  
გადის, სოსო ჯიბეებში ხელ-ჩაწყალი რამდენსა-  
მე ხანს თთახში დადის)

სოსო. (შედგება) ვინ არის კარგი აშ წოდებაში, მე ვე-  
ღარ გამიგია, ყველის ტყავს აძრობენ, ყვე-  
ლის ატყუებენ, უსინიდისობას სჩადიან და  
საუკეთესო მათგანი უსინიდისობას ხელს უწ-  
ყობს და ხელს აფარებს. არავინ არის

კარგი. (სიაჲული განაგრძობს) დასალუპავი არიან და, რაც აღრე დაილუპებიან, მით უმჯობესია. ან კი რა მოეთხოვებათ? ქონებით დაღატაკდენ, ზნეობით და გონებით არაოდეს არ ყოფილან მღიღარნი, მაღა-კი ყოველთვის დიდი ჰქონიათ, და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ არსებობისათვის ბრძოლაში. ერთის სიტყვით, სულ როსკიპობაა, როსკიპობაა სინიდისით, ნამუსით, პატიოსნებით, თავმოყვარეობით! (შემთდის საჭრებე)

**სალომე.** შვილო, ახლა მაინც გამოიდევი თავი, შენ გენაცვალე! ხომ ხედავ, რავა წევიდა ჩვენი საქმე.

**სოსო.** რავა წევიდა?

**სალომე.** რავა წევიდა და, ის ურჯულო კაი ხუთას თუმანს გვაწერს კისერზე, ლისტს გამოიტანს და რაღა დაუდგება წინ? წაგვაროთმევს ამ ერთ კვალ მიწას და შარაგზაზე გამოგვყრის.

**სოსო.** მე და შენისანა აღამიანი რომ გამდიდრებას მოისურვებს, ასე მოუვა, დედა ჩემო! თავში არ დამიჯერე, რამდენჯერ გეხვეწე, დახიე ეს ოხერი ანდერძი, დახიე-მეთქი, მარა არ ჰქენი და ახლა მე რაღა მოვაგვარო?

**სალომე.** რათ დამეხია, შვილო, რას ამბობ? თუ სადმე სამართალია, ის ოხრათ დასარჩენი სახლები, მაინც ოხრათ დარჩა მისი პატრონი, ჩემი იყო, აბა ვისი იყო? ჯვარ-დაწერილი რომ არ ვიყავი, ცოლი არ ვიყავი თუ? ახლა ასე იძახით ყველა, ჯვარის წერა აღარ უნდა იყოსო, და ჩემზე აღარ ჭრის ეს თქვენი ახალი კანონი?

(შემთდის აშ დროს ანიკო, ქუდის იხდის და მაგრა  
დაზე დადებს) თავში ქვა უხლია, არ მინდა  
მისი სახლები, ოლონდ...

**ანიკო.** (გაწევეტინებს) დედა ჩემო, რას ჩააცივდი აშ  
სახლებს? რათ გინდა ნეტავი ეს სახლები?  
სანამ სახლები არა გვქონდა, მშვენიერათა  
ვცხოვრობდით; ჯერ სახლები ჩვენი არ არის,  
ღვთის მაღლით, არც გახდება ჩვენი, და შენ  
კი მოსვენება აღარა გაქვს. მართლა რომ გაწ-  
ყრეს ღმერთი და სახლები დაგვრჩეს, ხომ  
მთლათ შეიშლები?

**სალომე.** ქონება ვის მოჭარბებია, შვილო? ნეტავი,  
იმისთანა სახლები ათიც მქონოდა, მე იმას არ  
გადავყრიდი.

**ანიკო.** მაღლობა ღმერთს, რომ არა გაქვს.

**სალომე.** აჰა, შვილო, შენ ჯერ გაჭირება არ გამო-  
გიცდია, რა არის!

**ანიკო.** გაჭირებისთანა კარგი, დედა ჩემო, არა-  
ფერი არის, გაჭირებას ქვეყანაზე არაფერი  
შეედრება. მე რომ გამოჩენილი მექანდაკე  
ვიყო, გაჭირებას, სილარაკეს, სიმშილს, ძონ-  
ძებს — მარმარილოს ძეგლს დაუდგამდი და  
ზედ ოქროს ასოებით დავაწერდი; შენ ხარ  
წყარო სინიღისისა, პატიოსნებისა, სიყვარუ-  
ლისა, გმირობისა. არა, დედა ჩემო, მერწმუნე,  
სიმღიღრეს სილატაკე ჯობია. (კარის რაზუნი  
ისმის, სოსო კარს გააღებს. შემთდის დიმიტრი და  
წერილს გადასცემს სოსოს).

**დიმიტრი.** ბარიშნამ გამოგიგზანათ.

**სოსო და ანიკო.** (ერთად) ვინ ბარიშნამ?

**ლიმიტრი.** (დიმილით) ვერ მოგახსენებთ, ნება არა მაქვს.  
(თავს უკრავს და სწრაფათ გადის. სოსო წერილს  
გასწის, კითხულობს და შემდეგ დიმილით დას.  
გადასცემს. ანიკო ხმამაღლა კითხულობს).

**ანიკო.** „ამაღამ ან ხვალ ელოდეთ, დასმენილი ხართ,  
დამიჯერეთ! უცნობი ქალი.“

**სალომე.** ჩვენთან რა უნდათ?

**ანიკო.** აქ ფიქრი საჭირო არ არის. (ანიკო და სოსო  
დატრიალდებიან).

(ფარდა.)

## მოქმედება მეოთხე

(სცენა იგივეა, რაც პირველ მოქმედებაში. მატრონა და დი-  
მიტრი ზალას ასუფთავებენ. დიმიტრი იატაკს წმენ-  
დავს)

**მატრონა.** კარგათ გაწმინდე, რავა აფრატუნებ ფეხებს?  
მამიშენის სახლი ხომ არა გვონია?

**დიმიტრი.** (შედგება და შეხედავს) მამაშენს ხომ უკეთესე-  
ბი უდგია?

**მატრონა.** უკეთესები თუ არ უდგია, უკეთესები მაინც  
უნახავს; შავი ზღვა და თეთრი ზღვა სულ  
შემოვლილი აქ და მამაშენს რა უნახავს,  
შე საწყალო?

**დიმიტრი** (განაკრძობს იატაკის წმენდას) ეგ ქენი, ეგ!

რაც დღეს აქ დამშეული კნიაზები მოვლენ, იმდენი კიდევ უნახავს. საკვირველია ამათი საქმე, საცა ქვაბი გეირიხინებს, ესენიც იქ ამოყოფენ თავს, მარა ე ჩვენი კნიაზი რაღამ გაასულელა? დღეს ჩვენმა პოვარმა ჩემხელა ზუთხი მოათრია. ერთ მუშას ძლივს მოქონდა!

**მატრონა.** აბა, რომ არ გესმის, რაღას ლაპარაკობ? ჩვენი კნიაზი მიტომ პატიქობს დღეს ამდენ ხალხს, რომ მარშლათ ამოირჩიონ.

**დიმიტრი.** მერე ზუთხები რომ არ აჭამოს, ისე არ ამოირჩევენ?

**მატრონა.** შენ გვინია, მარტო ჩვენი კნიაზი მართავს სადილს? სხვებიც მართავენ. ვინც უკეთესი მასპინძელი იქნება, იმას ამოირჩევენ, აბა რავა გინდა? ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ და მარშლათ ამოგირჩიო, არა?

**დიმიტრი.** მერე, რა ეშმაკათ უნდა ე რაღაც მარშლობაა?

**მატრონა.** აი, სულელი! როგორ თუ, რათ უნდა? მარშალი რომ იქნება, მაშინ ყველასი უფროსი იქნება, და შემოსავალიც მეტი ექნება, ახლაკი ყელამდე ვალებშია.

**დიმიტრი.** კიდე დიდი ჭკუის კაცია, თორემ ამდენ ხარჯებს ცოტა ფული უნდა? იმ ზუთხში დღეს ალექსის ორმოცი მანათი მიეცა, ერთ სამიოდე მანათს მარტო იმ ზუთხში გამორჩებოდა! (გულში შეშტრის ჩაირტყავს და თავს გააჭინევს) ვაი მის ტყავს! მარტო დღევანდელ

საღილში ის ერთ თუმან ფულს დააძრობს.  
ეს, მამა ჩემს-კი რა ვუთხრა! პოვრათ მაინც  
გამოვეზარდე. ლაქის ხელობაში არაფერი  
გამორჩენა არ არის. (შემთდის ამ დროს დავითი,  
გაზეთით ხელში, გულმოსულია).

**დავითი.** (დიმიტრის) წალი კუხნაში და პოვარს უთხა-  
რი, რომ შუაზე გასკდეს და ერთი ზუთხი  
კიდევ მიშონოს! (დიმიტრი შიდის) მოიცა! (ჯი-  
ბიდან პთორმანს ამთიღებს და ფულს აძლევს) აპა,  
ეს ათი თუმანი მიუტანე, ერთი ზუთხი კიდევ  
უნდა მიშონოს, რაც უნდა დაუჯდეს, ახლა-  
ვე, გესმის? (დიმიტრი გარბის, მატრონა მიდის).  
ას კაცს ვპატიჟობდი, ახლა ორასს მოვუყრი თავს  
და მაშინ ვნახავ, როგორ გამაშავებენ! (გა-  
ზეთზე არტყამს თითებს). ერთი მომცა ახლა  
ხელში ამის ავტორი, რომ თმისაგან გავცა-  
ლო, თმისაგან! შური, შტრობა, ღვარძლი,  
აი, ჩვენი მწერლობა. ასეთ, ღროს როდესაც  
საჭიროა გამოქომაგება, ამხანაგრბა, მლან-  
ძლვენ, მაგინებენ და მიწასთან მასწორებენ!  
ეს სულ დიაკვნის შვილების საქმეა, სულ  
იმათი! ერთს ხომ ამოვაყოფინე თავი იქ!  
(ცერს უკან გაიშვერს) სხვებსაც იქით გავგზანი.  
არავის არ დავზოგავ, არავის. და ვნახოთ, მე  
უფრო ძლიერი ვარ, თუ ისინი, მე ვაჯო-  
ბებ, თუ ისინი მაჯობებენ! (შემთდის ამდროს  
იაზონი) როგორ მიდის, იაზონ, საქმე?

**იაზონი.** კარგათ წავა, ნუ გეშინია. მხოლოთ საჭი-  
როა, რაც შეიძლება მეტ ხალხს მოუყაროთ

თავი. მოპირდაპირეს იმგვარის იარაღით უნდა ებრძოლო, როგორითაც ის გებრძვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დამარცხებული გამოხვალ. პრინციპიალურათ მე წინააღმდეგი ვარ სადილებისა, მაგრამ პრაქტიკულათ ეს შეუძლებელი გამოდგა! ჩვენი ხალხი პურმარილის ხალხია, პურმარილის გატეხა უზნეობათ, სასირცხო საქმეთ მიაჩნია და, შენ თუ კარი ჩაუკეტე და სხვამ სუფრა გაუშალა, ძალაუნებურათ ამ სხვას მიერჩობა და შენ გაგაშავებს. ჩვენი მოწინააღმდეგენი დიდ ფათურში არიან და ჩვენც უნდა დავთათურდეთ.

**დავითი.** რამდენიც გინდათ, იმდენი მოიყვანეთ ხალხი, ამ ორ-სამ დღეს ორას კაცს-კი არა, ხუთასს შევინახავ და ჩემსას-კი გავიტან; რამდენიც უნდა ჩმახონ, მაინც გავიტან!

**იაზონი.** (გაზეთს ართმევს) ამ წერილშა აგაღელვა? ასაღელვებელიც არის; მით უმეტეს, როდესაც ეს წერილები შენსავე სახლში იწერება.

**დავითი.** როგორ თუ, შენსავე სახლში?

**იაზონი.** დიალ, შენსავე სახლში: არჩილის პოეზია გახლავთ!

**დავითი.** შეუძლებელია!

**იაზონი.** ნამდვილის წყაროებიდან ვიცი. წინანდელი წერილებიც მაგისი იყო. არ გახსოვს, ზამთარში რომ იბეჭდებოდა „სადღეისო კითხვების.“ სათაურით? და ეცეს მაგისია.

**დავითი.** მე მაინც არა მჯერა! მაგას რა აქვს ჩემს წინა-

აღმდეგ? ვასმევ, ვაჭმევ, ჟარჩენ, ფულს ვაძლევ და სხვას რას ვუშვებ?

**იაზონი.** ეგ ლიდერია ჩვენი ოპოზიციისა და ამიტომ ყევხარ მიზანში ამოღებული. დღეს შენსკენ გამოილა შქრებენ, ხვალ ჩემსკენ! არა, მაგათი ანგარიში სწორია, თუ დაგვამარცხეს.

**დავითი.** (აღელგებული) დღესვე უნდა გავაგდო ის ჩემი სახლიდან, დღესვე (შუბლში ხელს შამთაქრავს) ვის მივანდე ჩემი შვილის აღრწდა.

**იაზონი.** შენგან არ მიკირს, დავით?! მაგისთანა მოპირდაპირები სასაცინოთაც არ უნდა გყოფნიდეს, როგორ ათხოვებ ყურს? საუკეთესო საშუალება მაგათ დასამარცხებლათ სიჩუმეა. დეյ, თავი იქციონ, თორემ თუ ხმა გავეცით, თურმე ჩვენც კაცები ვყოფილვართო, იფიქრებენ და მეტი ხომ მაგათაც არა უნდათ-რჩ: დაპკრავენ ბუკა და ნალარას!

**დავითი.** ამ წერილების შემდეგ შემიძლია ის ჩემს სახლში გავაჩერო კიდევ?

**იაზონი.** დეյ, თავისი როლი მან ბოლომდე შეასრულოს. პირიქით, მე გთხოვ, რომ დღევანდელ მოლაპარაკებაზე დაესწროს; ამისი იმას დიდი მუცლის ტკივილი აქვს. არჩევნების შემდეგ ამოუსვი პალური და უთხარი: რაც შენი საქმე არ არის, იქ ნუ ეჩირები, მეცამეტე გოჭივით-თქო,— მანამდი-კი ყურსაც ნუ ათხოვებ. ეს უკეთესი ტაქტიკა იქნება. (საათს დაჩერება) შენ უნდა წახვიდე და გრიგოლი მოიყვანო, მართალია, შეგპირდა, მაგრამ ხომ იცი მისი

ამბავი? დიღი პრინცების პატრონი არ არის  
და ამიტომ ხელი მაგრათ უნდა ჩაჭიდო, თო-  
რემ გაგვიშვება, უდროო-დროს გვილალატებს.

**დავითი.** მართალი გითხრა, უხერხულათ მიმაჩნია მას-  
თან მისვლა. მოვა თვითონ, როგორ მოგვა-  
ტყუებს?

**იაზონი.** ჯერ არავინ მოუტყუებია! აღარ გახსოვს,  
ლორთქიფანიძეს რომ შეპირდა, თეთრს მოგ-  
ცემო, და შავი-კი სტკიცა? ასე გიზამს შენც!

**დავითი.** (ადგება) სანდო კაცი მართლა რომ არ არის  
(მიდის).

**იაზონი.** (მარტო) ეს ჩემი სიმამრი თუ გავათეთრეთ,  
თუნდა დირექტორის სკამზე ახლავე ვიჯდე!  
საპატიო ადგილია და შემოსავალსაც არა  
უშავს-რა! (შემოდის ჭიქტორი თაიგულით ხელ-  
ში და ხელ-გაურილი შემოუვება ბაბალე)

**ბაბალე.** რა მშვენიერი დღეა!

**ვიქტორი.** ასეთ მშვენიერ დღეს გაშავება სასიამოვნო  
არ უნდა იყოს!

**იაზონი.** გაშავება არასოდეს არ არის სასიამოვნო, ყო-  
ველი ადამიანისთვის რომელიც საზოგადო  
მოლვაწეობას აპირებს, გაშავება ნახევრიათ  
სიკვდილია. ჩემს თავზე გეტყვით: მე რომ გა-  
მაშავონ სადმე, ენერგია მოქმედებისა ნახევ-  
რიათ შემისუსტდება.

**ვიქტორი.** საკვირველი ორფეხია ადამიანი! გაიხედეთ,  
ბუნებაში სიყვარული და მშვენიერება მთელ-  
თავისი სიღიადით გაბრწყინებულია, და  
ჩვენ იმის მაგიერ, რომ ამ დიადი სურათით

აღმდეგ? ვასმევ, ვაჭმევ, ჟარჩენ, ფულს ვა-  
ძლევ და სხვას რას ვუშავებ?

**იაზონი.** ეგ ლიდერია ჩვენი ოპოზიციისა და ამიტომ  
ყევხარ მიზანში ამოღებული. დღეს შენსკენ  
გამოილა შქრებენ, ხვალ ჩემსკენ! არა, მაგათი.  
ანგარიში სწორია, თუ დაგვამარცხეს.

**დავითი.** (აღელგებული) დღესვე უნდა გავაგდო ის ჩემი  
სახლიდან, დღესვე! (შებლში ხელს შამოიკრავს)  
ვის მივანდე ჩემი შვილის აღრჩდა.

**იაზონი.** შენგან არ მიკირს, დავით?! მაგისთანა მოპირ-  
დაპირები სასაცინოთაც არ უნდა გყოფნიდეს,  
როგორ ათხოვებ ყურს? საუკეთესო საშუალე-  
ბა მაგათ დასამარცხებლათ სიჩუმეა. დეე, თა-  
ვი იქციონ, თორემ თუ ხმა გავეცით, თურმე  
ჩვენც კაცები ვყოფილვართო, იფიქრებენ და-  
მეტი ხომ მაგათაც არა უნდათ-რჩ: დაპკრავენ  
ბუკა და ნაღარა!

**დავითი.** ამ წერილების შემდეგ შემიძლია ის ჩემს სახლ-  
ში გავაჩერო კიდევ?

**იაზონი.** დეე, თავისი როლი მან ბოლომდე შეასრულოს.  
პირიქით, მე გთხოვ, რომ დღევანდელ მოლა-  
პარაკებაზე დაესწროს; ამისი იმას დიდი მუც-  
ლის ტკივილი აქვს. არჩევნების შემდეგ ამო-  
უსვი პალური და უთხარი: რაც შენი საქმე  
არ არის, იქ ნუ ეჩხირები, მეცამეტე გოჭივით-  
თქო, — მანამდი-კი ყურსაც ნუ ათხოვებ. ეს  
უკეთესი ტაქტიკა იქნება. (საათს დაჩერება)  
შენ უნდა წახვიდე და გრიგოლი მოიყვანო.  
მართალია, შეგპირდა, მაგრამ ხომ იცი მისი

ამბავი? დიდი პრინციპების პატრონი არ არის  
და ამიტომ ხელი მაგრათ უნდა ჩაჭიდო, თო-  
რემ გაგვიშვება, უდროო-დროს გვიღალატებს.

**დავითი.** მართალი გითხრა, უხერხულათ მიმაჩნია მას-  
თან მისვლა. მოვა თვითონ, როგორ მოგვა-  
ტყუებს?

**იაზონი.** ჯერ არავინ მოუტყუებია! აღარ გახსოვს,  
ლორთქიფანიძეს რომ შეპირდა, თეთრს მოგ-  
ცემო, და შავი-კი სტკიცა? ასე გიზამს შენც!

**დავითი.** (აღგება) სანდო კაცი მართლა რომ არ არის  
(მიდის).

**იაზონი.** (მარტო) ეს ჩემი სიმამრი თუ გავათეთრეთ,  
თუნდა დირექტორის სკამზე ახლავე ვიჯდე!  
საპატიო ადგილია და შემოსავალსაც არა  
უშავს-რა! (შემოდის ვიქტორი თაიგულით ხელ-  
ში და ხელ-გაურილი შემოუვება ბაბალე)

**ბაბალე.** რა მშვენიერი დღეა!

**ვიქტორი.** ასეთ მშვენიერ დღეს გაშავება სასიამოვნო  
არ უნდა იყოს!

**იაზონი.** გაშავება არასოდეს არ არის სასიამოვნო. ყო-  
ველი ადამიანისთვის რომელიც საზოგადო  
მოღვაწეობას აპირებს, გაშავება ნახევრიათ  
სიკედილია. ჩემს თავზე გეტყვით: მე რომ გა-  
მაშავონ სადმე, ენერგია მოქმედებისა ნახევ-  
რიათ შემისუსტდება.

**ვიქტორი.** საკუირველი ორფეხია აღამიანი! გაიხედეთ,  
ბუნებაში სიყვარული და მშვენიერება მთელ  
თავისი სიდიადით გაბრწყინებულია, და  
ჩვენ იმის მაგიერ, რომ ამ დიალი სურათით

დავტკბეთ, საღაც მივისწრაფით; რაღაცას ვე-  
ძებთ! ეჭ, ფუჭია ყოველისფერი, რაც ბუნებას-  
თან გაშორებულია, და თვით ცხოვრებაც,  
ბუნებას დაშორებული, ცალიერი სისულელეა.

**ბაბალე.** ბუნება და ყოველისფერი ბუნებრივი — ეს თვით  
ღვთაებაა: აღამიანი, აი, მას უნდა სცემდეს  
თაყვანს.. მაგრამ ჩვენ ბუნებას გავურბით,  
ბუნებრიობას ვსდევნით და აქ არის სათავე  
ჩვენის უბედურებისა, უკმაყოფილებისა, ნერ-  
ვებ-აშლილობისა.

**ვიქტორი.** აღამიანი სწორეთ მაშინ არის მკვდარი, რო-  
დესაც ის ბუნებას გაურბის. სიცოცხლე ბუ-  
ნებაა.

**რაზონი.** შეიძლება, ბუნება სიცოცხლე იყოს, მაგრამ  
სიცოცხლე უაზრო, უსულო, უგულო. აღამი-  
ანმა უნდა უააზრიანოს ეს სიცოცხლე, სუ-  
ლი უნდა შთაბეროს, გული უნდა ჩაუდგას.  
ეს-კი მოსახერხებელია მხოლოდ საზოგადო-  
ებაში მოქმედებით, მოღვაწეობით. (ბებალე ამ  
დროს პიანინთს მიუჯდება) არ გეთხოვებით, მე  
მალე მოვალ. მართლა, ვიქტორ, შენ რამდენი  
გვიშონე კენჭი?

**დავითი.** ვისაც დაგპირდით, ისინი თუნდა ჯოჯოხეთში  
ჩამოვყვებიან (იაზონი გადის).

**ბაბალე.** ასე მგონია, თითქოს ახლა დაფიბადე-მეთქი.  
ყოველი შენი კოცნა ნექტარივით დამივლის  
ხოლმე მთელ ტანში. მხოლოდ ახლა ვსცანი,  
თუ რა არის ნამდვილი სიყვარული, თუ რა  
ძალაა, ნამდვილ კოცნაში! მე მგონია, აღამი-

ანი კოცნილან გაჩნდა ისე, როგორც ნაპერ-  
წყალი ჩნდება ტალკვესილან.

**ვიქტორი.** ესეც ამიხსენი, ვისი კოცნით წარმოიშვა  
აღამიანი? შენ რომ ასი წლის წინეთ დაბადე-  
ბულიყავი, ჩემო საყვარელო, გამოჩენილი  
მეტაფიზიკი იქნებოდი.

**ბაბალე.** წყალსაც წაუღია ყველა მეტაფიზიკები! უამსაც  
მოუსრესია მთელი ქვეყანა, შენს გარდა, ჩემო  
კოკობო! (ტუჩებს თითებით მოსწევს) მე სწორეთ  
ან გავგიუდები, ან თავს მოვიკლამ, ან საში-  
ნელ სისაძაგლეს ჩავიდენ რასმე! ხანდახან  
ისეთი აზრი მოშივლის, რომ მზაოთ ვარ, და-  
ვითი მოვკლა! ხან-კი ჩემი თავის მოკვლის  
ვიფიქრებ, მაგრამ იცი, რა შემაჩერებს ხოლ-  
მე?

**ვიქტორი.** რა?

**ბაბალე.** წარმომილგება მაშინ, ვითომ შენ დამივიწყე  
და ჩემს ალაგას სხვას. ეხვევი. მაშინ მებადება  
ხოლმე უზომო წყურვილი, უზომო სიყვარუ-  
ლი სიცოცხლისა. შენ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემო  
კარგო! (ეხვევა და შადიან საწოლ დთახისკენ)  
მხოლოთ ჩემი, და შენს გვერდით მე არავის  
არ გავახარებ. იცოდე, შენს თავს. მე ვერავინ  
წამართმევს, ვერავინ, ვერასოდეს! (გადიან და  
კარს მაგრათ ჩაიგეტენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ  
შემთდის დიმიტრი).

**დიმიტრი.** რაც რამ სიგლახეა, სულ ამ განათლებულ  
ხალხშია. არაფრის არა რცხვენიათ! მთელი  
ქვეყანა ლაპარაკობს, დოხტური კნეინას ყვა-

რობსო, და ჩვენი კნიაზი ყურებსაც არ აპარ-  
ტყუნებს! სულ სიცილით დახვდება ხოლმე  
დოხტურს, ვითამდა არაფერი არ ვიციო. რა  
შვილმა არ იცის! ჩემის თვალითა ვნახე, ერთ-  
მანეთს რო კოცნიდენ, ჩემის თვალით! აღარა-  
ვის აღარ უმალავენ... მამა ვაცხონე მაგათი  
და დედა! მეტი რა შერჩებათ! (გულში ხეჭა-  
ჩაიჯრავს და თავს გააქვევს). კაი ქალი კია ჩვენი  
კნეინა. ხო: ხანში შესულია,— მაინც ეშხიანია,  
ეშხიანი! ჰაი დედასა, დოხტურო, რა ქალს  
აბურთავებ! საყვარელი, აი, მისთანა უნდა!...  
მაგისთანა საყვარელს არც მე დავიწუნებდი...  
როგორ, მე დოხტურზე ნაკლები ბიჭი ვარ  
თუ?! (სარკეში იხედება და ულვაშებს გადიგრებს)  
ფიიე! როდი პრაწავენ თურმე თვალებს ჩემ-  
ზე ჩვენი სოფლის გოგოები! (შემოდის მატრო-  
ნა) ეს ბარიშნაც ძალიან მიპრაწავს თვალებს;  
მარა ვერა, შენ ასე ადვილათ ვერ მოგართ-  
მევთ!

**მატრონა.** ეს უბედური მთელი დღე სარკეში ყურების  
მეტს არაფერს აკეთებს და კიდევ დიდგულ-  
ზეა, ცოტა ჯამაგირი მეძლევაო! მე რომ შე-  
ნი ბატონი ვიყო, ერთ დღეს არ დაგაყენებ  
სახლში, ერთ დღეს!

**დიმიტრი.** (ფითომ და ეხვევა) ნუ გამირისხდები, ჩემო  
ხელმწიფე, შენ შემოგევლოს, ვინც შენ  
გჯობდეს.

**მატრონა.** იქით გეიწი! ქალბატონი სად არი?

**დიმიტრი.** რა საქმე გაქ ქალბატონთან?

**მატრონა.** შენი რა საქმეა? ალბათ, მაქ კიდეც, თუ ვკი-  
თხულობ!

**დიმიტრი.** შენმა სიცოცხლემ, ქალბატონს ახლა შენ-  
თვის ცალია! ბუღასავით ბიჭი ყავს ოთახში-  
ჩამწყვრეული!

**მატრონა.** ენა-კი გაგიხმა, ენა, რა მყრალი ლაპარაკი:  
შენ იცი! (მიდის).

**დიმიტრი.** (მიმავალს) რა გითხარი მყრალი? შენ-კი პირს  
დაიწვამ, რომ ოთახში ჩამიწყვრიო, არა? მარა-  
ვერ მოგართვი პატრიჯანი!

**მატრონა.** (კარებიდან შემთუბრუნდება) მიწაში ჩაემწყვრიე,  
მიწაში! (კარებს გაიხურავს)

**დიმიტრი** (გამოუდგება) შენთანა, შენ-კი შამოგევლე, შენ-  
თანა! (ამ დროს კარები გაიღება და თრი ჩახიანი  
კნიაზები დიმიტრის შეეფეხებიან, დამშტრი დარ-  
ცხვენილი უკან დაიხევს) მობრძანდით, ბატონე-  
ბო, მობრძანდით. (დიმიტრი გადის, კნიაზები  
სარკესთან დადგებიან და ცანისამდს ისწორებენ;  
ულფაშებს იგრეხენ).

**პირველი კნიაზი.** გუშინ მთელი დღე ზეზე არ ავმდგარ-  
ვარ; წარმოიდგინე, გუშინ-წინ ოთხ საათზე  
რომ დავჯექით, გრანდოტელში, დილის ექვს-  
საათზე ავდექით! რა ლვინო ჩვენ დავლიეთ!!  
ჩავიხოცეთ, შიგ, ჩავიხოცეთ! ახლაც-კი გა-  
რეტებული მაქვს თავი.

**მეორე.** მაშ შენ, გეტუობა, დღეს ველარ დალევ!

**პირველი.** ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, რატომ ვერ-  
დავლემ? კუჭი სახლში დამრჩა, თუ? აქ არის,  
აქ! (მუცელზე ხელს ირტეამს) თუნგი ლვინო-

ულაპარაკოთ ჩადის; ლაპარაკითა და ხვეწნით  
ერთ თუნგს კიდევ ჩავიყვან და, ერთ დალე-  
ვაზე თუ მეტი დავლიო, ლოთი დამიძახე.  
რაც უნდა მეხვეწო, ზედ რომ გადამაკვდე,  
ერთ შვეთს მეტს აღარ დავლემ! რა ვქნა,  
ასეთი ხასიათი მაქვს! ხე, ხე, ხე, ხე, ხე!  
(ბეჭტე ხელს დარტყამს მეთრეს)

**მეორე.** მაშ გუშინ მთელი დღე გეძინა?

**პირველი.** გუშინ რომ შვიდ სააათზე დავწექი, ეს არის  
ახლა ავდექი.

**მეორე.** ჩემო ძმაო, არ მოგშივდა მაინც?

**პირველი.** რას ამბობ, რას? რაც მე გუშინწინ ვსვი  
და ვჭამე, უჯიშო აღამიანს ერთ კვირეს ეყო-  
ფოდა; მაგრამ მე სხვა ჯიშისა გახლავარ!

**მეორე.** აბა, მე უკეთ გამიტარებია შენზე დრო. გუშინ-  
წინ კნიაზ ბეჭანმა დაგვპატიუა, გარდაფხახებ.  
შუა ლამე იქნებოდა, სმა რომ გავათავეთ,  
მაგრამ ძალიან ჩავლით, შენი არ იყოს. მერე  
იცი, რა ვქენით? წავედით იქ, შენ რომ იცი,  
და მთელი ლამე გავათენეთ. ერთი სამიოდე  
მისთანა იყო, რომ შემარცხევინა ღმერთმა,  
თუ ჩვენი პრანჭია კნიაჟნები მათი. ერთი ჩრდი-  
ლი ძყონ! სულ დუშკას გვეძახდენ, დუშკა  
კნიაზ, დუშკა კნიაზ! შენ, რაც გინდა, ისა თქვი,  
და კნიაზობას ჯერ კიდევ დიდი ფასი აქვს.

**პირველი.** ჯერ და, აწი აღარ ექნება, არა? შენც სო-  
ციალისტობას ხომ არ აპირობ? გეტყობა,  
კოტრდები. თავადიშვილი რომ გასოციალისტ-  
დება, იცოდე, ძალიან გაკოტრებულია.

**მეორე.** შენ-კი ჯიბეს გიმტვრევს ფულები, არა? ერთი  
ეს მითხარი, კნიაზ დავითს კარგათ იცნობ?

**პირველი.** მის ცოლსაც კარგათ ვიცნობ! შენ?

**მეორე.** მაგას-კი აღარ დაგიჯერებ! იმ სავანელმა  
ყველას პირში ჩალა გამოგავლოთ.

**პირველი.** (გულში ხეჭს ჩაიკრაჭს და თაფს აქნევს) ვაი მის  
ტყავს! მთელი წელიწადი ვდიე უკან, ძალლი-  
ვით დავდევდი, ძალლივით, მაგრამ ვერ დავი-  
ყოლე და ვერა. კოცნით, იცოცხლე; მე იმას  
ვკოცნე და ვდღოშნე, მაგრამ ცალიერი  
კოცნა რა გამოვიდა! ამ მამა — ლმა-კი მაში-  
ნათვე შტურმით აილო! (თაფს აქნევს) იცი,  
რაზე მწყდება გული? გვჯობდეს მაინც რამე-  
ში! მაგრამ იცი, საქმე რაშია? ექიმია და! მე  
რომ ექიმი ვიყო, შერცხვენილი ვიქნებოდი,  
თუ ერთ ქალს გავუშვებდი; ერთს! (ისმის  
ზარის წკრიალი. რამდენიმე ხნის შემდეგ შემთდიან  
რამთდენიმე ჩთხიანი და ინტელიგენტები. მიესალა  
მებიან ერთი მეორეს. გამოგა კნეინა ბაბალე, მიუ-  
სალმება უგელას ღიამილითა უგელა ხელზე ჭკოცნის)

**ბაბალე.** დაბრძანდით, დაბრძანდით! (უგელანი დასხდებიან)  
**ერთი ინტელიგენტი.** წელს არჩევნებზე მშვენიერი ამი-  
დები გვექნება.

**ბაბალე.** ჯერ-ჯერობით საუცხოვო ამიდებია, ამ წვი-  
მებმა აწორეთ გავვაბეზრა ყველა.

**პირველი თავადი.** წარმოიდგინეთ, კნეინა, მე ზაფხულს  
ზამთარი მირჩევნია.

**ბაბალე.** (დამილით) ახირებული გემოვნება გქონიათ,  
გაზაფხულის სიმშვენიერეს ზამთრის დალვრე-

მილი სურათი როგორ შეედრება?

**ერთი ინტელიგენტი** გაზაფხული მომასწავებელია სი-  
ცოცხლის, სიყვარულის, ძალობნის, მშვენი-  
ერების, მხიარულებისა. ზამთარი-კი სიმბოლოა  
სიკვდილისა დალპობის, სიბერის, სევდის,  
უნუგეშობისა. ამიტომაც არის, რომ ყველა  
ქვეყნის პოეტებს ასე უყვართ გაზაფხული და  
განსაკუთრებით მაისი, როცა ბუნების სიმშვე-  
ნიერე სავსებით არის გარდაშლილი. (შემოდიან  
ამ დროს დავითი, იაზონი, თავადები და ინტელი-  
გენტები. ზაფა ხალხით ივსება. თალიკო და არჩი-  
ლიც შემოდიან. უბნა — უბნათ მუსაიფია, იაზონი  
ხან ერთთან მიერა და რალარას ელაპარაკება, ხან  
მეორესთან).

**იაზონი.** ბატონებო! სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, ქა-  
ლებს ვთხოვოთ, რომ აქ დარჩენენ! („გთხოვთ!  
გთხოვთ!“, ისმის უმეტესობის ხმა. სიჩუმე ჩამოვარ-  
დება) პარტიებათ დაყოფა ერის კულტურუ-  
ლათ ზრდის მომასწავებელია. ყოველი საზო-  
გადო კითხვა, საზოგადო საქმე სხვადასხვა  
პირთ სხვადასხვა-ნაირათ ესმისთ და ამიტომ  
საზოგადოებრივი განვითარების ზრდა იწვევს  
პარტიებათ შეერთებას. ჩვენ ყველა აქ მყოფი  
წარმოვადგენთ ერთ პარტიას. ზეგ ჩვენ გვექ-  
ნება თავად-აზნაურთა კრება. კრების მიზანია  
პეტიციის შემუშავება და წინამძღვრლის არჩე-  
ვა. ჩვენი კანდიდატია თავი. დავითი და უნდა  
ვეცადოთ, რომ ის გავიყვანოთ. ამასთანავე  
უნდა ვეცადოთ, რომ პეტიცია მივაღებინოთ

და სწორეთ იმგვარი პეტიცია, როგორსაც  
ჩვენ შევიმუშავებთ.

**ერთი ინტელიგენტი.** ბატონებო, ეს არის ჩვენი უკანა-  
სკნელი მოლაპარაკება, შეიძლება, საზოგადო  
კრებამ პრინციპიალურათ უარჲყოს პეტიცია,  
მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რომ პე-  
ტიციის აზრი გავიყვანოთ, ამიტომ საჭიროა  
თავმჯდომარე ამოვირჩიოთ და ვიკამათოთ.  
(რამდენიმე „ხმა ისმის: „კნიაზ დავითი, კნიაზ დავი-  
თი!“ დაიგთი ადგება, თავს დაუქრავს უგეფას და  
მაგიდასთან დაჯდება)

**დავითი.** თანახმა ხართ თუ არა, ბატონებო, რომ პეტი-  
ციაზე ვილაპარაკოთ? (ისმის გრიალი! “თანახმა  
ჭართ, თანახმა,”) ძალიან კარგი. ბრძანეთ, ვისაც  
რა გნებავთ!

**იაზონი.** დღევანდელი დრო დიდებული დროა, ასეთი  
წამი ხშირი არ არის ისტორიაში. მთავრობა  
მზათ არის, მოგვცეს ბევრი რამ, მაგრამ ჩვენ  
თუ არ გავარკვევთ, რა გვესაჭიროება, რა  
უნდა ვითხოვოთ, ისე მთავრობამ რა უნდა  
მოგვცეს! ამიტომ საჭიროა, დღესვე მოკლეთ  
გავარკვიოთ ჩვენი პეტიციის შინაარსი და  
შემდეგ საზოგადო კრებაზე წამოვაყენოთ (ის-  
მის ხმაურობა: “შევიმუშაოთ, დღესვე შევიმუშაოთ”).

**ერთი თავადი.** ჩვენს წოდებას მრავალი მტერი გამო-  
უჩნდა, ყოველგვარ ცილსა გვწამებენ, გლეხებ-  
სა და ჩვენს შორის მტრობას სთესენ. ამი-  
ტომ საჭიროა, მთავრობას ვთხოვოთ, რომ  
მან დაგვითაროს, ასეთი მავნე მქადაგებლების

წინააღმდეგ სასტიკი ზომები იხმაროს. ჩვენ ვალდებული ვართ, ყველა ასეთი ქვეყნისა და ჩვენი მტერები მთავრობას ხელში მივცეთ. ეს მუხლი უსათუოთ უნდა შევიტანოთ პეტი-ციაში (ტაშის ცემა).

**მეორე** **თავადი.** აღარავისათვის დამალული აღარ არის, რომ თავადაზნაურობა უკან მიღის, ჩვენი დაქვეითების ერთი მიზეზთაგანი სიღარიბეა. დავდარიბდით, ბატონებო, დავდა-რიბდით და აქ კი უფრო დაღარიბებას გვე-ქადიან! ამიტომ პეტიციაში უნდა ვითხოვოთ რომ გვეპატიოს ის სახელმწიფო ვალი, რომელიც ჩვენზედ არის დარჩნილი. მე ვით-ხოვ, რომ ჩემი წინადადება შეტანილი იყოს პეტიციაში (ტაში).

**მესამე.** იმ დროს, როდესაც იარაღი ჩვენთვის აუცილე-ბელ საჭიროებას შეადგენს, ჩვენ იარაღს გვარ-თმევენ. იმ დროს, როდესაც ამხედრებული გლეხეცაცობა ცოლშვილიანათ ამოქლეტას და გადაწვას გვექადის, ჩვენ არა გვაქს იარაღი. ამიტომ მე ვითხოვ, შუამდგომლობა აღვძრათ მთავრობის წინაშე, რომ თავადაზნაურობას უფლება მოგვცეს იარაღის ტარებისა. და ბერდანკების შეძენისა (ძლიერი ტაში).

**მეოთხე.** ჩვენ მარტო იარაღი-კი არ უნდა ვითხოვოთ, მილიციის შედგენის ნება უნდა. მივიღოთ წინეთ თუ ჩვენი მამაპაპები გარედან შემოსეულ მტრებს უმაგრდებოდენ, სირცხვილია, რომ უტვინო გლეხეცაცობამ დღეს ჩვენს დაგვამარ-

ცხოს. შევადგინოთ მილიცია, ვითხოვოთ, რომ მთავრობამ ეს მილიცია შეაიარაღოს და მაშინ ჩვენი სიცოცხლეც და სახლკარიც უზრუნველ-ყოფილი იქნება, („საუცხოვოა, საუცხოვო“ — ისმის გრიალი).

**მეხუთე.** რადგანაც დღეს მთავრობას თვითონ უჭირს, ფული, ამიტომ მილიციის შეაიარაღებაზე ის ვუარს გვეტყვის, ეს მე წინდაწინვე ვიცი. უმჯობესი იქნება, რომ ბანკსა ვსთხოვოთ ფული მილიციის შესანახათ და შესაიარაღებლათ. როგორ? ჩვენი ბანკი ჩვენსავე საჭიროებისათვის ფულს დაგვიკავებს?

**ერთი ინტელიგენტი.** ეს აზრი საუცხოვო აზრია, მე ამისი სრული მომხრე ვარ, ხოლო ერთი რამ უსათუოთ უნდა შევიტანოთ პეტიციაში: უნდა ვითხოვოთ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას თავის სამშობლოში აძლევდენ უმაღლეს ადგილს! მაგალითათ, კავკასიაში რომ გუბერნატორებათ, ვიცე-გუბერნატორებათ, და სხვა ისევ ქართველები იყოს. ჩვენი სამშობლო ამით ძალიან წადგამდა ფეხს პროგრესის გზაზე, ძალიან. („ვითხოვთ, უსათუოთ ვითხოვთ“ — ისმის ხმები).

**არჩილი.** მე ვხედავ, რომ დღევანდელ მომენტს თქვენთვისაც-კი მაღა გაუღვიძებია საქმის კეთებისა. მაგრამ რა უნდა გააკეთოთ, ან რისი გაკეთება შეგიძლიათ, თქვენ არ იცით. მთელი საუკუნეს განმავლობაში თხოვნების მეტი არაფერი გიწერიათ, და მაინც ვერ დარწმუნდით, რომ

ქალალდით თავის პოლიტიკურ უფლებებს  
ვერავინ ვერ მოიპოვებს.

**ერთი თავადი.** მე ვითხოვ, რომ თქვენი სიტყვები უკან  
წაიღოთ. თქვენ მთელს წოდებას ჩირქსა ცხებთ.  
„წაიდოს, უკან წაიდოს, ბფდიში მოიხადოს!“ —  
ისმის უკმაყოფილება”

**არჩილი.** მე მოუფიქრებლათ სიტყვებს არ ვისვრი, რო-  
გორც ზოგიერთი თქვენგანი. მე მხოლოდ  
იმას ვამბობ, რაშიდაც დარწმუნებული ვარ,  
და ამიტომ საბოლიშო მე არაფერი მაქვს.

**მეორე ინტელიგენტი.** აქ მარტო ერთი ვინმე-კი არ  
არის გალანძლული, გალანძლულია მთელი  
წოდება და მთელი ინტელიგენცია. მაშინ,  
როდესაც საჭიროა შეთანხმებული მოქმედება,  
შეერთება ყველა პარტიებისა, წოდებისა, ამ-  
გვარი პირები (არჩილზე უთითებს.) ციხეს შიგ-  
ნიდან ტეხამენ, ჩვენ თავს გვჭრიან და ხალხს  
ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ. არაფერი არა  
ჰქონდა ჩვენს წინააღმდეგ არც ხალხს, არც სხვას  
ვისმე, რომ ამათთანა პირებს არ აემხედრებია  
ისინი. ხალხთან ერთად ჩვენ ყველაფერს გავა-  
კეთებდით, მარა, აი, სწორეთ ესენი არიან,  
საქმეს რომ ახდენენ (ჟვირილი: „დავითხოვთ,  
დავითხოვთ!“)

**მესამე ინტელიგენტი.** ბატონებო, დაწყნარდით. რაკი  
ერთხელ მივეცით სიტყვის ნება, დაამთავროს,  
ვიქონიოთ მოთმინება.

**არჩილი.** რომელ შეერთებაზე ლაპარაკობთ ან ვინ უნ-  
და შემოგიერთდეთ თქვენ? ვინ უნდა იმოქმე-

დოს თქვენთან ერთად? ხალხმა? აბა გაიხე-  
დეთ და დაინახეთ: ხალხი იბრძვის, თქვენ  
კი შეგიძლიათ ბრძოლა საქვეყნო საქმისა-  
თვის? თუმცა დარწმუნებული ხართ, რომ  
ბიუროკრატია თქვენთვის არასფერს არ იმე-  
ტებს, მაგრამ თქვენ იმდენი მოქალაქობრივი  
გამბედაობა არ შეგწევთ, რომ მასთან კავში-  
რი შეწყვიტოთ. პირიქით, ფინიებსავით ისევ მას  
შეცუცქურებთ, ისევ მას შეწკნავით: ჩვენს  
თავზე წყალობა მოიღო. იმის მაგიერ, რომ  
ბიუროკრატიას ებრძოლოთ, თქვენ გლეხების  
წინააღმდეგ აპირებთ ამხედრებას და ბიურო-  
კრატიას დახმარებას თხოვთ! ეს თქვენ სამშო-  
ბლოს სამსახური გვონიათ. თქვენის აზრით,  
თუ ქართველი გუბერნატორები და ვიცე-  
გუბერნატორები გვეყოლება, მაშინ ჩვენს ბედს  
ძალლი აღარ დაჰყეფს! დიდიხნის ფუფუნებამ  
და მონობამ თქვენ სისხლი წაგიხდინათ, ტვი-  
ნი დაგისუსტათ და შემოქმედების ენერგია  
გამოგაცალათ. როდესაც რომელიმე ერი,  
რომელიმე ნაწილი ამ ერისა შემოქმედების  
ენერგიას მოკლებულია, მას ცხოვრებაში  
აღარაფრის გაკეთება აღარ შეუძლია, ის  
მკვდარია, სიცოცხლეშივე მკვდარი. შეურიგ-  
დით იმ აზრს, რომ თქვენ ცხოვრებაში აღა-  
რაფრის გაკეთება აღარ შეგიძლიათ, ცხოვრების  
სათავეში ვეღარაოდეს ვეღარ ჩადგებით.  
დღეს სხვა სისხლია, სხვა ძალა, სხვა ხალხია  
საჭირო! ხალხს რა აქვს თქვენთან საერთო?

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ხალხის წარმო-  
მაღვენლებს დაცინოდით, დიაკვნის შვილებს  
ეძახდით?! ახლა რაღაც დაგჭირდათ მათი  
შემოერთება?

**დაკითი.** (ადელეჯული) დიახ, დიაკვნის შვილებს გეძახ-  
დით და ეხლაც დიაკვნის შვილებს გეძახით.  
ახლავე დაიკარგეთ ჩემი სახლიდან, რომ აღარ  
დაგინახოთ, მე თქვენ ლაპარაკის ნებას არ  
გაძლევთ („წავიდეს, წავიდეს, დაიკარგოს, არ  
გვინდა!“ — ისმის უვირილი).

**არჩილი.** თქვენ რომ არ დამითხოვოთ, თქვენ სახლში  
მე ისეც აღარ გავჩერდები. აქამდისაც მხო-  
ლოთ მისთვის გავჩერდი, რომ თქვენი სისაძა-  
გლე ბოლომდე დამენახა. (მიუბრუნდება სხვებს).  
თქენ იმდენად ბრმა ხართ, რომ ვერ ხედავთ,  
ვის ირჩევთ თქვენს წინამძლლოლათ, ან იმდე-  
ნათ მშივრები, რომ, ვინც გაგაძლებთ, იმას  
აძლევთ კენჭს. (საერთო უვირილია და უკმაყოფი-  
ლება) დიახ, (დავითს მიმართავს) მე დიაკვნის  
შვილი ვარ, მაგრამ იცით, თქვენ ვინა ხართ?  
თქვენ აძრობთ ტყავს ყველა უვიცსა და  
გაჭირებულს, ვინც კი ხელში ჩაგივარდებათ.  
თქვენ არ დაადევით ბეგარათ ყოველ ჯარში  
გასაწვევ გლეხს ასიღან ოთხას მანეთამდე?  
ამ რამდენიმე თვის წინეთ ერთი გლეხი  
კარებზე გუვეშებოდათ, ასი მანეთი ხომ  
მოგართვით, ასი მაპატიეთო (უკმაყოფილება  
ისმის.).

**დავითი.** (გაწუგეტინებს) სიცრუეა, სიცრუე!

**თალიკო.** მე ვამოწმებ, რომ სრული ჭეშმარიტებაა. ის გლეხი მე თვითონ მეხვეწებოდა: დამებმარე მამა შენთან, რომ ასი მანეთი მაპატიოსო.

**არჩილი.** თქვენ პატიოსნება და სინიდისი ნებას ვ ძლევთ, რომ ვექსილებით სხვისი ქონება ღანარჩუნოთ, ჯაშუშობასაც კი არა თაკა ლობთ, ჯაშუშობას, რომ უდანაშაულო კაცი დააჭირინოთ ციხეში და ყალბი ვექსილებით მისი ოჯახი სახლიდან გამორეკოთ.

**დავითი.** (გაბრაზებული) დაამტკიცე, დაამტკიცე, თორეშ ან თქვენ და ან მე! (ჩაჩქოლია: „დაამტკიცეთ ეს საშინელი ბრალდება!“).

**არჩილი.** მე ამას დაგიმტკიცებთ, სასამართლოში დაგიმტკიცებთ, თუ როგორ უჯაშუშებთ თქვენს „უკანონო“ ბიძაშვილს. მისი დაჭირა თქვენ-თვის მიტომ იყო საჭირო, რომ მისი დედა ხელში ჩაგეჭირათ და სახლი აგეწერათ ყალბი ვექსილებით. სასამართლოში დაგიმტკიცებთ, თუ როგორ წაგლიჯეთ ამ ყალბი ვექსილებით ქვრივსა და ლარიბ ქალს ასი თუმანი. ეს ასი თუმანი დღევანდელ სადილისა და კენჭებისათვის დაგჭირდათ. ხოლო ის არ იფიქროთ, რომ მე იმ სასამართლოს მივმართო, სადაც თქვენი ყალბი ვექსილები იმარჯვებენ! ნუ შესწუხდებით, — მე სულ სხვა სასამართლოს მივმართავ (გადის; საერთო ჩაჩქოლია. თავადები და ინტელიგენტები ზოგაზოა გადიან).

**დავითი.** (ზეზე წამოდგება) სტყუით, ყოველივე მისთვის

მოიგონეთ, რომ მე გამაშაოთ! თქვენ მოსკი-  
დული ხართ ჩემი წინააღმდეგებისაგან, მოს-  
კიდული! ბატონებო, მოითმინეთ, ეგ მოსკი-  
დულია, დაგიმტკიცებთ, რომ მოსკიდულია.  
(დაჯდება სასო-წარკვეთილი და ხელებზე თავს  
დაურიდნობს).

**თალიკო.** მეც მივდივარ თქვენის სახლიდან, მამაჩემო!  
მთელი ჩემი ცხოვრება თქვენს სახლში მხო-  
ლოთ ტანჯვა და წვალება იყო. მე ვითმენდი  
თქვენს ბოროტმოქმედებას, ხალხის ყვლეფას,  
ჯაშუშობასაც-კი, დედაჩემის გარყვნილებას....

**ბაბალე.** (გაწევეტინებს) რაო, ქალბატონო, რაო?

**თალიკო.** (ხმამიღლა) მე ვითმენდი თქვენს გარყვნილე-  
ბას, დედაჩემო, და მეტი მოთმენა აღარ შემი-  
ძლია,— მე მივდივარ აქედან. ჩემსა და თქვენ  
შორის საერთო აღარაფერია. ბ—ნო იაზონ,  
ჩემი სიტყვისაგან თქვენ სრულებით თავისუ-  
ფალი ხართ. (გადის. ბაბალე იკივლებს და გულა  
შეუწუხდება. იაზონი და სხვები მასთან მიგარდე-  
ბია).

**დავითი.** (აქეთ-იქით იხედება გაოგნებული) ეს რა მოხდა?  
სიზმარში ვარ, თუ ცხადში?!?

(ფარდა)

# ქიზიუს ამბოხება

1878 წ. (\*)

უნშის ბეგარა და მელიციონერების კაწევა.

რუსეთ-ოსმალეთის ომი გათავებული იყო. ბერ-ლინში ევროპის სახემწიფოთა წარმომადგენელებს საერ-თო ყრილობა ჰქონდათ გამართული—კონგრესი, ბის-მარკის თავჯდომარებით, და ზავის პირობებს სცვლი-დნენ, რომელიც სან-სტეფანოში შეეკრათ რუსეთსა და ოსმალეთს, რუსეთის ძალდატანებით. ეს პირობა დამარ-ცხებულ ოსმალეთს უნდა შეეწყნარა და ხელი მოეწერა, თუმცა მრავალი მუხლი ამ პირობისა საზარალო იყო ზოგიერთ სახემწიფოს ინტერესებისათვის. კონგრესზე ყველაზე უფრო ინგლისი და ავსტრია ეწინააღმდეგებო-დნენ რუსეთის ანგარიშს ოსმალეთის შესახებ; და რადგან რუსეთი დათმობას და პირობების შეცვლას თითქოს არ აპირობდა, ამიტომ ერთს ზანს ყველა ახალ ომის მო-ლოდინში იყო. ინგლისი და ავსტრია ჯარის და ფლო-ტის მობილიზაციის შეუდგნენ. რუსეთის მხედრობა ამ დროს ძლიერ დასუსტებული იყო 10 თვის ომით ოს-

\*) ი. საჭის ღებულობა სამხედრო სასამართლოში და კორესპონ-დენციები გაზ. ინვორზ. ში 1878 წ. ივნისი ნოემბერი და დეკემ-ბერი.

მალებთან. საჭირო იყო ამიტომ ახალ რაზმების გამო-  
ყვანა და დამზადება მთელს რუსეთში და უმაღლესი  
მთავრობაც შეუდგა ამის თაღარიგს. შეუდგნენ ახალ  
მობილიზაციის მზადებას და; სხვათა შორის, საქართ-  
ველოშიაც გაიცა ბრძანება მილიციების შედგენისა.

ქიზიუში (სიღნაღის მაზრა) ამ დროს მაზრის უფროსად  
გრაფი ტიზენჰაუზენი იყო და ამან თბილისიდამ მოწე-  
რილობა მიიღო—ქიზიუში მილიციონერები გამოეყვანა  
და ახლავე შესდგომოდა ამ საქმეს.. დაიბარა მეორე  
დღესვე ყველა სოფლის მამასახლისები და დაავალა მათ  
დაუყოვნებლივ სიები შეედგინათ თავ-თავის სოფლებში  
ყველა იმ ახალგაზდა გლეხებისა; რომელთაც ჯარში  
გასვლა შეეძლოთ, წლოვანობით თვრამეტიდამ მოყო-  
ლებული ვიდრე ოცდა-ათამდე. ელდა ეცა ქიზიუს, ყე-  
ლი გამოეჭრა.

— ისედაც აოხრებულს და საშინლად გაჭირებულ  
ქვეყანას რაღა ეს ღვთის რისხვა აკლდა! ან რა გასაჩე-  
ნი იყო ამა ქვეყნად ასეთი უიღბლო ხალხი, — გაიძახო-  
დნენ სოფლად.

ამას წინ, მანამ მელიციონერების გაყვანის  
აშშავი დატრიალდებოდა, მთელს მაზრაზე ურმის ბეგარა  
იყო გაწერილი და ამან ცეცხლში ჩააგდო ქიზიუი:  
გლეხკაცობას ხელიდამ გამოეცალა აუარებელი რიცხვი  
ურმისა და ხარ-კამბეგისა, რომლებიც სადღაც ომში  
წაასხეს.

მერე რა დროს დაატყდა ხალხს. ეს უბედურე-  
ბა! 15 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ენახა ქი-  
ზიუს ფარსაგი მოსავალი. ხალხი დავალიანდა, გაპყიდ-  
გამოჰყიდა სიღნაღიდამ ჩამოსულ სომეხ ჩარჩებზე ყველა-

ფერი, რაც რამ ებადა. დამშივდა, გაღატაკდა. და აგერ, ამ წელს გაგნებამ კეთილის თვალით გადმოხედა აოხრებულ ქვეყანას და ისეთი მოსავალი მოუმზადა, რომ ძველს კაცებსაც-კი არა ჰქონდათ ნახული ასეთი ბუნების წყალობა. გამოცოცხლდა ქიზიყი; ყველა შეუდგა დაგირავებულ და გაყიდულ ხარ-კეშხეჩის გამოსყიდვას, ურმების დამზადებას; დედაკაცებმა თონეები შეაკეთეს; ქვეყანამ გაიხარა!.

და, აი, სწორედ ამ დროს ბრძანება მოვიდა მთავრობისაგან ურმების ბეგარაზე. ასეთი ღვთის რისხვა გლეხ-კაცობას ჯერ არ ენახა; ყველას ყელი გამოეჭრა. ზურგით ხომ ვერ მოზიდავდნენ ამდენ ჭირნახულს რამდენიმე ვერსის სიშოროდამ. გლეხ-კაცობამ არ იცოდა, რა საშუალება გამოენახა, ვისთვის შეეჩივლა თავისი გაჭირება ან ვინ მოიცლიდა მისთვის ამ ომიანობის დროს და ყურს ათხოვებდა მის ხევწნას და ჩივილს. სოფლებში ხალხი ყოველ დღე აქა-იქ იკრიბებოდა, ბევრს ყაყანებდა, ბრაზობდა, მაგრამ გაჭირებას წამალი ვერ გამოუნახა. გულ-მოკლული და წელში მოხრილი უაზროდ იშლებოდა საღამოჟამს, რომ ხვალ ისევ შეგროვილიყო ეკლესის წინ, ან სოფლის კანცელარიასთან, ისევ ემასლათა თავის გაჭირებაზე და კიდევ მოესმინა საშინელი ლანძლვა-გინება. დედა-კაცებისა, რომლებიც გააფთრებული იყვნენ და კაცებს დაუინებით ურჩევდნენ უარის განცხადებას მთავრობის ყოველ-გვარ ბრძანებაზე.

აღვილად წარმოსადგენია ამიტომ, თუ რა მეხი დაეცა ქიზიყს, ახალი ამბავი რომოვადა: საურმე ბეგარის შემდეგ, მთავრობა მელიციონერების გაყვანას აპირობს ახლა და

მამასახლისებს კიდეც მოსვლიათ მოწერილობა, სიები შეადგინეთო. სისხლი ყელამდე ავიდა; ყველამ ხელი აიღო სოფლის საქმეზე, ასობითა და ათასობით თავი მოიყარა აქა-იქ სოფლებში და გაცხარებით იშუოსჯა და თათბირი საქ-მის ვითარებაზე. ორ-სამ დღეში მთელს ქიზის ცეცხლი მოედო; აშტოთდა ქვემო და ზემო-მაჩხანი; ფანიანი, ანაგა, მირზაანი, ნუკრისნი, კარდანახი, მაშნარი და სხვებიც. ყველგან მთელი სოფელი ყრილობას მართავდა და დილიდამ სალამომდე სჯიდა, რა საშუალება ეხმარა და როგორ მოქცეულიყო თავის საშველად. ხალხი ჯერ მაინც თავდაჭერილი იყო, უკიდურეს საშუალე-ბას, — მთავრობის წინააღმდეგობას, — ერიდებოდა და ჯერ ისევ იმედი ჰქონდა, რომ საქმეს უფრო მორჩილე-ბითა და სიწყნარით ეშველებოდა.

ასე ჰფიქრობდნენ კაცები. რაც შეეხება დედა-ცებს, ესენი ახლა გადაჭრით გაიძახოდნენ, რომ ყველა-ფერზე უარი შეუთვალოთ მთავრობას, რადგან ვიღუ-პებით და ვწყდებითო.

სოფლის ყრილობაზე ყველგან ესენი ლაპარაკობდნენ, კაცებს არ აცლიდნენ სიტყვის თქმას და ზოგან საცემ-რადაც მიიწევდნენ გაანჩხლებულები, თუ ვინმე გლე-ხი დაშვიდებაზე ჰბედავდა ლაპარაკს. მამასახლისებს წალდებით, ხანჯლებითა და კეტებით ემუქრებოდა ზოგი-ერთი დედაკაცი, ხელში-კი ბავშვი ეჭირა;

— ცოცხალს არ გაგიშვებ და ცოლ-შვილით აგიკლებ, ჩემი შვილი თუ ჩაგიწერია ერალაც სიაში — მიქარვაშიო.

უცბათ ხმა გავრცელდა, რომ მამასახლისები და ბოქაულებიც სიებს კიდეც აღგენენ და შიგ სწერავენ

მხოლოდ იმას, ვინც ქრთამი არ გამოიღო. ხალხმა  
ისიც-კი შეიტყო, რომ მამაკახლისებს 15-20 მანეთი  
დაეწესებინათ თითო კაცზე და ქრთამის გამომლებს,  
ვითომც სნეულს, ანთავისუფლებდნენ; ამ საქმეშიც ისე-  
თივე ოინბაზობა დაიწყო, რაც ამას წინად ურმის ბეგა-  
რაზე ჩაიდინესო. ახლა-კი ყველა დარწმუნდა, რომ  
ცალიერ ყაყანითა და მითქმა-მოთქმით მათს გაჭირებას  
არა ეშველებოდა-რა, რომ საჭირო იყო ახლავე ურჩო-  
ბის გამოცხადება, გადაჭრით უარის-თქმა და მთავრო-  
ბის წინააღმდეგობა. სიებში ჩაწერილები კენჭს არ იყრი-  
ან, მიღიციონერებათ და სალდათებათ არ წავლენ,  
მამასახლისებს სიებს დაახევინებენ და ამათი პირით  
შეუთვლიან მაზრის უფროსს, რომ ყველა უარს აცხა-  
დებს მთავრობის განკარგულებაზეო.

გახარებული დედა-კაცები,—ახლა კი გაპბედეს ჩვენ-  
მა კაცებმაო, — კარ-და-კარ დაიარებოდნენ, სოფლიდან  
სოფლად დადიოდნენ და ყველას აქეზებდნენ საერთო  
საქმეში. ბევრგან ჯოხებით სცემეს ზოგიერთებს, ვინც  
მოღალატე და ამბის-მიმტანი იუდა ეგულებოდათ. ბევ-  
რი სიღნაღს ავარდა, ბეჭდებს, ჯიღასა და ბალდაღს  
ჰყიდდა და იარაღს ჰყიდულობდა ქმრებისა და შვილე-  
ბისათვის. კაცებს ესენი უძღვებოდნენ წინ, ესენი იყვ-  
ნენ საქმის მეთაურები და, როგორც ქვემოდ ვნახავთ,  
ბოლომდინაც მიიყვანეს დაწყებული საქმე. ან რად  
გაუკვირდება ეს იმას, ვინც იქაურ ხალხს კარგად იც-  
ნობს: ქიზიყელი ქალი კაცზე ხომ უფრო ფხიზელია  
გონებით, გულითაც უფრო შეუპოვარია და გაბედული-

ანაგის ხეობაში.

თიბათვის 4 იყო, კვირა დღე. ხვალისათვის დანიშნული იყო ყველგან სოფლებში კენჭის ყრა ჯარში გასასვლელად. მამასახლისებს სიები დამალული ჰქონდათ. ამიტომ არავინ იცოდა, ვის უნდა ეყარა კენჭი. ხალხი ალელვებული იყო და ყველგან რაღასაც ემზადებოდა. ამ კვირა დღეს ზემო-მაჩხანში მთელი სოფელი აღიდებულ ნიაღვარსავით მიუვარდა მამასახლისს დათიჭო ბოსთაღანაშვილს და სიის ჩერნება მოსთხოვა. მამასახლისმა ჯერ უარი უთხრა აშფოთებულ ხალხს:

— ხვალ, ორშაბათს, ნახავთ, ვინც იყრით კენჭსაო.

მერე კი რაღაც ქაღალდის ნაგლეჯი უჩენა გლეხებს და დამშვიდება ურჩია.

— მაგ ნაგლეჯით ჩერნი მოტყუილება გინდაო, — შესძახა ხალხმა, სტაცია ხელი, გამოათრია გარეთ და საშინლად სცემა; დედა-კაცებმა თრევა დაუწყეს მიწაზე და თავ-პირი დაუმტვრიეს. მაშინვე ამბავი მიუვიდა სიღნაღის მაზრის უფროსს და ამან ხელადვე ჩამოგზავნა მაჩხანში ბოქაულის თანაშემწე, პრაპორჩიკი ჯანიევი, მომხდარ ამბის გამოსაძიებლად. ხალხი ისევ შეყრილი იყო და ზფოთავდა. ჯანიევმა ტკბილი სიტყვით დაამშვიდა სოფლელები და დაპირდა, — თქვენს სასარგებლოდ ვილაპარაკებ მაზრის უფროსთან, მოხსენებას. რომარცუდგენო. დამშვიდებული ხალხი იშლებოდა კიდეც, მაგრამ დედა-კაცები გაკაპასდნენ და კაცებს არ უშვებდნენ. ერთმა გლეხმა ისევ დაიწყო ყვირილი:

— სალდათად არ წავალთ, გავტყავდით, დავიღუპეთ გაბრაზდა პრაპორჩიკი და გზირს სოლომომ ბევა-

შვილს უბრძანა, დაეჭირა ეს გლეხი ბიტი და ხელები შეეკრა. იგრიალა სოფელმა, გამოსტაცა თავისი კაცი გზირს და ლაზათიანად მიტყიპა ეს სოფლის პოლიციელი. ჯანიევს-კი უჩჩია ახლავე იქიდამ წასვლა. იმავ დღეს ბოდბის-ხევის მამასახლისმა, გიორგი მჭედლიშვილმა, ამბავი მოუტანა მაზრის უფროსს, რომ სოფელში 40 საქობოელი მისულიყო, კარ-და-კარ დაევლო და ყველასათვის ეთხოვნა — მხარი მიეცათ საქობოელებისათვის, ხვალ ანაგის ხეობაში ჩასულიყვნენ და მიეღოთ მონაწილეობა საერთო კრებაში, რომელსაც მთელი ქიზიყიუნდა დასწრებოდა. ამ ამბავმა და აგრეთვე იმან, რომ მაჩხაანში გლეხებს მამასახლისი და გზირი გაელახათ, აფიქრებინა მაზრის უფროსს, რომ ქიზიყში რაღაცა დიდმნიშვნელოვანი მოძრაობა იკიდებდა ფეხს, რომელიც სწრაფათ ძლიერდებოდა და, დღეს თუ ხვალ, მთელს ქიზიყს და კახეთსაც აჯანყების ცეცხლს წაუკიდებდა. ამ განსაცდელის ასაცილებლად საჭირო იყო ახლავე ჯარის გამოწვევა ალაზნიდამ, სადაც ამ დროს მთელი ლაშქარი იყო დაბანაკებული, ღენერალ-მაიორის იოსებ-ორბელიანის უფროსობით. ამოდენა მაზრის დასამშვიდებლად საკმარისი არ იქნებოდა საღნალის „კამანდა“ და თუქურმიშის ორას-სამასი კაცი კაზაკ-რუსებისა. ღენერალი ორბელიანი ამ დღეს ბაკურციხეში იყო მიწვეული რაღაც დღეობაზე. ამიტომ ურაფ ტიზენჰაუზენმაც იქ დააპირა წასვლა, რათა პირადათ მოეხსენებინა ყველაფერი და ჯარი ეთხოვა მოსაშველებლათ. მაგრამ სიღნაღიდამ ბაკურციხეში მიმავალი გზა ანაგას, ვაჭირსა და კარღანახზე გადიოდა; ამ სოფლებში-კი და, განსაკუთრებით, ანაგის ხეობაში ძლიერ საშიში უნდა ყოფილიყო.

გავლა, ფათერაკს ვერ გადაურჩებოდა მაზრის უფროსი. ამიტომ ჯერ ჩაფარი გიორგი მათეშვილი აფრინა გზის დასათვალიერებლად. ორშაბათს გათენებისას ამან ამავი მოიტანა, რომ, თუმცა ხალხი აქა-იქ იყრება, მაგრამ ყველა ძლიერ გულ-დამშვიდებულიაო. მაშინვე, დილის 7 საათზე, მაზრის უფროსი ჩაჯდა საფოსტო ეტლში, ჩაისვა თავისთან თარჯიმანი ლევან ანდრონიკაშვილი, გაიყოლა ერთი ჩაფარიც და გაუდგა ბაკურციხის გზას.

ჯერ ანაგის ხეობაში არც-კი იყო ჩასული, რომ უკანიდამ საითლამაც გლეხვაცობა გამოჩნდა მრავლად და სირბილით თან ჩაჰვა ხევში. აქ დახვდა აუარებელი რიცხვი სოფლელებისა, რომელიც მოსულიყო ანაგა, ვაჭირ, მაშნარ, საქობოდამ და სხ. ხალხმა ეტლი შეაყენა და მაზრის უფროსს მრისხანებით ჩამოსვლა უბრძანა. გაისმა ლანძლვა-გინება და მუქარა — შენ დაგვდუპე და დაგვაქციე, შენ ასეთო და ისეთოო. ხარ-კამბეჩს და ურმებს გვტაცებ და ახლა საღლდათიც მოითხოვეო?!

— დაპკარით მაგ ოხერსა, რაღას უყურებთ! — გაჰკიოდნენ დედაკაცები.

მაზრის უფროსმა, თარჯიმანმა ანდრონიკაშვილმა და ანაგის მამასახლისმა სოსანა მჭედლიშვილმა ძლიერ-ძლიობით დაამშვიდეს ხალხი. გრაფ ციხენპაუზენმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა ხალხს, რომ ურმის ბეგარა და მილიცონერების გაწვევა ხელმწიფის ნაბრძანებიაო, და დაპკირდა ხალხს, რომ სიებს გადაშინჯავდა; თუ სიყალბეს ამღოაჩენდა, ძლიერ დასჯიდა მის ჩამდენს და ყველაფერს შეასწორებდა. მერე ისიც დაუმატა, რატომ აქამდინ არ შემატყობინეთ, თუ სიებს

უსამართლოდ აღგენდნენ; ყველაფერს გამოვიძიებ და უთქვენოდ არას გავაკეთებო.

— როგორ თუ არ იცოდი, რომ სიებში სიყალბე და უსამართლობაა? — შესძახეს დედაკაცებმა. — იმ დღეს ამან და ამან რო შემოგჩივლა, კარში რად გამოაგდე და ყური არ ათხოვე მის სამართლიანს ჩივილსაო?!

— დაჲკა მაგას, სულ მაგის ბრალია! — გრიალებდა ხალხი. დედაკაცებმა კეტებსა და ჯოხებს წამოავლეს ხელი და მაზრის უფროსისაკენ გამოსწიეს. ვაჭირელი გეგენა სვიმონაშვილი ზედ მივარდა და ყელში ხელი სტაცა. ამაზე ანაგის მამასახლისმა გულში ჩაჲკრა სვიმონაშვილს და მაზრის უფროსს მოაშორა. მივარდა ხალხი მამასახლისს, ფეხქვეშ მოიგდო და დაუწყო საშინლად ცემა. ამ ალიაკოთით იხელთა დრო მაზრის უფროსმა, შეხტა ეტლში და აფრინა ცხენები. გამოეკიდა ხალხი, მაგრამ გვიანდა იყო. ცოტა მოშორებით, გზის პირად, გორაკზე დედაკაცები იღვნენ და, რო ნახეს გამოჭენებული ეტლი, კეტებითა და წალდებით ჩამოირბინეს მაღლიღნ, რომ გზა მოეჭრათ გამოქცეულისთვის, მაგრამ ვერც ამათ მოასწრეს მისი დაჭერა და მხოლოდ ქვები მიაყარეს სეტყვასავით გაქანებულ ეტლს.

### რეგაზ გაჩნაძის წვეულება.

ანაგის ხეობაში ეს ამბავი ორშაბათს დილით მოხდა, ივნისის 5-ს. წინა დღით-კი, კვირას, ბაკურიციხეში სასოფლო ეკლესიის დღეობა იყო, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, დიდის ამბით იხდიდა ახლო-მახლო სოფლებიდამ მოდენილი გლეხკაცობა. ეკლესიის

გარშემო და ყველგან სოფელში ლხინი, სიმღერა, ზურნა და დაირა, ჭიდაობა და დოლი გაჩაღებული იყო. ხოლო ამ საერთო ქეიფსა და მხიარულობაში ყველას აჯობა რევაზ ვაჩნაძემ, ბაკურციხის შეძლებულმა თავადიშვილმა, რომელსაც თავის სასახლეში ისეთი წვეულება გაემართა იმ დღეს, რომ ახლაც-კი ბევრს ახსოვს ეს საუცხოვო ლხინი და აგონდება გულ-უხვი მასპინძელი. ვინ არ იყო აქ მოწვეული! საუკეთესო თავადიშვილობა მეზობელ სოფლებიდან და ოელავიდან; წარჩინებული აფიცრობა და მოხელეები სილნალის, თუკურმიშისა, თელავის და ლაგოდახისა; ღენერალი იასებ ორბელიანი, რომელიც ალაზანზე დაბანაკებულ ლაშქარს უფროსობდა; არტილერიის პოლკოვნიკი კალაკუცი, პროკურორის ამხანაგი გუდიმ-ლევკოვიჩი და მრავალი სხვაც, — სულ 150 ქალი და კაცი.

გათავდა წირვა და სტუმრები სახლში დაბრუნდნენ. სუფრის გაშლა ჯერ ვერ მოესწროთ. ამიტომ ყველა აივანზე გავიდა, საიდამაც ზურნის ხმა და ხალხის ურიამული მოისმოდა. სახლის წინ აუარებელ ხალხს თავი მოეყარა; შუაში, აივანის წინ, მოედანი გაეშვათ და აქ სოფლელ ახალგაზღლობას ჭიდაობა გაემართა. ამ სანახაობით ნასიამოვნები სტუმრები ბოლოს სუფრაზე მიიწვიეს. მეჯლისმა საღამომდე გასტანა. სუფრის სიუხვე, ძვირფასი სამკაული, ძველი კახური ღვინო, ყანწები, ჯიხვები, მრავალ-უამიერი, ზურნა და ბოლოს ცეკვაც, — ყველა ეს ატკბობდა და ამხიარულებდა სტუმრებს.

დადგა საღამო და სტუმრებიც დაიშალნენ; ბევრიც, ვინც შორიდამ იყო მოსული, დარჩა იმ ღამისთვის

და მეორე დღეს უნდა წასულიყო. ესენი ისევ აივანზე გამოვიდნენ ჩაის მისართმევად. გაიმართა ტკბილი საუბარი, რომელიც უფრო დატკბო და დაამშვენა ღენე-რალ-ორბელიანის დარბაისლურმა ბაასმა. აივანის წინ, დაბლობზე მთელი ბაკურიციხე მოსჩანდა, როგორც ხელის გულზე; მას იქთ, უფრო ქვემოთ, გაშლილი — იყო მწვანე ხალიჩასავით, ათი ვერსტის სიგრცით, ლამაზი ველი. ალაზანი გველისავით მიიკლაკნებოდა და შორს სადღაც ნისლში იკარგებოდა. ალაზანის გაღმა, დაბურულ ტყეების იქთ ცის სივრცეში, ამაყად ამართულიყო კავკასიონის ქედი, რომელსაც მრავალ-ფეროვანის თოვლით შემოსილ წვეროებზე ცეცხლი მოჰკიდებოდა და ჩამავალ მზის სხივები ალმასებრ აელვარებდა ლაჯვარდს ცაში.

— რა ბეღნიერი უნდა იყოს ეს ხალხი, აქ როსცემვრობს, ამ უხვსა და ლამაზ ქვეყანაში! — სთქვა ერთმა წარჩინებულმა რუსმა

— ბეღნიერიო!.. აგერ ამბავი მოვიდა ამ საათში, რომ ზოგიერთს სოფელში გლეხობა შფოთავს და არეულობის მოხდენას აპირობს. — მიუგო მეორე სტუმარმა.

— გლეხობა უვიცი და ბრიყვია: ერთხელ თუ გათამამდა, ყველას აიკლებს და თავზე დაგვაჯდება! — ბრძანა ერთმა თავადიშვილმა.

— კიდევ კარგი, რომ ბრიყვია, არაფერი არ ესმის და შეჩვეულია თვის პირუტყვულ ცხოვრებას, — ყველა-ფერს იტანს და ითმენს. მაგრამ მოვა დრო და გლეხიც გაიგებს, რომ ეს ქვეყანა ისეა მოწყობილი და დაკანონებული, რო ყველა მის თვლითა სცხოვრობს; თითონ-

კი ყოველთვის გაჭირებაშია, ყველაფერში დაბრიყვებულია. — სთქვა მწარე ღიმილით ერთმა სოფლის მასწავლებელმა.

### დაჭვა მაგასაც!

მეორე დღეს, ორშაბათს, ღილა-აღრიან, როდესაც ბევრ სტუმარს ჯერ არც-კი გამოპლვიძებოდა, თავად რევაზ ვაჩნაძის სახლში ამბავი მოვიდა უცბად, რომ ფოსტის სადგურზე მაზრის უფროსი ტიზენჰაუზენი მოვიდა ეტლით და, როგორცა სჩანს, გზაში რაღაც ამბავი მოსვლიაო. რამდენისამე წამის შემდეგ თვით ტიზენჰაუზენიც მოიჭრა ეტლით ვაჩნაძისას და გულ-გახეთქილმა არევ-დარევით რაღაც ლაპარაკი დაიწყო.

— ღენერალ; ღენერალ!

შეიყვანეს მაშინვე ორბელიანის საწოლში. მალე ზალაშიც გამოვიდნენ ორივენი და ღენერალმა საჩქაროდ ბარათი დასწერა თუქურმიშაში ასაფრენად და ჩაფარს გაატანა. თურმე ჯარს თხოულობდა.

10 საათზე შორიდამ რაღაც ხმაურობდა და ყვირილი მოისმა; გზაზე აუარებელი ხალხი გამოჩნდა; ქალი და კაცი; ეპელა ეს აშფოთებულ ზღვასავით მოდიოდა რევაზ ვაჩნაძის სახლისკენ, რომელსაც მალე გარს შემოერტყა. გაისმოდა საოცარი გუგუნი, ყაყანი და ლანძლვა-გინება. ერთი დედაკაცი აივანს მივარდა და გაცოფებული გაჭკიოდა:

— სალდათი!.. დაჭვა მაგას..

ღენერალმა, აივანიდამ ხელით ანიშნა ხალხს დაწყნარებულიყო სიტყვის გასაგონად. ხალხი დაწყნარდა.

გამოვიდა წინ აივანთან მეორე დედაკაცი ჯოხით  
ხელში და დაიწყო:

— ე ლერენალი ხარ, თუ რაღაცა, ჩვენი სიტყვა შე-  
ისმინე: სალდათებს არ მოგცემთ. ყველა გავწყდებით და  
ჩვენსას გავიყვანთ!

— სალდათების გაყვანა,—სთქვა ორბელიანმა, —  
ჩვენი მოგონილი კი არაა, ხემწიფისაგანაა ნაბრძანები;  
მე და ამ მაზრის უფროსს რა შეგვიძლიან ამ საქმეში?  
თუ საჩივლელი რამ გაქვთ, სთქვით და ყველაფერს შე-  
ვატყობინებ უმაღლეს მთავრობასა.

ტკბილის სიტყვით დაარიგა ხალხი და ურჩია დამ-  
შვიდებულიყო და მოეთმინა.

— კარგი, შენი ჭირიმე, სახლში წავალთ. ქართვე-  
ლი კაცი ყოფილხართ და აბა ხომ ხედავ, რა ცეცხლში  
ვიწვით და როგორ ვიღუპებით. შეიცოდე ჩვენი  
ცოლ-შვილი და გვიშველე როგორმე ხენწიფესთამა,—  
სთქვა ტირილით ერთმა ბერი-კაცმა. ხალხმა ყიუანა  
დაჰკრა და წასვლა დააპირა. მაგრამ უცბათ გამოვიდა  
წინ რამდენიმე დედა-კაცი და შეჰკივლა:

— ჰაი; თქვე ვირებო, თქვენა! ორი დღეა, ბლავით  
და ახლა, რაკი ამ ლენარანალმა ორიოდე ტკბილი სი-  
ტყვა გაგაგოიათ, დალბით და სახლში წასვლა დააპი-  
რეთ! მაშ, ეგ ქუდები რაღათა გხურავთ? ეგაა თქვენი  
ვაჟკაცობა?

რამდენიმე დედა-კაცი აძვანზე ავარდა კეტებით  
და იქიდან ხალხს გაღმოსძახოდა — ამოდითო!

იგრიალა გლეხკაცობამ... ერთს წამს აივანი და სა-  
დარბაზო ოთახი ხალხით გაიჭედა. ლენერალი და მაზ-  
რის უფროსი საწოლ ოთახში შევარდნენ და კარი ჩაი-

კეტეს; პროკურორის ამხანაგი გუდიმ-ლევანიჩი ტახტის ქვეშ შეძერა; სხვები აქა-იქ მიიმაღნენ სხვა ოთახებში.

აშფოთებული ხალხი უცბად შეჩუმდა და საღარ-ბაზო ოთახს გაკვირებით უცქეროდა. ასეთი სიმდიდრე და სიმშვენიერე გლეხკაცობას ჯერ არ ენახა. ყველა სინჯავდა სახლის საუცხოვო სამკაულს, დიღრონ სუ-რათებს, ხალიჩებს. კედელზე ორ-არშინიანი სარკეები იყო აყუდებული. დედაკაცებს ჯერ კარები ეგონათ და ზოგი ზედ მიეჯახა. ასტყდა სიცილი და ხარხარი. ყვე-ლა შიგ იყურებოდა, მეტადრე ქალები; რომლებიც ენას ლუოფდნენ ერთმანეთს, საძაგლად იღმიჭებოდნენ და პირს იგრეხდნენ სამასხროდ.

— დავლეწოთ აქაურობა! — დაიძახა ერთმა. და ორ-სამ წამს ყველა აოხრდა და დაილეწა.

— აი, ამ ოთახში ჩაიკეტნენ! — წამოიძახა ერთმა დედაკაცმა.

ხალხი კარებს შიაწვა და ხელადვე შეანგრია. ღე-ნერალი ორბელიანი, მაზრის უფროსი გრაფი ტიზენ-ჰაუზენი და ორიოდე სხვაც საღარბაზო ოთახში გამო-იყვანეს.

— მილიციონერების სიები რომ შეგიდგენიათ, ახლავუ აქ მოგვეცით დასახევად, თურემ დაგლეწავთ! — გრიალებდა ხალხი,

— სიები სულ სიღნაღშია. — თუ გინდათ, ბარათს ლავწერ და აქ დავიბარებ. — სთქვა მაზრის უფროსმა,

— მე რაღას მემართლებით, ჩემთან რა საქმე გაქვთ, რა დაგიშავეთ? — ეკითხებოდა გულ-გარეთქილი ღენერა-ლი.

— როგორ თუ, რა დაგვიშავე! — შეჰკივლა ერთმა

დედა-კაცმა. — შენ არ იყავ, იმ დღეს რო საიდამ სად  
მოველ შენთან, ტირილით შემოგჩივლე, შენ-კი გარეთ  
გამომაგდე და კინალამ რუს-სალდათებს აცემინე ჩემი  
თავი?

— ამათ რალის ელაპარაკებით? — სთქვა გაფიტრე-  
ბით მეორე დედა-კაცმა, საბედო გულხადარაშვილმა,  
და ჯოხი დაჰკრა ღენარალს სახე ში. მაზრის უფროსმა  
ხმლის ამოლება დააპირა, მაგრამ ხალხმა დაასწრო და  
კეტები დაუშინა მას, ღენერალს და სხვებსაც. ყველა  
აირ-დაირია. ერთმა ტახტის ქვეშ შემძღრალი გუდიშ-  
ლევკოვიჩი დაინახა. გამოათრიეს საცოდავი და ამასაც  
დაუწყეს ცემა. შემდეგ ყველანი აივანზე გამოათრიეს.  
ეზოში ხალხი, ზღვასავით ღელავდა და თხოულობდა,

— აქეთ გაღმოყარეთო. ასწიეს ღენერალს და გადაუძა-  
ხეს. აივანი დაბალი იყო, ჩასასვლელ კიბეს 3-4 საფე-  
ხური ჰქონდა. ამიტომ ორბელიანს ბევრი არა ევნო-რა,  
გარდა ჩმისა, რომ ფეხი მოსტყდა... ხის ფეხი. ხალხში  
სიცილი ასტყდა. ერთმა ჩაფარმა ხანჯალი იშიშვლა  
ღენერლის დასაფარავად და ხალხს ჭუტია,

— ხელი არავის ახლო! — შეჰყვირა თავ-პირ დასის-  
ხლიანებულმა ღენერალმა. ამ ვაუ-კაცურმა ქცევამ უც-  
ბათ მოიგო ხალხის გული. ასწიეს და ფეხ-მოტეხილი  
ღენერალი სახლში შეიყვანეს. მაზრის უფროსი ეზოში  
დედა-კაცებმა გამოათრიეს და აღარ ეშვებოდნენ. ჯოხე-  
ბით და კეტებით თავ-პირი დაუმტვრიეს და მთლად  
სისხლში ამოსვარეს.

— დაჰკა მაგასა! — გაისმოდა აშფოთებულ ხალხში.  
და ყველა სცემდა სტუმრებს აივანზე, ოთახებსა და  
ეზოში.

გაფუჭებული ბოლო.

ხალხი, შეპყურებდა ამ თავ-პირ დამტვრეულ კაცებს — ღენერალს, მაზრის უფროსს, გუდიმ-ლევკოვიჩს და სხვებს.

— სილნალში წავიდეთ, ბიჭებო, ახლა იქაურებს ვესტუმროთ! — დაიძახა ერთმა გლეხმა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — დაიგუგუნა ხალხმა. ასწიეს, მაზრის უფროსსი ჩასვეს ეტლში, რომლითაც სილნალი დამ იყო მოსული, შემოეხვივნენ გარშემო დი გაუდგნენ გზას. ქალი, კაცი და გოგო-ბიჭები ათასობით მისღევდა.

— აბა იქაც ნუ მოგვცემს სიებსა და ნახოს მაშინ სეირი!

— სილნალელებიც უნდა მოვიყვანოთ ჭკუაზე და ავლაგმოთ ამ სომეხ-ვაჭრების გულუმაძლრობა, გაგვატყავეს და დაგვაჭრიეს თავის მამასისხლურ ვაჭრობით.

— ჩვენის ოფლით გამდიდრდენ. ნახევარ ფასად ჰყიდულობენ ჩვენს ნაოფლარს, თავის საქონელს-კი ერთი-ათად გვიფასებენ. ვალებში ჩაგვსვეს, სარგებლით ტყავს გვაძრობენ; მამულ-დედულს ხელიდამ გვაცლიან.

— ეგენიც უნდა ავიკლოთ და გავყაროთ ამ ჩვენს ქვეყნიდამ! — გრიალებდა ხალხი და თან მოსდევდა მაზრის უფროსს საფოსტო გზაზე.

საფლებში აქა-იქ დუქნები იყო გზის პირას. ყველა მილეწეს, დაანგრიეს და ააოხრეს. ბევრგან მამასახლისები და გზირები ჩაიგდეს ხელში და შეუწყალებლად სცემეს და ათრიეს. ამათ ზოგიერთს სოფელში სახლებიც აუკლეს: კრამიტი, ფანჯრები და აივანი დაულე-

წეს. ერთს სოფელში ღვდელსაც სცემეს საძაგლად და სხვებს გაკრეჭის ემუქრებოდნენ.

ერთგან მეეტლემ თავის სიბრივყით მაზრის უფრო-სის დახსნა დაპირა და უცბათ შემოჰკრა ცხენებს გასა-ჭენებლად. მაგრამ მოასწრეს გლეხებმა და აღვირს სტა-ცეს ხელი.

— მაზრის უფროსმა გაქცევა მოიწადინა — დასძახა ხალხმა და ეტლი არხში გადააყირავა ბრაზ-მოსულმა. მეეტლეს ძალაზე სცემა, ათრია და შემდეგ ისევ შესვა ეტლზე. მაზრის უფროსი შიგ ჩააბრძანეს და გაუდგნენ გზას. სალამო მოახლოვდა. დედა-კაცები კაცებს ჩამო-რჩნენ. ერთგან ყველა შედგა მოსასვენებლად. ტიზენ-ჰაუზენს წყაროს წყალი მიართვეს. დაიწყო ხალხმა მას-ლაათი. ბევრმა სთქვა, სიღნაღში ნულარ წავალთ, სიღ-ნაღში ღამე რა გავარჩიოთო. ზოგი ისევ წასვლას რჩეო-ბდა, — დაწყებული საქმე ბოლმდინ მივიყვანოთო. ამასო-ბაში დაბინდდა კიდეც. ლაპარაკში რამდენსამე კაცს ჩხუბი მოუვიდა და ამან უფრო შეაფერხა სიღნაღში ასვლა. ბოლოს იმით გათავდა ეს საქმე, რომ მიანებეს თავი მაზრის უფროსს და დაიტანტნენ თავ-თავის სო-ფლებში. პირობა კი დასდეს, — ისევ შევიყაროთო. მა-გრამ მეორე დღეს მთელი ქიზიყი დამშვიდებული იყო, თითქო აქ არა მოხდა-რაო. ხალხი ახლა იმის ფიქრში იყო, თუ მთავრობა რას მოიქმედებს და როგორ და-ჯიდა ხალხს...

ნოემბრის 15-ს სიღნაღში სამხედრო სასამართლომ ამ საქმის გარჩევა დაიწყო. სამართალში იყო მიცემუ-ლი 17 კაცი და 3 ქალი. ამათ ბრალი ედებოდათ, რომ მთავრობის განკარგულებას წინაღმდეგობა გაუწიეს. 60

კაცი მოწმად იყო დაბარებული. ბრალდებულთ იცავ-  
ლნენ ვექილები: გ. ტერ-სტეფანოვი, ვ. ტატიშვილი და  
ნ. გამრეკელი. ნოემბრის 18-ს სასამართლომ 45 წლის  
კატორდა გადაუწყვიტა 9 კაცს და 2 ქალს; სხვები-კი  
გაანთავისუფლა.

ეს მოხდა ამ 26 წლის წინად ბევრს ახლაც კარ-  
გად ახსოვს ეს არეულობა...

ა. ბეგრ — ძე.

# საპერობილე

## მაჩსიმ გორგისა

### I

...მოღრუბლული, ნესტიანი და ცივი დღე იყო; ქალაქს სქელი, უძრავი ნისლი გადაჭთარებოდა. ატა-ლახიანებულს მიწაზე წვრილი წვიმა ზარმაცად და მოწყენილად სკრიდა, თითქო ქუჩებში მთრთოლვარე ქსოვილები დაუფენიათო....

დასველებულის ქვა-ფენილით, პოლიციელთაგან გარშემორტყმული, ნელის ნაბიჯით მიემართებოდა. დედა-კაცებისა და მამაკაცების საკმაოდ მოზრდილი ბრბო, რომელიც სახლების ცივსა და ნესტიანს კედლებს ეკრობოდა. ირგვლივ რაღაც გამოურკვეველი და ყრუხმაურობა ისმოდა....

ფერ-მკრთალის, დანაღვლიანებულის პირისახეებით, მაგრად მოკუმულის ლრძილებითა და ძირს დახრილის, მოკუშტულის თვალებით გამოიყურებოდნენ. ბრბოდან; ზოგი მათგანი უაზროდ ილიმებოდა და ხანდასმით ოხუნჯობდა კიდეც, რომ ამით დაეფარათ თავიანთი შეურაცხმულელი უძლიურება და აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც აშკარადა ჰერქნობდნენ. ხანდახან შეგუბე-

ბული ხმაურობა გაისმოდა, ხმაურობა აღშფოთებისა, მაგრამ ისე მიკნავებული და გაუბედავი, თითქო ჯერ არ გადაუწყვეტია აღამიანს: დროა აღვშფოთდე, თუ უკვე გვიანდაო.

მოქანცულ პოლიციელთ პირისახეზე ეტყობოდათ რა-  
ლაც შჩრუნველობა და გაბოროტება; ზოგიერთი მათგანნი  
ისე გულგრილად გამოიყურებოდნენ, თითქო აღამიანები  
კი არა, ხისაგან გამოჭრილი ტიკინები იყვნენო. წვიმის  
ცვარი ზანტად ეცემოდა მათს ქუდებსა და ულვაშებს;  
ხოლო სახლების სახურავებს კი თავს დასწოლოდა მძი-  
მედ ეს კაეშნიანი, ბურუსით მოცული ცა, ცივის სინე-  
სტით გაჟღენთილი, და მიმავალს ბრბოს, ამ უომრად  
დამარცხებულ ხალხს, წვიმასთან ერთად ზარმაცად ეცე-  
მოდა და ზედ ეკვრებოდა თოვლის მსხვილ-მსხვილი ნა-  
ბარდნი. ირგვლივ პირქუშობა და მოწყენილობაა.

— შერეკეთ ეზოში! — დაიღრიალა ვილამაც ხრინ-  
წიანის ხმით.

პოლიციელები ერეკებოდნენ გაწუწულსა, მოქან-  
ცულსა და დამარცხებულს ბრბოს ერთს შეშის საწყო-  
ბის ეზოში. ერთი წეწვა-გლეჯა და აურზაური იყო;  
აღამიანები, ისე, როგორც ცხვრები, ერთმანეთს ეკრო-  
ბოდნენ და შედიოდნენ შეშის საწყობის ეზოს ჭის-  
კარში. მათი უკმაყოფილების ხმა თანდათან მატულო-  
ბდა; შეიქმნა ერთი გაცხარებული ურიამული, რომელ-  
საც ბანი მისუა აცრემლებულ ქალების წვრილმა და მა-  
ღალმა წივილმა...

შუაგულ ბრბოში მიღიოდა მხიარული, გულკეთი-  
ლი და წარმოსადეგი სტუდენტი პირველის კურსისა—  
მიშა მალინინი, რომელიც თავის ჭროლა თვალებით სი-

ბრალულით შესცეკეროდა თავისს გარშემო თავ-გზა და-  
კარგულს, ფერმკრთალსა და გაბოროტებულს ხალხს. ქა-  
ლების კივილი, ისტერიკული სიცილი, ყრუ ღრტვინ-  
ვა—ყველა ეს ოღელვებდა და ოღშფოთებდა ახალგაზღა-  
სტუდენტს; იმ საშინელს ვიწროობაში სუნთქვაც კი-  
გასაჭირი იყო; მიშას მძიმე ლოდივით აწვა გულს სიჩ-  
ცხვილის გრძნობა და მზად იყო, მეტის-მეტის სიბრა-  
ზისაგან, ეტირნა; სცდილობდა როგორმე გაერლვია გარ-  
შემო მყოფნი და ჩქარა შესულიყო ეზოში, რომ იქ და-  
მალულიყო, გამოცალკევებოდა ყველას, მარტოდ-მარ-  
ტო დარჩენილიყო.

...ვიღამაც პატარა ხელები მაგრა ჩავლო სტუ-  
დენტს პალტოს სახელში. მან დაინახა მის წინ მდგარი  
გაფითრებული, უშველებელ, დასიებულ თვალებიანი  
პირისახე, რომელსაც ლოყები ცრემლისა თუ წვიმისა-  
გან დასველებული ჰქონდა; უცნობმა უფრო მაგრად ჩაპი-  
და ხელი სტუდენტს და, მთლად ათროთლებულმა, გაწით-  
ლებულის ტუჩებით ცხარედ წამოიძახა:

— არ წავალ!... არ შემიძლიან, არ მინდა! იმან  
ხელი წამკრა... რა ნება აქვს?.. ერთი უთხარით... რო-  
გორ გამიბედა!

ახალგაზღა ქალმა ამოსუნთქა, თავი ჩაიქნია და  
შავი ხუჭუჭა თმები ცრემლით დასველებულს ლოყებსა-  
და თეთრს, ფართო შუბლზე გადაეშალა, რამაც პირ-  
სახე მთლად დაუბრა.

— ნება არა აქვს!—ერთბაშად დაიყვირა ისევ ქალ-  
მა და თავის წვრილისა და მაღალის ხმით დაპფარა იმო-  
დენა ხალხის ურიამული, ხელები დაუქნია, გასწორდა,  
როგორც ფოლადის მავთული, და თვალები დააბრიალა.

ახლა მიშას გულშიაც აენთო ცეცხლი, მწვავედ  
დაუარა ძარღვებში, გაუქრო სირცხვილის გრძნობა, ერ-  
თის წუთით თვალები დაუბნელა და გული აუცხო ჭა-  
ბუკურის გამბედაობით. მიშა წინ მიიწევდა, გზას იკატა-  
ვდა, — იმოდენა ხალხი მისწი-მოსწია და გზა დააცლე-  
ვინა, სწორედ ისე, ტალახს რომ გასროლილი ქვა გას-  
წევ-გამოსწევს და შუა გაჰყოფს... მიშამ მის წინ დაი-  
ნახა მაღალ-მაღალი კაცი, ნაცრის-ფერ ფარაჯაში გა-  
მოხვეული, და უშველებელის ხმით შეუყვირა:

— თქვენ ნება არა გაქვთ სცემოთ!.

— მერე ვინა სცემს? — ხელის ქნევით გულ-მოსუ-  
ლად უთხრა ფარაჯიანმა. ამ ქერა-ულვაშიან კაცის და-  
ღლილს სახეზე ამოიკითხავდით, რომ მიშას ლაპარაკს  
ყურადღებას არ აქცევდა. ფარაჯიანმა სახე დაღმიჭა,  
მიშას მხრებზე ხელი დაადვა და უთხრა:

— აბა, გთხოვთ... შედით, რაღა!

მიშამ შეხედა მისს დაღმეჭილს სახეს და გულში  
შეურაცხყოფის გრძნობამ უჩხვლიტა.

— არ წავალ! — შეჰყვირა მიშამ, — არავინ ადგილი-  
დანაც არ დავიძვრით... ცხვრის ფარა ხომ არა ვართ!  
კმარა ძალმომრეობა!

ყველა ის მშვენიერი და ძლიერი სიტყვები, რო-  
მელიც კი გაეგონა თავისუფლებასა და აღამიანურ ღი-  
სებაზე, წარმოსქდა მაშას გულის სიღრმიდან, როგორც  
შეუკავებელი მოჩუხებულე რუ, გულს ჩაეკვესა მისს გარ-  
შემო მდგომთ და ზოგი მათგანი სიბრაზისაგან აინთო,  
ზოგიც კიდევ — მრისხანებისაგან. თავის მჭექარე ხმისა  
და ბრბოს არეულ ურიამულისაგან გარემოცული, მიშა  
დატრიალდა, როგორც კვამლში ცეცხლის ნაპერწკლე-

ბი, და არ შეუნიშნავს, როგორ სტაციეს ხელი, რო-  
გორ გამოჰვლიჯეს ბრძოს — ის გამოერკვია მხოლოდ  
მაშინ, როდესაც თავისი თავი ეტოში. მჯდომარე დაი-  
ნახა, საპოლიციო უბნისაკენ მიმავალი.

თვალები ფართოდ გაეღო, თრთოლავდა და ხარ-  
ბად სუნთქავდა სუფთა ჰაერს; რაღაც გამოურკვეველ  
სიხარულისაგან აღელვებულს, ანგარიში ვერ მიეცა თა-  
ვის თავისთვის, თუ რა მოჰსდა. მის გვერდით, იჯდა  
უბნის ზედამხედველი, ახალგაზდა, შავ-ულვაშებიანი კა-  
ცი; მარჯვენა ლოყაზე ჭრილობა ემჩნეოდა; ცალი, მა-  
რჯვენა ხელი სტუდენტისათვის შემოეხვია და მარცხე-  
ნას კი ლოყაზე იდებდა ხშირ-ხშირად. პირისახე მოლ-  
რუბლული ჰქონდა, ტუჩები — მოკუმული და თვალები  
იქით გაეშტერებინა, საითკენაც ეტლი მიაქანებდა,

→ საით .. საით მიგყევართ? — ზრდილობიანად ჰკი-  
თხა მიშამ.

— პპოლიციციის სსსამმმართველოში... — უგუ-  
ლოდ, კრიჭა-შეკრულივით უპასუხა უბნის ზედამხედველ-  
მა და სახე ტკივილებისაგან დაემანჭა.

— ხომ არ დაგარტყეს? — თანაგრძნობით გამოეხმა-  
ურა მიშა.

— კკკბიილი მმმტკივა... ეჭ, ეშმაკმა იცის! — წაი-  
ბუტბუტა უბნის ზედამხედველმა, ერთი მუშტიც წაუ-  
თავაზა მეეტლეს ზურგში და ბრაზ-მორევით, ისტერიუ-  
ლად შესძახა:

— ჩქარა იარე, გარეკე, რაღა, შე შეჩენებულო! —  
მეეტლემ, პატარა ტანის ჭაღარა მოხუცმა, რომელ-  
საც ზედამხედველისაგან ნათავაზებ მუშტის ტკივილი-  
საგან სახე დაემანჭა, შემოჰსედა უბნის ზედამხედველს,

გადაატრიალა ცრემლით სავსე აწითლებული თვალები  
და ნუგეშის ცემით უთხრა დამტვრეულის რუსულით:

— მო-ვე-სწრებით, თქვენო კეთ—ბავ... საპყრო-  
ბილეში და ეკლესიაში არასოდეს არ დაგვიანდება...

მეეტლემ შეუქნია ცხენებს სადავეები და წაი-  
დუდუნა:

— ჰმ, შენი... ეეჲ... ეს რა ამბავია?!

ნისლით დაბურულს ქუჩაში ფაცა-ფუცით მიღი-  
მოდიოდნენ გზად მიმავალთა შავი ფიგურები, — ეტყო-  
ბოდა, რომ გზა დაეკარგნათ ამ ხშირს ნისლ-ბურუსში;  
მოწყენილნი, ხელ-ფეხის ფათურით ხმა-ამოულებლად  
იკვალავდნენ გზას, თუმცა-კი არ იცოდნენ, საით მიღი-  
ოდნენ. ყრუ ხმაურობითა და ღმუილით გაიჯლიდა  
ელექტრონის ტრამვაის ვაგონები, რომლის თვლებს  
ქვეშაც ხშირად აკვესდებოდა გაბოროტებული, ლურჯი  
ნაპერწკლები, ხოლო შიგ ვაგონებში კი გაუნძრევლად  
ისხდა მდაბიოს, მუშა ხალხი. ქუჩების ქვა-ფენილებზე  
განუწყვეტლივ ისმოდა დაღლილ ცხენთა ფეხების  
თქარა-თქური, ხანდახან ცხენის ნალები გაკაჟებულს.  
ქვებს მოჰკვდებოდა; ხშირად გამოჩნდებოდა ყვითელ-  
შუშებიანი ფანრები, რომელიც წუთით ყვითლად გააშუ-  
ქებდა, თუმცა-კი გარეშემო არაფერს ანათებდა, ას ცივ,  
გაუნძრეველ ნისლ-ბურუსში გახვეული, მყისვე ჩაჰქრე-  
ბოდა. ეტლის თვლებზე გადაკრული რეზინის სალტეები  
გაჩქარებულის ხტომით მიექანებოდა ოლრო-ჩოლრო ქვა-  
ფენილზე.

მიშა დაკვირვებით უყურებდა ყველა ამას; და გულ-  
ში რაღაც უსიამოვნაბასა ჰგრძნობდა იმის გამო, რომ  
წელანდელი მისი წუთიერი აღელვება იმდენ უსამარ-

თლობის დანახვაზე ასე ჩქარა ჩამჭრალიყო, მაგრამ ამას-თანავე მკერდს უღვივებდა მოვალეობის აღსრულების ბრწყინვალე და საამაყო შეგნება. საპოლიციო უბნის აღაყაფის კარებთან ვიღაც დაბალმა, ჩასქელებულმა და ფერმკრთალმა კაცმა დამშვიდებულის ხმით ჩაილაპარაკა:

— ეჰე! ერთი კიდევ მოიყვანეს. აღაგი კი აღარ არის — საღ მოვათავსოთ!.. მათმა კეთილშობილებამაც ბრძანა, ყველანი პირდაპირ საპყრობილები წაიყვანეთო...

— ეშმაკმა წაილოს!.. — კვნესით წამოიძახა უბნის ზედამხედველმა, საჩქაროდ შემობრუნდა მიშასკენ, მწარე ტკივილებისაგან პირისახე დაემანჭა და თავაზიანის კილოთი უთხრა:

— აი, ბ-ნო სტუდენტო... დიალ! თქვენც ამბობთ, რაღა — ხალხის გულისთვის ვიტანჯებითო!.. და მე კი, ავადმყოფი კაცი, უნდა გატარებდეთ... ეს სამართალია, ჰა? აბა, რასა პერსე?

უცბად მიუბრუნდა მეეტლეს და შკვახედ შეჰყვირა:

— შენ, ეი! აბა, საგუბერნიო საპყრობილები — ჩქარა!.. მიშას კინაღამ გაეცინა, მაგრამ არ უნდოდა ეწყეინებინა ავადმყოფ კაცისათვის, თავი შეიკავა და არაფერი უპასუხა. შემდეგ კი ალერსიანად, ზრდილობით შენიშნა:

— კარგი იქნებოდა, კრეოზოტი გესინჯათ — მოგიხდებოდათ...

უბნის ზედამხედველმა ჯერ არაფერი უპასუხა, მხოლოდ, როცა საპყრობილეს მიუახლოვდნენ, ეტლიდან ჩამოსვლის დროს წყენით ჩაილაპარაკა:

— კრეოზოტიცა ვსინჯე... არაფერი მიშველა!...  
აბა, მობრძანდით!

## II

საპყრობილეშიაც აღარ დარჩა თვისუფალი. ადგი-  
ლი და მიშა სისხლის სამართლით დასჭილთათვის მიჩ-  
ნილს პატარა სენაკში ჩასვეს.

სენაკის ზედამხედველმა, პირმოგრძო, ჭალარა-შერ-  
თულმა, ქოსაძ და მაღალის ტანის კაცმა, რომელსაც  
ჩაცვივნული ჭროლა თვალები რაღაც საგნისთვის ჩაეშ-  
ტერებინა, საშინელის ბრახვანით დაჰკეტა სენაკის სქე-  
ლი და გაჭუჭყიანებული კარები, შემოჰყო გარედან თა-  
ვი კარებზე გაკეთებულ ჯუჭრუტანაში და ნელის ხმით,  
თითქმის ყრუდ, წარმოსთქვა:

— თუ რამე დაგჭირდეთ, დამიძახეთ, აქ ვიქნები...  
და მყისვე ჩუმად გაჰქია.

სტუდენტმა ცნობის-მოყვარედ გააყოლა თვალები  
ზედამხედველს და მერე, დამშვიდებულმა, სენაკს დაუ-  
წყო თვალიერება.. ეს იყო ვიწრო და გრძელი ოთახი.  
მარცხნივ, კარებთან, კედლის ღუმელი იყო; ღუმელ-  
თან ახლოს ტახტი იყო დადგმული ოთხის კაცისთვის;  
აქედან ტახტი გაჭიმული იყო. ოთახის მთელს სიგრძე-  
ზე და თვედებოდა რკინის ბადე-გავლებულ დიდს ფან-  
ჯარასთან, რომელსაც ბადე მეტის სიერგისაგან გაყი-  
თლებოდა. ტახტია და მარჯვენა კედელს შუა თავის-  
უფალი ადგილი სიგანეზე მხოლოდ ერთ ადლ-ნახევარი-  
ლა თუ იქნებოდა, მეტი არა. გარდა ტახტისა, ამ ჭუ-  
ჭყიანსა და გულის მწყვლელ სენაკში არაფერი იყო.

ქვით-კირის თაღი ისე დაბზარულიყო, რომ გეგონებოდათ, ეს-ეს არის, ჩამოინგრევაო. მარჯვენა კედელთან თაღზე მიმაგრებულ გორგოლაჭზე ელექტრონის ჰატარა ლამპადა შეტალად. ანათებდა; მტვრისაგან თითქმის მთლად დაფარულიყო, მაგრამ მაინც ამ მკრთალ სინათლითაც კარგადა სჩანდა ძალზე გაჭუჭყიანებული კედელი, რომელზედაც აუარებელი ბალლინჯო მიესრისათ. გარდა ამისა, კედლები რაღაც წარწერებით იყო აქრელებული.

ლუმელის მახლობლად, საწოლს ზევიდან, როგორც ეტუობოდა, ლუსმნით ვიღისაც უშველებელი ციფრები ამოეჭრა და ანგარიშში ევარჯიშნა: გამოეკლო, გაეყო მიემატებინა და გაემრავლებინა ციფრები, რომ ამნაირის შექცევით გაეტარებინა უსაქმო დღეები და შეპბრძოლებოდა მარტოობას, მოწყენილობას... ფანჯრის ქვემოდ, ჭადელზედვე, მსხვილის ასოებით ამოჭრილი იყო შემდეგი ლექსი:

„Мы изъ Вязьмы два громилы,  
„Вместѣ по міру ходили,  
„Съ за угла конѣйку срубимъ,  
„На нее краюшку купимъ  
„И—хряпаемъ“. \*)

მიშას გაეღიმა და გაიფიქრა, ნეტა რას ნიშნავსო ეს სიტყვა „хряпаемъ“?

\*) „ჩვენ ვართ ორნივ ვიაზმელნი,  
„ხალხის მყვლეფნი, ამკლებელნი.  
„უველგან ერთად დავდიოდით  
„და, თუ კაპიკს ვიშოვნიდით,  
„მით პურის ყუას ვიყიდდით  
„და — ვხმუხნიდით“.

— ალბად — ხარბათა ვჭამთო! — გადასწყვიტა მიშამ  
და დაუწყო თვალიერება კედელზე უსწორ-მასწოროდ  
ლაჯღაბნილს ასოებს.

ეს ორი „ხალხის მყვლეფავ-ამკლებელიც“ მიშას  
მეტის-მეტად ოხუნჯ კაცებად წარმოუდგა. — „საბრალო  
შიშველ-ტიტველნი, ნახევარზე მეტჯერ მუდამ მშიერნი  
არიან; ეგენი არასოდეს სასოწარკვეთილებას არ მიეცე-  
მიან, არაფრისა არ ეშინიანთ, დაძრწიან ერთ ქალაქიდან  
მეორეში, საღაც შეპხვდებათ, თუ ვისმე ერთი კაპეიკი  
გამოსცინცლეს, პურის ყუას ჰყიდულობენ და ცხოვრობენ,  
სწორედ ისე, როგორც გარეული მტაცებელი ფრინვე-  
ლები ადამიანთა შორის“, — ჰათიქრობდა მიშა.

ერთხელ კიდევ წაიკითხა მიშამ ლექსი, ყურადღე-  
ბით დაკვირდა ამ ჰუჭყიანს კედლებს და ხმა-მაღლა  
გადაიხარხარა...

საკანის კარებს უკან, გარედან, მოისმა ნელი ფე-  
ხის ხმა და მიშამ გაიგონა გაჯავრებულის ზედამხედვე-  
ლის სიტყვები:

— რა ამბავია, რა მოგივიდათ?

მიშა შეკრთა, შემობრუნდა და ჯუჭრუტანიდან  
დაინახა ჩაციებით დაშტერებული ცალი თვალი...

— მეძახოდით?

— არა...

— მაშ, რა იყო? — არ ეშვებოდა ჯუჭრუტანიდან  
დაშტერებული თვალი.

— არაფერი... ისე, გამეცინა, — უთხრა მიშამ.

ჯუჭრუტანიდან მაცქერალმა თვალმა სადღაც მაღ-  
ლა აიხედა და შემდეგ მოისმა გაჯავრებული ხმა, თით-  
ქო ვინმე შეურაცხყოფა მიაყენაო:

— აქ არ იცინიან და არც სასაცილო ადგილია...

— რა, ეგეც აკრძალულია?.. — მხიარულის ლიმი-  
ლით ჰკითხა მიშამ.

მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

საპყრობილის ეზოდან საშინელი ხმაურობა მოის-  
მოდა. სადღაც დერეფნიდან წყლის ჩუხჩუხის ხმა მო-  
დიოდა; მეზობელ საკანში. ზარმაცად აულარუნებდნენ  
რკინის ბორკილებს, —და ყველა ეს ხმაურობა ერთმა-  
ნეთში იყო არეული, რაიცა კაცს დაყურადებისა და  
რისიმე გაგონების სურვილს უკარგავდა. მიშას. წინ გა-  
მოჩნდა საკანთა ზედამხედველის გამხდარი, გრძელი  
პირისახე, მისი ჩამრგვალებული და უფერული ოვალები,  
მაღლა აწეული გაჭალარავებული წარბები, ფართო  
შუბლი, რომელსაც გაყვითლებული და დაჭმუჭვნილი  
ტყავი უჭარავდა...

— ფედკა, ეი, შე გასალახანავებულო! — წაიბუზლუ-  
ნა ვიღამაც დერეფანში და შემდეგ მოისმა ხარხარი; მი-  
შას საკანის მახლობლად, ფეხების მძიმე ბაკა-ბუკით,  
ვიღამაც გაირბინა... .

— ნელა, თქვენ, ეი, თხებო! — გაისმა ვიღასიც  
მრისხანე ხმა.

მიშამ ერთი ლრმად ამოიხრა და დაიწყო წარწე-  
რების კითხვა. ჭერზე, სადაც ხელს აღვილად მიუწვ-  
დენდა. ტახტზე მწოლარე კაცი, ვიღასაც ფრთხილად,  
ბეჭდურის ასოებით დაეწერა:

„Сдѣсь сидѣлъ Якофъ Игнатиѳъ Усоѳъ. По-  
убийству жены и Сашки Грызлова за подлость

ику. Винварѣ это было. 1900. Выпустилъ имъ кишкى \*).

Міშა Шეკრთа. ის გააკვირვა წარწერის შინარსმა-და უფრო კი იმან, რომ წარწერა დიდის სიფრთხილით იყო დაწერილი. როგორც ამ წარწერიდან აშკარად სჩანდა, უსოვი მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მას უფლება ჰქონდა დაეხოცნა ადამიანები.

Міშას უნდოდა წარმოედგინა თავისს გონებაში უსოვი, მაგრამ ვერ გამოეძებნა ქვეყანაზე მისი მგსავსი აღამიანი. ეს წყნარი და მშვიდი კაცის-მკვლელი მიშას წარმოუდგა რაღაც უმსგავსო, საზოგადოების მრისხანე, ლაქად, რომლის შუაგულზედაც ერთნაირ ზომაზე ბირბილებდა სისხლივით წითელი ცეცხლის ალი.

გარედან მძიმე ნაბიჯის ხმა და მაღალი შეძახილი მოისმა:

### — წყნარად!

შემდეგ დააუღარუნეს რკინის ჯაჭვი, კარი გააღეს და მიშას საკანში შემოვიდა ორი ზედამხედველი და საპყრობილის უფროსის უმცროსი თანაშემწე — პატარა ტანის კაცი, პატარა პირისახისა და მშიშარა, თაგვის მსგავს თვალებიანი. საჩქაროდ აათვალ-ჩაათვალიერა მიშა და ხმა-ამოუღებლივ გაბრუნდა. ერთი ზედამხედველთაგანი, — ქერა, ჩასუქებული და გაბერილ-ლიპიანი, — მიუახლოვდა ფანჯარას და ზედ გავლებული რკინის ბადე.

\*.) „აქ იჯდა იაკობ ეგნატეს ძე უსოვი, რომელმაც მოჰკლა თავისი ცოლი და საშკა გრიზლოვი მათის სისაძაგლის გამო. ეს მოხდა იანვარში. 1900. ორთავეს ნაწლევები გამოაყრევინა“. (დედანს ვსტოვებთ რესულად, რადგანაც დამაზინჯებულ რუსულის ენით არის დაწერილი).

გასინჯა და მიაქან-მოაქანა. მეორე, მიშას ნაცნობი მოხუცი ზედამხედველი კი, უძრავად იდგა საკანის კარების გასავალთან და თავისი მიმკვდარებული თვალები ახალგაზდა პატიმარისთვის დაეშტერებინა. უცბად მისს ფეხებთან მიშას საკანში შემოხტა,—როგორც სუსხიან ზამთრის ცივი ჰაერი შემოვარდება ხოლმე ოთახში კარფანჯრის გაღებისთანავე, —სისხლის სამართლის წესით დასჯილ ტუსალის ჩასუდრებული ფიგურა, რომელმაც თვალის დახამხამებაზე ლოგინში ჩაჰულა ხისაგან გაკეთებული გაფისული წყლის ჭურჭელი და მყისვე მოკურცხლა. სენაკების ზედამხედველნი და საპყრობილის უფროსის უმცროსი თანაშემწეც წავიდნენ ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ მიშასთვის. დაიუღარუნა რკინის მძიმე ურდულმა, დაიჭრიალა კარების კლიტე-გასაღებმა, გააღეს კარები, გავიდნენ, მერე ისევ ჩაჰკეტეს. მაგრად და გაუდგნენ გზას შემდეგ სენაკებისკენ. გზა-და-გზა ძალზე მიაჩხარუნებდნენ სხვა სენაკების გასაღებებს.

— წყნარად!.. — მოესმა მიშას თავის საკანში ხმა-მაღალი შეძახილი.

საიდანლაც ჭრიალი მოისმა და ბრახუნით კარები გააღეს, რამაც აპერი ისე შეარყია, როგორც თოფის-წამლით პირამდე გავსებულ დამბაჩის გასროლით შეირყევა ხოლმე, მოისმა ისევ ბორკილების ჩხარა-ჩხური, მძიმე და მაგარი ნაბიჯები, და მიშამ ისევ გაიგონა მრის-ხანე ხმა:

— წყნა-რაად!..

და ყველაფერი მიყუჩდა, თითქოს მთელს საპყრობილეს ისეთი ბადე გადააფარეს, რომელშიაც ხმა ვერ გაატანსო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა:

ერთბაშად მიშას სახე დაემანჭა, თითქოს კბილის ტკივილსა ჰერძნობსო, მაგრამ იმწამსვე სირცხვილი იგრძნო და გაიფიქრა: — „ნუთუ ამნაირმა ტკივილმა უნდა შემაწუხოსო“, — თავი გადაიქნია, ორივე ხელი დაპალა შარვლის ღრმა ჯიბეებში, ერთ ხანს ხმა-მაღლა უსტვინა და დაიწყო საკანში წინ და უკან სიარული.

ფანჯარასთან გამოჩენდა საკანის ზედამხედველის მიმკვდარებული თვალი და ჩახრინწიანებულის ხმით მკვახედ უთხრა:

— სტვენა — არ შეიძლება! აკრძალულია!

— არ შეიძლება?! — განიმეორა ერთ ადგილის გაქვავებულმა მიშამ.

— ჰო, დიალ, არ შეიძლება!.. — გადაწყვეტით უთხრა ზედამხედველმა.

— კარგი... ალარ დაუსტვენ, რაკი ეგეც აკრძალული ყოფილა! — მხრების აწევითა და ლიმილით უთხრა მიშამ.

რამდენსამე წამს ფანჯარაზე მომდგარი თვალი ჩაციებით დაშტერდა კარზე პატარა ყულაბის მსგავსად ამოჭრილს სარკმელს და შემდეგ ნელ-ნელა ზევით კენ აიწია. გარედან მოისმა მიმავალ ზედამხედველის ნელი ფეხის-ხმა...

მეზობელ საკანში კატორლაში გასაგზავნი ტუსალები იყვნენ. აქედან ჩაღაც გაუგებარი, ერთნაირი ზუზლუნი მოისმოდა... ალბად, ვიღაც ლოცულობდა ან ზღაპარს თუ ამბობდა. მიშა მივიღა ფანჯარასთან, ავიდა ფანჯრის ჩარჩოზე, მიაღო შუბლი ფანჯარაზე გავლებულს ცივ რკინის ბადეს და თვალი მიაშტერა შემოდგომის ღამის წყვდიაღს... ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ

კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა... სულლაც შორს, შორს ჰბურტავდა პატარა, ცელქი და თამამი ცეცხლი; ისე განმარტოებით მოსჩანდა ეს ცეცხლი ღამის წყვდიად ში, თითქო ისიც საპყრობილეშიაო—ბნელს უკუნეთს გარემოეცვა იგი და ამ სიბნელეში მხოლოდ ის-ლა ჰბურტავდა მარტოლ-მარტო...“

### III

დაურღვეველს მყუდროებაში, რომელიც თითქო ხმაურობას უდარაჯებდა და მზად იყო დაუყოვნებლივ აღმოეჩინა ყოველივე უმნიშვნელო შრიალი, მიშამ იგრძნო, რომ მისს არსებაში ხელახლა იზრდებოდა თავისი თავის სიამაყე.

... ასობით აღამიანთა შორის მხოლოდ მან გამოიჩინა მამაკანი და გაჰედა, მედგარი წინალმდევობა გაეწია და შეპბრძოლებოდა ძალმომრეობას!.. მოაგონდა სიცივისაგან გაფითრებულ ახალგაზდა ქალის ცრემლებით სავსე თვალები. — „სად არის ახლა? აღბად, მოახერხა წასვლა და, შესაძლოა; ახლა ზის თავის პატარა, ოთახში და უამბობს მეგობარ ქალებს; თუ მაღალის ტანისა და ქერა სტუდენტი, თავის ჭროდა თვალების შტიალით, როგორის გატაცებით ამბობდა სიტყვას და მოუწოდებდა მაყურებელ-მსმენელთ ძალმომრეობასთან საბრძოლველად; იქმნება ახლა უამბობს, თუ როგორ გააღვივა და აანთო ამ სტუდენტის სიტყვამ ბრძოლის სურვილი მაყურებელ-მსმენელთა გულში... და, აღბად, ახლა ახალგაზდა ქალს ფერმკრთალ პირისახეზე აღტაცების აღმური ასდის...“

— ნეტა თუ ვნახავ ოდესმე? — დაფიქრებულის ღი-  
მილით შეეკითხა მიშა თავის თავს. — მაღლა, ბნელს ცა-  
ზე, თროლავდა და მკრთალად ანათებდა პატარა ვარ-  
სკვლავები, რომელიც ფანჯრების მეტის-მეტ სიჭუჭყი-  
სა გამო ძლიერ ცუდადა სჩანდა. მიშამ ხელი გაჰყო  
რკინის ბადეში, გააღო ფანჯარაზე გაკეთებული ჭვრი-  
ტინა და ერთბაშად ღამის ცივი ჰაერი მოჰვდა. საკან-  
ში მოისმა დინჯი და მაგარი ფეხის ხმა.

— დარაჯი... საპყრობილე... და ეს არც ისე სამძი-  
მო და საშინელება ყოფილა! — გაიფიქრა მიშამ, როდე-  
საც მოაგონდა გულის მწყვლელი და მოსაწყენი  
მოთხოვანი საპყრობილეების შესახებ; თავი ჩაიქნია და  
გულმოსულის ღიმილითა სთქვა:

— ლაჩრები ყოფილან, რომ ასე დაუშინებიათ სა-  
პყრობილეებს!..

მიშას სასიამოვნოდ მიაჩნდა, რომ პატიმრობა  
ძლიერ არ აწუხებდა და გული ზომიერად, წყნარად  
უცემდა.

— რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა აღამიანი,  
შეერთებულის ძალლონით, ისე მამაცად, თავგანწირულად,  
როგორც მე მოვიქეცი, წინააღმდეგებოდეს და საერთო  
იერიშს მიტანდეს ყველაფერზე, რაც-კი ავიწროვებს და  
ჰბორკავს ჩვენს ცხოვრებას... — გულმხურვალედ გაიფიქ-  
რა ჭაბუქმა და ეგონა, რომ იმ წუთშივე, ამნაირის იერი-  
შის მიტანის შემდეგ, ცხოვრება ყველასათვის საამო,  
შშვენიერი და მშვიდი შეიქმნებოდა... შემდეგ მოაგონდა  
მისი სადგომის დიასახლისი, რომელსაც უყვარდა მიშა  
გულწრფელობისა, ხასიათის სიწყნარისა და გულკეთი-  
ლობისათვის და ისე ექცეოდა, როგორც თავისს პირ-  
შოს. „ახლა, ჩემს დაპატიმრებას რომ გაიგებს, — ჰყიქ-

რომდა თავისთვის მიშა:—საშინლად აღელდება და გაცხარდება საწყალი... მაგრამ მოიფიქრებს ნეტა თუ არა, რომ ლოგინი, საცვლები და საღილი გამომიგზავნოს? ამ თვის ფული წინდაწინვე მაქვს გადახდილი... ჩემი დაცუ ძლიერ შეშინდება. მისი ქმარი კი, ჩვეულებრივ, ერთს მაგრად გადაისვამს თავის მელოტ თავზე ხელს და ამოოხერით იტყვის:

— „რა ვქნათ! ეს მოსალოდნელიც იყოო...“

„საძაგელი კაცია ჩემი სიძე... მაგრამ არც ჩემი პატიოსანი დადა ბევრით იმაზე უკითხესი. სცხოვრობენ თავიანთთვის კალუგაში, წელიწადში სამი-ათას მანათს იღებენ ჯამაგირს და სხვა უკელაფერი ფეხებზე ჰკილიათ“...

ცის კიდურზე გამალებით მიჰქოდა ქარისაგან და ნაკუწებული ღრუბლები და აქა-იქ მშუქავ ვარსკვლავებს ეფარებოდა, მაგრამ ქარი ისევ ჩქარა გადაჰყრიდა ღრუბლებს და ვარსკვლავებიც მუქ-ლურჯ ცაზე ისევ გამოანათებდა... მიშა თვალ-გაშტერებით შესცეროდა ცის მწვერვალს და ფიქრები არა შორდებოდა, თავში უტრიალებდა და რეტს ახვევდა.

— აქედან რომ გამანთავისუფლებენ, ბევრს რასმე ვუამბობ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს საპყრობილის შესახებ და გავართობ...— ფიქრობდა მიშა: — შეიძლება, ის ახალ-გაზდა ქალიც შემხვდეს საღმე...

მიშას ისევ წარმოუდგა თვალწინ ამ ქალის გაფით-რებული, შავ, ხუჭუჭ-თმიანი პირისახე, რომელზედაც აღბეჭდილი ჰქონდა მწუხარება და მრისხანება. უცბად მიშას ფიქრად მოუვიდა რაიმე ლექსი ეძღვნა ამ ქალი-

სათვის; თვალები მაგრად დახუჭა, ჩაფიქრდა და, ერთის  
წუთის შემდეგ, მშვიდის ხმით წაიჩურჩულა:

— „ფანჯრის რკინის ბაზეებში  
ვარსკვლავნი ცით სჭრეტე ბნელში...  
ეს! რუსეთში ვარსკვლავნიც კი  
ციდან შეგვცერიან ბნელში!“...

ეს ოთხ-სტრიქონიანი ლექსი ძლიერ მოეწონა მი-  
შას და მოსწრებულადაც ეჩვენა. ამით გახარებული,  
ჩამოხტა ფანჯრიდან, დაიწყო საკანში გამალებით წინ-  
და უკან სიარული, ერთი ნაძალადევად გაიღიმა და სა-  
შუალო ხმით იზეპირებდა ამ ლექსის ბოლო სტრიქო-  
ნებს:

— „ეს, რუსეთში ვარსკვლავნიც კი  
ციდან შეგვცერიან ბნელში!..

— ლაპარაკი არ შეიძლება! — მოისმა მაღალი და  
მრისხანე ხმა.

მიშა შეჩერდა და რამდენსამე წამს მდუმარედ შევ-  
ურებდა ზედამხედველის თვალს, რომელიც სარკმ-  
ლიდან იჭყიტებოდა.

— რატომ არ შეიძლება? — დაბალის ხმით ჰკითხა  
ბოლოს მიშამ.

— აკრძალულია! — წაიჩურჩულა ზედამხედველმა: —  
მოუარეთ თქვენს თავს, თავი შეიკავეთ, ცოტათი ალაგ-  
მეთ თქვენი სურვილი და ნუ ილაპარაკებთ, — ისევ  
ჩურჩულით დაუმატა ზედამხედველმა.

მიშას ისე ეჩვენა, თითქო ზედამხედველი თრთო-  
და და მისი თვალი ახლა სხვანაირად იყურებოდა, — ის-  
თითქო გამოცოცხლდათ და რაღაც გამოურკვეველ  
შიშსაცა ჰგრძნობსო.

— არა, ერთი მითხარი — რატომ არ შეიძლება? —

ჰკითხა მიშამ, მიუახლოვდა კარებს და წყნარად გა-  
იცინა: — თქვენს გარდა ხომარავის არ ესმის ჩემი ლაპა-  
რაკი... და მე თქვენ, განა, გიშლით?

მიშამ კარებისაკენ დაიხარა. ზედამხედველმა სას-  
ტიკის კილოთი უთხრა:

— რას იცინით, ბატონო სტუდენტო? ეჭ!.. განა  
იმიტომ ჩაგსვეს! ამ საკანში, რომ იცინოთ?!

— თქვენ ერთი ეს მითხარით, რატომ... — დაიწყო  
მიშამ, მაგრამ ზედამხედველის თვალი უცბად გაჰქრა და  
გარედ სიჩუმე ჩამოვარდა. მიშამ გაიხედა მრგვალ ჯუ-  
ქრუტანიდან და დერეფანთან ბინდ-ბუნდში თვალი  
მოჰქრა ყვითელ სალებავით. შელებილ კედელს რკინის  
კარებით, რომელზედაც მსხვილი ჯაჭვი ეკიდა; კარები  
უშველებელ. კლიტე-ბოქლომით იყო დაკეტილი. შუაში  
მოსხანდა მრგვალად გამოჰქრილი სარკმელი...

— გამიგონეთ! — მიაძახა სტუდენტმა და პასუხს-  
ელოდა, მაგრამ ამაռდ.

— რანაირი... ბაიყუშია! — გაიფიქრა მიშამ და  
გული ისევ მჭმუნვარებით აევსო.

— წყნარად! — ყრუდ მოისმა გარედან ვიღასიც  
ზარმაცი ხმა. ვიღამაც თოფი ფეხზე შეაყენა. მიშა ხელ-  
ახლა შეჰქტა ფანჯრის ჩარჩოზე. ბნელ ლამეში მოდა-  
რაჯე ჯარის კაცი ჩქარ-ჩქარა და ხმა-მალლა ბურტყუ-  
ნებდა:

— თორმეტი ფანჯარა... ორი ხულულა... \*)

— შენი, ეი, ჯირკვლა! — მხევანედ ამბობდა ვილაცა: —  
თუ დაინახო, რომ ვისმე ფანჯარაში თავი გამოუყვია,

\*) სადარაჯო სადგომი, — ბუდკა.

ან კიდევ ხელი, თვალყური ადევნე და გააფრთხილე, მაგრამ კი არ ესროლო!..

— მესმის!

— ჰო-და ასე! თორემ ისე კი არ დაახალო თოფი, როგორც ამას წინადა.. ბიკოვ, ერთი ამას დაწვრილებით აუხსენი ყველაფერი...

სიჩუმესა და მყუდროებაში თითოეული სიტყვა ისე გამოჰკრთოდა, როგორც სიბნელეში ცეცხლის ნაპერწყლები.

— თუ დაინახო, რომ ფანჯრიდან იყურებიან, არ ესროლო! გაიგე? — ისმის ვიღასიც ბოხი ხმა.

— სწორედ აგრეა, თქვენო კ—ლებავ...

ამ ოთხ სიტყვაში, რომელიც ენის მტვრევით იყო წარმოთქმული, გამოჰკრთოდა შიშიცა და მწუხარებაც.

— ან კიდევ, თუ ვინმე გამოძვრეს ფანჯრიდან — და თუ გამოძვრა, არ, იქითკენ მოჰკურცხლავს, ან, აი, აქეთკენ, ხედავ?

— სწორედ აგრეა...

— მაშინვე ხმა-მაღლა შესძახებ: ვინ მოდის-თქო! ჰო, ასე, ერთხელ შესძახე, მეორეჯერაც... მესამეჯერ კი — ბუჰ!... ესროლე თოფი, მაგრამ — გესმის — მაღლა, ჰაერში, შესაშინებლად... თუ მაინც არ გაჩერდეს და გაიქცეს, პირდაპირ ნიშანში ესროლე.. ან-და, თუ დაეწიო, თოფის კონდახები მიაყოლე და მაგრად წაუთავაზე, ან კიდევ ხიშტი აძგერე... ერთის სიტყვით, როგორც ხელში მოგემარჯვოს. გაიგე?

— სწორედ აგრეა...

— ჰო-და, იარე ახლა აქედან აქამდე, — ხელით აჩვენა ადგილი, — და ფანჯრებში უყურე. აბა, უესმის — ერთბაშად თოფის სროლა არ გაჰვედო!..

— დიალ, არა...

— მაშ ასე... კერპო!.. აბა, ახლა მითხარი, რო-  
დის უნდა ესროლო თოფი?

— როცა კუთხიდან გაღმოცოცდება...

— პირდაპირ კედლიდან რომ გაღმოხტეს, მაშინ?

სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა ვიღასიც მძიმე ხვნება;  
ვიღამაც გაცხარებით ფეხები დააბაკუნა ტალახიანს მი-  
წაზე.

— უუჰ, ეშმაკმა კი წაგილოს!..

— მაშინ თოფის კონდახით უნდა ვცემო... — კი-  
დევ გაისმა მთრთოლვარე ნელი ხმა.

— და თუ ფანჯარაში გამოუყვია თავი? მაშინ რა  
უნდა ჰქონა?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. აჩხარუნდა თოფის ჩახმა-  
ხი. ვიღამაც ბრაზ-მორევით გააფურთხა...

— ეე, შე მუხის თავო!..

მოისმა ხმა-მაღალი უცენზურო გინება და ერთი ისე-  
თი ტკაცანი, თითქო ხელის-გული მოზელილ ცომს დაჰ-  
კრესო...

ამ ხმის გაგონებაზე მიშა აენთო და ტანში ურუ-  
ნტელმა დაუარა...

— მაშინ... არაფერი... — მოისმე, მძიმე ამოხვნება-  
სთან ერთად, გაუბედავი პასუხი:

— სტყუი, მიჰქარავ! — ღრიალებს ბოხი ხმა: — მა-  
შინ უნდა უთხრა: თავი იქით წაათრიე-თქო!.. გაიგე?  
უუჰ, შე ჯოჯო მამაძ—ლო!.. დაიკარგე, მარშ!..

...მიშა მაგრად მიეკრა ფანჯარაზე იავლებულს  
რკინის ბადეს და უნდოდა დაენახა მოდარაჯე ჯარის-  
კაცი, რომელიც ასე კანკალითა და შესაბრალისად ბურ-

ტყუნებდა. საპყრობილის კედელსა და ირგვლივ შემოვლებულ მაღალ ქვით-კირის გალავანს შორის ვიწრო მანძილზ იყო და, თუმცა ძლიერ ბნელოდა, მაგრამ მაინც გაირჩეოდა ნელის ნაბიჯით მოსიარულე რუხი ფიგურა, რომელსაც თავი მაღლა აეწია. ხიშტის წვერი პბრწყინვდა ამ წყვდიაღში და ისე მოსხანდა, როგორც თეთრ-მუცლიანი თევზი წყალში გამოჩნდება ხოლმე მზის ჩასვლისას.

— თავი წაათრიე იქით! — გაისმა აჩქარებული, შეშინებული ხმა.

მიშა ნელა ჩამოვიდა ფანჯრის ჩარჩოდან და ირგვლივ მიმოიხედა. საკანში დაგუბებული ჰაერი იღგა... უცებ თვალი მოჰკრა ცინიკურს გინებას, რომელიც კარანდაშით კედელზე მსხვილის ასოებით მიეწერათ... წაიკითხა, დაჩუმდა და მერე ერთბაშად ხმა-მაღლა განიმეორა... შემდეგ შეჰქედა კარებს, წამოწვა ტახტზე და თვალი დაჰქუჭა... და იმ წუთშივე სარკმელში მკრთალად შემოაჭყიტა მოხუცის ნაცნობმა თვალმა...

#### IV

მიშა გაიშხლართა ტახტზე და მაგრად ჩაეძინა; დაესიზმრა, რომ საღლაც ვიწროსა და ბნელს ქუჩაში, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, გარბოდა; უკან მისდევდა ვიღაც უხილავი არსება, რომელიც სტაცებდა ხელს მხრებზე და უყვიროდა გაუგებარსა და მრისხანე სიტყვებს:

— ადექი! შემოწმებაა!..

თვალები გააღო, თავი წამოსწია და მის ტახტთან

დაინახა ქერა, ჩასუქებული ზედამხედველი, რომელსაც  
ხელი ჩაევლო მიშას „ტუურკისათვის“. და აქაჩავებდა,  
ხოლო კუზიანი კაცი კი, საპყრობილის უფროსის თანა-  
შემწე, დამცინავად შესცეროდა სტუდენტის ჭროლა  
თვალებს და ეუბნებოდა:

— ინებეთ დროით ზეზე აბრძანება... აქ დედის  
კალთაში ხომ არა გვონიათ თქვენით თავი!..

— ახლავე... — ღიმილით უთხრა მიშამ, რაღვან არ  
უნდა ეწყერნებინა, და საჩქაროდ ზეზე წამოხტა.

საპყრობილის უფროსის თანაშემწემ პირდაპირ სა-  
ხეზე შეჰედა, მერე მიბრუნდა კარებისაკენ და ახლა  
რბილად შენიშნა:

— კარგს იზამდით, ქალალდი რომ გეთხოვნათ და  
სახლში წერილი დაგეწერათ... ლოგინის შესახებ...  
აგრედვე სხვა რამეებიც დაგჭირდებათ... — და უკან არ  
მოუხედნია, ისე გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მიშა პირის დასაბანად წავიდა  
დერეფნის კუთხეში, სადაც თითბრის რამდენიმე ონკანი  
იყო გაკეთებული; ონკანებიდან განუწყვეტლივ მოჩუხ-  
ჩუხებდა ცივი წყალი... დერეფანში დარბოლნენ თეთრ  
ტილოში გამოწყობილი ტუსალები, რომელთაც ხელში  
თუნუქის საჩაიე ჭურჭელი ეჭირათ, და დრო-გამოშვე-  
ბით შეჰყვირებდნენ ხოლმე:

— აღუდებული წყალი მოგვიტანეთ... ეი!

მიშას შემოეგება მაღალ-მაღალი, ჩასხმული, ქერა-  
წვერიანი და ფერ-წასული საკატორლე, რომელიც სა-  
შინლად აეღარუნებდა ფეხსა და ხელებში გაყრილ  
ბორკილებს; შეჰედა სტუდენტს, თვალი ჩაუქნია და  
ღიმილით უთხრა:

ჰა, რა იცო, მაჩვი, მოგაკერეს?

ქერა ზედამხედველმა მიშას ერთი ჭიქა ბაცი ჩაი  
და ერთი დიდი ნაჭერი შავი პური მოუტანა. ამ პურის  
ქერქი წალის სქელ ძირისაგან არაფრით განირჩეოდა,  
ხოლო გული კი წებოსავით იგლისებოდა და იქაურო-  
ბას მუავე სუნსა ჰყენდა.

მთელს საპყრობილები საშინელი ურიამული იყო.  
ზოგი იცინოდა, ზოგი იგინუბოდა და ზოგიც სიმღერე-  
ბის ნაწყვეტებს ამბობდა; ხანდასმით მოისმოდა ზედა-  
მხედველთა ყვირილი; დერეფანში ნელა უხახუნებდნენ  
მიწის იატაკზე გაცვეთილ ცოცხებს და ონკანებიდანაც  
განუწყვეტლივ წყალი მოჩუხეჩუხებდა; და მიშა, ამ  
კარჩაკეტილ ძველ ქვით-კირის შენობაში ჩამწყვდეულ  
ხალხის ყოფა-მდგომარეობითა და ამ მღელვარე ცხოვ-  
რებით ღრმად დაინტერესებული, გულსმოდგინებით  
ყურს უგდებდა ამ საერთო ურიამულს...

მიშას ბევრი არაფერი წაეკითხნა და ნახვითაც  
კიდევ უფრო ცოტა რამ ენახა; უნივერსტიტეტში შე-  
სვლამდე მისი ცხოვრება მეტად უფერულად მიმდინა-  
რეობდა თავის სიძისა და დახს სახლში, სადაც საში-  
ნელი სისასტიკე იყო გამეფებული. სხვა სტუდენტებს-  
შორის, რომელნიც უფრო შეგნებულად და ლიტე-  
რატურულის ენით შეჯელობდნენ ამა თუ იმ საზო-  
გადოებრივს საგნებსა და მოვლენაზე, მიშა ძლიერ  
უხერხულადა ჰერძნობდა თავს; მაგრამ ცხოვრების  
უკმაყოფილებით აზეირთებულმა საზოგადო ტალღაშ  
შემდეგში მასაც მაგრად ჩაავლო თავისი ძლიერი კლან-  
ჭები, საკუთარს სულის სიღრმეში ჩაახედა იგი და  
ააღელვა, სურვილი აღუძრა და მოამზადა მედგარ

პროტესტისათვის, მაგრამ ჯერ კარგად ვერ შეეგნო, ვერ მოეხერხებინა იმის გაგება, თუ საითკენ, ვის წინა-აღმდეგ მიემართნა ეს პროტესტი. ახლა კი, როდესაც თავს გმირადა სთვლიდა, მიშა ჭაბუკურის სიხარბით ეტანებოდა ყველაფერს, მაგრამ მაინც ვერ კმაყოფილ-დებოდა და უფრო და უფრო მეტსა თხოულობდა მისი ახალგაზღური აღფრთოვანება... ვაათავა თუ არა ჩაი, მი-შა მაშინვე ფანჯრის ჩარჩოზე შეცოცდა. საპყრობილის ირგვლივ შემოვლებულ გალავანში, მაღალ კედელთან, ჩქარის ნაბიჯით დადიოდა აღამიანის შავი ფიგურა, ფართო მხარ-ბეჭიანი, რომელსაც ხელები ზურგზე და-ეწყო, თავზე კარტუზი ეხურა და ტანთ მოკლე სერ-თუკი ეცვა. ხანდახან უფრო მოუჩქარებდა სიარულს და თვალებს აქედ-იქით აცეცებდა, უფრო კი ფანჯრებს ათვალიერებდა და შეუჩერებლად მიღი-მოდიოდა. მიშამ არა ერთხელ შეამჩნია, რომ ეს უცნობი კაცი მას რამდენჯერმე ცნობის მოყვარეობით დააშტერდა სახე-ზე. მიშამ მოისურვა სამა გაეცა ამ კაცისათვის, ეთქვა თავისი გვარი, გამოეკითხნა, რისთვის დაუპატიმრებიათ, და როდესაც უცნობი მისს ფანჯარის მიუახლოვდა, მიშამ ნელა, ოდნავ გასაგონის ხმით დაუძახა:

— გამიგონეთ!..

სად იყო, სად არა, მიშას ფანჯარისთან გამოჩნდა დარაჯი ჯარის კაცი და თითის დაქნევით მრისხან ედ უთხრა:

— ეი!.. არ შეიძლება!..

კარტუზიანმა კაცმა მხრები აიჩეჩა, მიშას გაულიმა და ჩაიარა. მიშა ჩამოხტა ფანჯრიდან და ძლიერ ააღელვა დარაჯის შემობლვერამ, მაგრამ ამავე დროს ძლიერ

გაახარა უცნობ კაცის გაბრწყინვებულმა თვალებმა და თანაგრძნობის ღიმილმა. მიშას აზრით, ამ ღიმილმა უკვე დაამყარა მათ შორის საამური თანასწორობა და სიმპატია. .

შუადლისას საკანში შემოვიდა ახალგაზდა, პატარა ტანის ზედამხედველი, რომელსაც სახე ყვავილისაგან საშინლად დამახინჯებული ჰქონდა. ზედამხედველი გაჩერდა კარებთან, მიშას არც კი შეჰქედა და ისე უთხრა:

— წამობრძანდით სასეირნოდ...

გარედ საშინელი ნოტიო ამინდი იღგა; სამი ტუსალი დადიოდა საპყრობილის ეზოში, ხელში ცოცხი ეჭირათ და ზარმაცად ჰგვიდნენ; ნაკვალევებში ჩამდგარ ამღვრეულ წყალს ალაყაფისკენ მიაშეფებდნენ, მაგრამ ცოცხებით უფრო ატალახიანებული წყალი ისევ უკან ჰბრუნდებოდა და ზაკვალევებსა და ქვებს შუა დგებოდა...

ზედამხედველმა მიიყვანა მიშა საპყრობილის ეზოს კუთხეში და დაბალის ხმით წაილაპარაკა:

— ისეირნეთ, აი, აქ,—იმ კუთხიდან გალავნამდე... ტუსალებთან გამოლაპარაკება კი არ შეიძლება—აკრძალულია!

აქ, ამ უსაზღვროდ მაღალ და მტრების ფერ ცის ქვეშ, სიტყვები „არ შეიძლება“, „აკრძალულია“—პირველად მოჰქვდა მიშას გულს, და ახლა ამ სიტყვებში რაღაც ლრმად შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და სულელური აზრი იხატებოდა. უცბად მიშამ წარბები შეიკრა და შეჰქედა ზედამხედველს, რომლის სახეც დამახინჯებულს ნიღაბს მოგაგონებდათ. ზედამხედველის თვალები ამ დასახიჩრებულს პირისახეზე მიშას რაღაც

ზედ-მეტად, სხვისად ეჩვენა; მისს შემოხელვაში შიშიც გამოიხატებოდა, ალერსიცა და თან გაუგებრობაც, რაიცა ერთი-ორად უფრო ამახინჯებდა ამ ისედაც დამა-ხინჯებულს სახეს...

— იარეთ, რაღა! — უთხრა ზედამხელველმა: — გაჩე-რებაც აკრძალულია, არ შეიძლება...

მიშა ნელის ნაბიჯით დაიძრა, ხოლო ზედამხელვე-ლი კი გვერდზე შორი-ახლო მისდევდა და აქედ-იქით იყურებოდა, თითქო ეშინიან, არავინ დამინახოსო.

— აბა, რა გაბუნტებთ? — დაბლა უთხრა ზედამხე-ლველმა, რომელიც თვალებს არ აშორებდა მიწას: — გე-სწავლათ თქვენთვის მშვიდობიანად... მერე ბრალმდე-ბლის ამხანაგი გამოხვიდოდით — მორჩა და გათავდა, ამას რა სჯობდა!.. თქვენ კი რაღაც ბუნტებს აჰყოლიხართ... ასეთი ახალგაზდა, ლამაზი ჭაბუკი... დედა გყავთ?..

მიშას გულს მოჰქვდა მისი დაბალი სიტყვები, შე-ჩერდა, გაეცინა, მკერდზე ხელი მიიღო და უნდოდა მა-საც რაიმე უბრალო, ალერსიანი სიტყვა ეთქვა... მაგ-რამ ზედამხელველი შეშინებული განზე გახტა, გარშე-მო მიმოიხედა და სწრაფად წაიჩურჩულა:

— იარეთ, იარეთ! თორემ, თუ დამინახეს, რომ თქვენთან ვმუსაითობ, დამაჯარიმებენ... მორჩა და გა-თავდა!

ამ სიტყვებთან ზედამხელველი მოშორდა მიშას და ეზოს კუთხეში მიიმალა, ხოლო სტუდენტი კი, ალსავსე მწუხარებისა, ცნობის მოყვარეობისა და რაღაც გამოუ-რკვეველ სიხარულის ერთმანეთში არეულის გრძნობით, განაგრძობდა ნაჩვენებ ადგილზე, საპყრობილის გალა-ვნის გასწვრივ, ნელ-ნელა სეირნობას...

ირგვლივ უველაფერი სიცივეს, მარტოობას, მოწყენილობასა და მჭიდრობას მოეცვა...

— ნეტა რამდენ ხანს გამაჩერებენ აქა? — გაიფიქრა მიშამ.

დარწმუნებული იყო, ახლაც რომ გაენთავისუფლებინათ, ბევრი საყურადღებო რამ შეეძლო ეთქვა საპყრობილის შესახებ...

მიშას ისევ მოაგონდა ქუჩა, დამცირებულ და შეურაცხოფილ ადამიანთა ბრძო, პოლიციელთა შავი ფიცურები, ახალგაზდა გასათხოვარი ქალი...

სხვა-და-სხვა მოგონებით გატაცებულმა, ვერც კაშეამჩნია, როგორ ჩქარა გავიღა სასეირნოდ დანიშნული დრო და, როდესაც ნაყვავილარი ზედამხედველი მიუახლოვდა და უთხრა:

— წამოპრძანდითო სენაკში, — მიშამ გაკვირვებით წამოიძახა:

— ასე ჩქარა?!

ზედამხედველმა თანხმობის ნიშნად თავი ჩაიქნია და დერეფანში ჩუმად უთხრა:

— დედაჩემი ღარიბთა თავშესაფარში სცხოვრობს...

— ჰომ! ? მერე რა უშავს! — ლიმილით მიუგო მირამ, რომელსაც ერთბაშად სხვა, უფრო შესაფერი სიტყვები ვერ მოეძებნა.

საკანის მძიმე კარები ისევ ჩაჰკეტეს, ისევ გულ-საკლავად და მრისხანედ დაიჩხარუნა კლიტე-გასალებმა და რკინის ჯაჭვმა...

მიშა გაჩერდა შუა საკანში, აათვალ-ჩაათვალიერა, ჩამოჯდა ტახტზე და ერთბაშად დაავიწყდა უველა ისფიქრი და ოცნებანი, რომელმაც გარედ, სეირნობის დროს, შეიპყრო. ახლა მიშა თავისს არსებაში რაღაც

საარაკო არარაობასა პერძნობდა, — და ჭაბუკი, თავდა-  
ვიწყებას მიცემული, გაშეშდა, გაქვავდა...

ასე მიღიოდა მისი ცხოვრება დღე-დღეზე და არა-  
ვითარი ცვლილება არ ემჩნეოდა... მაგრამ ყოველი  
დღე მისს სულის სიღრმეში აწვეთებდა რაღასაც ახალს,  
მისთვის შეუმჩნეველს, და ყოველ შთაბეჭდილებას, რაც  
უნდა უმნიშვნელ ყოფილიყო იგი, გულ-დასმით უკვირ-  
დებოდა, დიდს ყურადღებას აქცევდა.

V

... შემოწმება, დიდი ხანია, გათავდა. მთელი სა-  
პყრობილე საღათას ძილს მიეცა. სარკმლიდან ხანდა-  
ხან საშინელი ხმაურობა შემოდის... ვიღაცა ძილში  
ჩურჩულებს, ვიღასაც, ალბარ, აბოდებს. გარედან მოის-  
მის ზედამხედველის ნელი ფეხის-ხმა — დღეს მორიგედ  
თვალ-დაშტიმული მოხუცი ზედამხედველია. რომელიც  
ნერი დადის დერეფანში და თავისთვის ბურტყუნებს;  
მიშა კი წამოწოლილია და ხან ამ ხმაურობას უგდებს  
ყურს, ხან კიდევ ფიქრშია გართული.

დღეს, სეირნობის დროს, ჩოფური ზედამხედველმა  
დაწვრილებით უამბო მიშას თავისი ისტორია. ის  
ყოფილა — შვილი ვიღაც აფიცრისა, რომელსაც მოუ-  
ტყუილებია და გაუუპატიურებია ჩოფურის დედა — ახალ-  
გაზღა მკერვალი ქალი. მალე ქალს ფეხმძიმობა და-  
სტყობია; აფიცერს მაშინვე მიუტოვებია საწყალი ქალი,  
ხოლო სახსოვრად მიუცია მხოლოდ თავისი ფოტო-  
გრაფიული სურათი და მემკვიდრე, რომელიც მერე  
შეეძინა. ახალგაზღა ქალი თოთხმეტის წლის განმავ-

ლობაში, როგორც შეეძლო, ფაქიზად უვლიდა და  
ზრდიდა თავის პირმშოს, და ამავე ღროს თვითონ შე-  
უსვენებლივ, თავ-აუღებლად მუშაობდა და მუშაობდა...  
საწყალს ქვეყანაზე, ამ ერთად-ერთ ვაჟს გარდა, არავინ  
და არაფერი არ გააჩნდა. როცა შვილი ცოტათი წამო-  
ეზარდა, ჯერ სამრევლო სკოლაში მიაბარა, მერე  
იქიდან საქალაქო სასწავლებელში გადაიყვანა, მაგრამ  
აქ ერთხელ მასწავლებელმა თმები ააჭილა, — და დედამ,  
რომელსაც თავის ერთად-ერთის ვაჟისათვის ჯერ არც  
ერთხელ მკვახე სიტყვაც კი არ ეკადრებინა, ვეღარ  
მოითმინა ეს და სასწავლებლიდან გამოიყვანა. ორის  
წლის შემდეგ, დედამ გადამწერალის ადგილი უშოვნა  
შვილს სასამართლოს გამომძიებელთან, თვითონ კი ისევ  
ისე ჰკერავდა, — აკეთებდა ქსოვილებისაგან ყვავილებს,  
ჰქსოვდა ჩულქებს, — ერთის სიტყვით, დღე-ღამ თავ-  
ჩაქინდრული მუშაობდა. რამდენისამე ხნის შემდეგ, შვილი  
ჯარში გაიწვიეს სამხედრო ბეგარის მოსახდელად; აქ  
ახალ-გაზდა ჯარის-კაცმა, რომელიც დედის მუდმივს  
სიყვარულსა და ალერსში გაიზარდა და რომელსაც თავის  
მხრივაც ძლიერ უყვარდა იგი, — ვეღარ აიტანა უნტერ-  
აფიცრის გამუდმებული დაცინვა მის მშობელ დედაზე და  
ერთი ლაზათიანად მისტყიბა თავისი უფროსი წვრთნა-  
ვარჯიშობის დროს. ამის გამო სამის წლით დისკი-  
პლინარული ბატალიონი გადაუწყვეტს ნამსახურ დრო-  
ის ჩაუთვლელად. ამავე ღროს კი უკვე მოხუცებული  
დედა სულ მუშაობდა და სტიროდა თავის შვილის ასეთ  
აუტანელ ცხოვრებასა და უბედურობას. ჯარში შვილი  
წელიწადი იმსახურა და დაბრუნდა იქიდან დამახინ-  
ჯებული, ყვავილსაგან შექმული, დატანჯული და გამოვ-

ლილ შიშ-მწუხარებისაგან დადაღული. სახლში რომ დაბრუნდა, დედა თითქმის დაბრმვებული დაუხვდა; — ახლა მუშაობაც აღარ შეეძლო, ეკლესიების კარებზე იეტუზებოდა ხოლმე, მოწყალებას თხოულობდა და თავს ამ საშუალებით ირჩენდა...

მაგრამ ახლაც კი, ამ მდგომარეობაში მყოფმა დედამ, ჯარიდან ახლად დაბრუნებულ შვილს აჩუქა თავის ხელით ნაქსოვი შარფი, უკანასკნელი ნამუშევარი აკანკალებულ-დაკვრააჩნილის თითებისა და ნახევრად ბრმა თვალებისა, უკანასკნელი ნამოქმედარი თავის დაუძლურებულ ძალით, რომელიც დაუმატლებლად, უსაჟვედუროდ შესწირა მისს პირმშოს... რამდენისამე თვის განმავლობაში შვილიც დედის-მიერ შეგროვილ მოწყალე ბითა სცხოვრობდა, რადგანაც ვერსად საქმე ვერ ეშოვნა. ცოტა ხნის შემდეგ დედა მთლად დაუბრმავდა; შვილმა, დაბოლოს, როგორც იყო, იშოვნა ადგილი საპყრობილეში, ხოლო მისი მოხუცებული დედა კი ვიღაც ღვთისნიერმა ადამიანმა მოათავსა ღარიბთა და დავრდომილთა თავშესაფარში, საღაც ახლა საბრალო მოხუცი თავის ვაჟისთვის წინდების ქსოვით ერთობა.

— რა დედაკაცი ყოფილა! — ჰუკრობდა მიშა: — რაოდენი შრომა და სიყვარულია მისს ცხოვრებაში... რაოდენი უბრალო და გულის სიღრმემდე ჩამწვდენი გრძნობიერება! ...

აქ მოაგონდა შეშინებული, უაზროდ გაშტერებული თვალები ჩოფურა ზედამხედველისა, მისი დაბალი ხმა... .

— მერე რა აზრი აქვს ყველა ამას? რა აზრი აქვს. ამ სიყვარულსა და შრომას, თუ შვილი მაინც ისევ-ისე...

— ბატონო მალინინ! — მოისმა გარედან ხმა-მალა-  
ლი შეძახილი.

მიშა საჩქაროდ ზეზე წამოხტა და კარის სარ-  
კმელში დაინახა გარედან მომდგარ ზედამხედველის  
ცალი თვალი.

— რად ლაპარაკობთ? — ჰკიოთხა მოხუცმა.

— მე? არ მიღაპარაკნია! .. — გაკვირვებით უპასუხა  
მიშამ.

— აბა, რას მალავთ — ხომ გავიგონე!

— ჰოო, ეს, ალბად, ისე...

— ჰო-და, მეც მაგას ვამბობ..., გეუბნებით — თავი  
შეიკავეთ-მეთქი...

ზედამხედველის თვალი წუთით მიიმალა, მემდევ  
ისევ გამოჩნდა და მოხუცმა გასაფრთხილებლად წაიჩურ-  
ჩულა:

— სწორედ ემაგრე თავისთვის ლაპარაკობდა...  
იყო აქ ერთი... მართალი გითხრათ — ჩემი დისწული  
იყო...

— მერე? — სწრაფად ჰკიოთხა მიშამ.

— მერე და საგიუეთში წაიყვანეს! ..

— თქვენი დისწული?

— დიალ, დიალ, ჩემი დისწული... — ჩურჩულებდა  
მოხუცი და თვალს ახამხამებდა, ალბად — კარგად არა  
სხიანდა სარკმლიდან — თავს თუ აქნევდა, ნიშნად თან-  
ხმობისა.

— აქ იყო დატუსალებული? — დაბლა ჰკიოთხა მიშამ.

— აქ იყო, მეცხრე ნომერში...

— და თქვენც... თქვენც აქ იყავით? — ოღნავის  
ყოყმანის შემდევ ჰკიოთხა მიშამ, რაღვანაც იგრძნო,

რომ მოხუცს გული აუზება ამ ამბის გახსენებამ.

— მე აქ ჩვიდმეტი წელიწადია ვარ, მშვიდად უპასუხა მოხუცმა და დაუმატა: — ახლა მეთვრამეტე წელიწადში გადავდექი...

მიშა შესკეროდა მოხუცის მიმქრალებულს თვალს, გრძელს, დამჭენარს ცხვირს, და სურდა ეკითხნა:

— ნუ თუ თქვენს ღისწულსაც ისე უდარაჯებდით, როგორც მეო? — მაგრამ არ უნდოდა მოხუცისათვის ეწყეინებინა და მხოლოდ ქს უთხრა:

— მაშ, დიდი ხანია, აქა ხართ...

— მოითმინეთ, სკამს მოვიტან, აჩუმად ჩაილა-პარაკა მოხუცმა: — თორემ წელში მოხრა მიჭირს... წელი მტკიცა.

ზედამხედველი წავიდა. მიშა კართან იდგა, ყურს უგდებდა მისს ფეხის ხმას და ჰარიკობდა:

— თუ კი ადამიანს მართლა სული უდგას, ამას ისეთივე სიბნელით მოცული, უგრძნობელი და ყოვლად მახინჯი სული უნდა ედგეს, როგორც მისი პირისახეა...

მოხუცი დაბრუნდა, წენარად მისდგა სკამი კარებ-თან და სარკმლიდან საკანში ისევ გამოჩნდა მისი ცალი თვალი და ბანჯგვლიანი ჭალარა წარბები, რო-მელიც შალლა აეწია.

— აი, ასე უკეთესია, — სთქვა მოხუცმა, — დაძინება არ შემიძლიან, ძვლები მტკიცა... და, მგონი, არც თქვენ გეძინებათ... აი, ახლა დალაგებით ვიმუსაითოთ. ლამ-ლამობით შეიძლება... დღისით არ შეიძლება, თო-რემ ლამე ვინ რას გაგვიგებს? დღისით მე ისე ვიქცევი, უფროსებს ისე ვაჩვენებ ხოლმე თავს, ვითომ ძლიერ სასტიკად გეპურობით... სხვათრივაც არ შეიძლება...

მთავრობა, უფროსები ასე თხოულობენ ჩვენგან!.. ღამით  
კი თქვენთანაც შეიძლება ლაპარაკი... ესეც არ იყოს,  
თქვენ რანაირი დამნაშავე ხართ? კაცი არ მოგიკლავთ, არა-  
ვინ გაგიძარცვავთ, ერთი და მეორე... ეჰე-ჰე! ახალგა-  
ზდა ხართ, ლოკები ბულა ვაშლივით დაგწითლებიათ...  
სწორე გითხრათ, მებრალებით... თქვენ კი ისე იცინით  
და გიხარიანთ, თითქო რაიმე წარმატება და ჩინი მიგე-  
ღოთ... ეეჳ, სიყმაწვილევ!.. უკეთესი არ იქმნებოდა,  
მთავრობისათვის რომ დაგეჯერებინათ, მისი მორჩილი  
გამხდარიყავით?!..

მიშას არაფრად ესიამოვნებოდა ამეების მოსმენა.  
სწრაფად დაიხარა სარკმლისაკენ და მოხუცსა ჰკითხა::

— რა ხელობისა იყო თქვენი დისტული?

ზედამხედველმა დაამთქნარა, ჩაახველა, პირისახესა  
და თავზე ხელი გადაისვა და უპასუხა:

— ზეინკალი იყო... ინუენერს ესროლა და მოჰ-  
კლა... ეს ამბავი გაზეთებშიაც ეწერა... როგორ არა!  
თვითონ მან წამიკითხა. აქ გაზეთი. შემთხვევით ჩაგვივა-  
რდა ხელში ერთი ნომერი და მისი ამბავიც სწორედ  
იმაში ეწერა... თვითონ ჩემი დისტული კითხულობდა  
და იცინოდა!.. აი, სწორედ ისე, როგორც თქვენ...  
ცოცხალი, მალხაზი ახალგაზდა ბიჭი იყო... საწყალი  
მისი დედა, ჩემი და—ერთავად ღრიალებდა და მოს-  
თქვამდა... მერე რა გამოვიდა—ცრემლით სისხლს. ხომ  
ვერ მოჰბან!.. ხან-და-ხან ვეტყოდი ხოლმე ჩემს დის-  
ტულს: აბა, ფედკა, ჰა, როგორია, როგორ მოგწონს—  
მეთქი ეს ვირის აბანო სატუსაღო? ის კი ფრუტუნე-  
ბდა... პირველად სულ ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა — გა-

ჯავრებული იყო... შემდეგ—დაიწყო დაპარაკი... მოჰ-  
ცვა და აღარ გაათავა... და თქვენც აგრედვე...

— მერე რაზე ლაპარაკობდა, რას ამბობდა? — ნე-  
ლის ხმით შეეკითხა მიშა.

— ისე—ათასნაირს რასმე... ვინ იცის, რას ლაპა-  
რაკობდა? — თქვენ კალუგიდან ხომ არა ხართ?

— დიალ!..

— ჰოო!.. განა არა—გვარი მეცნობა; კალუგაში  
ერთი ფოსტის უფროსი იყო მალინინი...

— ის მამა ჩემი იყო...

— არა, მართლა?... მეც კალუგელი ვარ... დიალ!  
გარდაიცვალა მამათქვენი?

— გარდაიცვალა...

— ეეჲ, ასეა... ყველანი დავიხოცებით!

ორივენი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და მათი ხმა ირ-  
გვლივ გამეფებულს სიჩუმეში მოგაგონებდათ შემოდგომის-  
გამხმარ ფოთოლთა შრიალს. გარედან შემოდიოდა მო-  
დარაჯე ჯარის კაცის წყნარი ფეხის ხმა... საიდლან-  
დაც, შორიდან, ძლივს გასაგონად, ყრუდ მოისმოდა-  
საათის ზარის რეკა და სამგლოვიარო გალობის მსგავსი-  
ჩუმი ხმაურობა.

— ხომ არ მოგწყინდათ აქა? — ჰკითხა მიშამ.

— მოხუცთათვის ყველგან მოსაწყენია... — ნალვლი-  
ანად უბასუხა ზედამხედველმა.

— ერთი ეს მითხარით... თქვენი დისწული არ-  
გებრალებოდათ? როდის იჯდა ამ სატუსალოში?...

— რად უნდა შემბრალებოდა, როდესაც კაცი მო-  
ჰკლა?! ჩემი დად მებრალება, — მართალია!.. ხოლო ვინც  
კაცს მოჰკლავს... .

მოხუცი უცბად დაჩუმდა და თავი ისე სწრატეად მოა-შორა სარკმელს, თითქო ერთბაშად მოჰკვეთეს და ძირს გაგორდაო. მიშა იყურებოდა სარკმელში და პასუხს. უცდიდა.

— რადა სტყუი, შე ახერო ჩემო თავო? — მოისმა გარედან წყნარი, შენანებითი კილო...

— რა სთქვით? — ჰკითხა მიშამ და დაიხარა სარკმელისაკენ.

მოხუცმა თავი მაღლა აიღო, პირდაპირ შეპხედა სარკმლიდან მიშას პირისახეზე, ნაღვლიანად თავი ჩაიჭნია და ნაძალადევის ლიმილითა. სთქვა:

— ვიცრუე... მოგატყუილეთ... მენანება, როგორ არა, ჩემი ფედვა... ისიც ახალგაზდა ბიჭი იყო, მშვენიერი ჭაბუკი...

იმ დროს დერეფანში გაისმა გულის შემზარავი ზმუილი, თითქო ქარიშხალი ამოვარდნილია:

— ნუ მცემთ... ოქვენ გენაცვალეთ მტრედებო... მაპატიეთ... შემიბრალეთ...

— ეს რა ამბავია? რა არის? — ერთბაშად შეპკრთა და წამოიძახა მიშამ.

— სსს-სსს! — დაისისინა მოხუცმა: — არაფერია... ეგ ისე, სიზმარში... ასე ხშირად ჰყვირიან... ყველას თავის დარღვარამი ეზმანება... ეპ-ეპე-პე, აბა, დაიძინეთ... ღმერთი ახსენეთ და დაწეჭით... უკვე თორმეტიც და ჰკრა...

მოხუცი აღგა და წავიდა; ფეხებს ისე რბილად მიათრახუნებდა, თითქო იატაკზე მიათრევსო.

მიშა მივიდა ტახტთან, წამოწვა გულალმა და ნა-

ღვლიანი თვალი მიაშტერა ჭალის გაჭუჭყიანებულს  
კავს, რომელიც შის პირდაპირ იყო ჭერზე გაკეთე-  
ბული...

და მიშას არსება სრულიად მოიცვა სამარისებურ-  
მა სიჩუმემ, რომელიც გამეფებულიყო ამ ბნელსა და  
მისთვის უძილო ღამეში...

## VI

მიშამ უკუ-აგდო თავის უმნიშვნელო. წარსულზე  
ფიქრი, და ყველაზე უფრო უულირს შესანიშნავესი ამ  
წარსულში — მისი სიმამაცე და „საქმე საგმირო“, — ახლა-  
ასე ხშირად აღარ აგონდებოდა. საპყრობილის საარაკო  
ცხოვრება. მიშას რაღაც უაზრო სიმბოლოდ მიაჩნდა;  
ამ სახლის შინაგანი ვითარება გაკვრით რაღასაც ჩა-  
ძახოდა, მაგრამ რას, ეს კი ჯერ ვერ გამოერკვია. მიშა  
ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რასაც კი  
ირგვლივ ამჩნევდა; საპყრობილის ყოყელგვარ მოვლენას.  
იგი ხან სრულიად გულ-გრილად შეჰყურებდა, ხან კიდევ —  
დიდის ცნობის მოყვარეობითა და ინტერესით, — და  
სულის სილრმეში მიშა კაეშანსა და მძიმე ნაღვლი-  
ანობასა ჰერძნობდა, თუმცა კი ვერ შიმხვდარიყო, რის-  
თვის.

საპყრობილის მთავრობა თანაგრძნობითა და სი-  
ბრალულით ყველაზე უფრო მიშას ეჭცეოდა, — ალბად,  
ყველა ტუსაღში. იგი გამოერჩიათ.

— აა-ბაა, ბ-ნო მალინინ, რას იტყვით, როგორ  
მოგწონთ აქაურობა? — ჰკითხა ერთხელ შემოწმების  
დროს საპყრობილის გამგის უფროსმა თანაშემწემ.

— საინტერსო რამ ყოფილა საპყრობილის ცხოვ-  
რება! — ღიმილით უპასუხა მიშამ.

თანაშემწემ კოპები შეიკრა და გაიცინა; შემდეგ შუბლის დანაოჭებული კანი გაშალა და სთქვა:

— აი, თქვე... წყნარო მეოვალყურევ!.. სასეირნოდ ნახევარი საათი მოგემატათ... და სხვანი...

— გმადლობთ! — უთხრა მიშამ.

— არაფერს! — როგორლაც ცივად უპასუხა საკანი-დან გამავალმა უფროსმა თანაშემწემ.

ჩოფურა ზედამხედველმა, ალექსანდრე აფიცეროვ-მა, მიშას ასეთი ისტორია უამბო ამ კაცის შესახებ:

ერთხელ თურმე მისს ცოლს ბეჭედი მოჰპარეს; ეჭვი მოახლეზე მიიტანა და, ძალით რომ გამოეტეხნა ქურდობაში, მთელი დღე და ღამე აწამა და სტანჯა ახალგაზდა მოახლე: დაუძახა ორ ტუსალს, რომელთაც თურმე ერთხელ როგორლაც გაეჯავრებინათ უფროსი, და უბრძანა, ტანთ გაეხადნათ მოახლისათვის. ტუსალებ-მა ბრძანება შეასრულეს, სრულიად გაატიტვლეს გასა-თხოვარი ქალი და მიაკრეს უშველებელ მაგიდის ფეხზე. უფროსმა უბრძანა, რაც შეიძლება, მაგრად სცემეთო. როცა ახალგაზდა ქალმა გრძნობა-გონება დაჰკარგა და გული წაუვიდა, უფროსმა წყალი მოატანინა, მოასუ-ლიერა და ისევ უბრძანა მისი წვალება. საქმე იმით გათავდა, რომ ერთმა ტუსალმა ველარ აიტანა ასეთი წამება, ჭკუიდან შეიშალა, ვნებათა-დელვა მოერია და იქვე, უფროსის თანაშემწისა, მისის ცოლისა და ამხა-ნაგ ტუსალის თვალ-წინ მოინდომა გაეუპატიურებინა საბრალო გრძნობა-გონება დაკარგული ქალი. ეს ტუსალი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს და შემდეგ კარ-ცერში ჩასვეს, ხოლო როცა ნაცემი ნიშნები მოუშუშ-და — სულით-ავადმყოფთა სამკურნალოში გაჰვზავნეს.

— მორჩა გათავდა! — წყნარად დაუმატა აფიცეროვა-  
მა თავისი ჩვეულებრივი საყვარელი ფრაზა, როცა მო-  
თხოვდა გაათავა, და შიშით აქედ-იქით მიმოიხედა. მი-  
შა უსმენდა და ამ მტარვალ კაცისადმი ზიზღითა და  
სიძულვილით ივსებოდა, მაგრამ როდესაც — იმავე დღეს-  
ვე — საპყრობილის გამგის უფროსი თანაშემწე მიშამ  
თავისს საკანში დაინახა, გაუკვირდა, რომ ახლა მხოლოდ  
ღრმა ცნობის-მოყვარეობასა და ოდნავ სიძულვილს-და  
ჰგრძნობდა ამ მტარვალ კაცისადმი...

ფანჯრიდან მიშამ დაინახა, რომ, ჩასუქებულ და  
შავ სერთუკიან კაცს გარდა, სასეირნოდ გამოდიოდა.  
ექვსი პოლიტიკური დამნაშავე ეტყობოდა, რომ მუშები  
იყვნენ — გმამხმარის სახისანი და ცუდად ჩაცმულნი;  
ყველანი მრისხანედ და შუბლ-შეკრულად გამოიყურე-  
ბოდნენ, თითქმ ყველაფერს შთანთქმას უქადიანო.  
მიშამ შეამჩნია, რომ ყველანი პირდაპირ მას მისჩერე-  
ბოდნენ, როგორლაც უხერხელობა იგრძნო და უნდო-  
და ფანჯრიდან ძირს ჩამომხტარიყო. იმათს გამხდარს.  
პირისახეზე შეამჩნევდით ღრმა სიმტკიცესა და გაბე-  
დულობას; ერთის შეხედვით ცოფიანი მგლები გეგო-  
ნებოდათ. ზოგიერთი მათგანი ხანდახან ილიმებოდა და  
ერთი-მეორეს რაღასაც ანიშნედა: სტუდენტმაც ანი-  
შნა რაღაც ღიმილითა და თვალების ქნევით. მიშა  
თავისს გულში მათდამი პატივისცემასა და სიყვარულსა  
ჰგრძნობდა, და დარწმუნებული იყო, რომ ამ ტუსაღებ-  
სადმი ასეთისავე პატივისცემითა და სიყვარულით იქმნებო-  
დნენ გამსჭვალულნი სისხლის სამართლის წესით განს-  
ჯილი ტუსაღებიც. ხანდახან, როცა დარაჯებს თვალს  
მოარიდებდნენ, სისხლის სამართლით დასჯილნი მიირბენ-

დნენ პოლიტიკურ დამნაშავეებთან და ხან პაპიროსებსა სთხოვდნენ, ხან კიდევ დაბალის ხმით ცხარე კამათს გუბამდენენ.

ერთხელ კი ასეთი ამბავი მოჰქდა: მაღალ-მაღალი და წვრილი, მუდამ კოპებ-შეკრული მუშა, რომელსაც მეჩხერი წვერი და გრძელი, გამხდარი პირისახე ჰქონდა, საპყრობილის გალავნის გასწვრივ რამდენჯერმე გავლა-გამოვლის შემდეგ, გაჩერდა ერთის კუთხის შორიახლო, ხელები ზურგზე დაიწყო, თავი მაღლა ასწია და თვალები ცას მიაშტერა. კუთხეში, მოდარაჯე ჯარისკაცის ხუხულის მახლობლად, ცოცხითა და ბარით ხელში რაღასაც ფუსტუსებდა დიდ და ქერა-ულვაშებიანი, ჩასხმული, ხნიერი, გვერდელა და გამხდარი ტუსალი, რომელიც სისხლის სამართლით დასჯილთა ჯგუფს ეკუთვნოდა; გვერდელამ თვალი შეასწრო მისს მახლობლად გალავნის კედელზე მიყრდნობილ კაცს და რამდენჯერმე დაკვირვებით ახედ-დახედა... შემდეგ ზარმაცალ დაუწყო შემოდგომის გაყვითლებულ ფოთლებს დაგვა, ნელა დაუახლოვდა უცნობს და ერთბაშად, მშვენიერის საშუალო ხმით, ნაღვლიანად და ოლერსიანად შემოძახა:

„ტრიალ და გაშლილ მინდვრის მაღლობზე  
ჩვენი მიმინდ მიუბამთ ჯაჭვზე“.

მუშამ თავი დაპლუნა, კისერი განზე გადაჰხარა და ყური დაუგდო; პირი ნახევრად დაეღო, თითქო პაპანა-ქება სიცხიანს დღეში გრილს ნიავს დაუბერია და სუფთა ჰაერს ისუნთქავსო, ან ჭიცხისაგან მოწყურებულს ცივი წყალი უნახავს და ხარბად დასწაფებიაო. გვერ-

დელა კაცი კი მას არც კი უყურებდა, უახლოვდებოდა  
და მღეროდა:

„ძალა არ შესწევს... არა აქეს ნება...“

თორეჭ მიმინო მყის გაჰტრინდება ...“

ამ სანახაობით დამტკბარმა მუშამ თავისთვის რაღაც  
წაიჩურჩულა... გვერდელამ პირდაპირ შემოჰქედა და ჩუ-  
მაღ ჩაიცინა.

მიშას ერთბაშად გულს ბოლმა მოაწვა, ყელზე რა-  
ღაც დაადგა; საჩქაროდ გადახტა ფანჯრის ჩარჩოდან და  
აღელვებულმა საკანში წინ და უკან სიარული დაიწყო.  
გარედან ისევ მოისმოდა ნაღვლიანი სიმღერა:

„ლურჯ ცაზე ღრუბლები მიჰქოის...“

„ველი კი—თვალ-უწვდენია...“

...ხანდახან ნასაღილევს სისხლის სიმართლით და-  
ჯილი ტუსალები მიშას საკანის ქვეშ სასაღილოში თავს  
მოიყრიდნენ და ხოროდ სიმღერას დასძახებდნენ; ზე-  
ვით, მიშას საკანში, მათი სიმღერა ყრუდ მოისმოდა  
და, თუმცა სტუდენტი გაფაცაციცებით ყურს უგდებდა, მა-  
გრამ სიტყვებს მაინც ვერ არჩევდა; მხოლოდ ერთხელ  
გაარჩია სიტყვები—ვიღაცა მაღალის, სევდიანის გამყი-  
ვანით მღეროდა და სჩიოდა:

„აღელვებულა ლურჯი ზღვა,

ტალღებს ტალღებზე აგორებს...“

ქარიშხალი ჰქის, ებრძვის ზღვას

და კიდევ უფრო აღელვებს“...“

მაგრამ ხშირად ტუსალები რაღაც მხიარულ სიმღე-  
რას მღეროდნენ და თან სტვენასა და გამყივანსაც მი-  
აყოლებდნენ ხოლმე. ამ სიმღერებში გამოიხატებოდა  
ტუსალთა დაუძლეველი ძალ-ღონე; საპყრობლის კედ-  
ლებს დიდის ხმაურობისაგან ისეთი ზანზარი გაჰქონდა,

რომ მიშას ეგონა, ეს-ეს არის, კედლები ჩამოინგრაო... ყოველის მხრიდან მორბოდნენ ზედამხედველნი და საჩქაროდ აქრობდნენ ამ საერთო მხიარულობას, რომელიც გამოწვეული იყო მეტის-მეტის ნაძღველ-სიმწუხარისაგან...

მიშა ჰედავდა, რომ ზედამხედველნი სისხლის სამართლით დასჯილთ ყველის ერთნაირად არ ექცეოდნენ: სუსტ და უღლონო აღამიანებს, რომელნიც ყველაფერში აღვილად ემორჩილებოდნენ, — ზედამხედველნი, და საზოგადოდ საპყრობილის მთავრობა, — ზიზლით უყურებდნენ და ყოველის მხრივ ავიწროვებდნენ, ხოლო უფრო გამბედავ და თამამ აღამიანებს, რომელნიც თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ აღამიანურ ღირსებას — თითქმის მთლად საპყრობილის მთავრობა ფრთხილად, ხანდახან მეგობრულადაც კი ეპყრობოდა; ძლიერ იშვიათად თუ მოპედებოდა, რომ ამისთანების წინააღმდეგ საპყრობილის რომელსამე ბობოლას პირდაპირ ეხმარა თავისი ძალა და უფლება. „პოლიტიკურებს“ კი ზედამხედველნი, — როგორც მიშა ამჩნევდა, — ცნობის-მოყვარეობით უყურებდნენ და ამ შეხედულებაში უნდობლობაც გამოიხატებოდა და შიშიც, თითქმ ამ პოლიტიკურებს რაღაც არაჩვეულებრივი, საარაკო რამ ჩაედინოთო...

ერთხელ აფიცეროვმა, როდესაც მიშა სასეირნოდ გამოპყავდა, ჩუმად წასჩურჩულა:

- წუხელის სამი კიდევ მოიყვანეს თქვენები...
- სტუდენტები?
- არა, ხელოსნები...
- მითხარით, აფიცეროვ, იცით, რისთვის ატუსალებენ მათ საპყრობილები? — ჰკითხა მიშამ.

ზედამხედველი დაფიქრდა, გარეშემო მიმოიხედა,  
თვალები დაყვლიპა და მძიმე ამოოხვრით წარმოსოქვა:

— ყველას თავისებურად უნდა იცხოვროს... და  
ამისთვის შულლი და ბრძოლა უხდებათ ერთმანეთში!..

მაგრამ, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, ჩუმად დაუ-  
შატა:

— არ არიან თანახმანი...

— რისა?

— საზოგადოდ არ არიან თანახმანი... ვერაფერში  
ვერ ეთანხმებიან!..

## VII

თითქმის ყოველ ღამე, როცა მორიგედ იყო, მო-  
ხუცი ზედამხედველი — კორნეი დანიელის ძე — მოვიდო-  
და მიშას საკანის კარებთან, შეიჭირებოდა კარის სარ-  
კმელში და ბებრულის აბეზარობით მასლაათს გაუბამდა  
მიშას, — მოუყვებოდა რაღაც უშინაარსო ისტორიას.  
კორნეის ბევრი რამ ენახა, თავს ბევრი რამ გარდაპხდოდა,  
მაგრამ თავის ცხოვრების ყველა ეს შთაბეჭდილება ერ-  
თმანეთში აერია: აქ ერთმანეთში არეული იყო მისი  
ათასნაირი უბედურებანი, უაზრო შრომა, დამცირება  
ამა ქვეყნის ძლიერთაგან, და მისი რაღაც უანგარიშო,  
მოუფიქრებელი საქციელიც. ხანდახან კორნეის ასეთი  
საქციელი მიშას კარგად ეჩვენებოდა და გულის სილრმე-  
მდე სწვდებოდა, ხშირად — ცუდად და სისულელედაც  
მიაჩნდა; და უფრო მომეტებულად კი კორნეის თავგა-  
დასავალი — გამოურკვეველი, შემთხვევითი იყო, თით-  
ქო კაცს ყველა ეს თავის სურვილისა და ნების თანახმად

კი არ მოუქმედნია, არამედ ყოველთვის ხმა-ამოულებლად, მოუფიქრებლად და ბრმად დაჭმორჩილებიაო რა-ლაც უხილავსა და მისთვის გაუგებარს ბრძანებას, რო-მელიც გარედან განაგებდა მისს არსებას...

— ეს იყო... ამ თხუთმეტის წლის წინად,— ჩურ-ჩულებდა კორნეი დანილიჩი, რომელიც სარკმლიდან უძრავად მისჩერებოდა მიშას თავის მიმინოსებურ თვა-ლებით: — ვხედავ — ეს ბიჭი... ჩემი შვილი, ალექსი, რა-ლა... თავჩაქინდრულია და დაფიქრებული... საყდარზე — არ დადის, ტრაქტირებში — არ დადის... ცუდია, — როდი ვარგა! ვადევნე თვალყური... ვნახოთ — შტუნდი-სტები დაუმეგობრებია... ეჰე!.. არ მომეწონა! პირვე-ლად ვაგინე და ვლანძლე თქვენი მოწონებული; ვეუბ-ნები — შენ, ეი, ლაწირაკო, მე შენ გაჩვენებ-მეთქი სე-ირს!... ის კიდევ თივისას არიშლის... ახლა კი სხვაფრივ მოვიქეცი. წავედი მოძღვართან და დავაბეჭდე... დაი-პარა მოძღვარმა და კარგა ლაზათიანად გააპატიოსნა... შერე დაბრუნდა მოძღვარისაგან... შევატყე, გაბოროტე-ბულია რალაზედაც... ახლა დავცინი, — აი, შე ლაწი-რაკო, კარგად შეგთათხა-მეთქი მოძღვარმა? აქ კი — ღმერთო, შეგცოდე და მაპატიე! — მოხსნა იმ დათვმა ლანძღვა-გინების გუდას პირი და ისე აგინა მოძღვარი, რომ მშობლების ცხელარი საფლავში აღარ დაუყენა. — ერთ გროშად გაუხადა... გავბრაზდი, ცეცხლი მომეკი-და და შევუყვირე: აი, შე ასეთ-ისეთო-მეთქი, როგორა პბედავ, რაებს მიჰქარავ-მეთქი!? იმანაც არ დამაკლო წელი... ველარ მოვითმინე, წამოვავლე ცეცხლი-პირას მიმდგარ ცხელ ფაფით სავსე ქოთანს ხელი და გა-ვუშალე სახეში... დიალ! ცხვირ-პირი ჩავამტვრიე... ის

იყო და ის—მაშინ რომ წავიდა, მერე მისი არა გამი-  
გია-რა, არ ვიცი, რა მოუვიდა—ცოცხალია თუ მკვდა-  
რი... მერე მისი ლანდიც არ გამკარებია სიახლოვეს...  
არ, ასეთი მოუთოვავნი, მოურჯულებელნი ხართ ახალ-  
გაზღები... მაშ!

— არ გებრალებათ?—წყნარად ჰკითხა მიშამ.

მოხუცი ჯერ გაჩუმდა, ერთი მძიმედ ამოიხვნეშა,  
რამდენსამე წამს თავისთვის რაღაც იბუტბუტა და  
შემდეგ მიუგო:

— როცა მებრალება... ყველა მებრალება... ხანდახან  
კაცის მკვლელნი არიან—და ისიც დაგენანება... მაშ! და  
მართლაც, ყველა ხომ უმიზეზოდ არა ჰკლავს... ხანდა-  
ხან საქმის გულისთვისაც ჰკლავენ... შესაძლოა, ზო-  
გიერთი კაცის-მკვლელი მადლობის ღირსიც იყოს...  
ჯალათი, მაგალითად... ის ხომ უმიზეზოდ არა ჰკლავს,  
არამედ საზოგადო სიამოვნებისა და სარგებლობისათვის...  
ბოროტმომქედი რომ მოჰკლა—ცოდვა როდია, არა  
ღმერთმანი!.. მაშ, თქვენა გვინდით, ჯალათისათვის  
სისიამოვნოა კაცის ჰკლა?

მიშა საჩქაროდ დაიხარა სარკმლისაკენ—უნდოდა  
დაენახა, როგორი სახის გამომეტყველება ჰქონდა  
ახლა—ამ სიტყვების თქმის ღროს—ზედამხედველს,  
რომელმაც ჯერაც არ იცის, რისთვის გააგდო და მო-  
შორა თავიდან თავისი ღვიძლი შვილი, ხოლო ჯალათის  
ჟებრალება კი აქვს. მაგრამ მისი პირისახე, როგორც  
ყოველთვის, დაბზარულ ქვასა ჰგავდა და ზედ მისი  
ორი თვალი ისე მღვრიედ ბრწყინავდა, როგორც ძალ-  
ზე ამღვრეული წყალი, ან ძალზევე გაჭუჭყიანებულ  
შუშის ორი ნაჭერი.

— რას მიყურებთ? — ჰკითხა მოხუცმა.

— ისე... არაფერს... — წყნარად უპასუხა მიშამ: — ერთი ეს მითხარით, კორნეი დანილიჩ... რატომ არ მოგწონდათ, რომ თქვენი შვილი შტუნდისტებს გაეცნო და დაუმევობრდა?

— იმიტომ, რომ ყველანი ამბობდნენ — მავნე ბელიან... ის, შტუნდა, რაღა!... მაგრამ ამ სამისა წლის წინად იქ იჯდა ოთხი შტუნდისტი... არა უშავდა, კარგი წარმოსადევი ყაძახები \*) იყვნენ! წყნარი, მშვიდი და წერა-კითხვის მცირნენი... არც ერთ მათგანისათვის აქ ცუდი არავის შეუმჩნევია! რა უშავდათ, კარგი ტუსალები იყვნენ... ვკითხე, — ჩემს ალექსას ხომ არ იცნობდით და ან ხომ არ იცით-მეთქი სად არის? — არ ვიცითო, მიპასუხეს. ჩვენაო, — სთქვეს, — ბევრნი ვართო. და მართლაც, ბევრნი უნდა იყვნენ — აქ ხშირად აპატი-მრებენ ხოლმე...

ცოტა ხანს დაჩუმდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— ახლა დამნაშავენი ძლიერ გამრავლდნენ. წინად მხოლოდ ქურდებს, ავაზაკებსა და კაცის-მკვლელთ იჭერდნენ და აპატიმრებდნენ, აგრედვე — მკრეხელებსაც... ახლა კი სტუდენტებსაც მიჰყვეს ხელი, მუშებსა,

\*) რუსულ „მუჟიკ“-სა და გურია-იმერეთ-სამეგრელოში შემოღებულს სიტყვას „ყაძახს“ თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ამიტომ „მუჟიკი“ ქართულად ვთარგმნე „ყაძახად“, რადგანაც ქართული სიტყვა „გლეხი“. და რუსული „კрестъянинъ“-ი ბევრით განირჩევა „ყაძახისა“ და „მუჟიკისაგან“. კარგი იქნებოდა, ჩემის აზრით, რომ ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაში შემოედოთ „მუჟიკ“-ის გამოსახატავად. შენიშვნა მთარგმნელისა.

პოლიტიკურებსა, შტუნდისტებსა და ათასნაირ სხვებს...  
მოზღვავდნენ, რაღა, დამნაშავენი...

— ამას კი მართალს არ ამბობთ! — ცოცხლად და  
სწრაფად წამოიძახა მიშამ: — და ამისი მიზეზი ისაა, რომ  
არ ესმით, ვერ გაუგიათ... ხალხს, აღამიანებს უნდათ,  
რომ ცხოვრება გაასწორონ და გააუმჯობესონ, რათა  
ყველას შეეძლოს იცხოვროს ისე, როგორც...

გარედან უგულო ხითხითი მოისმა, შემდეგ მოხუცმა  
ჩაახველა და ზმორებით წარმოსთქვა:

— ეგეც გამიგონია, ბევრისაგან გამიგონია... დიალ,  
ასე ბევრი თქვენგანი ლაპარაკობდა...

მოხუცი ზედამხედველი წამოდგა და კარებს გან-  
შორდა, თითქო ვინმემ აწყეინა და უკმაყოფილოა.

და ერთხელ კი ასეთი ისტორია უამბო:

— მეც თვითონ ძლიერ გულჩვილი ვარ...? ყველა  
მებრალება ხოლმე... თვით ჩემს თავზედ ბევრი რამ  
გამომიცდია, ბევრი რამ გარდამხედია, და შემიძლიან  
აღამიანის მდგომარეობა აღვილად წარმოვიდგინო. დიალ!  
ჩემს დერეფანში, ერთს პატარა საკანში, კატორლი-  
დან გამრაქცეული — კარგა შოსული, მხარბეჭანი და  
და ჯანმრთელი ვაშკაცი იყო, ამასთანავე — ლამაზის  
შესახედაობისაც... ყაძახი იყო, მაგრამ ისე ნაზად იღი-  
მებოდა, თითქო ვინმე დიდი ბატონიაო.., ხანდახან  
მაინც ისე გაიღიმებოდა, რომ, რაც უნდა ეთხოვნა,  
უარს ვერ ეტყოდი... მეტყოდა ხოლმე: აბა, დანილები  
თუთუნი მიშოვნე — ვუშოვნიდი... პო-და ასე... ვნახოთ,  
ერთხელ საიდანლაც ფოლადის გრძელი დანა უშოვნია,  
რაღაც ეშმაკობით აქა-იქ დანისთვის კბილები ამოუ-  
ჭრია და მშვენიერი პატარა ხერხი გაუკეთებია; ახლა.

ქონიც უშოვნია საიდანლაც და საქმე გაუჩარხავს! და—  
უწყო ფანჯარაზე რკინის ბაღეებს ხერხვა... მე მაშინვე  
შევნიშნე ყველაფერი... და როგორლაც შემებრალა,  
შემეცოდა საწყალი! ეეჲ, ძმავ,—ვფიქრობ ჩემთვის,—ვერ  
მოგივა დუშაში-მეთქი შენ ეგ საქმე! მაგრამ მაინც  
ხელი არ შევუშალე: დეე, გაერთოს-მეთქი ახალგაზდა  
კაცი, თორემ სულ მუდამ მოწყენილია... და, წარმო-  
იდგინეთ, უფრო და უფრო მებრალებოდა... გულში  
ვფიქრობდი, კარგია-მეთქი, თავი ინუგეშოს...

კორნეი დანილიჩმა წყნარად და ალერსიანად გაი-  
ცინა. შემდეგ ისევ განაგრძო:

— მაგრამ როცა თავისი მუშაობა გაათავა და  
რკინები გადახერხა, მაშინ კი დაყოვნებლივ ვაცნობე  
საპყრობილის უფროსს...

— მერე რათა? წყენით შეჲყვირა მიშამ: რათ აუ-  
ნობეთ უფროს?

— შაშ, რა მექნა? სხვაფრივ როგორ მოვქცეულ-  
ვიყავ? — ჰეითხა მოხუცმა.

— თუ უთქმელობა არ შეიძლებოდა, ისევ თვითონ  
მისთვის, კატორლელისათვის გეთქვათ: ნუ იზამ-თქო  
მაგას!

— რა ბაიყუში რამ ყოფილხართ! — ხრინწიანად. ჩაი-  
ცინა მოხუცმა: მერე გადახერხილ რკინებისათვის რაღა  
მექნა?

— კარგი და, ხომ შეიძლებოდა მიშინვე გეთქვათ,  
როცა ხერხვას შეუდგა?

— ჰომ... მაგრე? მაგრე შესაძლო იყო... მართა-  
ლია... მაგრამ მაინც, მე რომ მოვიქეცი, ისე სჯობდა!

რაც უნდა იყოს, ერთგულ კაცის სახელი დავიმსახურე  
და მთავრობის ყურადღება მივიქციე...

— კი მაგრამ, ის ხომ დასაჯეს ამისთვის?

— დასაჯეს, მაშ რა, თვალებს ხომ არ დაუკოცნი-  
დნენ? დაუსჯელობა როგორ შეიძლებოდა... დიალ, და-  
საჯეს...

— სასტიკად?

— ააა-ლარ მახსოვეს... მგონი, კარცერში ჩასვეს  
ერთის თვით... შემდეგ, მგონი, სასამართლოშიაც რა-  
ლაც სასჯელი მიუმატეს... კარგად აღარ მოხსოვეს...

— რა სისულელეა! — დაბალის ხმით ზიზღით წამო-  
რძახა მიშამ: — რა მახინჯი და ყოვლად გაფუჭებული,  
გამოუსადეგარი ადამიანები გვირევია... და თვით ცხო-  
ვრებაც... მთელი ჩვენი ცხოვრებაც მახინჯი და გამო-  
უსადეგარია!

მოხუცმა განცვიფრებით თავი ჩაიქნია, ამოიხვნე-  
შა, დაამთქნარა და ნელა ჩაილაპარაკა:

— დი-ალ... ეგ მართალი სთქვით... მთელი ჩვენი  
ცხოვრება მართლა რომ გაუსწორებელია და მახინჯი...

...ამნაირ მასლაათში მთელი საათები გაუტარებიათ  
მოხუც ზედამხედველისა და ჭაბუკ სტუდენტს, პირველს  
— გულცივსა და უგრძნობელს, ხოლო მეორეს — უღო-  
ნო ზიზღითა და მძულვარებით აღსავსეს. ამ ორ ადამი-  
ანს ერთმანეთისაგან აშორებდა საკანის, დაძველებული  
სქელი კარი, რომელსაც უანგისაგან შექმული ჯაჭვი  
ეკიდა; ამ კარის პატარა საკმლიდან უძილობას მიჩვე-  
ული და ყბედი მცხოვრები საპყრობილისა თავის უაზ-  
რო და უმნიშვნელო მოგონებანით თავს აბეზრებდა  
ახალგაზდა პატიმარ სტუდენტს. მიშამ იგრძნო, რომ

მისს სულსა და გულს, მთელს არსებას ამძიმებდა რა-  
ლაც გამოურკვეველი რამ, მაგრამ ის კი იცოდა, რომ  
არა თვით საპყრობილე — ეს ქვითკირის ძველის-ძველი,  
დახავსებული შენობა — აწვებოდა ასე მძიმე ლოდად  
მისს სულსა და გრძნობას, არამედ ყველა ის, რაც აქ,  
საპყრობილეში, ნახა თავის თვალითა და გაიგონა, —  
დიალ, ყველა ეს გულზე მძიმე ლოდებად აწვა, და, აი,  
სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ამ ბნელ ოთხ კედელს  
შუა ასე მოწყენილი და დანაღვლიანებული იყო...

უძილო ლამეებში ტახტზე წამოწოლილი მიშა  
სცდილობდა გამოერკვია თავისი დომხალივით არეული  
შთაბეჭდილებანი, უნდოდა, ყველა ეს შეეკრა ერთ  
მთლიან შთაბეჭდილებად, მაგრამ — ვერ ახერხებდა...

ერთხელ როგორლაც აფიცეროვსა ჰკითხა:

— გამიგონე, მეგობარო, ნუთუ აქ ყოფნა მოგ-  
წონთ?

— რომ არა ჩხუბობდნენ, რა უშავდა... — უპასუხა  
ჩოფურამ თავის ჩვეულებრივის წყნარისა და რბილის  
ხმით.

— განა თქვენცა გცემენ? ვინა?

— მე — იშვიათად მცემენ... ხანდახან მხოლოდ უფ-  
როსი თანაშემწე წამომთავაზებს ხოლმე კბილებში...  
მე აქ საზოგადოდ ვამბობ... ყველაზე... ტუსალებიც  
ჩხუბობდენ... ერთმანეთს ისე სცემენ, რომ, რაღა გითხრა!  
სამაგიეროდ, ზედამხედველნიც სცემენ ხოლმე ტუსა-  
ლებს... მაგრამ ყველას კი არა... როგორ შეიძლება  
ყველასა სცემო!... მაგრამ ვისი დაზლევაც კი შეი-  
ძლება — იმას უღმერთოდ, უმოწყალოდ სცემენ!

თითქო შეშინდაო, ტანში დაჰზრინა, მიიხედ-

მოიხედა, ლამაზი თვალები მრისხანედ დაშტიალა. და თრთოლვით წარმოსთქვა:

— მე კი არ შემიძლიან ვუცქირო, როდესაც ვისმე სცემენ... მეშინიან! არ შემიძლიან გულგრილად ვუყურო... ვისიმე ცემას!

— თუ ასეა, სჯობდა მოშორებოდით აქაურობას და სხვაგან საღმე მოგენახათ ადგილი, — ურჩია მიშამ...

— მერე საღა? — ნაღვლიანად უთხრა აფიცეროვმა და თვალები ძირს დაჭხარა: — განა ყველგან ჩხუბი და აყალ-მაყალი არ არის?! მთელი ჩვენი ცხოვრება — ბრძოლაა, დაუსრულებელი ომი, — მე ასე მგონია და მჯერა კიდეც... მხოლოდ, აი, დედახემი... დიალ, შესაძლოა, მონასტერში არ იყოს ჩხუბი, ალიაქოთი და ერთმანეთზე მიწევ-მოწევა... და მეც, რასაკვირველია, სიამოვნებით წავიღოდი მონასტერში... მხოლოდ...

ერთბაშად დაჩუმდა. ორივენი საპყრობილის ერთკუთხეში იდგნენ, საღაც ნაგავისა და ხის ნაფორტებისათვის გროვად თავი მოეყარათ. ნიავი ნელა და ზანტად მიაქანებდა სქელს ბურუსს, ქარი ჰქონდა და საიდლანაც, შორით, ქალაქიდან მოჰქონდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სხვადასხვა ხმები...

— რა — „მხოლოდ“? რად შესწყვიტე ასე უცბად?

— მაპატიეთ, — შეშინებულის გამომეტყველებითა და ჩურჩულით წაიბუტბუტა აფიცეროვმა და თვალებს ისე ჩქარა ახამხამებდა, თითქო მზის სხივები უნათებს პირდაპირ და თვალი ვერ გაუჩერებიაო: — მაპატიეთ! შეიძლება — ეს ჩემი დიდი სისულელეც იყოს და მეტი არაფერი...

— რაშია საქმე, რა მოჰქონდა, რა, მოგივიდა? — და-

ბალის ხმით, აჩქარებითა და ოდნავის მღელვარებით  
შეეკითხა მიშა.

აფიცეროვმა მიიწია სტუდენტისაკენ და ათრთო-  
ლებულის ხმით წარმოსთქვა:

— ეს—ლმერთზე ვამბობდი... თქვენ... გწამთ  
ლმერთი?

მიშამ თავი დაჭხარა და, ოდნავის სიჩუმის შემდეგ,  
ჭყნარად უპასუხა:

— ააა-რ ვიცი!..

— არც მე ვიცი!—საჩქაროდ გააწყვეტინა ზედამ-  
ხედველმა: —ძლიერ ბევრსა ვფიქრობ ლმერთზე... და  
თუ ის მართლა არსებობს... ყველგან ასეთი საშინე-  
ლებანი რატომ ჰქონდება?.. და ასეთი სისასტიკე, შეუ-  
ბრალებლობა?.. ნასწავლი კაცი ხართ... მითხარით—  
რატომ ჰქონდება ჩვენში ასეთი სისასტიკე და ულმერ-  
თობა?!

ზედამხედველს თვალებზე კაკლის ოდენა ცრემ-  
ლები მოადგა, მაგრამ თავი გაიქნია, ცრემლები მოი-  
შორა და საჩქაროდ მიშა თვალებს ისე მიეტარა, რომ  
აქედ-იქით არ მიმოუხედნია.

## VIII

ეზოს გალივანში, მიშას ფანჯრის მახლობლად,  
გალიაში დამწყვდეულ მხეცების მსგავსად, ყოველდღე  
ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ ცუდად ჩაცმულნი, გამ-  
ხდარნი, დაფიქრებული ადამიანები. სერთუკიანი უცნო-  
ბი, უკვე კარგა ხანია, არა სჩანს, და ახლა მისს ადგილას  
მოიყვანეს ვილაც ახალგაზდა, გაძვალტყავებული კაცი,

ბოხოხის ქუდიანი და ყავისფერ ღრაფის ძველ პალტოში  
გამოხვეული. ეს კაცი ყოველთვის ჩქარის ნაბიჯით  
დასეირნობდა, თითქო მირბისო; პალტო ტანზე არ  
მოსდიოდა, და იმდენად სრული იყო, რომ თვითონ  
სულ იმალებოდა და მიწაზე თითქო მარტო პალტო-და  
მიჩანჩალებდა, რაიცა ადამიანს სიცილსა ჰერიდა;  
ხშირად მხრებიდან გადაუვარდებოდა ხოლმე პალტო და  
ჩქარ-ჩქარა ისწორებდა; პატარა და ჭკვიანურს მრგვალს  
პირისახეზე მუდამ ღიმი უკრთოდა, ტუჩები განუწყვე-  
ტლივ უთრთოდა; გამხმარი და თითქმის მხოლოდ ჩონ-  
ჩხად გადაქცეული ხელები სიცივისაგან უკანკალებდა;  
ცივი ქარი შავსა და ოდნავ ჭალარა-გამორეულს მეჩხერ  
წვერს აქედ-იქით უყრიდა და უცნობი - მუდამ მისს  
სწორებაში იყო გართული. ხშირად დაფიქრებით ჩაი-  
ქნევდა ხოლმე - თავს... ეს კაცი სხვა მოსეირნეთა  
შორის მიშას ისე ეჩვენებოდა, როგორც ცელქად მოე-  
ლვარე სანთელი დიდს გამურულს ფანარში...

— ვინ არის ეს ახალი? — ჭკითხა მიშამ კორნეის.

— ვასილი ნიკიტიჩია...

— მუშათაგანია?

— ვინ იცის! ? — წყნარად უთხრა მოხუცმა ზედა-  
შხედველმა: — ვითომ მუშათაგანიაო... მაგრამ ეგეც-  
მგონი, პოლიტიკური დამნაშავე უნდა იყოს... ყველაზე  
უფრო სანატრელი კაცი კია... ძლიერ ხშირად იმყო-  
ფება ხოლმე ამ საპყრობილეში...

— იმყოფება! — გაკვირვების ღიმილით განიმეორა  
მიშამ და მოეწონა, რომ ამ კაცზე ამბობდნენ — „იმყო-  
ფება“ საპყრობილეში, და არა „ზის“.

— ძლიერ უშიშარი კაცია! — დაბალის ხმით, თი-  
თქმის ჩურჩულით ეუბნებოდა ერთხელ აფიცეროვი მიშას.

და ჩვეულებრივად იხედებოდა გარშემო: — ისეთი გამბედა-  
ვია, რომ ყველას პირში მიახლის სიმართლეს, — ბრალმდე-  
ბელს, საპყრობილის უფროსს... სულ ერთია მისთვის,  
ვინც უნდა იყოს! ვიცე-გუბენატორი მოვიდა ერთხელ  
და არც იმას დარჩა უკაცრავად: — მეო, — სთქვა — ასე  
ვფიქრობო, თქვენ — სხვანაირადაო... მაგრამაო — უთხრა,  
— ერთმანეთის პატივისცემა კი მაინც უნდა გვქონდესო,  
იმიტომაო, რომ მეც კაცი ვარ, აღამიანი, და თქვენ-  
ცაო... სხვა დანარჩენი — ყველაფერი დიდი შეცდომა და  
წყლის ნაყვააო... შენი მუნდირიც არაფერს არ ნიშნავსო,  
უთხრა, ფეხებზე მკიდიაო!.. ამის გამო ერთის კვირით  
კარცერში ჩასვეს, ის კი იცინის და ამბობს: ეგეც  
სრულიად არაფერს არ ნიშნავსო... სუსულელეა უბრა-  
ლო, სხვა არაფერიო!.. აბა, ერთი მითხარითო, სთქვა,  
რას ამტკიცებსო თქვენი კარცერი? ეგეც ფეხებზე  
მკიდიაო...

აფიცეროვი წელში გასწორდა, და მიშამ თვალებში  
პირველად შეამჩნია რაღაც ახალი, სიხარულის მსგავსი  
სხივი.

— და მართალიცა! შე რომ სიმართლე გაგიბედოთ  
და გითხრათ, თქვენ კი ამის გამო ყბებში უამილაწუნოთ...  
განა ამით სიმართლე თქვენს მხარეზე გადმოვა?

— გილაპარაკნიათ მასთან? — ჰკითხა მიშამ.

— არა... რას ამბობთ! — შეშინებულივით განზე-  
გადახტა ზედამხედველი. მე... შეშინიან!.. მე — მხოლოდ  
თქვენთან შემიძლიან ლაპარაკი... რადგან თქვენ დამ-  
შვიდებით, წყნარიად ლაპარაკობთ.... იმას კი სრულებით  
არ შეუძლიან წყნარიად ლაპარაკი... ისეთი ხმა აქვს,  
რომ ზარბაზნის ჭექა გეგონებათ!

ზედამხედველმა მორცხვად გაიღიმა და მიშას წას-  
ჩურჩულა:

— მე ერთი ლექსი მაქვს... სწორედ მაგ კაცზე  
გამოჭრილი!

— რანაირია? აბა; მითხარით? — შეეხვეწა შიშა.

აფიცეროვმა მიიხედ-მოიხედა, თვალები დახუჭა,  
ამოიხვნეშა და სთქვა:

— მერე იყოს... როდისმე... თუ შეიძლება... ახლა  
ისეირნეთ... მე კი წავალ... ვაი, თუ დამინახონ...

— გამიგონეთ, აფიცეროვ, — მოწყენით წარმოსთქვა  
მიშამ, მუნდირის სახელოში ხელი ჩაჰქიდა და გააჩერა: —  
თქვენ უთუოდ... გესმით? უთუოდ უნდა წახვიდეთ აქე-  
დან! აბა; საპყრობილისთვის თქვენ რა გამოსადეგი კაცი  
ხართ? ასეთი ნაზი აგებულება გაქვთ...

— ეჭ... მერე სად წავიდე? — წყნარად შესძახა ზედა-  
მხედველმა და საჩქაროდ ხელიდან გააშვებინა მუნდირის  
სახელო...

— სულ ერთია... ყველგან ასეა... წყნარ და მშვიდ  
ადამიანისათვის — მთელი სიცოცხლე საპყრობილეა...  
და მისი ერთად-ერთი ადგილია — მხოლოდ ბნელი და  
ცივი სამარე!

თავი დაბლა დაჭხარა და წავიდა, მიშა კი, აფიცე-  
როვისადმი სიბრალულისა და გულმოსულობის ერთად  
შერეულის გრძნობით გამსჭვალული, დასეირნობდა  
საპყრობილის გალავნის კედლების გასწვრივ და ნაღვ-  
ლიანად ჰაფიქრობდა:

— ვმ! ვერ გამიგია, რა აზრი აქვს ამ კაცის ცხო-  
ვრებას, რა აზრი!?

საპყრობილის დასველებულს სახურავსა და ატა-

ლახიანებულს მიწაზე ზანტად ჰბარღნიდა თოვლის ფართო ნაფლეთები, სცვივოდა ტალახში და მყისვე შეუმნევლადა ჰქონებოდა.

ერთს კუთხეში მიშამ თვალი მოჰკრა ტუსალთა ჯგუფს; ერთი მათგანი კედელს მაგრად მიჰყრღნობოდა, მთლად მოკრუნჩულიყო და, როგორც ცოფიანი ძალი, მოუსვენრად აცანცარებდა კისერს. თავს სასაცილოდ არხევდა აქედ-იქით, ხელები მაგრად მიეკრა მკერდზე და დაბალის ხმით, ხრინწიანად ბუტბუტებდა:

— მმებო... მე არ მიქნია! აი, ამ პირჯვრის წერის მადლმა — მე არა!

მის წინ უძრავად, გაქვავებულივით იდგა სამი ამხანაგი, და ერთი მათგანი, მაღალის ტანისა, აგრედვე დაბალის ხმით, წყნარად ამბობდა:

— ნუ აშინებთ, ბიჭებო... ნუ სცემთ!

და უცბად თვითონ მანვე ერთის ნაბიჯით უკან დაიწია, ფეხი ასწია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კედელზე მიუუდებულს მაგრად ჩაზილა ჭიპს ქვემოდ წიხლი და ისევ წყნარად ურჩევდა და არწმუნებდა თავისს ამხანაგებს:

— ნუ სცემთ... რაღა სცემთ? აბა, ამას რასა სჩიდიხართ?

ტკივილისაგან გამწარებულმა ტუსალმა ყრუდ ამოიგმინა და, როგორც სავსე ტომარა, მძიმედ გაიშხლართა მიწაზე, ხოლო ამხანაგები კი აუჩქარებლად, ერთად სცემდნენ წიხლებს, რაც კი შეეძლოთ, დაუზოგად, თითქოს ტბის ნაპირად ღრმა ლაფსა ჰქონელავენო... რბილს სხეულზე ქუსლების ცემის ხმა ჰქონავდა. მშვიდობიან ხმის კილოს მაღალ ტუსალისას, რომელიც თა-

ნა სცემდა თავის ჭოლოკა წიხლებსა და თან ამხანაგებს შესძახოდა:

— ნუ სცემთ!.. ცოდვა!.. ნუ სცემთ — ეს ე-ერთი-ი!

მიშას ბრაზი მოერია, პირზე ღორბლები მოადგა, კბილები და კრაჭუნა, რაღამაც თავში გაუელვა, თვალი დაუბნელდა, ერთი ამოიხვნეშა და ელვის უსწრაფესად ამ ტუსალებთან გაჩნდა...

მაგრამ სამთავენი უკვე განზე გადგნენ და მაღალმა ტუსალმა სთქვა:

— ჰა, ჰაშკა, ეგდოს აქა... ჰა?

მიშას ფეხებთან ეგდო ტალახში. მთლად გასვრი-ლი და ძალზე ნაცემი სხეული, რომელიც წამოდგომასა სცდილობდა წა ხრინწიანის ხმით, ქვითინით ამბობდა:

— არაფერია... სამაგიეროს გადაგიხდით... ძალიან ყარგი!

— საზიზლარნო! — მიუბრუნდა და შეჰყვირა ტუსა-ლებს მიშამ.

მაღალმა გაიცინა, პასუხი არ გასცა, ხელი გაუშვი-რა და სამის თითისაგან გაკეთებული ჩვეულებრივი ფი-გურა აჩვენა...

— არაფერია! — ხრინწიანად ჰბუტბუტებდა ნაცემ-ნატყეპი, აკანკალებულის ხელებით თავზე ქუდს ითხა-ტებდა, მთვრალებით ბარბაცებდა, ახველებდა და სისხლს აფურთხებდა. პირისახე მთლად დამახინჯებული ჰქონდა, ქერა წვერ-ულვაში ნიავისაგან ერხეოდა, პირი დაელო და ხარბად ისუნქავდა სუფთა ჰაერს. ტუჩები ისე და-წითლებოდა, რომ გაფიტრებულს პირისახეზე ღრმა,

გასისხლიანებულს ჭრილობას მოგაგონებდათ, ხოლო  
ჭროლა თვალებში შეუბრალებელი შურის-ძიება და სი-  
სასტიკე გამოსჭვივოდა... მიშამ ხელი მოჰკიდა, უშველა  
ზეზე წამოდგომა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო...  
მაგრამ ამ დროს დარაჯი ჯარის კაცი ზანტად მიუ-  
ხლოვდა და საყვედურით მაჰმართა:

— კიდევ ტუსალებთნ მისულხართ, ბატონო! რამდენ-  
ჯერ...

— აი, იმ მხეცებმა ამ წუთში ვირის ცემა ააღები-  
ნეს ამ საწყალს! — უთხრა მთლად ათრთოლებულმა  
მიშამ.

— ხომ გითხრეს — ტუსალებთან არ მიხვიდეთო...

— გესმით, ახლა სცემეს-მეთქი! — მტკიცედ განუმე-  
ორა მიშამ.

— მერე ეგ რა თქვენი საქმეა! — წყენითა სთქვა  
მიშას ზურგთ უკან მიმავალმა დარაჯმა: — თქვენ არა  
ხართ აქ უფროსი... მაშასადამე, უნდა იაროთ მხოლოდ  
თქვენთვის ნაჩვენებ აღგილზე... და თუ მაინც კიდევ  
მიხვალთ ტუსალებთან... მე მოვახსენებ, საღაც ჯერ  
არს, და სეირნობას აგიკრძალავენ...

— ოჟ, როგორა სცემდნენ! — შეჰყვირა მიშამ, ტანში  
დაზრინა და თვალები დახუჭა:

— ახლა რა ვქნათ? სცემეს — ჯანაბას, სცემონ,  
რა! ეგ მხოლოდ იმათი საქმეა!.. ვინცა სცემს, ის თავის  
კუთვნილს მიიწყავს... თქვენ ხომ არ აგეწვათ ზურგის  
კანი... დაეტიეთ თქვენს ქერქში და ნურაფრისა გეში-  
ნიანთ, თუ ტუსალებთან არ მიხვალთ! — თავისას არ იშ-  
ლიდა და გაიძახოდა დარაჯი ჯარის კაცი.

მიშა შემოუბრუნდა და შეუბლვირა; ჯარის კაცს

სახეზე დაღლილობა ეტყობოდა და, მიბნედილი თვალები თითქო ჩასცვივნიაო, ისე უძრავად გამოიჭყიტებოდა.

— ჩვენს ძმებს მოჰკითხავენ ხოლმე თქვენს მაგივრად პასუხს, — ამბობდა ჯარის კაცი და ტუჩებს ზარმაცულ აცმაცურებდა.

მიშამ არ დაუცადა სასეირნოდ დანიშნულ ვაჟის გათავებას და წავიდა თავისს საკანში. როდესაც, აფაცუროვის თანხლებით, დერეფანში შევიდა, ვილამაც ბნერლაში დაუყვირა:

— უკან! კუთხეში მოიცადე...

— რა ამბავია? — ჰკითხა მიშამ ზედამხედველს და ისევ ეზოში გამოვიდა.

— თქვენთან მეზობილი გადმოჰყავთ.

— ვინა?

— არ ვიცი...

საპყრობილის კანცელარიიდან გამოვიდა უფროსი თანაშემწე, წარბებს ქვეშან, კოპებ-შეკვრით შეხედა მიშას და აფიცეროვს უბრძანა:

— წაიყვანე!

და ერთბაშად შრისხანედ დაიღრიალა:

— ეგ რევოლვერი როგორ ჩამოგიკიდნია? ჰაი, შე დამბლა მამაძ...ლო! გაისწორე. ჩქარა, შე ფრახის შვილო!..

## IX

მიშა აღელვებული დადიოდა საკანში და მის გარშემო ნახევრად სიბნელეში მოისმოდა ნაღვლიანის კი-

გასისხლიანებულს ჭრილობას მოვაგონებდათ, ხოლო ჭროდა თვალებში შეუბრალებელი შურის-ძიება და სისასტიკე გამოსჭვივოდა... მიშამ ხელი მოჰკიდა, უშველა ზეზე წამოდგომა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო... მაგრამ ამ დროს დარაჯი ჯარის კაცი ზანტად მიუხლოვდა და საყვედურით მაპმართა:

— კიდევ ტუსალებთნ მისულხართ, ბატონო! რამდენ ჯერ...

— აი, იმ მხეცებმა ამ წუთში ვირის ცემა ააღებინეს ამ საწყალს! — უთხრა მთლად ათრთოლებულმა მიშამ.

— ხომ გითხრეს — ტუსალებთან არ მიხვიდეთო...

— გესმით, ახლა სცემეს-მეთქი! — მტკიცედ განუმეორა მიშამ.

— მერე ეგ რა თქვენი საქმეა! — წყენითა სთქვა მიშას ზურგთ უკან მიმავალმა დარაჯმა: — თქვენ არა ხართ აქ უფროსი... მაშასადამე, უნდა იაროთ მხოლოდ თქვენთვის ნაჩვენებ ადგილზე... და თუ მაინც კიდევ მიხვალთ ტუსალებთან... მე მოვახსენებ, სადაც ჯერ არს, და სეირნობას აგიკრძალავენ...

— ოჲ, როგორა სცემდნენ! — შეჸყვირა მიშამ, ტანში დაზრინა და თვალები დახუჭა.

— ახლა რა ვქნათ? სცემეს — ჯანაბას, სცემონ, რა! ეგ მხოლოდ იმათი საქმეა!.. ვინცა სცემს, ის თავის კუთვნილს მიიწყავს... თქვენ ხომ არ აგეწვათ ზურგის კანი... დაეტიეთ თქვენს ქერქში და ნურაფრისა გეშინიანთ, თუ ტუსალებთან არ მიხვალთ! — თავისას არ იშლიდა და გაიძახოდა დარაჯი ჯარის კაცი.

მიშა შემოუბრუნდა და შეუბლვირა; ჯარის კაცი

სახეზე დაღლილობა ეტყობოდა და, მიბნედილი თვალები თითქო ჩასცვივნიაო, ისე უძრავად გამოიჭყიტებოდა.

— ჩვენს შმებს მოჰკითხავენ ხოლმე თქვენს მაგივრად პასუხს, — ამბობდა ჯარის კაცი და ტუჩებს ზარმაცალ აცმაცურებდა.

მიშამ არ დაუკადა სასეირნოდ დანიშნულ ვაჭის გათავებას და წავიდა თავისს საკანში. როდესაც, აფაცუროვის თანხლებით, დერეფანში შევიდა, ვიღამაც ბნელაში დაუყვირა:

— უკან! კუთხეში მოიცადე...

— რა ამბავია? — ჰკითხა მიშამ ზედამხედველს და ისევ ეხოში გამოვიდა.

— თქვენთან მეზობილი გადმოჰყავთ.

— ვინა?

— არ ვიცი...

საპყრობილის კანცელარიიდან გამოვიდა უფროსი თანაშემწე, წარბებს ქვეშლან, კოპებ-შეკვრით შეხედა მიზან და აფიცეროვს უბრძანა:

— წაიყვანე!

და ერთბაშად მრისხანედ დაიღრიალა:

— ეგ რევოლვერი როგორ ჩამოგიკიდნია? პაი, შე დამბლა მამაძ...ლო! გაისწორე. ჩქარა, შე ფრახის შვილო!..

## IX

მიშა აღელვებული დადიოდა საკანში და მის გარშემო ნახევრად სიბნელეში მოისმოდა. ნაღვლიანის კი-

ლოთი წყნარი, მეტად უშნო და ულამაზო სიმღერა, რომელიც უფრო მშიერის მგლის შორიდან ლმუილსა ჰგავდა:

— ა-ა-ა! ო-ო-ო-ი! ე-ო-ი...

და ყველაფერი, რაც კი აშ უკანასკნელ ხანებში გამოსცადა მიშამ,— თითქოს, მკვდრედით ალუდგინაო ამ საერთო კვნესა-ურვამ,— თანდათან მოაგონდა, თვალწინ წარმოუდგა, თავიდან არა შორდებოდა და თითქოს დაბეჯითებით, დაუინებითა თხოულობდა მისგან ახსნა-გამარტებას.

მისი „გამბედაობა და სიმამაცე“ ახლა რაღაც მკრთალად, უმნიშვნელოდ, გამოუჩვეველ და სქელ ბურუსში გახვეულ სურათად ეჩვენა, ხოლო თავისი თავი კი წარმოუდგა იმ სასაცილო სტუდენტად, რომელიც გაჰრევია ულონობითა და უძლურებით დაბექა-ვებულ აღამიანთა ბრძოს, რომელსაც სცხვენიან, რომ ასე აღვილად დაამარცხა ბრჯგუ-ჩლუნგმა მექანიკურმა, მაგრამ გაწვრთნილ-მოწესრიგებულმა ძალამ. პოლიცი-ელთა დაქანცულ-გაბოროტებული და გულცივი გამო-მეტყველებანი, დამანჭული და კოპებ-შეკრული პირი-სახე აფიცრისა, რომელსაც მიშა ხმა-მაღლა, მქუხარედ და მრისხანედ ეუბნებოდა თავისს სიტყვას, კბილის ტკივილით შეწუხებული უბნის ზედამხედველი, — ყველა ეს მოაგონდა ახლა მიშას, თვალწინ ნათლად წარმოუდგა, გულზე დაეჭირ და მძიმე ლოდივით დააწვა მისს გონებასა და მთლად მისი არსებას..

— ალბად, ჩვენის ულონობისა და უძლურების გამო, ისინი იწოდნენ სირცხვილით... — გაიფიქრა მიშამ, მაგრამ მაშინვე მოაგონდა, რომ ამ უსულგულო, ნაძი-

რალა ადამიანებს, ფუფუნებაში აღზრდილ აფიცრებს, გაველურებულ პოლიციელებსა და ქოსა სალდათებს, რომელთაც მხოლოდ იმას ასწავლიან და აჩვევენ, რომ ადამიანებს ისე მოეპყრან, როგორც პირუტყვებს, — ამათ არც არაფრის სირცხვილი შეუძლიანთ და არც არაფრის გრძნობა აქვთ, გარდა ფიზიკურ ტკიფილისა და შიში-სა იმ ძალის წინაშე, რომელმაც ცოცხალნი არსებანი ასე ავტომატად გარდაქმნა, გაათახსირა, გარყვნა და გა-ამხეცა, და ახლა ისე ამოძრავებს, როგორც თვითონა სურს. მოაგონდა, როგორ შეშინდა შეეტლე, როგორ აკანკალდა და საღავეებს მოსწია, რორცა უბნის ზედა-შედველმა, შეუყვირა და გვერდებში მუშტიც წაუ-თავაზა... მოაგონდა პოლიციის განყოფილების ჭის-კართან განაგონი ხმა უგულო და უგრძნობელ კაცისა, რომელიც ადამიანებზე ისე სჯიდა, თითქო ჯირკვებზე ან ქვა-ხრეშე ლაპარაკობსო... მოაგონდა აფიცეროვის დედა, რომელმაც პროტესტიც არ განაცხადა, როდესაც მისი შეილი მამის პროფესიის სახელწოდების გვარით შონათლეს, თუმცა წარმოდგენილი ჰქონ ა, რომ ეს გვარი მიზეზი იქნებოდა მის შეილისადმი ბოროტისა და შეურაცხმულფელის დაცინვისა... შესაძლოა, მხოლოდ ამნაირ გვარის წყალობით მოჰქდა, რომ აფიცეროვმა დის-ციპლინარულ ბატალიონის კატორლაში სამი წელიწადი გაატარა... მოაგონდა საპყრობილის უფროსის მოახლე, რომელმაც ერთ თუმნად აპატივა მისს ჯალათს თავისი ისეთი ლრმა შეურაცხმულა, მწარე დაცინება და აუტა-ნელი ტანჯვა-წვალება... წარმოუდგა აფიცეროვი, სახე-გაფითრებული, შიშის კანკალით შეპყრობილი და მთელის ცხოვრებისთვისგამოუსადეგარი... ჯალათისადმი

უაზრო, უგნური სიბრალული მოხუცის კორნეისა, რო-  
მელიც უდრტვინველად ემორჩილება სხვის ძალას და  
თვრამეტის წლის განმავლობაში გამუდმებით, ბეჯითად  
უმტკიცებს აღამიანებს ერთსა და იმავე სულელურს  
ფრაზას: — „არ შეიძლება — აკრძალულია“ — და არასოდეს  
კი არ დაჰკითხებია თავის თავს, თუ რატომ არ შეიძ-  
ლება?

ძილშიაც კი პეტავენ და პგრძნობენ აღამიანები,  
რომ სცემენ უწყალოდ, დაუნდობლად, და თავზარდა-  
ცემულნი სიზმარში ჰყვირიან, რაც ხმა შესწევთ, გაჰ-  
კივიან:

— ნუ მცემთ! შემიბრალეთ...

— აღამიანები — არ არიან, არ არსებობენ აღამია-  
ნები! — ნაღვლიანად, მჭმუნვარედ ჰფიქრობდა თავის თვის.  
მიშა: — დედამიწაზე დაფოფხავენ რაღაც საარა კო, შესა-  
ბრალისნი აღმასრულებელნი სხვათა ნება-სურვილისა —  
ზოგი მშიშარა, გაუბედავი, ზოგი — ბოროტი და სასტი-  
კი, შეუბრალებელი, ხოლო მომეტებულ ნაწილად კი —  
უპიროვნო არსებანი. ამათ, მგონი, არც კი ესმით, თუ  
რას აკეთებენ; რასა სჩადიან, რისთვის არიან გაჩენილ-  
ნი, — და ვერც ერთ მათგანს ვერ გაუბედნია, ვერ ძალ-  
უძს აღიმაღლოს თავისი ხმა და წარმოსთქვას აღამიანისა  
საამაყო სიტყვები: „არა მსურს! არ მინდა!“ საპყრობილე,  
— თვით აღამიანთა გულში არსებობს, — და აღამიანთა  
გარშემო მთელი ცხოვრებაც — აგრედვე საპყრობილეა!...

მიშა გაჩერდა შუა საკანში და რაღაც ზიწლითა და  
მწუხარების გრძნობით აევსო გული. გარედან მოისმო-  
და ნელი, ნაღვლიანი და მჭმუნვარე სიმღერა:

— ა-ა-ა-ო-ო-ო-ი-ი!

მიშას ეგონა, რომ მისი შინაგანი არსება თრთოდა, ჰკვნესოდა და მწუხარებდა ტკივილითა და მწარე სირცხვილით ყველა ადამიანის მაგივრად...

— გამიგონეთ!.. — მოისმა საკანში ნელი ჩურჩული.

მიშა თითქოს სიხალულით გაემართა კარებისაკენ სარკმლიდან ალერსიანად ჰბრწყინავდა ლამაზი თვალები აფიცეროვისა.

— რა გინდათ? — ჰკითხა მიშამ.

— პო... არა გძინავთ?

— არა...

— საპყრობილეში ბევრს სრულებით არ ეძინება... ყური დაუგდეთ — ლექსია... თუ გენტერესებათ...

— სთქვით, გეთაყვა, სთქვით!..

— მხოლოდ, მე მგონი, აკრძალული უნდა იყოს... მეორე სართულში ვნახე, ჭერზე დაწერილი... კარანდაშით დაეწერათ... უტუოდ აკრძალული უნდა იყოს...

აფიცეროვმა ერთის წუთით სარკმელს თვალი მოაშორა, შემდეგ შემოჰყო ტუჩები და საკანში გაისმა ნელი, საიდუმლოებით მოცული ხმა, რომელშიაც მწუხარებაც გამოჰკროდა და შიშიც:

— სცოვრობდა ერთ დროს ადამიანი, —

მხოლოდ სიმართლეს ის ჰმეგობრობდა...

ამიტომ იმ კაცს არვინ ამ ქვეყნად

პატივს არ სცემდა, — სუსველა ჰგმობდა!..

—

ზიზღ-მძულვარებით და თანაც შიშით  
ყველანი იმას იხსენიებდნენ.

დაძრწოდა ქვეყნად თავშესაფრისთვის,  
მაგრამ ამაოდ, — არ ივრდომებდნენ! ..

მარტოდ მარტოკა, უცხო ყველასთვის,  
ობოლი.—მოპკვდა საპყრობილქში...  
და აჩვინ მისი კუბო-ცხელარი  
არ მიაცილა ცივს სამარეში.

არ იციან, თუ სადა მარხია  
დევნულ სიმართლის ეს მეგობარი!  
ეს წვაშიადი მე ვუწყო მხოლოდ,  
მაგრამ არ ძალ-მისს თქმა,—ვარ მდუმარი...

მიშა მიეყრდნო კარს, შუბლი სარკმელს მიადო  
და დიდის ყურადღებით უსმენდა; ასე ეგონა, რომ  
თითქმ თვითონ კარების ფრკრები, გაუღენთილი აღა-  
მიანთა მძიმე ოხვრა-კვნესით,—ფიცრები, რომელსაც  
შთაუნთქავს აუარებელი დარდ-ვარამი მარტოდ მყოფ  
და დაობლებულ ადამის ძეთა,—უამბობდა ამ ლექსს,  
რომელიც კაცობრიობის ტანჯვა-წვალების თითქმ ასეთ  
მოსაწყენ ლეგენდად გადაუქცევიაო, და ახლა ყველას  
საიდუმლოსავით ჩასძახის, ართობს და სულს უმ-  
შვიდებსო... და ამ ლეგენდას, გარედან ოდნავ გასაგონ  
ამოოხვრასთან ერთად, ამ ღამის წყვდიადში დაუსრულებ-  
ლად იმეორებს დაუბოლოვებელი სიმღერა—კვნესა.

აფიცეროვმა სარკმლიდან თვალები დაახამხამა,  
შემდეგ ალერსიანად გაიღიმა, სახე გაუბრწყინდა და  
ჩურჩულით შეეკითხა:

— მოგეწონათ?

მიშას ყელი გამშრალი ჰქონდა, მკერდში ჰაერი  
არა ჰყოფნიდა, რის გამოც სუნთქვა უძნელდებოდა; ჩა-  
აშტერდა აფიცეროვს ლამაზ თვალებში და ერთბაშად  
გაუელვა თავში: ალბალ, ზედამხედველმა თვითონ დას-  
წერა ეს ლექსი, უთუოდ მისი შეთხული იქნებაო.  
მერე, ცოტა სიჩუმის შემდეგ, წყნარად უპასუხა:

— დიალ, მომეწონა... მერე, რათა გგონიათ, რომ  
ეგ აკრძალული ლექსი იქნება?

— როგორ არა—უთუოდ აკრძალული უნდა იყოს!  
აქ ხომ სიმართლეზეა ლაპარაკი! ვასილ ნიკიტის არა  
ჰგავს ამ ლექსში გამოყვანილი კაცი?

— არ ვიცი... შეიძლება... თქვენ თვითონ კი...  
არა სთხზავთ ხოლმე ლექსებსა?

— მე?! — გაკვირვებით ჰქითხა აფიცეროვმა: — არა...  
საიდან შემიძლიან? მე—ნებაც არა მაქვს... ვერ გავ-  
ბედავ... მხოლოდ ერთხელ, როცა სამხედრო სამსა-  
ხურში გამიწვიეს, შევადგინე ჩემთვის ერთი ლოცვა...

— რომელი? აბა, მითხარით!

რამდენსამე წამს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ჩქარა  
საკანში გაისმა ჩურჩული და უბრალო, გულახდილად  
ნათქვამი შემდეგი სიტყვები:

— უფალო, ღმერთო ჩემო! რისთვის არის ადამის ძე-  
თა შორის ესოდენი ულმერთობა, სისასტიკე, შეუბრალე-  
ბლობა და სიბოროტე? შთამაგონე, უფალო, რისთვის  
არის, რისთვის?..

ეს კითხვა, როგორც უშველებელი ტალღა, ნელა,  
მაგრამ ღონივრად მოჰქვდა მიშას გულს, შთლიად მოიცვა  
მისი არსება და დაანაწყენა. დანაღვლიანებულმა ხმა-  
ამოუღებლივ გაღმოდგა უკან რამდენიმე ნაბიჯი, მივიდა  
საწოლთან, ჩამოჯდა ერთ კუთხეში, ზურგი მაგრად  
მიაბჯინა ღუმელს, თვალები კარს მიაშტერა და—რაღა-  
საც ელოდა...

აფიცეროვი კი წყნარად განაგრძობდა:

— ეს ლოცვა გრძელი იყო... ახლა დამავიწყდა  
კიდეც... იცით, რა? — მე ძლიერ მიყვარს ლექსები...

იმიტომ, რომ სრულებით არა ჰგავს იმას, რასაც აღა-  
მიანები ლაპარაკობენ...

მიშამ შეამჩნია, რომ ზედამხედველი ყურადღებით  
შესცეკროდა; უცბად ყური მოჰკრა რაღაც შრიალს,  
დააყურადა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, გარედან  
მოისმა ერთ კილოზე დაწყებული მოსაწყენი სიმღერა.  
ღუმელმა თუმცა ზურგი გაუთბო მიშას, მაგრამ გულ-  
მკერდში მაინც სიცივესა და მჭმუნვარებასა ჰგრძნობდა.

— ავად ხომ არა ხართ? — ჰკითხა ზედამხედველმა: —  
მაინც, რა გასაკვირველია, ამნაირ ცუდ ამინდში რომ  
კაცი ავად გახდეს?..

— არა, არა უშავს-რა... — გულნატკენად უპასუხა  
სტუდენტმა.

— მიშას ისე ეჩვენებოდა, თითქო საკანში შეხუთული და  
მძიმე ჰაერი დგას და აღამიანს სუნთქვას უძნელებსო.

— დაწექით! — ურჩია აფიცეროვმა: — დროა დაი-  
ძინოთ.

და მოულოდნელად დაუმატა:

— მე ვიცი, ვინც მოიყვანეს და თქვენს გვერდით  
საკანში ჩასვეს...

მიშას ხმა არ ამოულია... აფიცეროვმა ერთხელ კი-  
დევ ალერსიანად შეანათა მიშას თავისი ლამაზი თვა-  
ლები და სარკმელს მოშორდა.

მიშამ შუბლი დაანაოჭა, თითქო ტკივილებმა შეა-  
წუხაო, გაიხედა სარკმელში და თავისითვის განიმეორა:

„დაძრწოდა ქვეყნად თავშესაფრისთვის

მაგრამ ამაოდ, — არ ივრდომებდნენ“...

გარედან ამ ბნელს უკუნეთში ძლივს გასაგონის  
ხმით მოისმა მთრთოლვარე სიმღერა... გეგონებოდათ,

ისე გაუტაცნია მომღერალი თავისსავე სიმღერას, რომ,  
მისდა უნებურად, თავდავიწყებას მისცემია, აღარ შეუძლი-  
ან გაჩუმდეს და გულის სიღრმიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად  
აღმონახეთქ მწარე ჩივილით თავისს მძიმე და გულ-  
დვიძლის მღრღნელ ნაღველს იქარვებსო...

უცბად მიშას სმენა მიიპყრო რაღაც ხშირშა კა-  
კუნმა, თითქოს თუნუქის სახურავზე რამდენიმე წვეთი-  
წვიმა დაეცაო...

## X

რადგან დაღლილობასა ჰერძნობდა, მიშამ კურტკა-  
გაიხადა და უნდოდა დაწოლილიყო, მაგრამ ერთბაშად  
თვალი მოჰკრა კუთხეში რაღაც შავ საგანს, და უცბად  
მოაგონდა საპყრობილის. კედლის გალავანთან ძალზე  
ნაცემი, დამანკული ტუსალი რუხ ტანთსაცმელში. სიბ-  
რალულისა და ზიზღის ტალღამ მოიცვა მიშას არსება,  
დაიწყო საკანში წინ-და-უკან გამალებით სიარული, შე-  
მდეგ შეხტა ფანჯრის ჩარჩოზე, მიადო თავი ფანჯარა-  
ზე გახლართულს რკინის ბადეებს, კედელზე წყნარად  
თითები აათამაშა და, რაღაც გამოურკველ შიშისაგან  
მოცული, ფიქრს მიეცა. გარედ მურალად, უბარაქოდ  
სთოვდა, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდა და ისევ ჩეარა  
ჰქერებოდა...

მიშას ასე ეჩვენებოდა, თითქო აღამიანთა მთელი  
ცხოვრებაც სქელ ნისლ-ბუსურში იყო გახვეული და  
მის გარშემო გამეფებულიყო მხოლოდ სისასტიკე და შეუ-  
ბრალებლობა, რომელსაც ყველაფრისთვის მაგრად ჩაე-  
ვლო თავისი ძლიერი კლანჭები; თითქო აღამიანის ყო-  
ველი საქციელი და მოქმედება მხოლოდ იმაში გამოი-

ხატებოდა, რომ ერთმანეთისადმი რაღაც უაზრო, გაუ-  
გებარის სიბოროტითა და არა-აღამიანურის სურვილით  
გავიმსჭვალოთ და ჩვენს მისწრაფებად დავისახოთ ერთ-  
ურთის დაცინდა, მასხარად აგდება, ტანჯვა-წამება და  
ჯვარზე გაკვრა... თვალწინ წარმოუდგა ყოველივე ნა-  
ხული და გაგონილი, და გაითიქრა: „აი, ასეთ გაბორო-  
ტებულ აღამიანთა ხროვაში ძრწოლით დაჩანჩალობენ  
აფიცეროვისა და მის დედისთანა სიმპატიური, კეთილი,  
მაგრამ უძლური ქმნილებანი“...

მიშას ნათლად მოაგონდა აფიცეროვის შეთხზული  
ლოცვა და გასაგონად, მისდა უნებურად, დრტვინვით  
წაიბუტბუტა:

— უფალო, ღმერთო ჩემო! რისთვის არის აღამის  
ძეთა შორის ესოდენი უღმერთობა, სისასტიკე, შეუბ-  
რალებლობა და სიბოროტე? მასწავე, უფალო, რისთვის  
არის, რისთვის?..

ერთბაშად დანალვლიანებულ მიშას პირზე ღიმმა  
გაუქროლა; მას თვალ-წინ წარმოუდგა „ორი ვიაზმელი  
მყვლეფავ-ამკლებელი“ ხალხისა, მოაგონდა იაკობ უსო-  
ვი, რომელიც ღრმად, მტკიცედ იყო დარწმუნებული  
იმაში, რომ მას უფლება ჰქონდა დაეხოუნა აღამიანები.

და ამავე ღროს, საიდანლაც, როგორც მბეუტავ  
ცეცხლის ნაპერწკლები ლამის წყვდიადში, მარტოდ-  
მარტონი, გაბედულად და დღევანდელ საზოგადოებრივ  
მდგომარეობისათვის მრისხანე აჩრდილად გამოდიან მტკი-  
ცე, შეურყეველი აღამიანები, დასეირნობენ საპყრობი-  
ლის კედლის გალავანთან, „არაფერზე თანახმა არ უხ-  
დებიან“ მთავრობას და გაუტაცნიათ ფიქრებს, რომელ-  
შიაც მთელი მათი ცხოვრებაა დამარტული...

— რაზე ჰფიქრობენ?

მიშა საჩქაროდ გადმოხტა ფანჯრიდან და დაიშუო საკანში სიარული.

გარედან ისეთი ხმაურობა მოდიოდა, თითქო წყალს აღუღებენ; მიშა გაჩერდა და ყური დაუგდო... მისის საკანის პირდაპირ, მეორე საკანში, ვიღაც თავჩაქინდრული დადიოდა, თავისთვის რაღასაც ჰბუტბუტებდა და, თუმცა ამით თავს იქცევდა, მაგრამ მაინც ჩივილი გამოიხატებოდა მისს ბუტბუტში... დერეფნის კუთხეში ჩუმად ლაპარაკობდნენ ზედამხედველნი.

— მორჩა და გათავდა! — ყური მოჰკრა მიშამ წყნარის ხმით წარმოთქმულს აფიცეროვის ჩვეულებრივ საყვარელ სიტყვებს.

საკანში მიშას ისევ მოესმა რაღაც გასაოცარი კაკუნი, — რამდენჯერმე ჩქარ-ჩქარა დააკაკუნებდნენ ხოლმე კედელზე და ერთბაშად შესწყვეტდნენ. მიშამ კოჰები შეიკრა და მოიხედა — იატაკზე თაგვმა გაირჩინა... კიდევ განმეორდა ეს გასაოცარი კაკუნი. მიშა მიჰხვდა, შეჰკრთა, რაღაცნაირად, მისდა უნებურად, კედელს მაგრა მიაკრა ხელის გული, თვალები ჭერს მიაპყრო, რიღასთვისაც მოემზადა და გაშტერდა, თითქო სურსო, რომ ხელი ჩაავლოს და ეს გასაოცარი კაკუნი დაიჭიროს.

შას ისე ეჩვენა, თითქო კედელი თავის-თავად აკაკუნებდა, — და დაიჩოქა, პირისახე დაჭმუხნა, ცალი ხელი მაღლა ასწია, მერე უცბად, გაჯავრებულმა, ძირს დაუშვა, ისევ მაღლა ასწია და ხმა-ამოუღებლად აათამაშა კედელზე ფრჩხილები... შემდეგ სული განაბა და ყური დაუგდო, — სიწყნარე იყო...

უცბად ზეზე წამოხტა, მიირბინა კართან, გაიხედა  
სარკმელში და აკანკალებულმა, თითქო ვედრებით, მა-  
გრამ ნელის ხმით, დაუძახა:

— აფიცეროვ! ზედამხელველო...

და როდესაც აფიცეროვი კარის სარკმელთან გა-  
მოჩნდა, შიშამ სხაპა-სხუპით, ნერვეულად წასჩურჩულა:

— გამიგონეთ... შენი ჭირიმე! ის აკაკუნებს...

— ვინა? ვასილ ნიკიტიჩი?

— მაშ, ეგ ის არის?

— ის არის... მხოლოდ...

— უთხარით რამე... წასჩურჩულეთ — მე არ ვიცი  
კაკუნით ლაპარაკი!

— მეშინიან...

— არა უშავს-რა, ჩვენ ხომ შუდამ ფრთხილად ვიქ-  
ცევით ხოლმე...

— კარგი, მაგრამ, რომ გამიგონ... მაშინ მე...

— ოოჰ, ღმერთო ჩემო, არა-მეთქი! უთხარით,  
რომ ან-ბანი გამაგებინოს... მე არ ვიცი...

აფიცეროვი სარკმელს მოშორდა და წაილაპარაკა:

— კარგი... ვეტყვი...

და წავიდა... ჩქარა ისევ მობრუნდა და სარკმელ-  
ში შეანათა აფიცეროვის დანალვლიანებულმა თვალებმა;  
ერთის წუთის შემდეგ საკანში მოისმა მისი ჩუმი ჩურ-  
ჩული:

— გამიგონეთ...

მაგრამ მიშამ ხმა არ გასცა, მიირბინა კედელთან,  
გაჩერდა, მწარედ გაილიმა და მიმკვდარებულმა სუნთ-  
ჭვას მოუხშირა... სწყუროდა, სწადდა კაკუნითვე პასუხი-

გაეცა, გამძლარიყო ლაპარაკით, მაგრამ არ შეეძლო, —  
არ იცოდა!

რაღაც ბრაზმა შეიპყრო, კბილები დააკრაჭუნა,  
გაშტერებით მიაცქერდა თეთრად შელესილ კედელს და  
ისე უბრიალებდა თვალებს, თითქოს, ეს-ეს არის, გაქ-  
რობას, განადგურებას უქადისო...

კედლიდან კი ისევ განუწყვეტლივ მოისმოდა და-  
ბალი, მაგრამ მაგარი კაკუნი, მშრალი ხმა ქვისა, —  
ეტყობოდა, მეზობელი არ ეშვებოდა. და დაუინებითა  
სთხოვდა გამოხმაურებას... და ინსტინქტიურად ათრთო-  
ლებული მიშას მარჯვენა ხელის თითებიც იმეორებდა  
ამავე კაკუნს...

---

რამდენისამე დღის შემდეგ, საბანში გამოხვეული  
მიშა ფანჯრის ჩარჩოზე იჯდა, ზურგით მაგრად მიჰკროდა  
ფანჯრის წირთხს, წარბები შეეჭმუხვნა და შესცქეროდა  
შუშებზე გამოხატულს ყინულის მშვენიერ სურათებს,  
რომელიც, თითქო, ხელოვნურად გაუკეთებიათო. საპ-  
ყრობილის კედლის იქით, ზამთრის ცივს ცაზე, ღრუბ-  
ლებში დაფარული მზე მაღლა. წამოწეულიყო; რუხი,  
დარდ-ნაღველის მომგვრელი ნისლ-ბურუსი უფრო ნათ-  
ლად და გამჭვრივალედ მოსჩანდა. თოვლს დაეფა-  
რა არე-მარე; აქა-იქ შავად მოსჩანდა გაყინული ტა-  
ლახი, რომელიც თეთრ-სპეტაკ თოვლს სილამაზეს უკარ-  
გავდა და ზეცას თითქო ნაღვლიანად შესცქეროდა...

სიცივისაგან აკანკალებულს მიშას მოაგონდა კაკუნი,  
რომელიც იმ წინა ღამით გადასცა მას. თავის საკანის  
დაბზარულმა კედლებმა, მოაგონდა ეს კაკუნი და გაი-  
მეორა იგი თავის გულში სიტყვითა და აზრით...

— დიალ! ცხოვრება—სასტიკი, ულმობელი, და  
შეუბრალებელია... ცხოვრება—ბრძოლაა მონებისა თას  
ვისუფლებისათვის, ხოლო ბატონებისა—უფლება-ძლიე-  
რების მოპოვებისა და უკვე მოპოვებულის განმტკიცე-  
ბისათვის... და ამიტომ ცხოვრება არ შეიძლება იყოს.  
რბილი, მშვიდი და წყნარი, არ შეიძლება იყოს კეთილი  
და ყველასთვის სათნო, სანამ ქვეყნად არსებობენ მონები  
და ბატონები!..

— რანაირი ხმა აქვს?—გაიფიქრა მიშამ თავის მე-  
ზობელზე. მოაგონდა მისი გამხდარი, წვრილი, გაძვალ-  
ტყავებული სხეული,—და გადასწყვიტა თავის გულში:  
ალბად მაგარი, მჭექარე და უსიამოვნო. ხმა აქვს, მოკ-  
ლებული იმ ტკბილ ჰარმონიას, რომელიც ასე ამშვენებს.  
გულ-კეთილ აღამიანთა ხმოვანებასაო. და მიშამ უსიამოვ-  
ნოდ შეჰედა კედელს, რომლის უკანაც ახლა, ალბად,  
უკვე ეძინა იმ კაცს, რომელიც ასე ძლიერა ჰგავდა ჭუ-  
ჭყიანს ფანარში ანთებულს მკრთალს სანთელს...

ჭაბუკის მეხსიერებას. არა შორდებოდა ის ბასრი-  
ვით მკვეთრი, გაბედული და ცივი, — როგორც ყინულის  
ნაჭერი, — სიტყვები, რომელიც მის გულში ახლა უკვე  
შეურყეველ აზრად გადაქცეულიყო.

— დიალ! ცხოვრება არ იქნება, არც შეიძლება იყოს  
სამართლიანი და სწნატრელი, სანამ მისი მფლობელნი  
ირყვნებიან თავიანთ უფლებითა და ძლიერებით, ხოლო  
მონები კი — მორჩილებით... არა! ცხოვრება იქნება  
საშინელებითა, სისასტიკითა და ულმობელობით აღსავს  
მანამდე, სანამ აღამიანები არ შეიგნებენ, რომ ერნაი-  
რად სამარცვინო და მავნებელია, როგორც მონად, ისე  
ბატონად ყოფნა!...

დილის მეტრი სიცივე მთლად ხვალსა და რბილში გაუჯდა მიშას და გააშეშა. უძილობისაგან დაწითლებულ თვალებს ახამხამებდა, ხშირად ათვალიერებდა ფანჯრის შუშებზე ყინულის ფიგურებს და კედელს გადა-ჰქედავდა უკეთურის გრძნობით; თუმცა არ უნდოდა ეს უკეთური გრძნობა შეემჩნია თავის არსებაში, მაგრამ მაინც, მისდა-უნებურად, ამჩნევდა.

ამ რამდენისამე ღამის განმავლობაში კედლიდან განუწყვეტლივ მაგრად უკაკუნებდნენ, — და ეს კაკუნი ახლა მიშას აზრად გადაექცა; ჰგრძნობდა, რომ მისი გული მოეცვა ისეთსავე ცივს საგნებს, როგორიც იყო ყინულის ფიგურები ფანჯრის შუშებზე.

მაგრამ, ამასთან ერთად, სადღაც, მის გულის სი-ღრმეში, ნელა თანდათან ღვივდებოდა თბილი, მხერ-ვალე აზრი:

— ყველა ეს უსამართლობაა და თვითნებობა... განა შეიძლება აღამიანთა ორ ბანაკად გაყოფა?.. და, მაგალითად, მე?.. ნამდვილად მე ხომ არც ბატონი ვარ და... არც მონა!

ნაპერწყალივით გაუელვა თავში მიშას ამ პატარა, მოხერხებულმა აზრმა, რომელმაც იმწამსვე აღგილი და-უთმო უფრო დიდ, დამატიქრებელ აზრებს. ჭაბუკის წინა-შე ამ აზრებმა წამოაყენა მოთხოვნილება ხანგრძლივის, საძნელო მუშაობისა, შეუმჩნეველის, მაგრამ დიდებულის მუშაობისა, რომელიც აღსავს უნდა იყოს. შეურყეველის გამბედაობითა და სიმამაცით. ასეთი მუშაობა წილ-ხვე-დრია — შავ-მუშისაო, და მიშამ გადასწყვიტა, შერიგებოდა გარეგნობით უმნიშვნელო როლს შავ-მუშისას, რომელიც

თავის ჭკუა-გონებითა და გულში ანთებულ ცეცხლით  
სწმენდავს და ასუფთავებას ცხოვრებას ძველის-ძველ,  
დუხვირ ცრუ-მორჩმუნეობისა და წინად-შთაგონების  
დამპალ ხავისისაგან, ანთავისუფლებს მას ძველ უხამსო  
ჩვეულებისა და ავტორიტეტებისაგან...

— მერე, შემიძლიან ამ ძნელ საქმის გაკეთება? —  
შეეკითხა მიშა თავის თავს და ტანში შეაურჯოლა.

მაშინვე შერცხვა; იგრძნო, რომ, რიღასიც წინაშე  
შიშის გამო, განგებ სულ სხვა რამ და სხვანაირად ჰკირთხა  
თავისს თავს, და არა ისე, როგორც ანუ - რაც უნდა  
ეკითხნა.

მაშინ მიშამ უფრო სწორი და ნამდვილი საკითხი  
წამოაყენა:

— მსურს თუ არა, რომ ასე მოვიქცე?

...ცივი, ზამთრის ღრუბლიანი დღე დგებოდა. სა-  
კურობილე იღვიძებდა, —დერეფანში დაიღლარუნა კლიტე-  
გასაღებმა და ბორკილებმა, შეიქმნა კარების დაუანგე-  
ბულ ანჯამების ჭრიალი, გაისმა საპურობილის მსახურ-  
თა მრისხანე და მკვეთრი ხმაურობა, რომელსაც ბანს  
აძლევდა ტუსალთა ხან ყრუ და მდრტვინავი, ხან კიდევ  
გაბედული და გაჯავრებული ხმები.

მიშას გაახსენდა მეზობლის ამაყი სიტყვები, რომე-  
ლიც საპურობილის ძველ კედლიდან იყო ქვაზე კა-  
კუნით გადმოცემული:

— ვისაც ვაუნთავისუფლებია თავისი ჭკუა-გონება  
ცრუმორჩმუნეობათა სატუსალოდან — მისთვის საპურ-  
ბილე არ არსებობს, ვინაიდან ჩვენ, აი, ქვებსაც კი  
ენა ამოვუდგით და ვალაპარაკებთ, ხოლო ქვანი კი —  
ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობენ!..

...ფანჯრის გარედ, საპყრობილის გალავნის გასწვრივ, ჩაფიქრებული დადიოდა დარაჯი ჯარის კაცი და ფეხებს მაგრადა სცემდა გაყინულს მიწაზე; კედელზე ყვავი შემომჯდარიყო, თავი განზე გადაეგრიხა და ცნობის მოყვარეობით შეჰყურებდა ჯარის კაცს თავის შავ, დამრგვალებულ თვალებით....

მიშა ფანჯრიდან გარედ იცქირებოდა და პასუხს თავისსავე გულის სიღრმეში ეძებდა...

დიმ. ჯაში.

დასასრული:



# შ ე უ პ ლ ვ ა რ ი

პ. სტანიშვილისა

## I

ტრანზუდის რეილზე<sup>1)</sup>), საღაც ბალტიის ფლოტის მომქმედი ესკადრა<sup>2)</sup> მოკლე ზაფხულის მეტ წილს ატარებს, იდგა ჯავშნიანი ხომალდი „მუქარა“ უფროსი ფლაგმანის<sup>3)</sup>, კონტრ-ადმირალის<sup>4)</sup> ბაირალს ქმეშ. ფლავშანი იყო საკმაოთ ხანში შესული კაცი, რომელიც დღე-დღეზე ეპირებოდა „გამოეცურებია“ თავისი ცენზი უფროს ფლაგმანობისა და ვიცე-ადმირალის ჩინის მისარებათ.

თიბათვის დამლევის ლრუბლიანი და გრილი დღის პირველი საათი იყო.

ისიც იყო, მატროსები საღილს მორჩნენ ესკადრის ჯემზე. ბოკუმანებმა<sup>5)</sup> დაუსტვინეს და შესძახეს:

— რაზმი ისვენებს!

<sup>1)</sup> რეილი—გარეთა ნაერთსადგური, ქარისაგან დაფარული.

<sup>2)</sup> ესკადრა—რამდენიმე გემი ერთი ადმირალის უფროსობის

ჯვეშ.

<sup>3)</sup> ფლაგმანი—ესკადრის უფროსი.

<sup>4)</sup> ადმირალი—ფლოტის უფროსის ხარისხია. რუსეთში ეს ტარისხი იყოფა ოთხ ჩინად: გენერალ-ადმირალი, ადმირალი, ვიცე-ადმირალი და კონტრ-ადმირალი.

<sup>5)</sup> ბოკუმანი—რაზმის უფროსი უნტერ-აჭიცერი.

ხუთი წამის უკან „მუქარის“ ბოცმანი უდანოვი  
პაპიროსით ხელში ჩაის ხვრებდა თავის სუფთა და კო-  
ნტათ მორთულ კაიუტაში<sup>1)</sup>).

კოიკის<sup>2)</sup> პირდაპირ, კედელზე, შნორინათ გამოე-  
ფინათ ფოტოგრაფიული სურათები დიდებულ პირთა,  
მამა იოანე კრონშტადტელისა და „მუქარის“ უფრო-  
სისა, ლაშაზ სახეებიან ჩარჩოებში, რომელიც გაეკეთებია-  
ერთ მატროსს ბოცმანს „მაღლობაში“. კოიკა მორთუ-  
ლი იყო ნაცრისფერ თივთიკის საბნით და ბალიშებით.

კოიკას ზემოდან იაფ-ფასიან ხალიჩას ამშვენებდა  
მტრედისფერ ჩარჩოებიანი „არდამივიწყოს“ ყვავილე-  
ბით დახატული ფოტოგრაფიული სურათი ახალგაზდა ქა-  
ლისა, ლაშაზის სახით და ჩაჯიჯვული ტანით, უზარმა-  
ზარ ხელებზე დარგვალებული თითებით, რომლებიც  
ალბათ ბეჭდების ხათრით გამოეჩინა, ყურსაკიდებით  
ყურებში და ოქროს აბზინდით დაბალ ჩასქელებულ კი-  
სერზე.

თქმა არ უნდა, ეს ძვირფასით მორთული ქალი  
იყო მეუღლე ბოცმან უდანოვისა.

თვით უდანოვი არაფრით არ მოგაგონებდათ ძველი  
დროის ბოცმანებს, ამ თავდადებულ მეზღვაურთ, სახელ  
განთქმულთ, მათ მიერ შეუნიშვნელ გმირობით, ავყია  
მაგინებლებს, თავშეუკავებელ ლოთებს ნაპირზე, გავე-  
ლურებულთ, მაგრამ არა ბოროტთ, რომლებიც განზე  
არ უდგებოდენ მათსავით უუფლებო მატროსებს და,  
მაშასადამე, ამხანაგებათ რაცხდენ მათ და უფროსებთან

<sup>1)</sup> კაიუტა—ოთახი გემზე.

<sup>2)</sup> კოიკა—საწოლი მეზღვაურებისთვის.

„ენატანიობა-ხრიკობა“ ბოცმანთა ლირსების შეგინებათ  
შიაჩნდათ.

ამასთან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მატროსები  
არ შეარჩენდენ ბოცმანს, თუ იგი უსამართლო და მხე-  
ცური „ზნის“ იქნებოდა.

უდანოვი კი ახალი დროის ბოცმანია და, რასა-  
კვირველია, ბევრათ უფრო კულტურულია.

იგი არის ახალგაზრდა, ოცდათოოდ წლისა, საშ-  
ვალი ტანისა, ჩაჯიჯგული, სიმსუქნისაკენ მისწრაფებუ-  
ლი, კოხტათ ჩაცმული, „შეხვერდის“ მცოდნე და არა-  
„მოკუპრულ ყანყრატოთი“ ბრიყულათ მოლაპარაკე,  
გულმოდგინე და გაბედული, დიდრონი რგვალი თვა-  
ლებით, წითური, ჭორფლიანის, დინჯის, მართებულის-  
და გაჭარხალებულის პირისსახით, გაკრეჭილი თმით და  
ალისფერ წვერებით. ფაფუქ ხელის უსახელო თითზე  
ოქროს რგოლით და ნეკზე ფირუზის თვლიანი ბეჭდით.

რასაკვირველია, იგი არ ეწყობოდა არც არაც,  
არც ლვინოს. ზოგჯერ მხოლოდ ბოთლ ლუდს „გამოე-  
თამაშებოდა.“ არ იყო მაღლათ განსწავლულივით დაუღ-  
ლელი ავყია, არამედ იგინებოდა წყნარათ, ჩაგონებით  
და მოკლეთ.

თავმომწონე და კმაყოფილი, იგი თითქო მოლათ  
თავისი ლირსების შეგნებით იყო გამსჭვალული და შორს  
იჭერდა თავს მატროსთაგან, რომ არ დაემცირებია  
უფროსის სახელი გაუნათლებელ და ბრიყვ „ბიჭ-ბუჭებ-  
თან“ „გადაკიდებით,“ რომელთაც, შეიძლებოდა, „თავი  
აეგდოთ“ ბოცმანის წინაშე და ისიც „სხვა აზრების“  
კაცთან. იწერდა იგი გაზეთ „სვეტს,“ კითხულობდა  
წიგნაკებს და თავი მოჰკონდა ჭკვიან, შორს-მჭვრეტელ

ბოცმანათ, რომელსაც შეეძლო მოეწყო თავისი ცხოვ-  
რების კეთილ-დღეობა.

მატროსებს იგი ექცეოდა შიშის ალმაზრელ სიმკა-  
ცრით, განსაკუთრებით შეუბრალებელი იყო მასთან,   
ვინც დისციპლინას დაარღვევდა, და არც სიტყვის შებ-  
რუნებას გააბედვინებდა მათ. ნაცვლათ აფიცირებთან  
მოწიწებით იქცეოდა და ფეხქვეშ ეგებოდა.

უდანოვს არ მოსწონდა ზღვაში სამსახური. განსა-  
კუთრებით არ უყვარდა და აშინებდა ზღვა მაშინ, როცა  
ის ახმაურდებოდა და უზარმაზარ ზეირთებათ იქცეოდა;  
მაგრამ შეუდარებელი აღმასრულებელი და ბეჯითი ბო-  
ცმანი იყო, ყოყოჩინებდა თავის პედანტიზმით (წვრილმა-  
ნობის ბეჯითი მიმღევნარი). და დაუძრახველი ყოფაქცე-  
ვით უფროსების თვალში.

თავის ასეთ მდგომარეობას უდანოვი ბოროტათ  
ხმარობდა და ფულების მოსაპოებლათ არავითარი სა-  
შუალება საძრახათ არ მიაჩნდა. ექვსი წლის სამსახუ-  
რით საკმაო ფულები შეაგროვა. ძუნწი და მოხერხებუ-  
ლი, სამსახურის დასრულების შემდეგ ფიქრობდა ხელი  
მოეკიდა ვაჭრობისათვის.

მატროსებს ეშინოდათ მისი და არ უყვარდათ გულ-  
ზეიადი და უსამართლო ბოცმანი, მაგრამ იგი ამას ნა-  
კლებ ყურადღებას აქცევდა. უდანოვი დარწმუნებული  
იყო, რომ კაპიტანსა (გემის უფროსი) და უფროს აფი-  
ცერს მოსწონდათ და აფასებდნენ სასტიკ ბოცმანს. მა-  
ტროსებიც ვერ გაბედავდენ მასზე ჩივილს. იგინი „სა-  
იმედო“ ხალხი იყო, რადგან ბოცმანს მკაცრ მორჩილე-  
ბაში ჰყავდა ყველა.

ერთათ-ერთი მატროსი იქცევდა მის მოუსვენარსა.

და გაბოროტებულ ყურადღებას; იგი ახლად შესული იყო „მუქარაზე“.

„ნამდვილი“ „შეუპოვარია“. — გაიფიქრა ედანოვმა.

მან თუმცა იცოდა, რასაკვირველია, რომ დასვენების დროს უფლება არ აქვს მეაწუხოს მატროსები, თუ რაიმე განსაკუთრებული საქმე არ თხოულობს, მაგრამ მაინც მოითხოვა თავისთან „შეუპოვარი“.

## II

როცა ახალგაზდა, გამხდარი, ტანის შავგვრემანი მატროსი შემოვიდა ბოცმანის კაიუტაში და ამაყათ გაჩერდა კარებთან, ბოცმანს მოუსვენარი სიბრაზე დაეტყო.

მაგრამ არ შეამჩნია, მატროსს განგებ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძნობდა ჩაის სხას.

ბოლოს აიღო თავი, ბოროტის გამომეტყველებით დაასტერდა მას და დაბალის ხმით, მნიშვნელოვნათ და ნელა ამოილაპარაკა:

— მიტიუშინ!

— მე ვარ!

— მიხვდი, რა მიზეზით მოგითხოვა აქ ბოცმანმა?

— მე მიუხვედრელი კაცი ვარ! — მიუგო მიტიუშინმა.

მატროსმა არ უწოდა მას ივანე არტემის ძე, არც გამოეჭიმა წინ, არამედ თავისუფალ პოზაში იდგა. მისი შავი, ნაზი პირის სახე, ჩვეულებრივათ სიცოცხლით სავსე, ახლა თითქო გაშეშდა და მიიღო სერიოზული და მკაცრი გამომეტყველება. თავშეკავებულ ოფიცია-

ლურ ხმაში თითქო ირონია იხატებოდა, და მიტიუშინის ცოცხალსა და მჭრელ შავ თვალებში გამოკრთა დამცინავი ლიმილი და ისევ გაჰქია.

„ერთი შეხეთ, როგორ დგას ბოცმანის წინაშე!“ — გაიფიქრა უდანოვმა. მაგრამ მრისხანება შეაჩერა და თავ-მოყვარეობით გაწითლებულმა უთხრა:

— მაშ მიხვდი?

— რას უნდა მივხვდე?

— აი, თუნდა ისა, რომ მე გულში ვუძვრები კაც-მა და ერთი შეხედვით ვცნობ მას.

მიტიუშინი ხმას არ იღებდა, თითქო ბოცმანს აჯავ-რებდა.

— მოისაზრე?

— სჩანს, ვერ მოვისაზრე!

— შენს თავზე კი დიდი წარმოდგენა გაქვს! — ზიზღით მიახალა უდანოვმა.

მიტიუშინი ხმას არ იღებდა. მარტო თვალებმა გაულიშეს, ზედა, თხელი ტუჩის ბოლო შეუთამაშდა და სახემ გამომწვევი და ცოტათი ამპარტავნული გამომეტ-ყველება მიიღო.

ბოცმანი გრძნოდა მატროსის მიერ — მის ათვალის-წუნებას.

რა სიამოვნებით დაუსისხლიანებდა იგი იმ „თავხედ-სახეს“! მაგრამ უდანოვს ეშინოდა „შეუპოვარისა.“ მის-გან ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

ბოცმანს ახჩობდა მრისხანება, მაგრამ ძლივს იკა-ვებდა თავს და განაგრძნობდა მიტიუშინის ნელ-ნელა „წამებას.“ ის დაემუქრა მას ხრინწიანის ხმით:

— გაფთხილებ, მწვავე უსიამოვნება არ მოგადგეს!

თითქო იმის დასამტკიცებლათ, რომ ბოცმანის მუკარა მას კი არ აშინებს, არამედ მოწყენილობას გვრის, მიტიუშინმა დაამთქნარა და გულგრილათ უპასუხა;

— რა უსიამოვნებაზე ამბობთ?

— თავს ნუ ჩსულელებ... ნუ თავხედობ... შენ ვის ელაპარაკები!

— ბოცმანს.

— მაშ გაფრთხილდი! — მრისხანეთ შეუძახა ედანოვა, რომელიც უკვე ჰკარგავდა მოთმინებას.

— რას უნდა გაუფრთხილდე?

— მე შენ გაჩვენებ, როგორი არიან ბოცმანები!

— რა უნდა მაჩვენო? მინახავს თქვენისთანა ბოცმანები... მე ჩემს სამსახურს ვასრულებ, როგორც რიგია, და კანონიც მესმის.

— გესმის? — ამოილაპარაკა გაჭარხალებულმა ბოცმანმა გაგრძელებით.

— მშვენიერათ! — მიახალა პირში მატროსმა.

ედანოვი გველნაკბენივით წამოიჭრა სკამიდან და გაბოროტებულის, აკანკალებული ხმით მიაყვირა:

— იქნება გგონია, არ ვიცი, რა შეუპოვარი მატროსიცა ხარ და რა უკანონო აზრები გიტრიალებს თავში?.. რა უფლებებზე ესაუბრები შენ მატროსებს და თავი მოგწონს... . შემომხედეთ, მე ყველაფერი მესმის და არც არაფერის მეშინია, თქვენ კი უენოთ ითმენთ“... ვიცი, რა მკილავიცა ბძანდები და როგორ დასცინი და არცხვენ მთავრობას, რომლის პატივისცემის ფიცი მიგილია. მე ამოფაცლი თავიდან მაგ სიბრიყვეს. მუხრუჭს მოგიჭერ, გასწავლი, როგორია დისციპლინა. არც დაჯარიმება გამიჭირდება შენი, თუმცა შენ, პირველ მატ-

როსათ ითვლები! მაშინ კი კანონისამებრ აგიჭრელებზურგის კანს. ერთი შოვახსენო, რა წითელი კოჭიცა ბძანდები და უკანონოდაც აგიჭრელებენ, დაიცა! გაიგებ, როგორ უნდა რაზმის აჯანყება და არევა...

მატროსი აეგზნო, თვალებში ბოროტი ცეცხლი დაენთო და აღელვებით წარმოსთქვა:

— მერე რა? იჯაშუშე მთავრობასთან... იცრუე!... მე ჩემს უფლებებს გამოვძებნი!

— კრინტი-მეთქი ბოცმანის წინაშე!..

— მე მოვისმინე შენი ჰკვიანური სიტყვები. ახლა ჩემიც მოისმინე! — მტკიცეთ და გულ-მოსულათ მიუგომან. — ჩვენ პირისპირ ვდგევართ. იქმება არ გსმენია ხალხისაგან, რა ურცხვი და მექრთამე ბოცმანიცა ხარ... დამაბეზლე, ბატონო ბოცმანო, მიმცენ სამართალში ჩემდა სასიამოვნოთ... გგონია, შევდრკები!... ამით მაინც შეიძლება გამოაშკარავდეს სიმართლე და დაინახონ, როგორ იღებ ქრთამებს მატროსებისგან, როგორ შენი საჭიროებისათვის ამუშავებ მათ. ვის სკამებს აკეთებინებ, ვის გასაკვრას უკვეთ, ვის წალებს აკერვინებ და ვძალოამბეთ იყენებ.... ცემა აკრძალულია და ოქვენ კი, ვერაგები, ბოცმანები და უნტერ-აფიცირები, კბილებს გვამტვრევთ... იცით, რომ ჩივილს ვერ ბედვენ, და ალარ იშლიოთ მხეცუობას! თქვენი დარდი ისაა, ვის როგორ დასცინცლოთ ფულები.... იგია შენი ღმერთი... ღმერთი მარტო ენაზე გაკერია, ხელში მანეთებს და უკანონობას ულოლავებ! პო და, მე თუ მათ ავუხსენი, როგორ აფურთხებთ კანონებს და ივიწყებთ სინიდისს, — თქვენი აზრით „ბუნტოვჩიკი“ ვარ! განა, თუ მესმის, თუ გამიგია თქვენი უნამუსო ცხოვრება, ეს შფოთვაა!?

გუშინ ჩემივე ძმა, ჩემსავით დაბეჭივებული გლეხი არ ეგდე, რომ დღეს ჯარიმებითა და აქრელებით მემუქრები?... ფიქრობ შემაშინო! რა ჭკვიანია! კაცს გულში უძრები და ის კი ვერ დაგინახავს, რომ ყველა ლორი გროშისათვის სულს არ გაჰყიდის. ეტყობა, უფროს აფიცერს არც კი დასიზმრებია, რა მთლიანი ფლიდიცა ბძანდები!

ამ დიდებულმა და ბეღნიერმა ბოცმანმა, რომელსაც თავი არა-ჩვეულებრივ არსებათ მიაჩდა მთელ ხომალდზე, გაოცებისაგან ერთი ამოიხვნეშა და დარეტიანებული არ აწყვეტინებდა აღშფოთებულ მატროსს თავხედურ სიტყვებს.

მაგრამ წამის უკან უდანოვმა მიიწია მატროსზე ამართული მუშტით.

მიტიუშინს მკვდარი ფერი ჩაედო და ბიჯს არ სდგამდა უკან. იგითამამად ჩაასტერდა თვალებში ბოცმანს და შეუძახა:

— აბა გაბედე! წითლათ შეგილებავ მაგ მაძლარ ლორის დრუნჩი!

უდანოვმა ველარ გაუსწორა თვალი, ბოცმანის მუშტი დაეშვა ძირს, და ჯავრისგან დამხჩალმა ძლივს ამოიყრანტალა:

— გაჩვენებ, როგორც მოსძებნი უფლებებს, ბოცმანის შეურაცხებისათვის... გამშორდი!

— ბეზლაობა ხომ შენი საქმეა, იუდავ! მაგრამ გაფრთხილდი, შენ თვითონ არ გაება... განა ყველა დაგიჯერებს, რომ შენ „ბუნტი“ აღმოაჩინე! — ზიზლით მიუგო მატროსმა და ამ სიტყვებით გამოვიდა ბოცმანის კაიუტიდან.

### III

მატროსებიც „შეუპოვარს“ ეძახოდენ მიტიუშინს, მათ აռკებდათ „გოგრიანი“ და მოუსვენარი პატარა მატროსი, რომელსაც „არაფრის ეშინია“, უსამართლობა აცხარებს და „შეურაცხებათ“ მიაჩნია რაიმე უკანონო საქციელი.

მატროსები ცნობის-მოყვარეობით ისმენლნენ მისაღზნებულ, გატაცებულ ლაპარაკს, მაგრამ არ უყვარდათ იგი და აშინებდა ამ „მეკანონის“ ზოგჯერ გესლიანი ხუმრობა და დაცინვა და ხშირათ ვერ მიმხვდარიყვნენ, რა „აცხარებდა“ ამ სამსახურში სამაგალითო მატროსს და რატო მუდამ ასე „დაუხშანავს კბილები“ თავისავე მოძმეზე.

— ერთი სიტყვით — შეუპოვარი კაცია და დიდათ მოაქვს თავი! — ამბობდნენ მიტიუშინზე.

„შეუპოვარი“ გრძნობდა, რომ მისი, სიმართლეს, მოწყურებული, სული ვერ ხვდებოდა თანაგრძნობას და რომ იგი, მისი ენა-გესლიანობის მეოხებით, განმარტოებული რჩება.

მაგრამ მაინც კიდევ ცდილობდა აეშფოთებინა იგინი უსამართლობის წინააღმდეგ, დასცინოდა მათს გულგრილობას.

ახლა კიდევ შეურაცხება და მწარე შეურაცხება მოემატა „შეუპოვარის“ მოუსვენარ გულს. მოინახა ისეთი მატროსი, რომელიც აბეზლებდა თავისავე მოძმეს „ვერაგ“ ბოკმანთან — და რისოვის? მისოვის, რომ მიტიუშინს მატროსებისთვისვე სიკეთე უნდოდა, როცა „კანონს“ იცავდა.

მიტიუშინმა იქოდა, რომ იგი დამნაშავეა დის-  
ციპლიონის დარღვევაში მით, რომ „გაათრიაქა“ ბოკ-  
მანი და ყოველ შემთხვევაში ეს „უბრალოთ“ არ ჩაუ-  
ვლის. შეიძლება პასუხის-გებაშიც მისცენ, თუ ფლიდმა  
ბოკმანმა ჭორებითა და ხრიკებით გაბერა უფროსი  
აფიცერი! — მსჯელობდა თავისთვის მიტიუშინი.

და სიმართლის გამარჯვების შესახებ საეჭვო ნიშ-  
ნებში მის წარმოდგენას ეხატებოდა ულმობელი, შეურაც-  
მყოფელი „კანონით“ ტყეპა დაჯარიმების შემდეგ..

მაგრამ „შეუპოვარი“ არა თუ არ ნანობდა, რაც  
გადახდა, არამედ პირიქით დიდ ზნეობრივ კმაყოფილებას  
გრძნობდა. აღმფოთებული სულის მწვავი მოუსვენრობა  
თითქო ცოტათი მიწყნარდა მას შემდეგ, რაც მან ბოკ-  
მანს სრულიად დამსახურებული ხურდა მისთავაზა.

„ის მაინც გაიგოს, რა ფლიდიც ბძანდება!“

მიტიუშინი ფიქრობდა, რომ ბოკმანი უკვე მო-  
ხსენებას ურდგენს უფროსს აფიცერს ქვეშევრდომის  
„შეუპოვრობაზე“ და დასვენების შემდეგ უფროსი  
ალბათ მიიწვევს მას მასთან გამოსაკითხავათ.

„შეუპოვარი“ მოუთმენლათ მოელოდა მის დაძა-  
ხებას. იგი ასე ფიქრობდა:

„თუმცა უფროსი აფიცერი სასტიკი კაცია, მაგრამ  
ნებას მისცემს მას ყოველივე უამბოს და მაშინ და-  
რწმუნდება, სამსახურის ერთგულათ და ბეჯითად ამსრუ-  
ლებელი მატროსი, რომელიც ერთხელაც არ დაუსჯიათ  
უკანონოთ, არა თავის-თავის გამო „შებმია“ ბოკმანს.  
როგორი „ბუნტოვჩიკია“ მიტიუშინი, თუ მას მხოლოდ  
უკანონობა და ბოკმანის სიფლიდე „აწუხებს?“.

„შეუპოვარს“ არ ეძინებოდა. რა დროს ძილი

იყო? იგი იმეორებდა გონებაში, რა უნდა ეთქვა უფროსს აფიცრისათვის, და მისი სითამამე უკარნაზებდა მას გაბეღულ სიტყვებს. მისი აზრით, მისი სიტყვები ისე-თივე სარწმუნო იქნებოდა, როგორც თვით სიმართლე.

ამ ნაირათ, ეჭვები მტვერივით იფანტებოდა. მოუ-სკენარ ოცნების მატროსს სწამდა, რომ სიმართლე „გაიტანს“ და რომ უფროსი აფიცერი, სწრაფათ მოვა შეკუაზე”.

მიტიუშინს მოაგონდა, რომ დღემდე მას „მუქარაზე“ ერთხელაც არ „უჭამია სირცხვილი“.

მართლაც, მან რამოდენიმედ პატივისცემა დაიმსა-ხურა.

„მუქარაზე“ იყვნენ ისეთი აფიცრები, რომელნიც მოგვაგონებდენ ძველი დროის ფლოტურ „განსწავლას“. ეს „განსწავლა“ ისევ მოდაში შედიოდა, და ახალგაზდა მიჩმანებიც<sup>1)</sup> კი მუშტებით გადადიოდნენ ხალხზე და არც კი წითლდებოდენ ამ გმირობისათვის.

მაგრამ ამ ვაჟბატონებს თითქმის ყველას ესმოდათ; რომ მიტიუშინი ძალიან განსხვავდებოდა მატროსთა მთელ ბრძოსაგან, როგორც თავისი აღამიანური ღირ-სების შეგნებით, ისე თავის უფლებათა შეგნებითაც. ამიტომ კანონი იცავდა მისი სხეულის ხელუხლებლო-ბას. ამას გარდა, გაგებული და ბეჯითი მატროსი თა-ვისი უნაკრულო სამსახურით არ აძლევდა აფიცრებს „განსწავლის“ მიზეზს.

გავიდა დასვენების საათი. დაუსტვინეს: „აღსდე-გით!“

<sup>1)</sup> მიჩმანი—პირველი აფიცრის ჩანა, უმცროსი აფიცერი.

ამის შემდეგ ასტეხეს საარტილერიო სწავლაზე მო-  
საწვევი განვაში.

## IV

ხომალდის კიბეზე ამოვიდა პატარა ტანის ჩასუქე-  
ბული აღმირალი, რომლის კეთილი სახე შეებურდნა  
პალარა წვერს, კმაყოფილი და ალექსიანათ მომღიმარე,  
— ასეთად იცნობდენ ყველანი უმცროსს ფლაგმანს. იგი  
ლუზაზე „აცურებდა“ თავის ცენზს საზღვავო კარიერის  
დასაგვირგვინებლათ და ამისათვის არ ერიდებოდა ჯავ-  
შნოსანთა მთლიანობას. ეს გოლიათები ხომ დახელოვნე-  
ბულ მართვას ითხოვენ და ხშირათ „იდენტ ოფლს“  
ქვებზე და ერჭობიან მეჩეჩებ<sup>1)</sup>.

აღმირალი შესცეკროდა ვარჯიშობას და ამ მსწრაფლ  
მსროლელ გიგანტ — ზარბაზანთა დანახვაზე მის აღმა-  
ტებულებას პატია კეთილ თვალებში იხატებოდა ოცნე-  
ბითი აღტაცების გამემეტყველება, — თითქო აღმირალს  
ნამდვილი ომი წაროედგინა, რამდენადაც კი შესაძლე-  
ბელია წარმოიდგინოს იგი იმ კაცმა, რომელიც არაო-  
ზეს ომში არ ყოფილა, და „მუქარა“ — კი, ჩვეულებ-  
რივათ, რომელსამე „ჩარჩი ინგლისელის“ მძლეველათ.

— საუცხოვოა, ვიქტორ იგანეს ძე! განსაკუთრე-  
ბულის სიამოვნებით შევცეკრი ამ ჩვენს მამაცებს! ჩა-  
სურათია! — მიუბრუნდა აღმირალი ცოტათი მის უკან  
მდგომ კაპიტანს და ვაჟკაცურათ ასწია თავი და წამო-  
ჯგიმა წინ გულმკერდი, რომ უფრო ახოვანი და მებ-  
რძოლი გამოჩნდეს.

<sup>1)</sup> მეჩეჩი (ჯელა) — წყალ ქვეშ ამაღლებულია კლდე.

კაპიტანი იყო ხანში შესული, ჩასკვნილი და წარმო-  
სადეგი შავგვრემანი, საშვალი ტანისა. იგი ზრუნვე-  
ლობით და რამოდენიმეთ ნაღვლიანათ შექცეროდა  
ვარჯიშობას. აღმირალის სიტყვაზე მან მიიღო თითები  
ქუდთან და წარდგა მისკენ ნაბიჯი.

— მე ვოცნებობ, ვიქტორ ივანესძე... იცით რაზე?

— არ შემიძლია მივხვდე, თქვენო აღმატებულებავ!

— აი რაზე. ინგლისმა რომ გაბეჭოს და ომი  
გამოგვიცხადოს, ასეთი მატროსებით და ასეთი ძლიერი  
სულით, როგორიც ჩვენა გვაქვს, —სულ მდლვირს ავა-  
დენთ ინგლისელებს... სული — ეს უმთავრესია... არა?

— უთუოთ, თქვენო აღმატებულებავ! — მიუგო  
კაპიტანმა.

და ამავე დროს კი, კარგათ გაწვრთნილ ქვეშე-  
ვრდომის ოფიციალურ გამომეტყველების შეუცვლელათ  
გაითიქრა:

„სტუი, აღმირალო! ჩვენ ზღვაში ცხვირსაც ვერ  
გავყოფთ. სჯობს კრონშტადტში მივმალოთ ჩვენი ფლო-  
ტი, დევ იქ იდგეს, ეს უფრო ეხერხება! ახლაც მეტ  
ნაწილათ ვდგევართ, ვინემ ვცურავთ“.

ასეც იქცეოდა კაპიტანი. როგორც აღმირალს, ისე  
არც მას უყვარდა ზღვაში მოგზაურობა, რაც საშინ-  
ლათ უშლიდა ნევრებს სილაჩრემდე ფრთხილს კაპიტანს.  
იგი უიმედოთ უყურებდა თავის-თავსაც და ამ გემებსაც  
უფროსობდა იმ ხნის განმავლობაში, სანამ შეეძლებოდა  
„გამოეცურებინა“ თავისთვის ცენზი.

ორი თვეა, რაც ის „მუქარას“ უფროსობს (წი-  
ნად სხვა ჯავშნიანებს განაგებდა) და, ცხადია, არ ჰქო-  
ნდა გაგებული მისი ლირსებები და კმაყოფილი იყო.

ტრანზულში დგომით; მაგრამ შიშის ზარს სცემდა ფინის ყურეში გავლა და თავის შვიდ მილიონიან ჯავ-შნოსანის გამო პასუხის-მგებლობა. ერთიც ვნახოთ... უბედურება შეემთხვა.

— რა გვარია ის კამენდორი<sup>1)</sup>, ვიქტორ ივანეს ძე? — დაეკითხა აღმირალი და უჩვენა თავისი ფუნთუშა თითით „შეუპოვარზე“, რომელიც ზარბაზანთან გამგეობდა.

— მიტიუშინი, თქვენო აღმატებულებავ.

— ყოჩალი კამენდორია... ვსტკბები მისი ცქერით, ვიქტორ ივანეს ძე!

— გულმოდგინე მატროსია, თქვენო აღმატებულებავ... არა, ივანე პეტრეს ძე?...

უფროსი აფიცერი, გძელ-ფეხება და გამხდარი მეორე რანგის კაპიტანი, ოცდა ათს წელს გადასული, სათვალებში, გახუნებულ სერთუპზე აკადემიის ნიშნით, დალვრემილი, ფხიკიანი და ცოტათი გაშტერებული, თითქო რაღაც დავიწყნია და იგონებსო, გძელ-ცხვირა, პაჭია შუბლით, მოგაგონებდათ ჭაობის ფრინველს.

მან მოწყვეტით დაამოწმა კაპიტანის ჩვენება და, მიუბრუნდა რა აღმირალს, დაუმატა:

— ჰკვიანი და ნიჭიერი მატროსია, თქვენო აღმატებულებავ!

— ყოფაქცევით?

— კეთილ-საიმედო, თქვენო აღმატებულებავ!

— მაშ 『ჩაცეცხლა』 არ უყვარს? — ლმობიერათ იკითხა აღმირალმა და ჩაიკინა წყნარათ, მოკლეთ.

<sup>1)</sup> კამენდორი — მატროსი — არტელერისტი.

— ფხიზელია...

— მაშ უნტერ-აფიცრობას მისცემდით! — რჩევის კილოთი წარმოსთქვა აღმირალმა.

— სახე ში გვყავს წარსაღვენათ... ბოცმანიც კარგი გამოვიდოდა, თქვენო აღმატებულებავ.

— პო და, მაშინვე შევნიშნე... გახსნილი სახისა-ცაა... — წარმოსთქვა აღმირალმა.

როცა დასრულდა საარტილერიო ვარჯიშობა, მი-ტიუშინთან მივიღა უფროსი აფიცერი და უთხრა;

— ყოჩალ, მიტიუშინ! აღმირალსაც მოეწონა.

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ! — მიუგო მატროს-შა. ჩვეულებრივი პასუხის ნაცვლათ: „მზა ვარ ვეცადო.“

— ეცადე, უნტერ-აფიცრობას მიიღებ!

ეტყობოდა, ამ აღთქმას არაფრათ გაუხარებია „შეუ-პოვარი“ მან უჩუმა და, როცა უფროსი აფიცერი ჩას-ცილდა გძელი ნაბიჯით და იქით-აქეთ. ცქერით, მიტუ-შინს პირი შეუცინდა და გაიფიქრა:

— ნახა რაღა „ყანჩამ“ უნტერ-აფიცერი! ჯერ ერთი ბოცმანის ონები ნახეთ!

„უთუოთ, როცა ბოცმანი შევა საღამოს უფროს აფიცერთან ბძანებების მისაღებათ, „გააბამს“ ის. მატ-როსს, და მაშინ „ყანჩა“ „მოითხოვს“ თავისთან, — გაი-ფიქრა მიტიუშინმა. მაგრამ საღამო გავიდა, მატროსებმა ივახშმეს, ხოლო მიტიუშინი უფროს აფიცერს არ „მოუ-თხოვია.“

V

ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა აშფოთებდა იმიტიუშინს. მას უნდოდა გაეზიარებია ვისმესთვის თავის ეჭვები და მოწონების ხმა. გაეგონა.

იმავე სალამოს უამბო მან თავისი შეტაკება ბოცმან-თან „მესაჭე“ ჩიუოვს. ეს იყო ბეჯითი, ერთგული და თავაზიანი კაცი. თავს არ „იჩენდა“, როგორც ამბობდა მიტიუშინი, რაღან „შეუპოვარის“ „სათაკილო“. სიტყვებზე იგი ან ჩუმათ იყო, ან მიღიოდა იქიდან. მაგრამ, ეტყობოდა, ესმოდა მისი აზრები და ერთხელ როგორდაც, როცა მარტონი იყვნენ, მოუწონა კიდევაც მისი სიტყვები „კანონის“ შესახებ, თუმცა ამავე დროს უდანოვთან განწყობილებასაც ახერხებდა.

მიტიუშინის ამბავმა ვერ გამოიწვია თანაგრძნობა ჩიუოვის მხრით.

მან თითქო წყენით გადააქნია თავი და, მიმოავლო რა ირგვლივ ელამი თვალები, წყნარად წარმოკითხვა:

— შენი საქმე წასულია, მიტიუშინ... მორჩა!

— ვითომ? — უნდოთ შეეკითხა მიტიუშინი.

— სულ აღვირლათ. უბრალოთ გაგილანდლავს ბოცმანი. უფლებაც კი არ გქონდა. შენ ხომ ის რიგიანათ გექცეოდა?

— არც სულ...

სახეში არ გადებდა? ბოცმანურ სიტყვებით არ გამკობდა?

— აბა გაებედნა!

— მარტო მორიდებას იოხოვდა... ამისთვის რაღებაქიბუქებოდი?.. უბრალოთ გააბოროტე... რას გადეკიდე და წაუყარე — ასეთო — ისეთო... რა საბუთით?.. რისთვის ჩაიგდე თავი დავიდარაბაში? — საყვედურის კილოთი დაუმატა ჩიუოვმა.

— რისთვის? — შეეკითხა „შეუპოვარი“.

მის დამცინაც ხმაში მოისმოდა სასოწარკვეთილური:

კილო იმ კაცის შესახებ, რომელსაც საიმედოთ უცქე-  
როდა.

— ისე რაღა, ქერქეტულათ... „ფეთება“ ვუჩვენ ე  
ბოცმანს...

— გული შეიჯერე? კარგი, ვთქვათ, გული შეიჯე-  
რე, მერე რა სარფაა აქედან? ბოცმანს ვერას დააკლებ,  
თავი კი გაიმტყუნე.. ნუ გვრნია, ბოცმანი ბრიყვი იყოს...  
იგი თავისებურათ „შელესავს“ და წარუდგენს უფრო-  
სებს... აბა უპასუხე მაშინ „ბუნტზე“... „ბუნტათ“  
გამოიყვანს...

— ვუპასუხებ მაშ! — ცხარეთ წარმოსთქვა „შეუ-  
პოვარმა“.

— უპასუხებ? სამართალში მიგცემენ და ჯარიმაში  
ჩაგწერენ, ეს ნამდვილია!

— რაც უნდათ, ისა ქნან! — მიუგო ჩიუოვის სიტყვე  
ბით უაჯავრებულმა მიტიუშინმა.

— მაშინ ეგრე ვერ იტყვი, როცა თავს მოგაფ-  
თანიებენ... კანონზე ცხარობ... რა შენი საქმეა?.. რა  
უფლებით?.. აი გიჩვენებენ უფლებას... ხალხი შენვე  
დაგძრახავს... რას უძვრები სხვას ყელში... შენი გო-  
გროანობის წყალობით შეგეძლო უნტერ-აფიცრობა  
მიგელო... შევეწყობოდი უფროსებს და ტკბილათ ვი-  
ცხოვრებდი. ახლა კი შენი ოცნებობის გამო მოგცებენ!..  
უფროსი აფიცერი სასტიკია, არ შეგინდობს, იმიტომ  
რომ არ ემორჩილები. წინააღმდეგობას არავის შეარჩე-  
ნენ; იცოდე: დაიწყებენ ძიებას და მიაგნებენ კვალს,  
რომ შენ კანონზე ლაპარაკობ და ყველა უფროსებს  
„ათრიაქება“ შენი ყბედობით... ბრიყვი ხარ... ჩამოვ-

შორდებოდი ბოცმანს და ვიცხოვრებდი შენთვის თავი-  
სუფლათ, როგორც სხვები ცხოვრობენ...

„შეუპოვარი“ სდუმდა, თხითქო სიტყვები გაუწყდა.

ჩიეოვმა იფიქრა, „შეუპოვარი“ აღბათ შეშინდათ,  
და დაუმატა:

— ერთი საშვალებაა... და დავი-დარაბას აიშო-  
რებდი...

— რა?

— ბოდიში მოიხადე ბოცმანის წინაშე. არც მის-  
თვისაა კარგი სასამართლოში გამომჟღავნება... შეიძლება  
დაგითმოს... შენ კი რა?...

„შეუპოვარმა“ დინჯათ უპასუხა:

— ძალიან მიერთგულე! გმაღლობ, მეგობარო!

— რისთვის?... რას ლაპარაკობ?

— სრულიად გამომეცხადე, თუ რაც კაცი ყო-  
ფილხარ?

— გეტყობა, არ მოგწონს ჭკვიანური რჩევა?

— შენმა ჭკვიანობამ ნამეტანი სულელი გამომი-  
ყვანა...

— თავს ძალას ნუ ატან. ვინ გგონია შენი თავი?  
მგონი, რომ მატროსი ხარ.

— მაშ ბოცმანს რომ ქედი მოუხარო, უნტერ-  
აფიცირობა მივიღო და ერთი ლაზათიანათ გაგილეწო  
ცხვირ-პირი, ჭკვიანი ვიქნები, არა? თქვი რაღა! — დამ-  
ცინავი ზიზლით წარმოთქვა პატარა მატროსმა.

— შენ ხომ ვერ მოისვენებ, თუ კბილები არ  
დახვანდე!

— მაშ როგორ უნდა მოვიქცე შენთან?

— ჯარიმაში ჩაწერა ხომ არ გახარებს?

— უთუოთ, კბილებსაც იმიტომ ვხქანავ!

— მოიშლი! — ბრაზით წარმოსთქვა ჩიუოვმა.

— მალე?

— აი თუნდ ხვალვე გაგიქრობენ შენს „შეუპოვრობას!“

— ეს რომელი მიზეზით?

— პირველათ ბოცმანის გამო გაგჩარხვენ ეს ძნელი არაა. შარშან ზაფხულს ერთი მატროსი გაწკეპლეს და ჯარიმაში უკრეს თავი...

მიტიუშინს ცახცახი დააწყებინა იმ აზრზე, რომ ხვდლ შესაძლებელია იგი სასირცხოთ დასაჯონ. და აღშფოთდა, რომ მისვე მოძმესა, მატროსს, თითქო სიამოვნებას გვრის თავისავე მოძმის შერცხვენა და უკანონოთ დასჯა.

მაგრამ სიბნელის გამო ხომალდის წინა, აივნის კიდეზე, სადაც იგინი საუბრობდენ, ჩიუოვი ვერ ხედავდა „შეუპოვარის“ გაფითრებულ სახეს და ანთებულ შავ თვალებს.

— გამჩარხონ! მაგრამ შენ გაფრთხილდი! — მუქარით მიახალა მან და ცდილობდა დაეფარა თავისი ბრაზი.

ჩიუოვი გაოცდა.

— ვერ გამიგია, რამ შეგშალა, რატო ხარ ასე „შეუპოვარი“?..

— ქარმა დამბერა...

— საღ?

— ფაბრიკაში.

— კარგი და ხელმწიფის სამსახურშიაც ქარმა დაგრძერა? — ირონიულათ შეეკითხა ჩიუოვი, რომელიც შეუ-

რაც ყოფილათ გრძნობდა თავს მიტიუშინის ამრეზილ  
კილოს გამო.

— მართალია...

— საუცხოო რამ არის...

— სჩანს, შენს ყურებს არ სმენია, რომ ხალხი  
სიმართლეს ეძებს? — უეცრივ წამოიძახა მიტიუშინმა.

ჩიუოვს ურწმუნოთ ჩაეცინა.

— აბა რა უნდა გესმოდეს! სული ღორისა გაქვს  
და გონება ფლიდი... გიხარია კიდევაც, რომ მატროსს  
უკანონოთ მისტყეპენ! ფიქრობენ: ცოტა ეტკინება,  
თორემ ძრახვა და შეურაცხყოფა, ეგ არაფერია... მე-კი  
მგონია, რომ, თუმცა მხდალი ხარ, მაგრამ ჩემი გაგება  
მაინც გქონდა! — ბრაზ-მორევით დაუმატა მიტიუშინმა  
ჭმის ამაღლებით.

— შენ რას ილანძლები? რომელი უფლების ძალით?

— შეუგორდი ფეხებში შენს ბოცმანს... უქანე  
შენი ღორის კუდი და მიუჭორე. იქნება სულაც შენ  
დამაბეზღე...

— დაამშვიდებენ იგინი შენისთანა (თავზე ხელ-აღე-  
ბულ ეშმაკს!

და მისდამი ზიზღით სავსე ჩიუოვი გაშორდა.

ჩამოარიგეს კოიკები. მიტიუშინს დიდხანს არ დაუ-  
ძინია, მწარე ფიქრებით გატაცებულს.

შუალამისას გავიდა სადარაჯოთ და სეირნობდა გემის  
ბაქანზე; არვის ხმას არ სცემდა; იგი გაიტაცეს ფიქრებ-  
მა, მარტოობამ, ნალვლიანობამ, რომ ამ დროს მივიდა  
მასთან პირველი წლის მატროსი.

მიტიუშინი შეჩერდა.

— რა გინდა? — პკითხა მან.

მატროსმა მორცხვათ და გულწრფელათ, თითქმის  
ჩურჩულით წარმოსთქვა:

— მიტიუშინ, ღმერთი დაგიხსნის უბედურებასაგან  
შენი გამბედაობისათვის. მე, მართალია, უმეცარი ვარ,  
მაგრამ მიგიხვდი, რა გადარდებს. შენ სამართლიანობაზე  
ნაღვლობ. უსამართლობის გამო შეახურე ბოცმანი, გე-  
ზრალება მატროსი, ვერ ისვენებ მის გამო,

— გმადლობ ალერსიანი სიტყვისათვის, ჩერეპკოვ!  
— მხურვალეთ და აღელვებით წარმოსთქვა მიტიუშინმა,  
და მისი ბნელეთით მოცული სული განათდა.

უეცრივ იგრძნო მან, რომ მარტოკა არ ყოფილა.

## VI

დილით, როცა გემ „მუქარაზე“ ჩვეულებრივი „ფა-  
ცა-ფუცი“ იყო, ბოცმანი უდანოვი კიდევ უფრო წიწმა-  
ტობდა და ინდაურივით დაფხვერილი და გაბოროტებუ-  
ლი დადიოდა გემზე.

დღეს იგი უფრო მეტ შიშის ქარს უძრავდა მატრო-  
სებს, დღეს ჩვეულებრივზე შეტათ ილანძლებოდა, მიზე-  
ზობდა სულ უბრალო რამებზე და რამდენიმე მატრო-  
სი მიტყება კიდევაც გულ-გრილად, ულმობელობით, დინ-  
ჯათ და ხმა-ამოულებლივ.

„შეუპოვარი“ კი შფოთავდა.

ერთ მატროსს, რომელსაც კბილებიდან სისხლი  
სდიოდა, მან გაცხარებით და მაღლა უთხრა:

— რაღ აძლევ ნებას მაგ მხეც-ბოცმანს რომ გტან-  
ჯოს? მას არა აქვს ცემის უფლება!

მატროსი, ხმას არ იღებდა. მიჩუმდენ სხვა მატრო-

სებიც, შიჩუმდენ და ცნობის-მოყვარეობით ელოდენ, რა მოხდებოდა. ბოკმანი ორ ნაბიჯზე იდგა მისგან და „შეუპოვარის“ თვითეული სიტყვა ესმოდა.

მაგრამ უდანოვმა მხოლოდ ულმობელის ბოროტებით გადახედა მიტიუშინს და ჩაიარა დიდებულათ, მკაცრათ და თავმომწონეთა.

„დღეს ანგარიშს მომოხვეს!“ — გადაწყვიტა მიტიუშინმა.

შართლაც, დროშის აშვების მეოთხედი საათით წინ მასთან მოირჩინა უფროს აფიცერის მოამბემ.

— უფროსი აფიცერი გიხმობს კაიუტაში! — მოწყენის კილოთი წარმოსთქვა მოამბემ.

და დაუმატა თანაგრძნობით:

— სულ დორბლებსა ჰყრის... გადაირია! ამ წამში იყო ბოკმანი „ყანჩასთან“ და, მიტიუშინ, შენზე ეჩუქჩუქა... მე შევდიოდი კაიუტაში და მესმოდა, როგორ ახელებდა შენს წინააღმდეგ. ეს ასე იცოდე.

— გმადლობ, ქმაო! — მოწყვეტით მიუგო მიტიუშინმა.

— გახსოვდეს, რომ საჭიროა გაუჩუმდე... მოუსმით ნე მას და ნუ შეელაპარაკები. როცა გულს მოიოხებს, მაშინ კი უამბე: „ასე და ისე-თქო!“ ნებას მოჯცუმს!

მიტიუშინს, ცოტათი გაფილებულს და აღელვებულს, მოაგონდა ის გაბედული სიტყვები, რომლებიც დაამზადა უფროსთან სათქმელად, და სწრაფათ ჩაეშვა კაიუტაში.

იქ დიდს სტოლზე ჩაის უსხდენ თითქმის ხომალდის ყველა აფიცერები.

„შეუპოვარის“ დანახვაზე მათ უცებ შეწყვიტეს  
გაცხარებული ლაპარაკი და კამათი.

კაიუტაში მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ ეს ბეჯითი  
და ნიჭიერი მატროსი „ბუნტს“ ბეღავს და თვით აღმი-  
რალსაც კი ლანძღავს მატროსების თვალწინ. ბოცმანს  
კი კინაღამ ყბაში ჰლეწა.

ამის გამო ბევრი აფიცერთაგანი გაკვირვებით და  
შეუბრალებელის სახით ათვალიერებდენ პატარა, შავ-  
გვრემან მატროსს, „თავხედურის“ თვალებით, რომელიც  
მტკიცედ და თამამად მიიმართოდა უფროს აფიცერის  
კაიუტასაკენ.

— რა ბილწი ცხოველია! სამხედრო ხომალდის  
აგიტატორია რალა! — ზიზლით წამოიძახა ერთმა ლამაზმა  
ახალგაზდა მიჩმანმა.

— ნუ ილანძლები. ეს უზუელობად! ამასთან, შეი-  
ძლება ბოცმანმა მხოლოდ შურის-ძიებით დააბეჭდა. არ  
დაეჯერება მას! — ფრანგულათ წარმოსთქვა მაღალმა, ნა-  
თელისა და კეთილის სახის შავგვრემანმა მიჩმანმა, საყვე-  
დურის კილოთი ამხანაგის მიმართ.

მიტიუშინი მიხვდა, რომ მასზედ დაპარაკობდენ.  
მან იცოდა, რომ შავგვრემანი „კა კაცი“ იყო მატრო-  
სებთან და „კანონიც ესმოდა“.

„შეუპოვარმა“ მალე თანაგრძნობი თვალები მია-  
ჰყრო მიჩმანს, თითქმ მაღლობას უხდიდა ამით მის ერ-  
თათ-ერთ დამცველს, და მტკიცე სითამართ დაუკაცუნა  
უფროს აფიცერის კაიუტას.

— შემოდი.

მატროსი შევიდა მოზღიულსა და ნათელს, შარტო-  
ხელა კაიუტაში და გაჩერდა მის მიხურულ კა-

რებთან. იგი, გაფიორებული და ძალზე დაღინჯებული, ყურადღებით შესცეკვოდა უფროს აფიცერს. სათქმე-ლათ დამზადებული სიტყვები პირველად თითქო გაუ-ქრა თავიდგან.

ხმელ-ხმელი, აწოწილი ივანე პეტრეს ძე უჯდა სა-წერ სტოლს, რომლის ქვეშ ძლივს მოეხარა გძელი ფე-ხები. მრისხანე, ანთებული მტრედის ფერი თვალიებით საჲვალებში, მღელვარედ და აჩქარებით ეწეოდა იგი სხვილს პაპიროსს და გაშმაგებით სწერავდა ძვალ-ტყავა გძელი თითებით თავის მეჩხერს, ქრა წვერს.

უდანაშაულო სახით მდგომარე მიტიუშინის შეხე-დვამ გააოცა უფროსი აფიცერი. მას უკვირდა მატროკ სის ასეთი შეუპოვრობა. ივანე პეტრეს ძე დაასტერდა „შეუპოვარს“, თითქო პირველათ ხედავდა თავის სიცო-ცხლეში და სურდა კარგა აეთვალიერებია ასეთი საფ-რთხილო ვერაგი, რომელსაც მიუტევებელი დანაშაუ-ლობა ჩაედინა დისკიპლინის დარღვევით და თავის სა-ზიზლირი აზრების გამოაშკარავებით.

უფროსი აფიცერი უსიტყვოთ ეძლეოდა მრისხანე-ბას და თანდათან ეღგზნებოდა.

ასე განვლო რამდენიმე წამმა.

მატროსი თვალს არ ხრიდა.

## VII

— აი თურმე შენ როგორი ყოფილხარ! — დაიწყო ბოლოს ივანე პეტრეს ძემ, მორჩა რა პაპიროსის წევას. — რუსი მატროსი ფიცს ღალატობ... დიახ... ფიცსა და სინიდისს! აქეზებ მატროსებს, ეურჩონ მათ კანონიერ

მთავრობას... გაჰკიცხე ბოცმანი, აგინე და ემუქრებოდი ხელით შეურაცხებას!.. დასცინოდი უფროსებს! მე კი უნტერ-აფიცრობაზე ვფიქლობდი წარმედგინე. რას ვი-ფიქრებდი, რომ შენ... სამართალში... საზღვაო საპყრო-ბილეში ჩავარდებოდი.

მიტიუშინი არ უჯეროდა ყურებს, როცა გაიგო, თუ რაში ამტყუნებენ და რა სასჯელს უქადის. ბოცმა-ნის ამყოლი უფროსი აფიცერი.

— თქვენო მაღკეთშობილებავ! ნება მიბოძეთ აგი-ხსნათ!

— კრინტი! — შეუძახა აფიცერმა.

მიტიუშინი დაჩუმდა; მისი საქმე, ეტყობოდა, ცუ-დად იყო... უფროსი აფიცერი განაგრძობდა ლაპარაკს, ინთებდა ცეცხლს და უკვე გადვიდა მუქარაზე, რომ ასეთ დანაშაულობისათვის იგი მიუსჯის მას დატუსა-ლებას.

— დაგატუსალებ! პურსა და წყალზე გამყოფებ! და თუ ვისმე კიდევ ეურჩე — გაგწყვეპლავ! — დაასრულა უფ-როსმა აფიცერმა.

მისი მრისხანება იმ წამსვე მიწყნარდა... თითქო გრიგალმა გადიარა. თითქო შერცხვა კიდევაც, როცა შენიშნა ამ გაფითრებულ, ძალზე დაღინჯებულ „და-ნაშავის“ სახეზე ტანჯული გამომეტყველება და თვა-ლებში რაღაც თითქო საყვედურით აღსავსე და იმავე დროს გაბედული ნაღვლიინობა.

— თქვენო მაღკეთშობრლებავ! ნება მიბოძეთ აგი-ხსნათ! — ისევ დაიწყო მიტიუშინმა.

— რა უნდა ამიხსნა? ბოცმანმა უკვე მიამბო, რა შვილიც ბძანდებით...

— ბოცმანი, თქვენი მაღკეთშობილებავ, ცილს მწა-  
მებს!

— სტუი... განა ბოცმანი ცილს დასწამებს მა-  
ტროსს!

— მე, თქვენი მაღალკეთშობილებავ, ღმერთი მა-  
ხსოვს და არ ვსტული! ბოცმანმა მხოლოდ შურის-ძი-  
ების გამო დამაბეჭდა და თქვენც ინებეთ დაჯერება...  
სამარალი ყველაფერს გამოაჩენს, თქვენი მაღკეთშობი-  
ლებავ...

„შეუპოვარს“ ისეთი სიმართლის გამომეტყველი  
სახე ჰქონდა და ისე გულწრფელი კილო, რომ მატრო-  
სი მძიმე სასჯელის ღირსეულ „დამნაშავეს“ აღირ ემ-  
სვავსებოდა, და მკაცრი აფიცირი უნებლიერ მორბილე-  
ბულის კილოთი შეეკითხა:

— ხომ აგინე ბოცმანს და ცემას ემუქრებოდი?

— მართალია, თქვენი მაღკეთშობილებავ!

— განა ბოცმანი გაწვალებდა? შენ ხომ ყველა კა-  
რგათ გეპყრობოდა?

— მართალია, თქვენი მაღკეთშობილებავ. ბოც-  
მანი არ მაწვალებდა და ყველა კანონიერათ მეპრობოდა.

— მაშ რატო შეურაცყავ ბოცმანი?

— იგი მატროსებს სტანჯავს, თქვენი მაღკეთ-  
შობილებავ, და ვერაფერმა ვერ ალაგმა. თქვენ არ  
იცით, რა მექრთამერა დაწაროგორ სცემს ხალხს..., და  
როცა ჩემს საცემრათ შემართა მუშტები თავის კაიუ-  
ტაში, მე არ დავანებე... ვუთხარი, ხურდას მიიღებ  
მეთქი... ამას ყველა იტყვის, თუ გაამწარეს... კანონში  
არ წერია ცემა და შეურაცხება. მატროსსაც შეუძლია  
იგრძნოს. მასაც აქვს გრძნობა. ჩემი დანაშაულობა მარ-

ტო კადნიერებაა, თქვენო მაღალკეთშობილებავ. მაგრამ „ბუნტობა“ და ურჩობაში წაქეზება არც მიფიქრია. მე მხოლოდ იმას ვეუბნებოდი მატროსებს, რომ ცემა-ტყება კანონი არაა, რომ ყველა სიმართლით და სინდისიერათ ცხოვრობდეს. განა ეს „ბუნტია“?

მიტიუშინს თითქო ტალღამ შემოჰკრა. მან ცოცხლათ და მგზნებარეთ უამბო დაწვრილებით ბოცმანთან შეტაკების ამბავი და ისიც, თუ რისთვის არ შეუძლია პატივს სცემდეს ისეთ უსინდისო კაცს, რომლის მიზეზით უდანაშაულოთ ითმენენ იმდენ ტანჯვას მატროსები და ვერ გაუბედნიათ ჩივილი იმის შიშით, რომ სიმართლე „თავს ვერ ვაიტანს“ და მართალთ დამნაშავეებათ აღიარებენ. უამბო, როგორი გამწარებული სამსახური აქვთ ამის გამო. კანონი კი ყველასთვის ერთია. კანონით მოიქეცი და არავის არ შეურაცხვოფ.

— მერე შენ რა კანონის დამცველი ხარ? ვინ მოგცა ნება?

— სიმართლისათვის ვწუხვარ, თქვენო მაღლკეთ-შობილებავ!.. ვამბობდი მხოლოდ, რომ მატროსი ნუ დანებდება ცხვარივით საცემ-სატყეპავათ.

— უფროსები ლანძღე?

— სწორედ ასეა. ყოფილა შემთხვევა, გამისჯია, თქვენო მაღლკეთშობილებავ.

— როგორ ბედავდი მათს განსჯას?

— ყველას შეუძლია გასაჯოს თავის შეხედულებით, თქვენო მაღლკეთშობილებავ... მე გავსაჯე, რომ ბატონი აფიცრები კანონის მაგალითებს უნდა გვაძლევდენ და იგინი კი უდიერათ იცემებიან და არ... აი მთლიან ჩემი ბუნტი.

— მეც გიგინებივარ?

— ყოფილა შემთხვევა, თქვენო მაღლკეთშობილებავ! — დაუფარავათ წარმოსთქვა „შეუპოვარმა“.

— რისთვის?

— რისთვისაც სხვები, თქვენო მაღლკეთშობილებავ!

— შენ მართლაც შეუპოვარი ყოფილხარ! — წარმოსთქვა უფროს აფაცერმა, მაგრამ აღელვება აღარ ეტყობოდა.

იგი ჩაფიქრდა და იმ გვარ მდგომარეობაში ჩავარდა, როგორშიაც ვარდება კაცი მოულოდნელის მარცხით.

რაღაც ნათელმა წარსულმა გაუტბინა წავში, როცა იგიც სიყმაწვილეში სიმართლისათვის სწუხდა... მას, როგორც ზნეობა-ფაქიზს კაცს, აშფოთებდა ბოცმანი, რომლის ქცევას აქამდე არ იცნობდა და რომლის სინამდვილეშიაც ახლა დარწმუნდა. აოცებდა „შეუპოვარი“ და მიხვდა, რომ ის „ბუნტოვჩიკი“ არ იყო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოუსვენარი მატროსია და ღირსია სასჯელისა დისკიპლინის დარღვევისათვის. ასეთ მატროსსაც შეუძლია მთელი „ისტორია“ ასტეხოს. თუ სამართალში მისცა, უთუოთ საჯარიშოში ჩარიცხვენ და კაცის მომავალი დაიღუპა. ამას გარდა, ბევრი რამ სხვაც გამოაშკარავდება, რაც „მუქარაზე“ ხდება და რაც ვერაფერი სასიამოვნო იქნება უფროს აფიცირისა და კაპიტანისთვის.

ივანე პეტრეს ძეს სამართლიან კაცათ მოჰქონდა თავი. და მის თავში გაიელვა აზრმა, რომ სინიდისით სამართალში მისაცემია ბოცმანი, თუ ყველაფერი დამ-

ტკიცდა, რაც მიტიუშინმა ილაპარაკა. მაგრამ ბოცმანი საქმის კარგი ამსრულებელი კაცი იყო და ისეთი კაცის დაკარგვა უფროსი აფიცირისათვის არ არის სასიამოვნო. უმთავრესი კი იგია, რომ სასამართლოში გადმოლაგდება ყველა ის „ნაგავი“, რომლის გამოტანასაც უფრთხის მთავრობა, ხოლო ივანე პეტრეს ძეს ყოველგვარ მთავრობისა ეშინია, რაღაც თავის კეთილ-დღეობაზე ფიქრობს: ესეც არ იყოს, ბოცმანის სამართალში მიკუმით უფროსი აფიცერი გამოაშეარავებდა თავის სიმტკუნეს. როგორ მოხდა, რომ ამდენი უკანონობა. ხდებოდა იქ და ის კი ამდენი ხანია ბოცმანთან ერთათ მსახურობს?

ბოლოს და ბოლოს უფროსი აფიცერი, გაბრაზებული, რომ მის „მუქარაზე“ ვიღაც მატროსის მეოხებით მისთვის ასეთი „არა სასიამოვნო“ ამბები ატყდა, ისედაც მთელი დღეობით მუშაობით დაქანცული, სრულიად დაიბნა და არ იცოდა, რა ექნა „შეუპოვარისათვის“.

გავიდა კიდევ წამი და უფროსი დაადგა შემდეგ გადაწყვეტილებას - მიჩქმალოს მთელი ეს საქმე. ამ უხასიათო კაცის აზრით მაინც, ეს საუკეთესო ხსნის გზა იყო.

და უთხრა მიტიუშინს:

— მე მოგიტევებ შენს დანაშაულებას, თუ ბოცმანთან ბოდიშს მოიხდი... მე შენ მებრალები... ბოცმანი კი მე მოველაპარაკები... მიხვდი?

— მივხვდი, თქვენო მაღლეულებავ!

— მაგრამ გახსოვდეს, მეორედ მსგავსი არაფერი გავიგონო... ნუ აყბედდები, თორემ სამართალში. მიეცემი და დაიღუპები... გახსოვდეს, რასაც გეუბნები...

არგორი ბოცმანიც უნდა იყოს, ეს შენი საქმე არ არის, არამედ მთავრობის საქმეა... შენ ვინ გრჯის მასზე მსჯელობას?.. ხოლო თუ თავს უდანაშაულოთ დაჯილათ ჩათვლი, იჩივლე უფროსებთან!

აფიცერს ეგონა იხსნა „შეუპოვარი“ და იგი მადლობელი გაუხდება. ამით ისტორიასაც ბოლო მოეღება. ბოცმანს კი შეახურებს და გააფრთხილებს. ისიც დაანებებს ცემა-ტყებას და ქრთამების აღებას...

მაგრამ მიტიუშინი არა თუ მადლობას არ აცხადებდა, პირიჭით, კიდევ უფრო მოიხუშა.

— ასე, წალი, არ გატუსაღებ!..

— მესმის, თქვენო მაღლკეთშობილებავ... მაგრამ...

— რა კიდევ?

— მე ბოცმანთან ბოლიშს ვერ მოვიხდი. თუ ვინ-მე სამართალში მისაცემია, ეს იგია, თქვენო მაღლკეთშობილებავ ..

— კრინტი! მე ვუბძანებ, რომ გაგწკეპლონ, — გაატორდა უფროსი აფიცერი.

— ამის ნებას კანონი არ გაძლევთ, თქვენო მაღლკეთშობილებავ! ჯერ გაგვასამართლეთ, თქვენო მაღლკეთშობილებავ, სიმართლე გამოჩნდება! — მიუგო „შეუპოვარი“ და გამოვიდა კაიუტიდან.

### VIII

უფროსი აფიცერი გონს მოეგო და „შეუპოვარი“ არ გააწკეპლინა.

გამოძიების მეორე დღეს იგი გაგზავნეს პეტერბურგში, და „შეუპოვარი“ ჩასვეს საზღვაო საპყრობილე-

ში, როგორც გამოძიების ქვეშ მყოფი. შემოდგომაზე იგი გადაიყვანეს საავალმყოფოში, სადაც მას გამოაჩდა სწრაფ-მომრევი ჭლექი.

საავალმყოფოში „შეუპოვარს“ წინანდებურადვე არ ასვენებდა კანონი, დარღობდა სიმართლეზე და მგზნე-ბარე სიტყვას ეუბნებოდა მეზობელ-ავალმყოფებს...

ამაოდ ელოდა მატროსი გასამართლებას, ამაოდ იმედობდა იგი, რომ „სიმართლე თავისას გაიტანს“ და ბოცმანს გააძევებენ.

არ იქნა, ვერ ელირსა „შეუპოვარს“ ამას. შობის წინ იგი გამოესალმა სიცოცხლეს.

დ — რი:

n 3838  
1905